მურად შონია

სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია

დამხმარე სახელმძღვანელო

თბილისი
2017

UDC (უაკ) 303. 6
Შ-828

ანოტაცია

დამხმარე სახელმძღვანელოში შეძლებისდაგვარად გადმოცემულია სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია მთლიანობაში.

მასში გარჩეულია სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგადსოციოლოგიური, ზოგადმეთოდოლოგიური და საკუთრივმეთოდოლოგიური საკითხები.

წიგნში შესაბამისად ამისა გამოყოფილია სამი ნაწილი.

პირველ ნაწილში განხილულია სოციოლოგიის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა საერთოდ, მეორე ნაწილში „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების“ სამეცნიერო დისციპლინის რაობა, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის მიმოხილვა საერთოდ, ასევე სოციოლოგიური გამოკვლევის არსი და საგანი, მესამე ნაწილში კი - უკვე სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის, პროგრამის, გეგმის, ასევე სოციოლოგიურ გამოკვლევაში შერჩევის, სოციალურ მონაცემთა მოპოვების, დამუშავების, ანალიზის, განზოგადების, ინტერპრეტაციის მეთოდები კონკრეტულად.

განსაკუთრებული ყურადღება ნაშრომში ეძლევა სოციოლოგიური გამოკვლევის ფუნდამენტურ მნიშვნელობას სოციოლოგიური მეცნიერების განვითარებაში, ხოლო უფრო განსაკუთრებული კი სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდთა უდიდეს მნიშვნელობას უკვე თავად სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია უპირველესად ბაკალავრებისათვის, ასევე მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, და საერთოდაც, აღნიშნული თემატიკით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

რედაქტორი: რ. ღიბრაძე
რეცენზენტები: კ. ნონიაშვილი, ს. ლომინაძე

ISBN 978-9941-27-141-0

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 5

შესავალი 6

I ნაწილი. სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგადსოციოლოგიური შესავალი

1. სოციოლოგია როგორც თეორიული მეცნიერება 11

2.სოციოლოგია როგორც გამოყენებითი მეცნიერება 24

II ნაწილი.სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგადმეთოდოლოგიური შესავალი

1. „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდები" როგორც სამეცნიერო დისციპლინა 41

2. სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია (ზოგადი მიმოხილვა) 55

3.სოციოლოგიური გამოკვლევის არსი 68

4. სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი 84

III ნაწილი.სოციოლოგიური გამოკვლევის საკუთრივმეთოდოლოგიური ნაწილი

1. სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა 104

2.სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა 114

3.სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმა 129

4.შერჩევა სოციოლოგიურ გამოკვლევაში. შერჩევის მეთოდები 137

5.სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა მოპოვების მეთოდები 153

6.სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის მეთოდები 180

7.სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა
განზოგადების მეთოდები 199

8.სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა
ინტერპრეტაციის მეთოდები 207

დასკვნები 215

ბოლოსიტყვაობა 226

მითითებული ლიტერატურა 228

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი, რომელიც ტიტულზე წარმოდგენილია როგორც „დამხმარე სახელმძღვანელო“, გარკვეულწილად ამავე დროს შეიძლებოდა წარმოდგენილიყო როგორც „მონოგრაფიაც“, ვინაიდან მასში საკითხები გადმოცემულია მონოგრაფიული განხილვის წესითაც.

ასე რომ, სინამდვილეში ეს ნაშრომი, ჩვენის აზრით, სახელმძღვანელოცაა და მონოგრაფიაც, თუ ასე შეიძლება ითქვას, ერთგვარი ნაზავია მათი, თუმცა კი ამ შემთხვევაში იგი წარმოდგენილია როგორც სახელმძღვანელო.

აქვე, წიგნის სათაურთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის“ ნაცვლად შეიძლებოდა სათაურად „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებიც“ გამოგვეტანა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე. ორივე სათაური ბოლოსდაბოლოს ერთი და იგივე იქნებოდა, ოღონდ სხვადასხვა რაკურსით. ზოგი, მართლაც, ერთ ვარიანტს ამჯობინებს, ზოგიც მეორეს. საბოლოო ჯამში ამით არსებითად არაფერი დაშავდებოდა. მაგრამ ჩვენ მაინც გარკვეულ მოსაზრებათა გამო ჩვენეული დასათაურება ვამჯობინეთ.

ყოველივე ამის დასაბუთება თავად წიგნში გვაქვს მოცემული.

ავტორი
2017

შესავალი

სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის საკითხი სოციოლოგიური გამოკვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

საქმე ის არის, რომ სოციოლოგიური გამოკვლევა როგორც ასეთი სოციოლოგიური მეცნიერების, სოციოლოგიური თეორიის უმთავრესი წყაროა. სოციოლოგიური გამოკვლევა საფუძველია სოციოლოგიური თეორიის ჩამოყალიბებისა და განვითარებისა. ხოლო ამისათვის აუცილებელია თავად სოციოლოგიური გამოკვლევის სწორედ მეთოდოლოგიური მხარის უზრუნველყოფა. სხვა გზა და საშუალება სოციოლოგიური გამოკვლევის წარმატებული ჩატარებისათვის არც კი არსებობს.

სოციოლოგია ეს საზოგადოების შესახებ ზოგადი მეცნიერებაა. იგი უმნიშვნელოვანესია ადამიანის ცხოვრების შემეცნების საქმეში, ვინაიდან, ჩვენ, ადამიანებს გვიყალიბებს ზოგად ცოდნას ჩვენი ცხოვრების შესახებ. ამ ცოდნის გარეშე კი ჩვენი ცხოვრება, მართლაც, ვერ იქნებოდა სწორად წარმართული. მეცნიერება სწორედ ხომ იმისთვისაა შექმნილი, რომ ადამიანს გზა წარუმართოს ამ მიმართულებით. ამაშია ჭეშმარიტად მეცნიერებისა და მათ შორის სოციოლოგიის მნიშვნელობაც.

საზოგადოებრივი ცხოვრების გზაზე, ამ ცხოვრების, მითუმეტეს, თანამედროვე ეტაპზე წინ იწევს სოციოლოგიური მეცნიერების არა მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა, არამედ მისი უფრო სწორედ პრაქტიკული დანიშნულებაც, ვინაიდან თეორია სწორედ პრაქტიკისთვისაა შექმნილი, იმისთვისაა გამიზნული, რომ ადამიანს გზა გაუკვალოს სწორედ რეალურ ცხოვრებაში.

ხოლო იმისათვის, რომ სოციოლოგიური ცოდნა წინ წარემატოს თავის საქმეში, იგი, რა თქმა უნდა, თავის საფუძველშივე წინ უნდა წარემატოს სოციოლოგიური კვლევის საქმეშიაც.

სოციოლოგიური კვლევაც, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერული კვლევა, რომელიც ასევე საფუძველია ყოველგვარი მეცნიერების წარმატებისა, მისი განვითარებისა, რომლის გარეშე ვერც

იარსებებს და ვერც განვითარდება ნებისმიერი მეცნიერება, რა თქმა უნდა, თავის მეთოდოლოგიურ მხარეს ემყარება. ეს მეთოდოლოგიური ბაზაა სწორედ ის საშუალება, რაც კვლევის პროცესს წარმატებულს ხდის, ბუნებრივია, ამ უკანასკნელის წარმატებულივე მოგვარებისა და მოწყობის საფუძველზე.

არცერთი მეცნიერება არც არსებობს და, მითუმეტეს, არც ვითარდება შესაბამისი მეთოდოლოგიური ბაზის გარეშე და, მათ შორის, სოციოლოგიური მეცნიერებაც.

სწორედ ამიტომ ხდება სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიის საკითხიც ეგრე მნიშვნელოვანი.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციოლოგიური მეცნიერების არსებობასა და განვითარებაში, რომ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: სოციოლოგიური მეცნიერების მეთოდოლოგია მისი კვლევის პროცესში თავის მხრივ უკვე განმსაზღვრელწილად განაპირობებს სოციოლოგიური გამოკვლევის ბედ-იღბალს: რა მეთოდოლოგიითაც ვხელმძღვანელობთ, რა თქმა უნდა, იმ მეთოდოლოგიითავე მოვიმკით სოციოლოგიური გამოკვლევის ნაყოფსაც.

სოციოლოგიურმა გამოკვლევამ საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი გაქანება პოვა. ამან კი, თუ ასე შეიძლება ითქვას, უკვე „ავტომატურად", თავისთავად მოითხოვა თავად სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის, ანუ, სხვანაირად, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების საკითხის წინ წამოწევა.

სოციოლოგიური გამოკვლევის ფენომენი იმდენად აქტუალური გახდა დღეისათვის, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების ანუ, სხვანაირად, მეთოდოლოგიის საკითხიც, როგორც მასთან „მიბმული" საკითხიც, უაღრესად მნიშვნელოვანი გახდა ჩვენთვის.

მაგრამ რამ გამოიწვია სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებისა თუ მეთოდოლოგიის საკითხის აგრერიგად გააქტუალურება საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე?

რა თქმა უნდა, თავად საზოგადოებრივი ცხოვრების, თუ ასე შეიძლება ითქვას, „გასისხლსავსევებამ", იმან, რომ, ჯერ ერთი, იმატა საზოგადოებრივი ცხოვრების ინტეგრაციამ, და მეორეც, იმატა მისმა

განვითარების ტემპმაც. ჩვენი ცხოვრება უფრო „მჩქეფარე“ გახდა ვიდრე არასდროს.

ამას, რა თქმა უნდა, თავისი პლიუსებიც და მინუსებიც აღმოაჩნდა. და კაცობრიობა აღმოჩნდა უამრავი, ჯერარნახული სოციალური პრობლემის წინაშე. ხოლო სადაც პრობლემებმა იმატეს, იქ მათი მოგვარების საკითხმაც წინ წამოიწია.

თანამედროვე კაცობრიობა გლობალიზაციის საყოველთაო პროცესის ფარგლებში, მართლაც, უამრავი მძიმე, მწვავე სოციალური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა და სწორედ, აი, აქ უფრო მწვავედ დადგა საკითხიც მათი სოციოლოგიური შესწავლისა. თავად ცხოვრებამ ეგრე განაგო, რომ ჩვენს წინაშე მდგომი აურაცხელი პრობლემები მათი გადაჭრის წინაშე დააყენა.

ის, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის საკითხი ასეთი აქტუალური გახდა სწორედ ამჟამად, ვიდრე არასდროს, ეს კაცობრიობის განვითარების სწორედ ამჟამინდელმა ეპოქამ განსაზღვრა, ვინაიდან სწორედ ამჟამად დგას არნახული პრობლემები, ვიდრე არასდროს. მოთხოვნილება წარმოშობს მისი დაკმაყოფილების საკითხს.

მოკლედ, საკაცობრიო ისტორიის განვითარების მზარდმა თანამედროვე სოციალურმა პრობლემებმა განაპირობეს როგორც მათი სოციოლოგიური შესწავლის მოთხოვნილებაც, ისე მათივე შესწავლის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის მოთხოვნილებაც.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესმა, სწორედ იმ მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, რასაც მას უყენებს თავად ჩვენი სოციალური ცხოვრება, დღეისათვის გლობალურად, საყოველთაოდ მოიცვა მთელი კაცობრიობა.

ხოლო სოციოლოგიური გამოკვლევის ამგვარმა, თუ ასე შეიძლება ითქვას, „ფურორმა“ იმდენად მოიცვა ჩვენი თანამედროვე საზოგადოება, რომ ზედმეტი არ იქნებოდა ჩვენი ეპოქა, რა თქმა უნდა, სოციოლოგიური გამოკვლევის ყოვლისმომცველი პროცესისა გამო, „სოციოლოგიური გამოკვლევების ეპოქადაც“ კი გამოგვეცხადებინა.

ამას კი მოწმობს, მართლაც, სოციოლოგიური გამოკვლევის ამჟამინდელი საყოველთაო გავრცელება ჯერარნახული გაქანებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

და, მართლაც, არ არსებობს ჩვენი ცხოვრების კუთხე-კუნჭული, ამჟამად სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი რომ არ იყოს. სოციოლოგიური გამოკვლევა გახდა ჩვენი ცხოვრების თანამდევი მოვლენა, ჩვენი ცხოვრების ის ფენომენი, რომელმაც ერთიანად „გამსჭვალა" საზოგადოებრივი პრობლემების მთელი სპექტრი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფრიად ნათელი უნდა გახდეს ის დიდი აქტუალობა, ანუ ის დიდი სადღეისო მნიშვნელობა სოციოლოგიური მეთოდების შესახებ მეცნიერებისაც, რომელიც შეისწავლის სწორედ ამ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებს და რომელთა გარეშეც ყოვლად შეუძლებელია სოციოლოგიური გამოკვლევაც.

ამგვარად, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის საკითხი თანამედროვე სოციოლოგიური მეცნიერების უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი სადღეისოდაც მნიშვნელოვანია და, მეორეც, საერთოდაც მნიშვნელოვანი; სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების, მისი მეთოდოლოგიის საკითხი, ამრიგად, უაღრესად სასარგებლოა, უაღრესად ღირებულია სოციოლოგიური გამოკვლევებისა და, მაშასადამე, მათგან გამომდინარე, ჩვენი საჭირბოროტო პრობლემების მოგვარების საქმეში.

ნაწილი I

სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგადსოციოლოგიური შესავალი

თავი I.

სოციოლოგია როგორც თეორიული მეცნიერება

სოციოლოგია საზოგადოების შესახებ მეცნიერებაა.

საზოგადოება, ბუნებასთან ერთად, ამქვეყნიური ყოფიერების ერთ-ერთი ძირითადი სფეროა. მას კი განსაკუთრებული მეცნიერება შეისწავლის და ამ მეცნიერებას სწორედ „სოციოლოგია" ეწოდება.

ტერმინი (სიტყვა) „სოციოლოგია" მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან „სოციეტას" და ბერძნული სიტყვისგან „ლოგოს", რაც ერთად „საზოგადოების შესახებ მოძღვრებას" ანუ მოკლედ, „საზოგადოებათმცოდნეობას", „საზოგადოებათმეტყველებას" ნიშნავს.

ასე რომ, ტერმინი (სიტყვა) „სოციოლოგია" ძირითადად მაინც ზუსტად აღნიშნავს სოციოლოგიის ცნებას, კერძოდ კი იმას, რომ სოციოლოგია მეცნიერებაა საზოგადოების შესახებ.

მაგრამ აქ ერთი განმარტება მაინც საჭიროა: სოციოლოგია საზოგადოების შემსწავლელი ერთადერთი მეცნიერება როდია. საზოგადოებას მრავალი სხვა მეცნიერებაც შეისწავლის. ამის გამო აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ საზოგადოების შესახებ მეცნიერებათა ორი რიგი: ერთია საზოგადოების შესახებ ზოგადი მოძღვრება და მეორე - მისივე შესახებ კერძო მოძღვრებანი.

სოციოლოგია საზოგადოების შესახებ ზოგადი მეცნიერებაა, სხვა მეცნიერებანი, საზოგადოების შემსწავლელნი – საზოგადოების შესახებ კერძო მეცნიერებანი. სხვანაირად, სოციოლოგიის საგანია საზოგადოების ზოგადი კანონები, საზოგადოების შესახებ სხვა არასოციოლოგიურ მეცნიერებათა საგანი კი – საზოგადოების ამა თუ იმ სფეროს კერძო კანონები.

საზოგადოების ზოგადი კანონები ეს საზოგადოების [ყველა სფეროსათვის] საერთო, საყოველთაო კანონებია, რომელთაც ერთნაირად აქვთ ძალა საზოგადოების ნებისმიერ კუთხე-კუნჭულში. ეს კანონები საზოგადოების ყველა მხარისთვის მსგავსი კანონებია,

მაშინ როდესაც საზოგადოების კერძო კანონები მისი სხვადასხვა სფეროსთვის განსხვავებული

ამგვარად, სოციოლოგია საზოგადოების ზოგადი კანონების შესახებ მეცნიერებაა.

ასეთია სოციოლოგიის ცნების განსაზღვრება.

მაგრამ სოციოლოგიის შესასწავლი კანონები, თავის მხრივ, სამ რიგად შეიძლება დავყოთ: ზოგად, განსაკუთრებულ და კერძო კანონებად. ამისდა მიხედვით, სოციოლოგიაც სამ სახედ შეიძლება დავყოთ: ზოგად, განსაკუთრებულ და კერძო სოციოლოგიად.

ზოგადი სოციოლოგია ეს სოციოლოგიაა საერთოდ, ხოლო კერძო სოციოლოგია – ე.წ. „კონკრეტული სოციოლოგია", სხვანაირად რომ ვთქვათ. რაც შეეხება განსაკუთრებულ სოციოლოგიას, იგი კერძოა საერთოდ სოციოლოგიის (ანუ ზოგადი სოციოლოგიის) მიმართ, მაგრამ ზოგადი – კერძო სოციოლოგიის (უფრო სწორად, კერძო სოციოლოგიათა) მიმართ, ე.ი. საშუალოა ზოგადსა და კერძო სოციოლოგიას შორის.

სოციოლოგია ფილოსოფიური მეცნიერებაა, ფილოსოფიის დარგია სწორედ იმიტომ, რომ იგი საზოგადოების შესახებ ზოგადი მეცნიერებაა. ფილოსოფია ხომ ზოგადცმოდნეობაა. მართალია, ფილოსოფია საერთოდაც ეხება საზოგადოებას, მაგრამ რა თქმა უნდა, ზოგადად, ხოლო სოციოლოგია როგორც უკვე კერძო ფილოსოფიური მეცნიერება, სპეციალურად, საგანგებოდ ეხება მას.

სოციოლოგია ამდენად საგანგებოდ შეისწავლის საზოგადოების ზოგადსპეციფიკურ (ზოგადთავისებურ) კანონებს ანუ მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ზოგად კანონებს.

სოციოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში. მის ფუძემდებლებად ასახელებენ ხოლმე ოგიუსტ კონტს (1798-1857), ჰარიეტ მარტინოს (1802-1876), კარლ მარქსს (1818-1883), ემილ დიურკჰაიმს (1858-1917), მაქს ვებერს (1864-1920)(10).

თავად ტერმინი „სოციოლოგია" ოგიუსტ კონტს ეკუთვნის. ამიტომაც სოციოლოგიის ფუძემდებლად ზოგჯერ მას მარტოსაც ასახელებენ.

მართალია, სოციოლოგია როგორც დამოუკიდებელი, განცალკევებული მეცნიერება XIX საუკუნის წარმონაქმნია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი მანამდე არ არსებობდა. და, მართლაც, სოციოლოგია, ანუ მოძღვრება, საზოგადოების ზოგადსპეციფიკურ მხარეზე, რა თქმა უნდა, ფილოსოფიის შიგნით მანამდეც ძალიან დიდი ხნის წინათაც არსებობდა, ოღონდ მასში შერწყმულად.

ასე რომ, სოციოლოგია როგორც საერთოდ საზოგადოების შემსწავლელი საგანგებო მეცნიერება „ცარიელ ნიადაგზე", „ერთი ხელის დარტყმით", ერთბაშად კი არ ჩამოყალიბებულა, არამედ მას წინ უძღოდა დიდი ხნის მოსამზადებელი მუშაობა მის შესაქმნელად. და ამაში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ქვეყნის უამრავ და გამოჩენილ ფილოსოფოსს ანტიკური ხანიდან დაწყებული ახალი დროით დამთავრებული.

სოციოლოგია როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება ამჟამად უამრავი კერძო დარგისაგან შედგება, იმისდა მიხედვით, თუ საზოგადოების რომელ ნაწილს შეისწავლის მისი ესა თუ ის დარგი.

სოციოლოგიის კერძო დარგები, სხვანაირად, სოციოლოგიის კონკრეტულ დარგებად იწოდებიან, იმიტომ, რომ ისინი, მართლაც, საზოგადოების ამა თუ იმ კონკრეტულ დარგებს წარმოადგენენ, განსხვავებით ზოგადი სოციოლოგიისაგან, რომელიც, პირველთაგან განსხვავებით, თუ ასე შეიძლება ითქვას, აბსტრაქტული სოციოლოგიაა, ვინაიდან იგი, მართლაც, საზოგადოებას განყენებულად (აბსტრაქტულად) შეისწავლის.

სოციოლოგიის კერძო კონკრეტულ დარგთა შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია, გამომდინარე იქიდან, რომ ასეთივე მჭიდრო კავშირია თავად საზოგადოების შიგნით მის ნაწილთა შორისაც. საზოგადოება ხომ ეს მთელი სისტემაა ანუ მოწესრიგებული კავშირია მისი კონკრეტული სფეროებისა.

მსგავსადვე ამისა, მჭიდრო კავშირია აგრეთვე სოციოლოგიის ზოგადსა და კერძო ნაწილებს, აბსტრაქტულსა და კონკრეტულ ნაწილებს შორისაც.

და, მართლაც, ზოგადი სოციოლოგია გულისხმობს კერძო სოციოლოგიებს, ისევე როგორც კერძო სოციოლოგიები – ზოგად

სოციოლოგიას. ზოგადი და ერთეული ხომ არ არსებობენ ერთმანეთის გარეშე.

აქედან გამომდინარე, სოციოლოგიის ერთი დარგი ავსებს მეორეს, ეხმარება მას.

ზოგადი სოციოლოგია ეფუძნება კონკრეტული სოციოლოგიის მიღწევებს, ხოლო კონკრეტული სოციოლოგიები – ზოგადი სოციოლოგიის საფუძვლებს. ზოგადად რომ ვთქვათ, სოციოლოგიის ყველა ნაწილი, ყველა მისი დარგი – ზოგადი იქნება ეს თუ კერძო – ემსახურება ერთ მთლიანს – სოციოლოგიას საერთოდ.

კერძო ანუ კონკრეტულ-სოციოლოგიური დარგებია: შრომის, პიროვნების, მეცნიერების, ოჯახის, ქალაქის, სოფლის, არმიის, ორგანიზაციის და ა.შ.

სოციოლოგიაში გამოიყოფა ორი მნიშვნელოვანი მხარე, რომლის მიხედვითაც მას ანაწილებენ ე.წ. თეორიულ და გამოყენებით სოციოლოგიებად. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი დანაყოფებია სოციოლოგიისა. ეს ორი რამ, სხვანაირად, ორი სხვადასხვა „დონეა" სოციოლოგიისა. ორივე მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

გამოყენებითი სოციოლოგია, რომელიც ამჟამად დიდ გასავალშია, შეუძლებელია თეორიული სოციოლოგიის გარეშე, ვინაიდან გამოყენებითი სოციოლოგია სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ამ თეორიული სოციოლოგიის მიღწევათა გამოყენება, მოხმარება სოციოლოგიურ კვლევაში. ე.წ. კონკრეტულ-სოციოლოგიური თუ ემპირიული სოციოლოგიური კვლევა კი ძალიან აქტუალურია დღეს. და, მართლაც, არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის არცერთი სფერო, ამგვარი კვლევების საგანი რომ არ იყოს, ვინაიდან გამოყენებითი სოციოლოგიის გარეშე დღეს წარმოუდგენელიც კია საზოგადოებრივი ცხოვრების ეფექტური (შედეგიანი) მართვა. დიდია ამაში ემპირიულ-სოციოლოგიური თუ კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის როლი.

სოციოლოგიას მეტ-ნაკლები კავშირი აქვს მთელ რიგ მეცნიერებებთან. განსაკუთრებით აქ აღსანიშნავია სხვა საზოგადოებრივი ანუ სოციალური მეცნიერებანი, ვინაიდან ეს მეცნიერებანი, მსგავსად სოციოლოგიისა, საზოგადოებას, სოციუმს

შეისწავლიან. თავად სოციოლოგიაც სოციალური მეცნიერებაა, ვინაიდან იგიც სწორედ საზოგადოებას შეისწავლის.

მაგრამ სულ სხვაა სოციოლოგია, რომელიც საზოგადოებას შეისწავლის და სულ სხვა სხვა სოციალური მეცნიერებანი, ასე, მაგალითად, ეთიკა, ისტორია, ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა თუ მრავალი სხვა რამ, რომლებიც აგრეთვე საზოგადოებას შეისწავლიან, ვინაიდან სოციოლოგია საზოგადოების ზოგად მხარეს შეისწავლის, ხოლო დანარჩენი სოციალური მეცნიერებანი – მის ამა თუ იმ კერძო მხარეებს.

და მაინც, მიუხედავად ამ განსხვავებისა, სოციოლოგიას არ შეიძლება არ ქონდეს მჭიდრო კავშირი ყველა სხვა სოციალურ მეცნიერებასთან, ვინაიდან საზოგადოება, რომელსაც სოციოლოგიაც **და ყველა სხვა სოციალური მეცნიერებანიც შეისწავლიან, ერთი** მთლიანი მოვლენაა და მის შესახებ ცოდნის ყველა დარგიც, ზოგადი იქნება ეს, თუ კერძო, საზოგადოების შესახებ ერთი მთლიანი ცოდნის სხვადასხვა დარგი უნდა იყოს. აქ იმავე ზოგადისა და ერთეულის ცნობილი დამოკიდებულება გვაქვს, მსგავსად იმისა, რაც თვით სოციოლოგიის შიგნით გვქონდა მისი დონეებად დაყოფის შემთხვევაში.

და, მართლაც, სოციოლოგია ყველა სხვა სოციალური მეცნიერებისათვის ზოგადი მეცნიერული საფუძველია და ვერცერთი მათგანი ვერ გაექცევა მას, ისევე როგორც სხვა, კერძო სოციალური მეცნიერებანიც ასევე აუცილებელია სოციოლოგიისათვის როგორც კონკრეტულ-სოციალური მასალა. ორივე – სოციოლოგიურ და არასოციოლოგიურ-სოციალური მეცნიერებანი ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთს ეხმარებიან საზოგადოების შესახებ სრული ცოდნის შემუშავებაში.

სწორედ აქედან გამომდინარეობს სოციოლოგიის დიდი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობაც, რომელიც მას აქვს ადამიანისა და საერთოდ საზოგადოების ცხოვრებაში, კერძოდ კი, სოციოლოგია გვაძლევს საზოგადოების შესახებ ზოგად ცოდნას, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი მხარის ჩვენდა სასარგებლოდ შემეცნებისა თუ გარდაქმნისათვის.

სოციოლოგია როგორც მეცნიერება განსხვავდება სხვა მეცნიერებათაგან თავისი საგნით და ეს საგანია, სახელდობრ, საზოგადოების ზოგადი კანონები, საზოგადოება ზოგადი კუთხით, საზოგადოება ზოგადად.

მაგრამ სოციოლოგია, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერება, განსხვავდება სხვა მეცნიერებათაგან არა მხოლოდ თავისი საგნით, არამედ თავისი მეთოდითაც. ამ მხრივ კი უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საგანი საერთოდ მოითხოვს შესაბამის მეთოდს, ხოლო მეთოდი, თავის მხრივ, - შესაბამის საგანს.

ასე რომ, სოციოლოგია, ისევე როგორც ნებისმიერი მეცნიერება აუცილებლობით გულისხმობს საგნისა და მეთოდის ერთიანობას. და, მართლაც, გარკვეული საგანი მოითხოვს გარკვეულ მეთოდს, ხოლო გარკვეული მეთოდი – გარკვეულ საგანს. ყოველგვარ საგანს თავთავისი მეთოდებით თუ მივუდგებით.

სიტყვა „მეთოდი'' მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „მეთოდოს'' და სიტყვასიტყვით „გზას რაიმესაკენ" ნიშნავს. აქედან გამომდინარე კი იგი საერთოდ მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს. უფრო ზუსტად, მეთოდი არის რაიმესადმი მიდგომის წესი. რაიმესადმი მიდგომის წესი კი გულისხმობს რაიმესადმი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მიდგომის წესს.

ამგვარად, მეთოდიც შეიძლება ორგვარი იყოს: თეორიული და პრაქტიკული. სოციოლოგიას როგორც მეცნიერებას გააჩნია ორივე მათგანი, პირველი თეორიულ დონეზე, მეორე – პრაქტიკულ დონეზე, შესაბამისად სოციოლოგიის ორი დონისა – თეორიული და პრაქტიკული სოციოლოგიისა.

სოციოლოგია როგორც მეცნიერება მოიხმარს ორი რიგის მეთოდებს; ერთია ზოგადფილოსოფიური მეთოდები, მეორე – საკუთრივ სოციოლოგიური მეთოდები. ამასთან ფილოსოფიური მეთოდებიც ორი რიგისაა – უზოგადესი და ნაკლებად ზოგადი, ხოლო საკუთრივ სოციოლოგიური მეთოდები – სამი რიგისა: ზოგადსოციოლოგიური, განსაკუთრებულ-სოციოლოგიური და კერძოსოციოლოგიური მეთოდები.

აქ, როგორც ვხედავთ, ეს მეთოდები დალაგებულია პრინციპით ზოგადიდან ერთეულისაკენ.

უზოგადესი ფილოსოფიური მეთოდებია ე.წ. „დიალექტიკური" და „მეტაფიზიკური" მეთოდები, ხოლო ნაკლებად ზოგადი ფილოსოფიური მეთოდები – ანალიზი, ინდუქცია, დედუქცია, ცდა, დაკვირვება, ექსპერიმენტი, მოდელირება, ანალოგია, შედარება, აბსტრაქცია, ჰიპოთეზა.

ყველა ეს მეთოდი, რა თქმა უნდა, გამოიყენება სოციოლოგიაში, ისევე როგორც ნებისმიერ ან ზოგიერთ მეცნიერებაში.

მაგრამ სოციოლოგია განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, გამოიყენებს თავის მუშაობაში საკუთრივ სოციოლოგიურ მეთოდებს. მათ, სხვაგვარად, სოციოლოგიური კვლევის სპეციფიკური (მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი) მეთოდები ეწოდება. ასეთი მეთოდებია კერძოდ: შერჩევითი გამოკვლევის მეთოდი, საველე კვლევის მეთოდი, გამოკითხვის მეთოდი, დოკუმენტების ანალიზის მეთოდი, სოციომეტრიული მეთოდი.

შერჩევითი გამოკვლევის მეთოდი გულისხმობს სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვებას საგანგებოდ (სპეციალურად) შერჩეული სოციალური ობიექტის (საგნის) შესწავლის გზით, საველე კვლევის მეთოდი – ამ ობიექტის (საგნის) უშუალო დაკვირვების გზით, გამოკითხვის მეთოდი – კითხვა-პასუხის გზით, დოკუმენტების ანალიზის მეთოდი – დოკუმენტების უშუალო შესწავლის გზით.

ეს მეთოდები გამოიყენება ე.წ. კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევისას გამოყენებითი სოციოლოგიის მიერ. ამ მეთოდების როგორც გარკვეული ხერხების მეშვეობით სოციოლოგია მოიპოვებს ისეთ ემპირიულ (გრძნობად) მასალას, რომლის საფუძველზედაც უკვე მას შეუძლია გააკეთოს თეორიული (ხედვითი) განზოგადებანი და ამით კი შემდგომ მოგვცეს გარკვეული პრაქტიკული (საქმითი) დასკვნებიც. ასე რომ, ამ და საერთოდ სოციოლოგიის მიერ გამოყენებულ ყელა მეთოდს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციოლოგიის მეცნიერებაში, ვინაიდან მათ გარეშე იგი უბრალოდ

ვერც კი იარსებებდა, არათუ ღირსეულად აღასრულებდა თავის დანიშნულებას.

და, მართლაც, სოციოლოგიის მეთოდების გარეშე სოციოლოგიის საგნის შესწავლა და არა მარტო შესწავლა, არამედ გარდაქმნაც ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. ხოლო საზოგადოების გარდაქმნა სოციოლოგიის უფრო ნაკლებადმნიშვნელოვანი ამოცანა როდია, ვიდრე მისი შესწავლა, ვინაიდან საზოგადოების შესწავლა სწორედ იმისთვის ხდება, რომ იგი გარდავქმნათ, გარდავქმნათ, რა თქმა უნდა, ადამიანთა, საზოგადოების ინტერესებისდა შესაბამისად.

და, აი, აქ, ამასთან დაკავშირებით იკვეთება სოციოლოგიის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული, როგორც ხედვითი, ისე საქმითი დანიშნულების (ფუნქციის) საკითხი. სხვაგვარად, თუ არა მისი გამოყენებითობისა, სოციოლოგიას, როგორც ყოველ მეცნიერებას, ხომ, მართლაც, აზრი დაეკარგებოდა. სოციოლოგიას ხომ რაღაც სარგებლობა უნდა მოქონდეს ადამიანისათვის. სხვაგვარად იგი ზედმეტი აღმოჩნდებოდა.

მაგრამ სოციოლოგიას სინამდვილეში, მართლაც, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. ეს როლი კი იმაში გამოიხატება, რომ სოციოლოგია გვაძლევს ადამიანებს, მთელს საზოგადოებას ამ ჩვენთვის ყველაზე საინტერესო სფეროს შესწავლისა და გარდაქმნის ზოგად მეცნიერულ ცოდნას.

სოციოლოგიას, ისევე როგორც ნებისმიერ მეცნიერებას, თავისი ფუნქცია თუ ფუნქციები გააჩნია, ფუნქცია ზოგადად, საერთოდ და ფუნქციები კერძოდ.

სოციოლოგიის ფუნქცია, როგორც საერთოდ მეცნიერების ფუნქცია, თავის მხრივ, გულისხმობს მის დანიშნულებას, იმას, თუ რა როლს (საქმეს) ასრულებს იგი თავის საქმიანობაში.

ასეთია, კერძოდ, სოციოლოგიისა და საერთოდ მეცნიერების "ფუნქციის" ცნების განსაზღვრება.

სოციოლოგიას გააჩნია ერთი საერთო, ზოგადი ფუნქცია, მაგრამ გააჩნია ასევე უამრავი კერძო ფუნქციაც. აქ ჩვენ გვაქვს ე.წ. ზოგადისა და კერძოს ცნობილი კატეგორიების (უზოგადესი ცნებების) ცალკეული შემთხვევა.

სოციოლოგიის ფუნქციები ზოგადიცა და კერძონიც სხვადასხვა ასპექტით (განასერით) სხვადასხვაა. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პრინციპით (საფუძველზე) დავყოფთ მათ.

ასე, მაგალითად, შეიძლება გამოვყოთ სოციოლოგიის უშუალო და საბოლოო ფუნქციები, როგორც ზოგადი, ისე კერძო ასპექტებითაც., ასევე თეორიული და პრაქტიკული ფუნქციები, აგრეთვე ზოგადი და კერძო ასპექტებით, და სხვა უამრავი კიდევ ფუნქცია სულ სხვა პრინციპებით (საფუძვლებზე), ორივე ზოგადი და კერძო ასპექტებით. ამასთან ჩვენ აქ უფრო გვაინტერესებს სწორედ აღნიშნული ორი ასპექტით სოციოლოგიის ფუნქციები, ხოლო მათ შორის კი განსაკუთრებით მეორე სწორედ თეორიული და პრაქტიკული ფუნქციები სოციოლოგიისა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ერთმანეთისაგან მკაფიოდ უნდა განვასხვავოთ ზოგადი სოციოლოგიისა და კერძო სოციოლოგიათა როგორც უშუალო და საბოლოო, ისე მათივე თეორიული და პრაქტიკული ფუნქციებიც. ჩვენ კი ამ შემთხვევაში უფრო გვაინტერესებს სახელდობრ ზოგადი სოციოლოგიის აღნიშნული ფუნქციები.

ზოგადი სოციოლოგიის ფუნქცია საერთოდ იგივე სოციოლოგიის ფუნქციაა ზოგადად. ასე რომ, ეს ორი რამ აქ ერთი და იგივეა.

სოციოლოგიის უშუალო ფუნქცია (დანიშნულება) ზოგადად ესაა საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო ანუ ზოგადი კანონების შესწავლა, ხოლო საბოლოო ფუნქცია (დანიშნულება) - აღნიშნული ცოდნის მხრივ ღმერთთან საზოგადოების მიყვანა.

რაც შეეხება სოციოლოგიის თეორიულსა და პრაქტიკულ ფუნქციებს, პირველი საერთოდ გულისხმობს სოციოლოგიის დანიშნულებას საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგად კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის შემუშავებაში, ხოლო მეორე კი - ამ ცოდნის ცხოვრებაში გატარების უნარის შემუშავებაში.

ასე რომ, სოციოლოგიას, ისევე როგორც ნებისმიერ მეცნიერებას საერთოდ, არა მარტო თეორიული დანიშნულება გააჩნია, არამედ

პრაქტიკული დანიშნულებაც, მითუმეტეს, სოციოლოგიას, რომელიც საზოგადოების შესახებ ზოგადი მეცნიერებაა და ამიტომაც განსაკუთრებით პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. აბა, საზოგადოების შესახებ ამგვარ მეცნიერებას სხვაგვარად რაღა აზრი ექნებოდა?

და, მართლაც, თუ სოციოლოგია როგორც საერთოდ საზოგადოების შესახებ მეცნიერება ამ საზოგადოების შესახებ რაიმეს პრაქტიკულს არ მოგვცემს, მაშინ მისგან რაღა სარგებლობა იქნება? ყოველი მეცნიერების მიზანიც ხომ ისაა, მისცეს საზოგადოებას ამა თუ იმ სფეროს შესახებ პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა.

ასე რომ, სოციოლოგიის ამოცანა, მოგვცეს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი კანონების შესახებ ცოდნა, როდი შემოიფარგლება მისი თეორიული დონით, არამედ, უფრო მეტიც, სრულდება მისივე პრაქტიკული დონით. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციოლოგია სრულად ვერც კი შეასრულებდა თავის დანიშნულებას, თავის ფუნქციას. ხოლო სოციოლოგიასაც, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებას, გააჩნია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ფუნქცია. ეს ორი ფუნქცია, თუ ასე შეიძლება ითქვას, "დიალექტიკურ" კავშირშია ერთმანეთთან. ერთი გულისხმობს მეორეს, მეორე პირველს.

სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია უკვე მოითხოვს მის დამატებას, - პრაქტიკულ ფუნქციას ისე, რომ თეორიული ფუნქცია ერთგვარი წინაფუნქციაა მხოლოდ მისი, მაშინ როდესაც პრაქტიკული ფუნქცია ლოგიკური დასრულება მისი. თეორია ხომ პრაქტიკას ემსახურება, მასზეა დამოკიდებული, მისითაა განსაზღვრული. და სწორედ ამაშიაც ჩანს სოციოლოგიის პრაქტიკული ფუნქციის პრიმატი (უპირატესობა) მის თეორიულ ფუნქციასთან შედარებით.

იგივე ითქმის, პირიქითაც, სოციოლოგიის თეორიული და პრაქტიკული ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულების ამბავში: სოციოლოგიის პრაქტიკული მხარე მოითხოვს სოციოლოგიის თეორიული მხარის ფუნქციონირებას, მოქმედებას, მის სამსახურს პრაქტიკის ამოცანების თანახმად. ასე რომ, ამ მხრივაც, სოციოლოგიის

სწორედ პრაქტიკული ამოცანები განსაზღვრავს მის თეორიულ ამოცანებს.

სოციოლოგიის პრაქტიკული დანიშნულება, მისი პრაქტიკული ფუნქცია, სხვანაირად, გამოითქმება მისი როგორც გამოყენებითი ფუნქცია.

ის რომ, სოციოლოგიას უნდა დაკისრებოდა გამოყენებითი ფუნქცია, თითქმის იმთავითვე შენიშნული იყო სოციოლოგიის ისტორიაში; ის, რომ სოციოლოგია უნდა გამხდარიყო გამოთვლითი მეცნიერება, რომელიც ჩადგებოდა საზოგადოების სამსახურში ამა თუ იმ კონკრეტულ-სოციალური პრობლემის გადაჭრისას, ეს, მართლაც, დიდი ხანია რაც ყურადღების ცენტრშია სოციოლოგთა შორის.

და, მართლაც, სოციოლოგიას დღიდან დაარსებისა გააჩნია მრავალი ფუნქცია, მაგრამ მათ შორის მაინც გამოირჩევა მისი სწორედ გამოყენებითი ფუნქცია, ვინაიდან რა არის ბოლოს და ბოლოს სოციოლოგიის მიზანი, თუ არა სწორედ მისი პრაქტიკული შედეგები ჩვენთვის? სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია სოციოლოგიის მთავარი ფუნქცია ხომ არ არის. ეს ფუნქცია სინამდვილეში ემსახურება მის სწორედ პრაქტიკულ ფუნქციას. ბოლოს და ბოლოს თეორია ხომ პრაქტიკისთვისაა და არა, პირიქით. პრიმატი აქ სწორედ პრაქტიკულ მხარეს განეკუთვნება.

სოციოლოგიის ორ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ფუნქციათა შორის დამოკიდებულება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. მათ შორის მჭიდრო კავშირი უნდა იყოს. და თუ ეს ასე არაა, როგორც იტყვიან, მით უარესი ფაქტისათვის.

სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია გულისხმობს მის ხედვით დანიშნულებას, სოციოლოგიის პრაქტიკული ფუნქცია კი - მის საქმით დანიშნულებას.

უდავოა, რომ სოციოლოგია ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეასრულებს თავის პრაქტიკულ ფუნქციას მისი თეორიული ფუნქციის გარეშე, ვინაიდან პრაქტიკა ხომ სხვა არაფერია, თუ არა განხორციელებული, რეალიზებული, განამდვილებული, ხორცშესხმული თეორია. პრაქტიკული სოციოლოგიაც იგივე თეორიული სოციოლოგიაა, ოღონდ მიყენებული პრაქტიკულ

სფეროს. თეორიული ბაზის გარეშე პრაქტიკული სოციოლოგია ვერც იარსებებდა.

ასე რომ, პრაქტიკა თეორიის გარეშე წარმოუდგენელია. ამ მხრივ სწორია ხოლმე, როცა იტყვიან, ყველაზე კარგი პრაქტიკა სწორედ თეორიაა.

მაგრამ ამ გამოთქმაშიც ხომ ისევ პრაქტიკის პრიმატია აღნიშნული თეორიის მიმართ და არა, პირიქით. ასე რომ, ეს პრიმატი ნებისმიერი კუთხით მაინც სოციოლოგიის პრაქტიკული მხარის სასარგებლოდ წყდება. ამას ისიც ადასტურებს, რომ თავად სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია მოითხოვს უკვე ლოგიკურად დასრულებას იმით, რომ იგი გადაიზარდოს მის სწორედ პრაქტიკულ ფუნქციაში და არ შეჩერდეს მხოლოდ საკუთარ თავზე.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქ სოციოლოგიის თეორიულსა და პრაქტიკულ ფუნქციას შორის უპირატესობას პრაქტიკულ ფუნქციას ვანიჭებთ, სრულიადაც როდი გამომდინარეობს, თითქოსდა ამ ორ მხარეს შორის უფრო მაღალ დონედ ამ უკანასკნელს ვთვლიდეთ. სინამდვილეში კი საქმე სრულიად პირიქითაა: სოციოლოგიის თეორიული დონე მის პრაქტიკულ დონეზე უფრო მაღლა დგას, ამიტომაც ამ მხრივ სოციოლოგიის თეორიული ფუნქციაც მის პრაქტიკულ ფუნქციაზე მაღლა იდგება. განა თეორია საერთოდ პრაქტიკაზე უფრო მაღლა არა დგას? განა სულიერი ხორციელზე, იდეალური რეალურზე მაღალი სფერო არაა? ამ მხრივ, მაშასადამე, სოციოლოგიის თეორიული დონე უცილობლად აღემატება მის პრაქტიკულ დონესაც,

მაგრამ სულ სხვაა მაინც, როცა ამ ორ ფუნქციას ადამიანთა რეალური, ამქვეყნიური საჭიროების კუთხით ვიხილავთ. ამ დროს, ბუნებრივია, წინ წამოიწევს სოციოლოგიის სწორედ პრაქტიკული და არა თეორიული ფუნქცია. ყველაფერი, მაშასადამე, იმაზეა დამოკიდებული თუ რა კუთხით შევხედავთ საგანს.

ასე რომ, სოციოლოგიის პრაქტიკულ-გამოყენებით ფუნქციაზე (დანიშნულებაზე) დიდი ხანია მიდის მსჯელობა. სოციოლოგიის ისტორიაში ამასთან დაკავშირებით წამოყენებულია უამრავი იდეა. კერძოდ, ფ. გიდინქსს ეკუთვნის სოციოლოგიის როგორც

გამოთვლითი მეცნიერების იდეა, ე. ბერჯესს „სოციალური კარტოგრაფირების'' იდეა, ლ. ვირტს - „კლინიკური სოციოლოგიის'' იდეა. სოციოლოგიის გამოყენებითი დანიშნულების გათვალისწინებითაა სოციოლოგიაში შემუშავებული ე.წ. „სოციალური ინჟინერიისა'' თუ „სოციალური ტექნოლოგიზაციის'' იდეები (განსაკუთრებით კ. პოპერთან). ასე რომ, ამ მხრივ დიდი ყურადღება ექცევა სოციოლოგიის გამოყენებით მხარეს.

მაგრამ აქ შეიძლება მოხდეს გაუგებრობა იმასთან დაკავშირებით, რომ კერძოდ მოხდეს სოციოლოგიის ამ პრაქტიკული, ემპირიული, გამოყენებითი მხარის აბსოლუტიზაცია, მისი როლის გაზვიადება სოციოლოგიის თეორიულ ფუნქციასთან მიმართებით. და, მართლაც, შესაძლოა მოხდეს სოციოლოგიის ამა თუ იმ მხარის, ამა თუ იმ ფუნქციის უკანონო განდიდება ან დამცრობა, რათა ამით დაირღვეს მათ შორის ნორმალური თანაფარდობა, წონასწორობა. და საერთოდაც, არსებობს ამის ორმაგი საშიშროება, რის გამოც საჭიროა თეორიული და პრაქტიკული, წმინდა და გამოყენებითი სოციოლოგიის ამ ორ უკიდურესობათა სცილასა და ქარიბდას შორის ფრთხილად გავლა.

ამრიგად, სოციოლოგიის არც ზედმეტი „თეორეტიზირება'' ვარგა და არც ზედმეტი „პრაქტიზირება'', არამედ საჭიროა მათი სწორი შეხამება, რათა არ დაირღვეს სოციოლოგიის წონასწორობა, რაც ზიანს მიაყენებდა, თავის მხრივ, უკვე თავად სოციოლოგიას, ხოლო, აქედან გამომდინარე კი, - უკვე ჩვენს მისგან დასკვნებს.

თავი 2

სოციოლოგია როგორც გამოყენებითი მეცნიერება

სოციოლოგიას, ისევე როგორც ნებისმიერ მეცნიერებას, თავისი ფუნქცია თუ ფუნქციები გააჩნია, ფუნქცია საერთოდ და ფუნქციები კერძოდ.

სოციოლოგიის ფუნქცია, როგორც საერთოდ მეცნიერების ფუნქცია, თავის მხრივ, გულისხმობს მის დანიშნულებას, იმას, თუ რა როლს ასრულებს იგი თავის საქმიანობაში.

ასეთია კერძოდ სოციოლოგიისა და საერთოდ მეცნიერების „ფუნქციის" ცნების განსაზღვრება.

სოციოლოგიას გააჩნია ერთი საერთო ზოგადი ფუნქცია, მაგრამ გააჩნია ასევე უამრავი კერძო ფუნქციაც.

აქ ჩვენ გვაქვს ე.წ. ზოგადისა და კერძოს ცნობილი კატეგორიების ანუ უზოგადესი ცნებების კერძო შემთხვევა.

სოციოლოგიის ფუნქციები - ზოგადიცა და კერძონიც - სხვადასხვა ასპექტით სხვადასხვაა. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საფუძველზე გამოვყოფთ მათ.

ასე, მაგალითად, შეიძლება გამოვყოთ სოციოლოგიის უშუალო და საბოლოო ფუნქციები, როგორც ზოგადი, ისე კერძო ასპექტებითაც, ასევე თეორიული და პრაქტიკული ფუნქციები, აგრეთვე ზოგადი და კერძო ასპექტებითაც, და სხვა უამრავი კიდევ ფუნქცია სულ სხვა პრინციპებით, ორივე - ზოგადი და კერძო ასპექტებით. ამასთან ჩვენ უფრო გვაინტერესებს სწორედ აღნიშნული ორი ასპექტით სოციოლოგიიის ფუნქციები, ხოლო მათ შორის კი - განსაკუთრებით მეორე - ზოგადი, თეორიული და პრაქტიკული ფუნქციები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მკაფიოდ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ზოგადი სოციოლოგიისა და კერძო სოციოლოგიათა როგორც უშუალო და საბოლოო, ისე მათივე როგორც თეორიული, ისე

პრაქტიკული ფუნქციებიც. ჩვენ კი ამ შემთხვევაში უფრო გვაინტერესებს ზოგადი სოციოლოგიის აღნიშნული ფუნქციები.

ზოგადი სოციოლოგიის ფუნქცია საერთოდ ეგ იგივე სოციოლოგიის ფუნქციაა ზოგადად. ასე რომ, ეს ორი რამ აქ ერთი და იგივეა.

სოციოლოგიის უშუალო ფუნქცია ანუ დანიშნულება ზოგადად ესაა სოციალური ცხოვრების საერთო ანუ ზოგადი კანონების შესწავლა, ხოლო საბოლოო ფუნქცია ანუ დანიშნულება - აღნიშნული ცოდნის კუთხით ღმერთთან კაცობრიობის მიყვანა.

რაც შეეხება სოციოლოგიის თეორიულსა და პრაქტიკულ ფუნქციებს, პირველი საერთოდ გულისხმობს სოციოლოგიის დანიშნულებას საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგად კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის შემუშავებაში, ხოლო მეორე კი - ამ ცოდნის ცხოვრებაში გატარების უნარის შემუშავებაში.

ასე რომ, სოციოლოგიას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებას, არა მარტო თეორიული დანიშნულება გააჩნია, არამედ პრაქტიკული დანიშნულებაც. მითუმეტეს, სოციოლოგიას, რომელიც არის საზოგადოების შესახებ ზოგადი მეცნიერება და ამიტომაც განსაკუთრებით პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. საზოგადოების შესახებ ამგვარ მეცნიერებას სხვაგვარად, აბა, რაღა აზრი ექნებოდა?

და, მართლაც, თუ სოციოლოგია როგორც საერთოდ საზოგადოების შესახებ მეცნიერება ამ საზოგადოების შესახებ რაიმეს პრაქტიკულს არ მოგვცემს, მაშინ რაღა სარგებლობა იქნება მისგან? ყოველი მეცნიერების მიზანი ხომ ისაა, მისცეს საზოგადოებას ამა თუ იმ სფეროს შესახებ პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა.

ასე რომ, სოციოლოგიის ამოცანა, მოგვცეს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგადი კანონების შესახებ ცოდნა, როდი შემოიფარგლება მისი თეორიული დონით, არამედ, უფრო მეტიც, სრულდება მისივე პრაქტიკული დონით. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციოლოგია სრულად ვერ შეასრულებდა თავის დანიშნულებას, თავის ფუნქციას, ხოლო სოციოლოგიასაც, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებას,

გააჩნია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ფუნქცია. ეს ორი ფუნქცია, თუ ასე შეიძლება ითქვას, „დიალექტიკურ“ კავშირშია ერთმანეთთან. ერთი გულისხმობს მეორეს, მეორე - პირველს.

სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია უკვე მოითხოვს მის დამატებას, - პრაქტიკულ ფუნქციას, ისე რომ თეორიული ფუნქცია ერთგვარი მხოლოდ წინაფუნქციაა მისი, მაშინ როდესაც პრაქტიკული ფუნქცია ლოგიკური დასრულება მისი. თეორია ხომ პრაქტიკას ემსახურება, მასზეა დამოკიდებული, მისითაა განსაზღვრული. და სწორედ ამაშიაც ჩანს სოციოლოგიის პრაქტიკული ფუნქციის პრიმატი, ანუ უპირატესობა მის თეორიულ ფუნქციასთან შედარებით.

იგივე ითქმის პირიქითაც სოციოლოგიის თეორიული და პრაქტიკული ფუნქციების ურთიერთდამოკიდებულების ამბავშიც: სოციოლოგიის პრაქტიკული მხარე მოითხოვს სოციოლოგიის თეორიული მხარის ფუნქციონირებას, მოქმედებას, მის სამსახურს პრაქტიკის ამოცანების თანახმად. ასე რომ, ამ მხრივაც, სოციოლოგიის სწორედ პრაქტიკული ამოცანები განსაზღვრავს მის თეორიულ ამოცანებს.

სოციოლოგიის პრაქტიკული დანიშნულება, მისი პრაქტიკული ფუნქცია სხვანაირად გამოითქმება მისი როგორც გამოყენებითი ფუნქცია.

ის, რომ სოციოლოგიას უნდა დაკისრებოდა გამოყენებითი ფუნქცია, თითქმის იმთავითვე შენიშნული იყო სოციოლოგიის ისტორიაში; ის, რომ სოციოლოგია უნდა გამხდარიყო გამოთვლითი მეცნიერება, რომელიც ჩადგებოდა საზოგადოების სამსახურში ამა თუ იმ კონკრეტულ-სოციალური პრობლემის გადაჭრისას, ეს, მართლაც, დიდი ხანია რაც ყურადღების ცენტრშია სოციოლოგთა შორის.

და, მართლაც, სოციოლოგიას დღიდან დაარსებისა, გააჩნია მრავალი ფუნქცია, მაგრამ მათ შორის მაინც გამოირჩევა მისი სწორედ გამოყენებითი ანუ მოხმარებითი ფუნქცია, ვინაიდან რა არის ბოლოსდაბოლოს სოციოლოგიის მიზანი, თუ არა სწორედ მისგან მოტანილი პრაქტიკული შედეგები ჩვენთვის. სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია სოციოლოგიის მთავარი ფუნქცია ხომ არ არის. ეს ფუნქცია სინამდვილეში ემსახურება მის სწორედ პრაქტიკულ

ფუნქციას. ბოლოსდაბოლოს თეორია ხომ მხოლოდ პრაქტიკისთვისაა და არა პირიქით. პრიმატი აქ სწორედ პრაქტიკულ მხარეს განეკუთვნება.

სოციოლოგიის ორ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ფუნქციათა შორის დამოკიდებულება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. მათ შორის მჭიდრო კავშირი უნდა იყოს. და თუ ეს ასე არაა, როგორც იტყვიან, მით უარესი ფაქტისათვის.

სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია გულისხმობს მის ხედვით დანიშნულებას, სოციოლოგიის პრაქტიკული ფუნქცია კი - მის საქმით დანიშნულებას.

უდავოა, რომ სოციოლოგია ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეასრულებს თავის პრაქტიკულ ფუნქციას მისი თეორიული ფუნქციის გარეშე, ვინაიდან პრაქტიკა ხომ სხვა არაფერია, თუ არა განხორციელებული, რეალიზებული, განამდვილებული, ხორცშესხმული თეორია. პრაქტიკული სოციოლოგია იგივე თეორიული სოციოლოგიაა, ოღონდ მიყენებული პრაქტიკულ სფეროს. თეორიული ბაზის გარეშე პრაქტიკული სოციოლოგია ვერც იარსებებდა. ასე რომ, პრაქტიკა თეორიის გარეშე წარმოუდგენელია.

ამ მხრივ სწორია ხოლმე, როცა იტყვიან, ყველაზე კარგი პრაქტიკა სწორედ თეორიაა. მაგრამ ამ გამოთქმაშიაც ხომ პრაქტიკის პრიმატია აღნიშნული თეორიის მიმართ და არა პირიქით. ასე რომ, ეს პრიმატი ნებისმიერი კუთხით მაინც სოციოლოგიის პრაქტიკული მხარის სასარგებლოდ წყდება. ამას ისიც ადასტურებს, რომ თავად სოციოლოგიის თეორიული ფუნქცია უკვე ლოგიკურად მოითხოვს დასრულებას იმით, რომ გადაიზარდოს მის სწორედ პრაქტიკულ ფუნქციაში და არ შეჩერდეს მხოლოდ საკუთარ თავზე.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქ სოციოლოგიის თეორიულსა და პრაქტიკულ ფუნქციას შორის უპირატესობას მაინც პრაქტიკულ ფუნქციას ვანიჭებთ, სრულიადაც როდი გამომდინარეობს, თითქოსდა ამ ორ მხარეს შორის უფრო მაღალ დონედ ამ უკანასკნელს მივიჩნევდეთ.

სინამდვილეში საქმე კი სრულიად პირიქითაა: სოციოლოგიის თეორიული დონე მის პრაქტიკულ დონეზე უფრო მაღლა დგას,

ამიტომაც ამ მხრივ სოციოლოგიის თეორიული ფუნქციაც მის პრაქტიკულ ფუნქციაზე მაღლა იდგება. განა თეორია საერთოდ პრაქტიკაზე უფრო მაღლა არა დგას? განა სულიერი ხორციელზე, იდეალური რეალურზე მაღალი სფერო არაა? მაშასადამე, ამ მხრივ, სოციოლოგიის თეორიული დონე უცილობლად აღემატება მის პრაქტიკულ დონესაც.

მაგრამ სულ სხვაა მაინც როცა ამ ორ ფუნქციას ადამიანთა რეალური, ამქვეყნიური საჭიროების კუთხით ვიხილავთ. ამ დროს, ბუნებრივია, წინ წამოიწევს სოციოლოგიის სწორედ პრაქტიკული და არა თეორიული ფუნქცია. ყველაფერი, მაშასადამე, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა კუთხით შევხედავთ საგანს.

სოციოლოგიის გამოყენებითი ანუ პრაქტიკული დანიშნულების თვალსაზრისით კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში, ჩვენის აზრით, არ გამოთქმულა იმაზედ უფრო მნიშვნელოვანი მოსაზრება, როგორიც გამოთქმული აქვს რუს სოციოლოგს მიხეილ ბაკუნინს (1814-1876), რომელიც ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: „ყოველგვარი მეცნიერება როდი აქცევს ადამიანს საზოგადოების მართვის უნარმქონედ, არამედ მეცნიერებათა მეცნიერება, ყველა მეცნიერების გვირგვინი, სოციოლოგია, რომელიც ბედნიერ მეცნიერში გულისხმობს ყველა სხვა მეცნიერების წინასწარ სერიოზულ ცოდნას (18, გვ.435).

სოციოლოგია აქ გამოდის, როგორც განსაკუთრებული მეცნიერება, განსახვავებით ყველა სხვა მეცნიერებისაგან, მეცნიერება, რომელიც მხოლოდ ერთადერთია მოწოდებული იყოს მთელი საზოგადოების მართვის მეცნიერება, რაც მას ხდის სწორედ „მეცნიერებათა მეცნიერებად“ ანუ „ყოველგვარი მეცნიერების გვირგვინად“. და, მართლაც, ამგვარი მაღალი შეფასება სოციოლოგიის მეცნიერებისა მართლაც უნიკალურია, გამორჩეულია აზროვნების ისტორიაში.

მსგავსს თვალსაზრისს სოციოლოგიის დანიშნულებაზე იზიარებდა ჯერ კიდევ ფრანგი მოაზროვნე ოგიუსტ კონტი (1798-1857), რომელიც ითვლება სოციოლოგიის ფუძემდებლადაც კი.

ფრანკლინ გიდინქსის მიხედვით, „კონტი გულისხმობდა, რომ სოციოლოგიას საკმაოდ მნიშვნელოვნად შეეძლო გამხდარიყო

წინასწარხედვის მეცნიერება, რომელიც პროგრესის გზას გვიჩვენებს“ (21, გვ.7). კონტი თურმე სოციოლოგიაზე ამბობდა, რომ „აუცილებელია ვიცოდეთ, რათა წინასწარ განვჭვრიტოთ. აუცილებელია წინასწარ განვჭვრიტოთ, რათა გარდავქმნათ“ (6, გვ.61).

აქვე შეგვიძლია გავიხსენოთ ისიც, რომ სწორედ კონტს ქონდა წამოყენებული ე.წ. „სოციალური ფიზიკის იდეაც, მსგავსად, თუ ასე შეიძლება ითქვას, „ნატურალური ფიზიკისა“ ანუ უბრალოდ „ფიზიკისა“, რომელთაგან პირველმა უნდა გაგვაგებინოს საზოგადოების, სოციუმის წიაღში მოქმედი კანონები, მსგავსად საკუთრივ „ფიზიკისა“, რომელმაც უნდა აგვიხსნას ბუნების წიაღში მოქმედი კანონები. ხოლო საზოგადოების კანონების შემეცნება, ისევე როგორც ბუნების კანონებისა, ანუ შემეცნება შესაბამისად, „სოციალური ფიზიკის“ მეშვეობით, მსგავსად ჩვეულებრივი, საკუთრივ „ფიზიკის“ მეშვეობით შემეცნებისა, განა იგი, ეს „სოციალური ფიზიკა“ ანუ სოციოლოგია არ დაგვაუფლებინებს საზოგადოების მართვის სადავეებს?

თუ ოგიუსტ კონტს ეკუთვნის სოციოლოგიის როგორც „სოციალურ-წინასწარხედვითი“ და „სოციალურ-გარდაქმნითი“ მეცნიერების იდეა, ხოლო ბაკუნინს სოციოლოგიის როგორც „საზოგადოებრივ-მართვითი“ მეცნიერების იდეა, ამერიკელ მოაზროვნეს ფრანკლინ გიდინქსს (1855-1931) უკვე ეკუთვნის ე.წ. „გამოთვლითი სოციოლოგიის ანუ სოციოლოგიის როგორც „გამოთვლითი მეცნიერების“ იდეა. კერძოდ, იგი ჯერ კიდევ თურმე 1901 წელს წერდა, რომ „სოციოლოგია უნდა გახდეს „გამოთვლითი“ მეცნიერება, თუ ჩვენ გვსურს დავაინტერესოთ მისით მრეწველები და მეწარმეებიო“ [6, გვ.60].

სოციოლოგიის პრაქტიკულ დანიშნულებასთან დაკავშირებით საინტერესოა სოციოლოგიის ე.წ. „ტექნოლოგიზაციისა“ და „ინჟინერიზაციის“ იდეებიც.

სოციოლოგიის ტექნოლოგიზაციის იდეა ეკუთვნის ამერიკელ მოაზროვნეს ჯეიმს ვაინშტაინს (1926-2005). იგი ტექნიკის სფეროში სოციოლოგიის გადაორიენტირებაში ჭვრეტდა მისი განვითარების სტაბილიზაციურ პერსპექტივებს. სოციოლოგია, მისი აზრით, უნდა

გასცდეს წმინდა აკადემიური დისციპლინის ფარგლებს, უნდა იქცეს თანამედროვე ტექნოლოგიის შემადგენელ ნაწილად (24, გვ.101). ე.ი. უნდა მოხდეს სოციოლოგიის ე.წ. „ტექნოლოგიზაცია“.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ გვესახება „იდეალური“, „ოპტიმალური“ საზოგადოება, ჩვენ ავაშენებთ კიდეც მას სოციოლოგიურ წინასწარგანსაზღვრულობათა შესაბამისად.

ხოლო სოციოლოგიის ამ დანიშნულების გათვალისწინებიოთ შემუშავდა სწორედ „სოციალური ტექნოლოგიისა“ და „სოციალური ინჟინერიის“ ცნებებიც. ამაში კი დიდი წვლილი მიუძღვის ბრიტანელ სოციოლოგს კარლ პოპერს (1902-1994) (6, გვ.6).

სოციოლოგიის პრაქტიკულ დანიშნულებასთან დაკავშირებით საინტერესოა ე.წ. „კლინიკური სოციოლოგიის“ იდეა, რომელიც პირველად თურმე წამოაყენა ამერიკელმა სოციოლოგმა ლუის ვირტმა (1897-1952), ანალოგიურად „კლინიკური მედიცინისა“.

და, მართლაც, ისევე როგორც „კლინიკური მედიცინა“ მოწოდებულია სამედიცინო პრობლემების მოგვარებისათვის, ე.წ. „კლინიკური სოციოლოგიაც“ ამ იდეით მოწოდებულია ადამიანთა სოციალური პრობლემების განკურნებისათვის. ვირტმა იწინასწარმეტყველა თურმე იმ სოციოლოგიური კლინიკების წარმოშობა და განვითარება, რომლებსაც ექნებოდა საქმე სოციალური პრობლემების მთელს სპექტრთან. სოციოლოგი ამ შემთხვევაში იქნებოდა თერაპევტთა ჯგუფის წევრი, რომელიც შესაბამის მონაწილეობას მიიღებდა კლიენტთა პრობლემების გადაჭრაში. სოციოლოგია მნიშვნელოვანია ასევე დაავადებათა სოციალური ასპექტების ხედვის ექიმებისათვის მინიჭებით (17, გვ.197).

ამერიკელმა სოციოლოგმა ჯეკობ მორენომ (1889-1974) თავის დროზე წამოაყენა ე.წ. „თერაპიული სოციოლოგიის“ იდეა, ანალოგიურად „თერაპიული მედიცინისა“, რომელიც მოწოდებული იქნებოდა უკვე „სოციალურ დაავადებათა“ განკურნებისათვის. აქ კი ხაზგასმულია სოციოლოგიის პრაქტიკულ-განკურნებითი დანიშნულება, რაც მაღალ დანიშნულებას ანიჭებს მას (6, გვ.70).

ე.წ. „სოციალური ინჟინერიისა“ და „კლინიკური სოციოლოგიის“ იდეებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის, რომ გამოყენებით

სოციოლოგიაში, მართლაც, განარჩევენ მათ მის როგორც ორ ძირითად მიმართულებას (11,გვ.18). შესაბამისად, ინჟინერ-სოციოლოგი და სოციოლოგ-კლინიკოსი სოციოლოგიური მუშაობის პროცესში ეწევიან თავ-თავის ნაწილს სამუშაოსას. სახელდობრ, „ინჟინერ-სოციოლოგი... ამუშავებს მცირე [სოციალური] ჯგუფების სოციალური გარდაქმნის პროექტებს, დაკავებულია დაგეგმვითა და დიზაინით“, ხოლო „სოციოლოგ-კლინიკოსის ამოცანაა დაადგინოს ამა თუ იმ მოვლენის დიაგნოზი, შესთავაზოს ალტერნატივა, გაუწიოს კონსულტაცია და მიუთითოს თერაპიულ ზომებზე“ (11, გვ.19).

სოციოლოგიის პრაქტიკულ დანიშნულებასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა ე.წ. „სოციალური კარტოგრაფიის“ იდეა, რომელიც ეკუთვნის ამერიკელ სოციოლოგს ერნსტ ბერჯესს (1886-1966). იგი გულისხმობს „სოციალური რუკების“ იდეას. ამ ბერჯესს თურმე შეუქმნია ჩიკაგოს სოციალური რუკები. შემდგომში ამ რუკებს იგი თურმე იყენებდა დამნაშავეობის პროგნოზირების საქმეში სოციოლოგიური კრიმინოლოგიის მიმართულებით (24, გვ.133,134,136). აქ საინტერესოა მსგავსება საკუთრივ „კარტოგრაფიასთან“, რომელიც „გეოგრაფიულია“ თავისი ბუნებით, ხოლო ამ ანალოგიით კი მოწოდებულია, თუ ასე შეიძლება ითქვას, „სოციოგრაფიული კარტოგრაფირების“ იდეა, რაც სოციოლოგიური პრაქტიკის პროცესში გარკვეულ თვალსაჩინო სარგებლობას გვაძლევს.

ყველა ის პრაქტიკულ-სოციოლოგიური იდეა სოციოლოგიის ისტორიიდან, რომელიც ჩვენ აქ განვიხილეთ, ნათლად მეტყველებს სოციოლოგიის იმ უმაღლეს დანიშნულებაზე, რომელიც მას ჩვენი ცხოვრების „კეთილმოწყობის“, მისი „კეთილმოგვარების“ გზაზე ეკისრება.

და, მართლაც, „თეორიული სოციოლოგიის საბოლოო მიზანი მაინც ხომ მის პრაქტიკულ დანიშნულებასა და გამოყენებაშია“ (14, გვ.164). სოციოლოგია კი გამოყენებითი კუთხით სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერება სოციალურ პროცესთა პრაქტიკული მართვის ზოგად კანონზომიერებათა შესახებ, ხოლო ამაზე მეტი სარგებლობა სოციოლოგიისაგან, აბა, კიდევ სხვა რაღა უნდა იყოს.

სოციოლოგიას წარმოშობისთანავე იმთავითვე უკვე გააჩნდა თავისი პრაქტიკული დანიშნულება. და ეს სოციოლოგიის ფუნქციონირების ხომ უკვე ერთგვარი კანონზომიერებაცაა.

მაგრამ კანონზომიერებაა სოციოლოგიის არა მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება, არამედ, უფრო მეტიც, სოციოლოგიის მზარდი პრაქტიკული მნიშვნელობაც, მითუმეტეს თანამედროვე სოციალურ პირობებში, როდესაც ჩქარდება თავად სოციალური ცხოვრება.

და, მართლაც, თანამედროვე ცხოვრება სულ უფრო და უფრო მოითხოვს სოციოლოგიური ცოდნის ჩაყენებას პრაქტიკის სამსახურში. სოციოლოგიამ, როგორც არასდროს, ისე შეიძინა თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა. როგორც კეთილ ინჟინერს შეუძლია ააგოს მანქანა, ქარხანა ან სახლი, ისე კეთილ სოციოლოგსაც შეუძლია „გააჯანსაღოს ადამიანთა ურთიერთობანი" (27).

სოციოლოგიური ცოდნის იმ დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, რომელიც მას ენიჭება ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში, მიუთითებენ თანამედროვე სოციოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლები, როგორებიც არიან, დავუშვათ, ამერიკელი სოციოლოგი ნეილ სმელზერი (დ.1930 წ.) და ინგლისელი სოციოლოგი ენტონი გიდენსი (დ.1938 წ.).

სმელზერის მიხედვით, სოციოლოგიური ცოდნა საზოგადოებაზე შემდეგნაირად ახდენს ზემოქმედებას: ა) სოციოლოგები მუშაობენ როგორც სამთავრობო ორგანოებში, ისე კერძო ორგანიზაციებში; ბ) სოციოლოგიური მეთოდები გამოიყენება კვლევითი საქმიანობის სხვა სფეროებში; გ) სოციოლოგთა ნაშრომებმა შეიძლება შეცვალოს ადამიანთა დამოკიდებულება საზოგადოებრივი მოვლენებისადმი, ასევე წარმოადგენენ ინფორმაციას სოციალური პოლიტიკის საკითხებში გადაწყვეტილებათა მისაღებად; დ) სოციოლოგიური გამოკვლევა გვეხმარება არსებული სოციალური პოლიტიკის ქმედითობის შეფასებაში (32).

გიდენსის მიხედვით, სოციოლოგიას დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს და ეს წვლილი მისი სოციალური ცხოვრებაში მრავალი მიმართულებით წარიმართება: ჯერ ერთი, სოციალურ გარემოებათა

უმჯობესი გაგება ხშირად გვაძლევს ჩვენ მათი უკეთესი გაკონტროლების შანსს; მეორეც, სოციოლოგია ხელს უწყობს ჩვენი კულტურული ამთვისებლობის ზრდას, გვაძლევს რა საშუალებას ნებისმიერი პოლიტიკური აქციისას გავითვალისიწნოთ კულტურულ ღირებულებათა სხვაობანი; მესამეც, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ გარკვეული პოლიტიკური პროგრამების მიღების შედეგები. დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, სოციოლოგია ხელს უწყობს თვითშემეცნების განვითარებას, იძლევა რა საშუალებას იმისას, რომ ვცვალოთ ცხოვრების პირობები (10).

სოციოლოგიის როგორც მეცნიერების პრაქტიკულ ღირებულებაზე კარგად საუბრობენ თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგებიც: ქრეგ კალჰუნი, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი. ასე, მაგალითად: „სოციოლოგია იკვლევს ადამიანური ცხოვრების ორგანიზების გზებს“ (4, გვ.20). ანდა: „სოციოლოგია გვთავაზობს არა მხოლოდ ინფორმაციას, არამედ სამყაროს დაკვირვებისა და ამ სამყაროში ჩვენი ადგილის მოაზრების განსაკუთრებულ გზას“ (4,გვ.20). ანდა კიდევ: „სოციოლოგიის მთავარი გაკვეთილი ისაა, რომ ინდივიდთა მიღწევები, როგორც წესი, სხვათა დახმარებასა და თანამშრომლობაზეა დამოკიდებული“ (4,გვ.11). განა ყველა აღნიშნული დასკვნა სოციოლოგიის პრაქტიკულ ღირებულებაზე არ მიუთითებს მათი გათვალისიწინების პირობით?

სოციოლოგიის მეცნიერების პრაქტიკული გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვან უბანს სოციოლოგიის განვითარების, მითუმეტეს, თანამედროვე პირობებში, ე.წ. სოციოლოგიური გამოკვლევების სფერო წარმოადგენს.

სოციოლოგიურმა კვლევებმა უკვე იმდენად ფართოდ მოიკიდა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში, რომ გარკვეულწილად შეგვიძლია ვამტკიცოთ კიდეც: ჩვენ ვცხოვრობთ სოციოლოგიური გამოკვლევების ეპოქაში. ეს მოითხოვა თავად ცხოვრებამ, იმ პრობლემებმა, რომლებიც წინ წამოსწია თანამედროვე ცხოვრებამ. ფართოდ გაშლილი სოციოლოგიური კვლევები განაპირობეს თავად ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებმა.

ამასთან დაკავშირებით კი კარგად შენიშნავდა ჯერ კიდევ თავის დროზე რუსი სოციოლოგი ანდრია ზდრავომისლოვი: „სოციოლოგიური გამოკვლევების სწრაფი ზრდა, უპირველეს ყოვლისა, აიხსნება პრაქტიკული მოთხოვნებით - სოციოლოგიამ უნდა დაიკავოს მნიშვნელოვანი ადგილი სოციალური პროცესების მეცნიერული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის საქმეში, იმ სოციალური პრობლემების ყოველმხრივ განხილვაში, რომელნიც წარმოიქმნებიან ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმირების პროცესში“ (2, გვ.11).

სოციოლოგიურ გამოკვლევებზე ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა: „ხშირად სოციოლოგებს სთხოვენ მისცენ პრაქტიკული რეკომენდაციები, უკარნახონ, სახელდობრ, რა უნდა გაკეთდეს ამა თუ იმ საკითხზე“ (2, გვ.187). ხოლო ამასთან დაკავშირებით, „სოციოლოგიის ამოცანაა განსაზღვროს ცხოვრების არსებული სახის ძირითადი პარამეტრები და დასახოს ამ პარამეტრების შეცვლის საკონტროლო წერტილები“ (2, გვ.190).

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეთოდოლოგიას სოციოლოგიური კვლევის საქმეში, კარგად არის გამოთქმული თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგების ჩ.ფრანკფორტ-ნაჩმიასისა და დ. ნაჩმიასის წიგნში „კვლევები სოციოლოგიურ მეცნიერებებში“: „მეცნიერული მეთოდოლოგია არის ზუსტი წესებისა და პროცედურების სისტემა, რომელთაც კვლევა ემყარება“ (13,გვ.37). ე.ი. მეთოდოლოგია კვლევის საფუძველთა საფუძველი ყოფილა, თუ ასე შეიძლება ითქვას, რაკიღა მეორე, მართლაც, პირველს „ემყარება“.

ხოლო ის, თუ რა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება ქონდეს მასობრივ სოციოლოგიურ გამოკვლევებს ამა თუ იმ სოციალური პრობლემის აღმოსაფხვრელად, აღნიშნულია ასევე თანამედროვე ამერიკელი სოციოლოგების ჩ.ფრანკფორტ-ნაჩმიასისა და დ.ნაჩმიასის იმავე წიგნში „კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში“: „შეიძლება თუ არა რაიმე „დაუმორჩილებელი“ სოციალური პრობლემა მასობრივი კვლევებით გადაიჭრას?“. ცოტა ხნის წინ წამოწყებული „ჩიკაგოს უბნებში ადამიანთა განვითარების პროექტი“ შეიძლება ასეთი კვლევის მაგალითად გამოდგეს. რეალობის

ზუსტი სურათის შესაქმნელად უნდა შევისწავლოთ, რას ნიშნავს იზრდებოდე ჩიკაგოში და ამის შემდეგ გავიგოთ, აღზრდის რა გზებს მივყავართ დელინკვენტობამდე ან სოციალურად მოწონებულ ქცევამდე, თერთმეტი ათასი ცდისპირი ჩიკაგოს დაახლოებით 75 სამეზობლოდან 8 წლის განმავლობაში მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. კვლევა ინტერდისციპლინური იქნება" (13, გვ.22).

სოციოლოგიურ გამოკვლევებზე გაზრდილ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ვახსენოთ ამ ბოლო ხანებში სოციოლოგიური გამოკვლევის ისეთი ფართოდ გავრცელებული ფორმა, როგორიცაა ე.წ. „შეკვეთილი [სოციოლოგიური] გამოკვლევა".

შეკვეთილი სოციოლოგიური გამოკვლევა ესაა დაინტერესებული მხარისა ანუ, ამ შემთხვევაში, კლიენტის მიერ საგანგებო მიზნით მოთხოვნილი გამოკვლევა, რომელსაც ატარებენ დაქირავებული სოციოლოგები.

ეს სოციოლოგები ამ გამოკვლევით ასრულებენ კლიენტისათვის საკონსულტაციო როლს. „ამგვარი გამოკვლევის მიზანი ჩვეულებრივ მდგომარეობს იმაში, რომ მისცეს კლიენტს შესაძლებლობა იმოქმედოს სოციალურ გარემოზე სასურველი მიმართულებით მისი შეცვლით" (17, გვ.146).

იმისათვის, რომ ჯეროვნად განვითარდეს სოციოლოგია, რათა იგი შემდგომში პრაქტიკული მიმართულებით გამოვიყენოთ, ჩვენი ცხოვრების გასაუმჯობესებლად, აუცილებლად საჭიროა, რა თქმა უნდა, თავად სოციოლოგიური გამოკვლევების განვითარება. ისევე როგორც საერთოდ მეცნიერება ვერ იფუნქციონირებს შესაბამისი გამოკვლევების გარეშე, ასევე სოციოლოგიაც კერძოდ ვერ იფუნქციონირებს შესაბამისი სოციოლოგიური გამოკვლევების გარეშე.

ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევები აუცილებელი წინაპირობებია თეორიული სოციოლოგიისა, რომელიც უკვე შემდგომში შეიძლება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახურში ჩავაყენოთ.

ასეთია სოციოლოგიური გამოკვლევების მნიშვნელობა სოციოლოგიის განვითარებაში.

მაგრამ არა მარტო სოციოლოგიური გამოკვლევები ზემოქმედებენ სოციოლოგიის განვითარებაზე, არამედ, პირიქით, სოციოლოგიაც თავისი განვითარებით უკვე, თავის მხრივ, ზემოქმედებს სოციოლოგიურ გამოკვლევებზეც. ე.ი. აქ ჩვენ გვაქვს ორმხრივი პროცესი ურთიერთზემოქმედებისა, რაც დიდად სასარგებლოა საქმისათვის.

ეს სარგებლიანობა კონკრეტულად გამოიხატება იმაში, რომ სოციოლოგიური გამოკვლევა ავითარებს სოციოლოგიის თეორიას, ხოლო განვითარებული სოციოლოგიური თეორია კი, თავის მხრივ, უკვე ავითარებს შემდგომ სოციალურ გამოკვლევებს და ა.შ და ა.შ.

ასე რომ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სოციოლოგია დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებაზე, ოღონდ იმ სოციოლოგიური გამოკვლევების მეშვეობით, რომლებიც მას წინ უძღვის. სწორედ ამ გამოკვლევათა მონაცემებით უნდა მოხდეს ჩვენი ცხოვრების, თუ ასე შეიძლება ითქვას, „კორექტირება". და სწორედ ამაშია სოციოლოგიის პრაქტიკული როლიც საზოგადოების სწორ განვითარებაში. სოციოლოგია, თუ იგი, მართლაც, თავის პრაქტიკულ დანიშნულებას არ შეასრულებს, რაღა საჭირო იქნება?

თუ ჩვენი სოციოლოგია სწორი იქნება, ხოლო სწორი იგი იქნება მხოლოდ პრაქტიკული სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე, მაშინ ამ სწორი სოციოლოგიური შეხედულებების მიხედვით საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული წარმართვაც ხომ სწორი იქნება? რაც უკეთესი სოციოლოგიური გამოკვლევები გვექნება და რაც უკეთესი სოციოლოგიური თეორიები, განა მით უკეთესი არ იქნებოდა ჩვენი რეალური, პრაქტიკული ცხოვრებაც? კაცი ხომ იმ პრაქტიკული ცხოვრებით ცხოვრობს, რა თეორიული შეხედულებითაც იგი ხელმძღვანელობს.

მოკლედ, სოციოლოგიის, ისევე როგორც ნებისმიერი მეცნიერების, პრაქტიკული მნიშვნელობა ძალიან დიდია. ყოველგვარი მეცნიერება, და მათ შორის სოციოლოგიაც, თავის საბოლოო გამართლებას მხოლოდ და მხოლოდ მისი პრაქტიკული ღირებულების, მისი პრაქტიკული სარგებლიანობის კუთხით ჰპოვებს. მეცნიერება, მართლაც, თვითმიზანი როდია. ეს ასე რომ ყოფილიყო, იგი აზრს

დაჰკარგავდა. მეცნიერება ხომ ადამიანს უნდა ემსახუროს, სოციოლოგიაც ხომ საზოგადოებას უნდა ემსახუროს.

სოციოლოგიის პრაქტიკული დანიშნულება ფილოსოფიის პრაქტიკული კონტექსტით უნდა განვიხილოთ, ვინაიდან სოციოლოგია ეს ხომ ფილოსოფიური მეცნიერებაა.

ფილოსოფია ყველაფრის ზოგადს შეისწავლის, ხოლო სოციოლოგია - საზოგადოების, სოციუმის ზოგადს. და, მართლაც, ყველა სხვა საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერებათაგან, სოციოლოგია სწორედ თავისი ფილოსოფიურობით განირჩევა, ვინაიდან იგი შეისწავლის საზოგადოების, ზოგად, ე.ი. ფილოსოფიურ კანონებს, მაშინ, როდესაც სხვა აღნიშნული მეცნიერებანი მის ამა თუ იმ მხოლოდ კერძო მხარეებს შეისწავლიან.

აქედან გამოიმდინარე, პრაქტიკული დანიშნულების ასპექტითაც, სოციოლოგიას აქვს ზოგადი მნიშვნელობა მაშინ, როდესაც სხვა საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერებებს მხოლოდ კერძო-პრაქტიკული დანიუშნულება გააჩნიათ. სოციოლოგიას ყველა საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერებათა შორის ამ მხრივ ფუნდამენტური პრაქტიკული ღირებულება გააჩნია, რაკიღა იგია მხოლოდ საზოგადოების შესახებ ერთადერთი ზოგად-ფილოსოფიური მეცნიერება.

სოციოლოგიის პრაქტიკული ღირებულებაა ჩვენს ცხოვრებაში იმდენად დიდია, რომ იგი თითქოსდა მტკიცებასაც კი არ უნდა საჭიროებდეს, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ყველასათვის ასე როდია, ჩვენ მაინც განვმარტავთ მას.

სოციოლოგიის პრაქტიკული ღირებულება კონკრეტულად იმაში მდგომარეობს, რომ ვიცხოვროთ ქვეყანაზე იმ პრინციპებისა და კანონების გათვალისწინებით, რა პრინციპებსა და კანონებსაც იგი ადგენს ამა თუ იმ სოციალურ მოვლენაზე. მოკლედ, ის თეორიული ცოდნა, რასაც სოციოლოგია გვიმზადებს თავისი განვითარებით, მოვიხმაროთ ცხოვრებაში. ნებისმიერი დებულება, ნებისმიერი პრინციპი სოციოლოგიისა, თუ იგი პრაქტიკულ ცხოვრებაში იქნება გატარებული და გამოყენებული, სოციოლოგიის, რა თქმა უნდა, პრაქტიკული მოხმარება იქნება.

ასე, მაგალითად, თუ სოციოლოგია ჩვენ გვიდგენს სულიერის პრიმატს, უპირატესობას ხორციელზე, მაშინ ჩვენც ცხოვრებაში აღვასრულოთ იგი ასე, ვინაიდან, მართლაც, შესაძლებელია ჩვენი ცხოვრება წარვმართოთ „იდეალისტურადაც" და „მატერიალისტურადაც", იმისდა მიხედვით, თუ რომელ ძირითად სოციოლოგიურ ხაზს გავყვებით ჩვენს ცხოვრებაში - იდეალისტურს თუ მატერიალისტურს? რა თეორიითაც ვიხელმძღვანელებთ, იმავ პრაქტიკითვე ვიცხოვრებთ. ოღონდ მთავარია ჩვენი ცხოვრება სწორი თეორიული პრინციპებითა და კანონებით წარვმართოთ. და სწორედ ამის განმსაზღვრელადაა საჭირო სწორედ სოციოლოგიაც.

სოციოლოგიის მიზანი კაცობრიობის ცხოვრების „კეთილმოწყობა" უნდა იყოს, რა თქმა უნდა, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე. სოციოლოგიის ვალია მისი სპეციფიკის ფარგლებში ხელი შეუწყოს სოციალურ ჰარმონიას, საზოგადოებრივ თანხმობას, მსგავსად ფილოსოფიისა საერთოდ, რომლის ვალიცაა უკვე ხელი შეუწყოს კოსმიურ ჰარმონიას, მსოფლჰარმონიას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციოლოგია თავისი პრაქტიკული დანიშნულებით სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერება ადამიანთა სოციალური ცხოვრების ზოგადი ჯეროვანი მოწყობის შესახებ.

მართლაც, თუ ჩვენ ადამიანები საზოგადოებრივ ცხოვრებას სოციოლოგიური თეორიის გათვალისწინებითაც ავაწყობთ, მაშინ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებაც, ჩვენი სოციალური პრაქტიკაც ლოგიკურად უკეთესი უნდა გახდეს და გახდება კიდეც. სხვანაირად, ანუ ამ შემთხვევაში, სოციოლოგიური თეორიის არსებობა ზედმეტი და უაზრო გახდებოდა. აზრი მას, ამ თეორიას მხოლოდ მისი ცოცხალი, პრაქტიკული გამოყენებით მიეცემა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ აქ არ შეიძლება არ მოვიყვანოთ უდიდესი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის (XII-XIII სს) მოსაზრებანი თეორიული ცოდნის სარგებლიანობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ აქ შეგვიძლია უკვე მოვიყვანოთ ორი სხვადასხვა ფრაგმენტი „ვეფხისტყაოსნიდან".

პირველი ფრაგმენტი აქ ესეთია: „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქ ბრძენთა თქმულსა: არ იხმარებ, რას ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?“ (15, გვ.139).

აქ საუბარია „სწავლულებაზე“, „ბრძენთა თქმულზე“, ანუ რაღაც თეორიულ ცოდნაზე, რომელსაც თუ არ მოიხმარ, არავითარ სარგებლობას არ გაგიწევს. ამასთან აქ ხაზგასმულია ის ამბავი, რომ ეს ცოდნა არის სიბრძნე, საუნჯე, იმდენად მაღლაა აყვანილი თეორიის მნიშვნელობა.

მეორე ფრაგმენტი აქ კი ესეთია: „არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა! მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ (15,გვ. 123).

აქაც საუბარია “ცოდნაზე“, „ფილოსოფოსთა ბრძნობაზე“, ანუ რაღაც თეორიულ ცოდნაზე, რომლის მიხედვითაც არმოქმედების შემთხვევაში ვერავითარ სარგებლობას ვერ ვპოვებთ. აქაც, ისევე როგორც წინა შემთხვევაში, ხაზგასმულია ის, რომ ფილოსოფიური ცოდნა „სიბრძნეა“, „საუნჯეა“.

ორივე შემთხვევაში აღნიშნულია თეორიული ცოდნის მაღალი ღირებულება, ამიტომ მისი „მოხმარებაც“, მისით „მოქმედებაც“, რა თქმა უნდა, დიდ სარგებლობას მოგვანიჭებდა.
თუ ყოველივე აღნიშნულს სოციოლოგიას მივუყენებთ, რისი უფლებაც ჩვენ სრულად გვაქვს, მაშინ უაღრესად ნათელი უნდა გახდეს ასევე სოციოლოგიის როგორც თეორიული მეცნიერების პრაქტიკული ღირებულებაც.

ნაწილი 2

სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგადმეთოდოლოგიური შესავალი

თავი 1.

სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდები როგორც სამეცნიერო დისციპლინა

სოციოლოგია, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერება, მზამზარეულად როდი ყალიბდება, არამედ მის ჩამოყალიბებას წინ უძღვის პროფესიონალ-სოციოლოგთა საგანგებო ძალისხმევა. სოციოლოგიური ცოდნა მხოლოდ და მხოლოდ სოციოლოგიის შესასწავლი საგნის სპეციალური კვლევის პროცესში ყალიბდება. ამ მხრივ კი საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებანი, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სოციოლოგიური ცოდნის მოპოვებას.

სოციოლოგიური კვლევა ეს სოციოლოგიური საგნის საგანგებო, სპეციალური შესწავლაა იმ მიზნით, რომ მისი შესწავლით ჩამოყალიბდეს ამ საგნის შესახებ სოციოლოგიური თეორია.

მოკლედ, სოციოლოგიური გამოკვლევისა თუ კვლევის მიზანი სოციოლოგიური თეორიის ჩამოყალიბებაა, შექმნაა. ეს თეორია კი სხვა არაფერია, თუ არა ცოდნა სოციოლოგიური საგნისა.

სოციოლოგიური კვლევის მნიშვნელობა საერთოდ სოციოლოგიური მეცნიერებისათვის ისაა, რომ სოციოლოგიური მეცნიერება ვერ ჩამოყალიბდება სოციოლოგიური კვლევის გარეშე და სოციოლოგიური კვლევა, მაშასადამე, სოციოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბების, მისი ფორმირების აუცილებელი პირობაა; სოციოლოგიური მეცნიერება ანუ თეორია სოციოლოგიური კვლევის ნაყოფია, მისი შედეგია; სოციოლოგიური თეორია სოციოლოგიური კვლევის შედეგია, მაშინ როდესაც სოციოლოგიური კვლევა სოციოლოგიური თეორიის საფუძველი.

სოციოლოგიური თეორია მხოლოდ და მხოლოდ სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე ყალიბდება. სოციოლოგიური კვლევა, თუ ასე შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევაში, სოციოლოგიური თეორიის „საძირკველია“, თავად სოციოლოგიური თეორია კი - „შენობა“, მასზე დაშენებული. შენობა საძირკვლის გარეშე ხომ არ არსებობს!

ყოველგვარი სოციოლოგიური თეორია შესაბამის, უფრო სწორედ, „შესაფერის" სოციოლოგიურ კვლევას მოითხოვს, ჯეროვანი სოციოლოგიური თეორია ჯეროვან სოციოლოგიურ კვლევაზე აიგება.

ამრიგად, სოციოლოგიური კვლევა ესაა სოციოლოგიური თეორიის, სოციოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბების, მისი შექმნის აუცილებელი საფუძველი, მისი აუცილებელი პირობა, პირობა, ურომლისოდაც იგი არც არსებობს.

ასეთია სოციოლოგიური კვლევის ადგილი და მნიშვნელობა სოციოლოგიური მეცნიერების მთელს სისტემაში.

იმის გამო, რომ ჯეროვან სოციოლოგიურ თეორიას განაპირობებს, შესაბამისად, ჯეროვანი სოციოლოგიური კვლევა, ამის გამო დამოუკიდებელი და თანაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავად სოციოლოგიური კვლევის ჯეროვან მოწყობას, მის ჯეროვან ორგანიზებას.

ხოლო სოციოლოგიური კვლევის ჯეროვანი უზრუნველყოფა, მისი ჯეროვანი მოწყობა ორგანიზება, თავის მხრივ, უკვე დიდადაა დამოკიდებული სოციოლოგიური კვლევის იმ მეთოდებზე ანუ ხერხებზე, რომელთა გამოყენებაც ხდება ამ სოციოლოგიური კვლევის პროცესში. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები კი აუცილებელი კომპონენტებია სოციოლოგიური კვლევის პროცესისა.

სოციოლოგიური კვლევა სოციოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა, მისი მოსამზადებელი წინასაფეხურია, რომლის გარეშეც იგი შეუძლებელია; სოციოლოგიური მეცნიერება მზამზარეულად კი არ ყალიბდება, არამედ სწორედ სოციოლოგიური კვლევის პროცესში, ამ პროცესში პოვებს იგი თავის სახეს. მასში ხდება სოციოლოგიური მასალის მომზადება სოციოლოგიური თეორიის ასაგებად.

ყოველივე აქედან გამომდინარე, უკვე ლოგიკურია სოციოლოგიური მეთოდების აუცილებლობა სოციოლოგიური კვლევის პროცესში, და, უფრო მეტიც, მათი დიდი მნიშვნელობა სოციოლოგიური კვლევის პროცესში, ვინაიდან „აუცილებელია" ისინი იმდენად, რამდენადაც რაღაც მეთოდების გარეშე შეუძლებელია საერთოდ სოციოლოგიური კვლევა (ყოველგვარი კვლევა ხომ

საგნისადმი რაღაცნაირი მიდგომის წესს მოითხოვს), ხოლო, უფრო მეტიც, „დიდია მნიშვნელობა“ მათი სოციოლოგიური კვლევის პროცესში იმდენად, რამდენადაც, რაც უფრო ჯეროვნადაა მოგვარებული მეთოდების მხრივ სოციოლოგიური კვლევა, მით უფრო ეფექტურია იგი.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდების ადგილი სოციოლოგიური კვლევის სისტემაში, მაშასადამე, განისაზღვრება იმით, რომ ისინი სოციოლოგიური კვლევის სისტემის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტებია.

ხოლო რაც შეეხება სოციოლოგიური კვლევის სისტემაში სოციოლოგიური მეთოდების როლს, სწორედ ამ მეთოდებით ხდება სოციალური კვლევის ეფექტურობისა თუ შედეგიანობის უზრუნველყოფა. უკეთესი მეთოდები უკეთეს შედეგებს განაპირობებენ, რა თქმა უნდა. ამიტომაც საჭიროა ჯეროვანი ზრუნვა მეთოდებზე სოციოლოგიური კვლევის პროცესში.

სოციოლოგიური კვლევის ჯეროვანი მეთოდები ჯეროვანი სოციოლოგიური კვლევის აუცილებელი წინაპირობაა. ასე რომ, სოციოლოგიური კვლევის ეფექტური წარმართვა დიდწილად სწორედ სოციოლოგიური კვლევის სწორი მეთოდური მხარითაცაა განპირობებული.

მართლაც, სოციოლოგიური კვლევა „წმინდა“ თეორიული მხარით კი არ ხდება უზრუნველყოფილი, არამედ მასთან ერთად მისი მეთოდური მხარითაც. ამასთან, სოციოლოგიური კვლევის ამ ორ „თეორიულ“ და „მეთოდურ“ - მხარეთა შორის დამოკიდებულებაში უპირატესობა ხან ერთს შეიძლება ქონდეს, ხან მეორეს. მაგრამ აქ მთავარია საერთოდ, სოციოლოგიური კვლევის საერთო საქმე არ დაზიანდეს. ამ თვალსაზრისით ისინი ორივენი ერთმანეთს ავსებენ.

„სოციოლოგიური კვლევის მეთოდები“ როგორც სამეცნიერო დისციპლინა უამრავ სხვა სამეცნიერო დისციპლინასთან ერთად საერთოდ სოციოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი დარგია.

საქმე ის არის, რომ სოციოლოგია როგორც ერთიანი, მთლიანი მეცნიერება უამრავი ნაწილისაგან შედგება. საერთოდ სოციოლოგიაში ორ ძირითად - ზოგად და კერძო ნაწილებს - გამოყოფენ, ე.ი. არსებობს,

ერთის მხრივ, ზოგადი სოციოლოგია, მეორეს მხრივ, კერძო სოციოლოგია. ზოგადი სოციოლოგია ერთია, უფრო სწორედ, ერთადერთია, ხოლო კერძო სოციოლოგია - მრავალი.

კერძო სოციოლოგიის ესა თუ ის სახე საერთოდ სოციოლოგიის ესა თუ ის კერძო დარგია.

ზუსტად იგივე ითქმის „სოციოლოგიური კვლევის მეთოდებზეც", როგორც სამეცნიერო დისციპლინაზე. სახელდობრ, „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" ამ შემთხვევაში საერთოდ სოციოლოგიის ერთ-ერთი კერძო დარგია მსგავსად მისივე ყველა სხვა კერძო დარგისა.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები როგორც სამეცნიერო დისციპლინა, მსგავსად სოციოლოგიის ყველა სხვა დარგისა, მისივე ერთ-ერთი ასევე კერძო დარგია იმდენად, რამდენადაც იგიც, ისევე როგორც სხვა აღნიშნული დარგები საერთოდ, სოციოლოგიის საგნის კერძოდ ერთ განსაზღვრულ სფეროს იკვლევს.

მაგრამ სოციოლოგიის ყველა სხვა დარგს, ერთის მხრივ, და სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს, როგორც სოციოლოგიის ერთ განსაზღვრულ კერძო დარგს შორის, მეორეს მხრივ, მსგავსებასთან ერთად ძალიან დიდი განსხვავებაცაა. ამ მხრივ კი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები როგორც სოციოლოგიური დისციპლინა სოციოლოგიის ყველა დისციპლინას შორის ძალიან გამორჩეული, სპეციფიკური კერძო დარგია მისი.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდების როგორც სოციოლოგიური სამეცნიერო დისციპლინის უპირველესი განსხვავება მისივე სხვა სამეცნიერო დისციპლინებისაგან ისაა, რომ „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები", როგორც მას თავად სახელწოდება მეტყველებს, მეთოდური მოძღვრებაა, მაშინ როდესაც ყველა სხვა კერძო დარგი სოციოლოგისაა თეორიული მოძღვრება. ესაა მათი განსხვავება სამეცნიერო დისციპლინათა ხასიათის მიხედვით.

მეორე განსხვავება აღნიშნულ დისციპლინათა შორის ისაა, რომ სოციოლოგიური კვლევის მეთოდები როგორც სამეცნიერო დარგი ეხება მეთოდებს კერძოდ და, სახელდობრ, სოციოლოგიური კვლევის პროცესში და არა სოციოლოგიური საქმიანობის სხვა პროცესში. ეს არის განსხვავება უკვე საკვლევი სფეროს საგანში.

ხოლო მესამე განსხვავება ჩვენს შემთხვევაში ისაა, რომ სოციოლოგიური კვლევის მეთოდები როგორც სამეცნიერო დისციპლინა მიმართულია თავად სოციოლოგიაზე, მაშინ როდესაც სოციოლოგიის სხვა დარგები - სოციოლოგიის მეცნიერების საკვლევ საგანზე. მოკლედ რომ ვთქვათ, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები „რეფლექსიური" სოციოლოგიური დარგია, რომელიც მიმართულია საკუთარ თავზე მაშინ როდესაც სხვა სოციოლოგიური დარგები ამ მხრივ „არარეფლექსიური" სამეცნიერო დარგებია, ვინაიდან ისინი მიმართულია იმ საგნებისაკენ, რომლებიც სოციალურის გარეთ არსებობს. ეს კი უკვე განსხვავებაა მიმართულების ასპექტით.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდების როგორც სოციოლოგიური დარგის მთელი ამ სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სოციოლოგიური კვლევის მეთოდების როგორც სოციოლოგიის დარგის კიდევ ერთი თავისებურება ისაა, რომ სოციოლოგიური კვლევის მეთოდები მიუდგება სოციოლოგიის ყველა კერძო დარგს და ამ მხრივ ზოგადმეთოდოლოგიური მომღვრებაა ყველა მათგანისათვის.

„სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" ესაა ერთ-ერთი სამეცნიერო დისციპლინა, ანუ მეცნიერების ერთ-ერთი კერძო დარგი.

ყოველი სამეცნიერო დისციპლინა სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს შეისწავლის, ხოლო სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს შესწავლა კონკრეტულად გულისხმობს იმ კანონზომიერებათა შესწავლას, რომლებიც ამ სფეროში მოქმედებს.

ასე რომ, „სოციოლოგიური კვლევის მეთოდებიც", როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, შეისწავლის სოციოლოგიური კვლევის მეთოდთა მოქმედების კანონებს, ანუ იმ წესებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სოციოლოგიური კვლევის მეთოდთა ეფექტური მოხმარება.

„სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" როგორც ტერმინი აქ, ამ შემთხვევაში, მოიხმარება მეცნიერული დისციპლინის მნიშვნელობით. ეს კი არ არის მთლად ზუსტი, ვინაიდან, თავისი პირდაპირი მნიშვნელობით, „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები", მართლაც, გულისხმობს არა „მეცნიერებას სოციოლოგიური კვლევის მეთოდების შესახებ", არამედ სწორედ თავად სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს,

რომელთა შესახებაც მეცნიერებასაც წარმოადგენს იგი პირველ შემთხვევაში. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" მხოლოდ პირობითი, გადატანითი მნიშვნელობითაა აღმნიშვნელი მეცნიერებისა.

ამრიგად, „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" ერთ შემთხვევაში გულისხმობს მეცნიერებას სოციოლოგიური კვლევის მეთოდების შესახებ, ხოლო მეორე შემთხვევაში კი - ამ მეცნიერების საგანს თავად სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს. როგორც ვხედავთ, ჩვენ აქ ლოგიკურად გვაქვს დამოკიდებულება, ერთის მხრივ, გარკვეულ მეცნიერებასა და, მეორეს მხრივ, ამ მეცნიერების თავად საგანს შორის. ორივე მნი/შვნელობა აღნიშნული ტერმინისა „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" შესაბამის შემთხვევებში გამართლებულია.

„სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" როგორც მეცნიერება შეისწავლის ყველა იმ მეთოდს, როგორიც არ უნდა იყოს იგი, რომელიც კი შეიძლება გამოდგეს სოციოლოგიური კვლევის ეფექტური განხორციელებისათვის. ყველა იმ კანონს, რომელიც კი უზრუნველყოფდა სოციოლოგიური კვლევის სათანადო რეალიზაციას.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდების შესახებ მეცნიერების უკეთ გასაგებად უმჯობესი იქნებოდა გაგვეთვალისწინებინა შემდეგი გარემოება: სოციოლოგიური კვლევა მოიცავს ორ მხარეს: თეორიულსა და მეთოდურს. ერთი გულისხმობს იმას, თუ რას შეისწავლის სოციოლოგია, ხოლო მეორე კი - იმას, თუ როგორ, რა ხერხებით შეისწავლის იგი მათ.

სოციოლოგიური კვლევის ხერხების ცოდნას კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ იგი უზრუნველყოფს სწორედ სოციოლოგიური კვლევის წარმატებულ შედეგს. უკეთესი მეთოდები უკეთეს შედეგს მოგვცემს. ასე რომ, თავად ამ მეთოდების შესახებ ცოდნასაც დიდი მნიშვნელობა ექნება საერთოდ ცოდნის სისტემაში.

„სოციოლოგიური კვლევის მეთოდები", როგორც ამას თავად სახელწოდება მეტყველებს, სოციალური სინამდვილის თეორიული შესწავლის ხერხებს ეხება და არა მისი პრაქტიკული რეალიზაციის ხერხებს. კერძოდ, აქ საუბარია მეცნიერული, ამ შემთხვევაში კი

სოციოლოგიურ-მეცნიერული ცოდნის შემუშავების ხერხებზე, ანუ იმ ხერხებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციოლოგიური ცოდნის მიღებას.

„სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" როგორც სამეცნიერო დისციპლინა, გამომდინარე იქედან, რომ ესაა მოძღვრება, თეორია სოციოლოგიური კვლევის პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ, მოკლედ, უმჯობესი იქნებოდა წოდებულიყო როგორც „სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია", რაც, ჩვენის აზრით, უფრო ზუსტი იქნებოდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში თავიდან აცილებული იქნებოდა ორაზროვნება, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, ტერმინ „სოციოლოგიური კვლევის მეთოდებისა". „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" ჩვენ ხომ ორი აზრით ვახსენეთ: ერთ შემთხვევაში როგორც მოძღვრება, თეორია, ხოლო მეორე შემთხვევაში კი - როგორც ამ მოძღვრების, ამ თეორიის საგანი.

მაგრამ იმის გამო, რომ სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს მაინც მის შესახებ მეცნიერება შეისწავლის და ზოგჯერ ასეც, კერძოდ კი, საგნის კუთხითაც ხდება ამ მეცნიერების წარმოდგენა, ჩვენც ვთანხმდებით იმ აზრზე, რომ „სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია" ამჯერად მისი საგნის კუთხით ანუ რაკურსითაც წარმოვადგინოთ.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს სოციოლოგიური კვლევის პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ჯერ ერთი, ნებისმიერი თეორიული თუ პრაქტიკული კვლევის პროცესი შესაბამისად გარკვეული მეთოდების გარეშე შეუძლებელიც კია, იმდენად აუცილებელია ისინი მისთვის. და, უფრო მეტიც, ეს მეთოდები, თუ ისინი ჯეროვნად შერჩეული და მომარჯვებულია კვლევის პროცესში, მას მეტ შედეგს ანიჭებს, ანუ უფრო ეფექტურს ხდის. ჯეროვანი მეთოდი კვლევის პროცესში ჯეროვანი თეორიის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. უხეირო მეთოდით ხომ ხეირიან შედეგს ვერ მივაღწევთ, რაც ერთგვარი აქსიომაა.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდების ცოდნას სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სოციოლოგიური კვლევის მზარდი განვითარების პროცესში. ეს ორი გარემოებითაა გამოწვეული. ჯერ-

ერთი და, თავად სოციოლოგიური კვლევის მნიშვნელობა მატულობს, რის გამოც შესაბამისი მეთოდების როლიც უფრო მნიშვნელოვანი ხდება. და მეორეც, თავად მეთოდების განვითარებაც, თავის მხრივ, წინ სწევს სოციოლოგიურ კვლევას, ხოლო სოციოლოგიური კვლევის მზარდ განვითარებას კი უკვე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მზარდი მოთხოვნები განაპირობებენ.

„სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" მეცნიერების კერძო დარგია იმ აზრით, რომ იგი, კერძოდ, „სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს" შეისწავლის და შეისწავლის მათ სწორედ საგანგებოდ, სპეციალურად.

მაგრამ „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" იმ აზრით, რომ იგი მაინც სოციოლოგიური ცოდნაა, ხოლო სოციოლოგია ხომ ფილოსოფიური მეცნიერებაა, იგი, ეს მეცნიერება, ზოგადი მეცნიერებაცაა. ფილოსოფია ხომ ზოგადი მეცნიერებაა საერთოდ და მისი შემადგენელი ნაწილიც, ამ შემთხვევაში კი სოციოლოგიაც, ასევე ზოგადი მეცნიერებაა. ნაწილი ხომ მთელის თვისებისაა, ოღონდ მხოლოდ მისი ერთ-ერთი მხარეა.

მართალია, „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" ეს თეორიული მეცნიერება კი არაა, არამედ მეთოდური მეცნიერება, მაგრამ იგი მაინც მეცნიერებაა, ვინაიდან მეთოდური მეცნიერებაც, ანუ, მოკლედ, მეთოდოლოგიაც ხომ ცოდნაა.

საერთოდ, მეცნიერება ორგვარია - თეორიული და მეთოდური. ერთია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „თეორიოლოგია", მეორე, „მეთოდოლოგია". ყველა მეცნიერებას ეს ორი მხარე - თეორიულიცა და მეთოდურიც - ორივე ერთად გააჩნია. პირველი მხარე მეცნიერების საგანს ეხება იმ კუთხით, თუ რას წარმოადგენს იგი, ხოლო მეორე მხარე - იმ კუთხით, თუ როგორ უნდა მივუდგეთ მას კვლევისას.

როცა ჩვენ იმას ვამტკიცებთ, რომ „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" ეს მეთოდოლოგიური მეცნიერებაა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ აქ ჩვენ გვაქვს წმინდა მეთოდოლოგიური ცოდნა, არამედ გარკვეული აზრით ეს მეთოდოლოგიური ცოდნა თეორიოლოგიური ცოდნაცაა, ვინაიდან იგი ხომ სოციოლოგიური კვლევის პროცესში გამოსაყენებელი მეთოდების, მართალია, სახელდობრ, მეთოდების

შესახებ, მაგრამ მათ შესახებ მაინც თეორიაა. სწორედ ეს მდგომარეობა უზრუნველყოფს მეთოდოლოგიური ცოდნის მეცნიერულობასაც ისევე, როგორც თეორიოლოგიური ცოდნის შემთხვევაში.

ამრიგად, „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები", ანუ „სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია" მეცნიერების განსაკუთრებული დარგია, ანუ თეორიაა, ოღონდ მეთოდური რაკურსით. ესაა სპეციფიკა მეცნიერების ამ დარგისა.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები როგორც სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინა იგივე სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაა ოღონდ აქ ერთი და იგივე სამეცნიერო დისციპლინა ორი სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა კუთხითაა წარმოდგენილი.

როცა სოციოლოგიური კვლევის მეთოდების შესახებ მეცნიერება წარმოდგენილია მისი შესწავლის საგნის კუთხით, საგნის რაკურსით, მაშინ მისი სახელი სწორედ „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" იქნება.

ხოლო, პირიქით, როცა სოციოლოგიური კვლევის მეთოდების შესახებ მეცნიერება წარმოდგენილია უკვე სწორედ როგორც მეცნიერება ამ მეთოდების შესაახებ, მაშინ კი ამ მეცნიერების სახელი უკვე იქნება „სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია".

ამრიგად, „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები", მართალია, არა პირდაპირ, საგნის რაკურსით, მაგრამ საბოლოოდ მაინც „სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაა", ანუ „სოციოლოგიური კვლევის მეთოდთა შესახებ მეცნიერებაა".

„სოციოლოგიური კვლევის მეთოდები" აღსანიშნავად იმ მეცნიერებისა, რომლებიც სწორედ მათ - ამ მეთოდებს - შეისწავლის, მიაგავს „კოსმოსს" აღსანიშნავად მეცნიერებისა, რომელიც „კოსმოლოგიის" სახელწოდებით სწორედ მას შეისწავლის.

იგივე ითქმის სამეცნიერო დისციპლინებზეც, მაგალითად, „ბუნებისმეტყველება" ნაცვლად „ბუნებისა", ანდა „საზოგადოებათმეტყველება" ნაცვლად „საზოგადოებისა", ანდა კიდევ - „ისტორიოგრაფია" - ნაცვლად „ისტორიისა".

მოკლედ, აქ, ამ შემთხვევებში, ესა თუ ის მეცნიერება წარმოდგენილია ორი სხვადასხვა რაკურსით, თუ კუთხით. ერთ

შემთხვევაში მეცნიერების საგნის, მეორე შემთხვევაში კი, თავად საგნის შესახებ მეცნიერების სახელწოდებით.

აქ საჭიროა შევეხოთ თავად სოციოლოგიური კვლევის მეთოდების არსს.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდი საერთოდ მეცნიერული კვლევის მეთოდის ერთ-ერთი სახეა და მას ამ მხრივ საერთოდ მეცნიერულ კვლევასთან რაღაც საერთოც აქვს და რაღაც განსხვავებულიც.

საერთო კერძოდ სოციოლოგიური კვლევის მეთოდსა და საერთოდ მეცნიერული კვლევის მეთოდს შორის ისაა, რომ ორივე მათგანი „მეცნიერული" მეთოდია ანუ ისეთი მეთოდი, რომელიც სინამდვილის ცნებით შემეცნებასთანაა დაკავშირებული.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ მეთოდთა მეშვეობით მოიპოვება სინამდვილეზე ცნებითი ცოდნა.

ცნებითი ცოდნა იმგვარ ცოდნას გულისხმობს, რომელიც საგანს შემეცნებისას ცნებით არეკლავს, ანუ აზრით საგანზე, რომელიც მის არსებას გამოხატავს.

რაც შეეხება უკვე განსხვავებას ამ ორი სახის მეთოდს შორის, ეს განსხვავება ისაა, რომ სოციოლოგიური კვლევის მეთოდი კერძო მეცნიერული მეთოდია, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ხოლო საერთოდ მეცნიერული კვლევის მეთოდი კი - ზოგადმეცნიერული კვლევისათვის დამახასიათებელი ანუ, მოკლედ, ზოგადმეცნიერული კვლევის მეთოდი.

გამოდის, რომ სოციოლოგიური კვლევის მეთოდები საერთოდ მეცნიერული კვლევის მეთოდების ერთ-ერთი სახეა და მათ, რა თქმა უნდა, თავიანთი სპეციფიკა, თავიანთი თავისებურება გააჩნია.

მაგრამ რაში მდგომარეობს სოციოლოგიური კვლევის მეთოდების თავისებურება, მათი სპეციფიკა საერთოდ მეცნიერული კვლევის არეალში?

სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სპეციფიკა, თავისებურება საერთოდ, ზოგადმეცნიერული კვლევის მეთოდებისაგან განსხვავებით, კონკრეტულად ისაა, რომ ისინი, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, კერძოდ სოციოლოგიურ-მეცნიერული კვლევის

მეთოდებია, ანუ ის მეთოდებია, რომლებიც, სახელდობრ, სოციოლოგიური კვლევის მეთოდების მეშვეობით სწორედ სოციოლოგიური ცოდნის მიღწევას ემსახურება, ანუ ეს არის ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც მიიღწევა ზოგადსოციოლოგიური ცოდნა ამა თუ იმ საკითხზე საზოგადოებრივი ცხოვრებისა. სოციოლოგია ხომ სწორედ ეგაა, - საზოგადოების ზოგადმეცნიერული თეორია.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს სოციოლოგიური კვლევის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ეს მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა გამოიხატება სოციოლოგიური კვლევის პროცესში მათი აუცილებლობით. ეს მინიმუმია, ასე რომ ვთქვათ.

და, მართლაც, სოციოლოგიური კვლევის პროცესი შესაბამისი სოციოლოგიური მეთოდების გაერეშე შეუძლებელია. სწორედ ამას ნიშნავს კიდეც სოციოლოგიური კვლევის მეთოდების აუცილებლობა სოციოლოგიური კვლევის პროცესში, ის, რის გარეშეც არ არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს რაიმე, ამ შემთხვევაში კი - სოციოლოგიური კვლევა, სწორედ მისი აუცილებელი პირობა, ამ შემთხვევაში სოციოლოგიური მეთოდი.

მაგრამ რატომაა სოციოლოგიური კვლევის მეთოდები აუცილებელი სოციოლოგიური კვლევისათვის, როგორც ასეთისათვის? იმიტომ, რომ სოციოლოგიურ კვლევას ნებისმიერ შემთხვევაში, აქვს რა თავისი საგანი, ამ საგნის შესწავლისათვის მუდამ სჭირდება მისადმი მიდგომის გარკვეული წესი. მოკლედ, გარკვეული მიდგომა. სხვანაირად არც შეიძლება.

საგანი საერთოდ შემეცნების დროს მოითხოვს მისადმი გარკვეულ მიმართებას, მისადმი გარკვეულ გზას და მეთოდიც საერთოდ სხვა არაფერია შემეცნებაში, თუ არა სწორედ შემეცნების საგნის ასე თუ ისე განხილვა, მისი ასე თუ ისე დანახვა, მისი ამა თუ იმ ხერხებით წვდომა, მისი ამა თუ იმ საშუალებებით გაცნობიერება.

ასეთია სოციოლოგიური კვლევის პროცესში სოციოლოგიური მეთოდების აუცილებელი მნიშვნელობა.

მაგრამ სოციოლოგიური კვლევის პროცესში სოციოლოგიური კვლევის მეთოდების მნიშვნელობა ამაზე მხოლოდ როდი დაიყვანება. მეთოდის აუცილებლობა საგნისათვის მხოლოდ მინიმუმია როგორც ვთქვით, ვინაიდან იგი - ეს აუცილებლობა გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ სოციოლოგიური კვლევა ნებისმიერ შემთხვევაში არა თუ არსებობს, არამგდ ვერც წარმოიდგინება შესაბამისი სოციოლოგიური მეთოდების გარეშე.

ასე რომ, სოციოლოგიური მეთოდები სოციოლოგიის, ლოგიკური ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ქართულად „პირობაა, ურომლისოდაც იგი არ არსებობს", ხოლო ლათინურად - „Condicio sine qva non". ჩვენს შემთხვევაზე მიყენებით კი სათქმელი ასე იჟღერებს: სოციოლოგიური კვლევის მეთოდები სოციოლოგიური კვლევის ის აუცილებელი „პირობაა, ურომლისოდაც" სოციოლოგიური კვლევა „არ არსებობს", ანუ სოციოლოგიური კვლევის მეთოდები სოციოლოგიური კვლევის „Condicio sine qva non"-ია.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ მინიმუმია იმისათვის, რომ განისაზღვროს სოციოლოგიური კვლევის მეთოდების მთელი მნიშვნელობა სოციოლოგიური კვლევის პროცესში, ვინაიდან სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს არა მხოლოდ აუცილებელი მნიშვნელობა ენიჭება სოციოლოგიური კვლევის საქმეში, არამედ განუზომლად კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობაც მასში.

საქმე ისა არის, რომ მეთოდიცაა და მეთოდიც. მეთოდი აუცილებელია ნებისმიერ შემთხვევაში, მაგრამ ყოველთვის უმჯობესია უკეთესი მეთოდი. ზოგი მეთოდიც ნაკლებად ღირებულია ამ მხრივ და ზოგიც კი - მეტად ღირებული.

ასე რომ, იმაზე, თუ როგორი მეთოდი გვექნება ხელთ შემეცნების პროცესში, ამაზე დიდად იქნება დამოკიდებული მისი ეფექტურობა ანუ შედეგიანობა.

იგივე ითქმის ჩვენს შემთხვევაშიაც: უკეთესი სოციოლოგიური მეთოდების მომარჯვებით უკეთეს შედეგებს მივაღწევთ, მაშინ როდესაც უარესის შემთხვევაში - უარესს.

ამგვარად, აქ ჩვენ საქმე გვაქვს უკვე მეთოდის არა მხოლოდ აუცილებლობასთან, არამედ უკეთესი შედეგის მისაღებად უკეთესი მეთოდის ქონასთანაც.

მაშასადამე, აქ საკითხი ეხება არა უბრალოდ სოციოლოგიური კვლევის პროცესში სოციოლოგიური მეთოდების აუცილებლობას, არამედ ამ პროცესში აღნიშნული მეთოდების უკვე რაობას, მათ თვისობრიობას, მათ კონკრეტულ ღირებულებას სოციოლოგიური კვლევის საქმეში.

ხოლო ამ მხრივ კი დიდად მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ რა და როგორი მეთოდებით ვისარგებლებთ ჩვენ სოციოლოგიური კვლევის პროცესში იმისათვის, რომ უკეთეს შედეგს მივაღწიოთ. ეს კი უკვე მინიმუმზე მეტია სოციოლოგიური კვლევის პროცესში თავისი მნიშვნელობით. თუ არადა სოციოლოგიური კვლევის მეთოდის ეფექტურობა განისაზღვრება სწორედ ამ უკანასკნელის ეფექტურობითაც. ამ მხრივ კი მაქსიმუმი გვექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სოციოლოგიური კვლევის მეთოდები მოგვცემდნენ მაქსიმალურ ეფექტს სოციოლოგიური კვლევის საქმეში.

ხოლო ის, თუ რამდენად მაქსიმალურია სოციოლოგიური კვლევის მეთოდების ეფექტურობა სოციოლოგიური კვლევის საქმეში ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია სოციოლოგიური კვლევის მიზანი.

ამ მხრივ კი, მაქსიმალური იქნება ის სოციოლოგიური მეთოდი თავისი ეფექტურობოთ, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურად განგვახორციელებინებს სოციოლოგიური კვლევის მიზანს.

გამომდინარე აქედან, სოციოლოგიური კვლევის მეთოდის მაქსიმალური ეფექტურობისა თუ შედეგიანობის კრიტერიუმი ანუ საზომია მისი კონდიცია, იყოს სოციოლოგიური კვლევის შესაბამისი მიზნის სრული მიღწევის საშუალება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი, სოციოლოგიური კვლევის მეთოდების მნიშვნელობა სოციოლოგიური კვლევის პროცესში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ეფექტური იქნება ეს მეთოდები მასში. უკანასკნელი კი თავის მხრივ უკვე დამოკიდებულია ჩვენზე, ამ შემთხვევაში, სოციოლოგი-მეთოდოლოგის ძალისხმევაზე უკეთესი და უკეთესი მეთოდების მომარჯვების მხრივ. მოკლედ, აქ წინ

წამოიწევს ე.წ. „სუბიექტური ფაქტორიც“ მკვლევარი-სოციოლოგის მხრიდან, თუმცა ამ საქმეში - სოციოლოგიური კვლევის ეფექტურობისა ე.წ. „ობიექტური ფაქტორებიც“ სახეზეა. მაგრამ საბოლოოდ აქ განმსაზღვრელი ამ მხრივ მაინც მკვლევრის სუბიექტური ძალისხმევაა, ვინაიდან სწორედ მკვლევარია კვლევის წარმმართველი ფიგურა.

თავი 2.

სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია
(ზოგადი მიმოხილვა)

სოციოლოგიურმა კვლევამ, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, დიდი გაქანება პოვა.

ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე სოციალური ცხოვრება „თავბრუდამხვევი“ სისწრაფით მიექანება წინ და იგი ათასგვარი მოულოდნელობებით უამრავ „სიურპრიზს“ გვთავაზობს ჩვენ. უწინ ეს მთლად ასე არ ყოფილა. ახლა კი, ე.წ. „გლობალიზაციის“ ეპოქაში, ჩვენი სოციალური ცხოვრება დღითიდღე მთელი მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო და უფრო „ივსება“ პრობლემებით.

ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, მწვავედ აყენებს ამ პრობლემების შესწავლის ამოცანასაც. ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევების საგანგებო მოთხოვნას თავად ჩვენი თანამედროვე ცხოვრება გვკარნახობს.

მაგრამ სოციოლოგიური გამოკვლევა, როგორც ასეთი თავისთავად როდი ხორციელდება, არამედ იგი მოითხოვს მთელს რიგს მეთოდებისას, რომლებიც აუცილებელია მისი ჩატარებისათვის.

ხოლო იმ მეთოდების ერთობლიობას კი, რომლებიც საჭიროა, აუცილებელია სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის საერთოდ, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია წარმოადგენს.

უფრო სწორედ, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია ეს არის ყველა იმ მეთოდის შესახებ მოძღვრება თუ ცოდნა, რომელიც გამოიყენება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში.

ტერმინი „მეთოდოლოგია“ „მეთოდის შესახებ მოძღვრებას“ ნიშნავს. ეს ცნება აერთიანებს ყველა იმ ხერხის შესახებ მოძღვრებას, რომელთა საშუალებითაც ხდება რაიმე მოვლენისადმი მიდგომა. ჩვენს შემთხვევაში, ე.ი. სოციოლოგიური გამოკვლევის შემთხვევაში კი, ეს მეთოდოლოგია, რა თქმა უნდა, მოიცავს ყველა იმ მეთოდის შესახებ

მოძღვრებას, რომელთა საშუალებითაც უშუალოდ ხდება სოციოლოგიური გამოკვლევა.

ტერმინი „მეთოდოლოგია", როგორც ვხედავთ, ორი აზრით შეიძლება მოვიხმაროთ: მეთოდოლოგია, როგორც მეთოდების ერთობლიობა და, მეთოდოლოგია, როგორც მეთოდთა ერთობლიობის შესახებ მოძღვრება. უფრო ზუსტი, რა თქმა უნდა, „მეთოდოლოგიის" მეორე მნიშვნელობაა, ვინაიდან იგი ამ შემთხვევაში გულისხმობს პირველსაც.

გამომდინარე იქედან, რომ ტერმინი „მეთოდოლოგია" აღნიშნული ორი მნიშვნელობით მოიხმარება ხოლმე, ხოლო მეორე მისი მნიშვნელობა კი გულისხმობს პირველს, ზოგჯერ ტერმინ „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის" ჩანაცვლება ხდება ტერმინით „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდები", რა თქმა უნდა, ეს მთლად სწორი არ უნდა იყოს, მაგრამ გარკვეული პირობით მაინც მისაღებია.

საქმე ისაა, რომ „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებიცა" და „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიაც", გარკვეული მოსაზრებით, მართლაც, ერთი და იგივეა. მხოლოდ „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია" ამ შემთხვევაში მისი საგნის, კერძოდ კი, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების, რაკურსითაა წარმოდგენილი. ასე რომ, „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებიც" ამ რაკურსით იმავე „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიას" გულისხმობს.

და ჩვენც ამ ორი ტერმინიდან, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებზე სწავლების აღსანიშნავად, მაინც „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიას" და არა „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებს" ვამჯობინებთ.

სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია მეთოდოლოგიური მოძღვრების სამ დონეს მოიცავს. ესენია: სოციოლოგიური გამოკვლევის უნივერსალური ანუ საყოველთაო, განსაკუთრებული და კერძო ანუ სპეციალური მეთოდოლოგია.

პირველი ზოგადფილოსოფიური მეთოდოლოგიაა, მეორე კერძოფილოსოფიური მეთოდოლოგია, ხოლო მესამე საკუთრივ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია.

ხოლო ესაა სამი დონე, სამი სახე სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიისა მისი ფილოსოფიურ მეთოდოლოგიასთან მიმართების კუთხით.

მაგრამ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე სოციოლოგიასთან მიმართების კუთხითაც, მაშინ ამ შემთხვევაშიაც გვექნებოდა სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია სამივე, ყოველ შემთხვევაში, ორი მაინც დონისა თუ სახისა. კერძოდ, ამ შემთხვევაში გვექნებოდა სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგადსოციოლოგიური, კერძოსოციოლოგიური და სპეციფიკურ-სოციოლოგიური მეთოდოლოგია.

სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია შეიძლება დავყოთ, ზოგადად, განსაკუთრებულად და კერძოდ მის დაყოფასთან ერთად, აგრეთვე მის საკუთრივ და არასაკუთრივ მეთოდოლოგიადაც. მაშინ არასაკუთრივი იქნება ყოველგვარი მეთოდოლოგია, რომელიც მეტ-ნაკლებად საერთოა კვლევის სხვა სფეროებთანაც, ხოლო სოციოლოგიური გამოკვლევის საკუთრივი მეთოდოლოგია კი იქნება ის მეთოდლოგია, რომელიც უკვე მხოლოდ სპეციფიკურია, თავისებურია. ესაა მეთოდოლოგია, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ სოციოლოგიური გამოკვლევის სფეროსათვის.

მსგავსად იმისა, თუ როგორი კლასიფიკაციებიცა გვაქვს ჩვენ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიისა თუ მეთოდოლოგიებისა, მსგავსად ამისა გვექნება ჩვენც ასევე კლასიფიკაციებიც თავად სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებისა.

კერძოდ, არსებობს უნივერსალური (საყოველთაო, ზოგადი), განსაკუთრებული და კერძო (ერთეული) მეთოდები სოციოლოგიური გამოკვლევისა, ანუ ზოგადფილოსოფიური, კერძოფილოსოფიური, დაბოლოს, თავად სპეციფიკური მეთოდები სოციოლოგიური გამოკვლევისა.

და ეს სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების კლასიფიკაცია სოციოლოგიური კვლევის სფეროს ფილოსოფიასთან მიმართების კუთხით.

ხოლო რაც შეეხება სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების კლასიფიკაციას სოციოლოგიასთან სოციოლოგიური გამოკვლევის სფეროს მიმართების კუთხით, აქ კი უკვე უნდა გამოვყოთ სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგადსოციოლოგიური, კერძოსოციოლოგიური და სპეციფიკურ-სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდები.

ხოლო თუ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებსაც დავყოფთ საკუთრი-ბა-არასაკუთრიობის პრინციპით, აქაც გვექნება ორი ძირითადი სახე სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებისა: სოციოლოგიური გამოკვლევის საკუთრივი და არასაკუთრივი, სპეციფიკური და არასპეციფიკური მეთოდები.

მაშინ საკუთრივ-სოციოლოგიურ-გამოკვლევითი მეთოდები მხოლოდ და მხოლოდ ის მეთოდები იქნება, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სახელდობრ სოციოლოგიური გამოკვლევის სფეროში, ხოლო არასაკუთრივ-სოციოლოგიურ-გამოკვლევითი მეთოდები კი - ისეთი მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ არა მხოლოდ სოციოლოგიური გამოკვლევის, არამედ სხვაგვარი კვლევის შემთხვევაშიაც.

სოციოლოგიური გამოკვლევის ორგვარი კლასიფიკაცია, რომლებიც ჩვენ აქ წარმოდგენილი გვაქვს, კერძოდ კი, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდები ფილოსოფიასთან მიმართებით და სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდები სოციოლოგიასთან მიმართებით, როგორც ზოგადფილოსოფიური, კერძოფილოსოფიური მეთოდები, ერთის მხრივ, და ზოგადსოციოლოგიური, კერძოსოციოლოგიური მეთოდები, მეორეს მხრივ, სოციოლოგიური გამოკვლევის ზოგად მეთოდებთან ერთად და სპეციფიკურ მეთოდებთან ერთად, რა თქმა უნდა, კავშირშია მათ მეორეგვარ კლასიფიკაციასთან, კერძოდ კი, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებთან საკუთრივი და არასაკუთრივი დაყოფით.

ამ მხრივ კი სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებიდან ზოგადფილოსოფიური და კერძოფილოსოფიური, ასევე ზოგადსოციოლოგიური და კერძოსოციოლოგიური მეთოდები (პირველნი ფილოსოფიური ჯგუფის მეთოდებია, მეორენი სოციოლოგიური ჯგუფისანი) ეს სოციოლოგიური გამოკვლევის არასაკუთრივი მეთოდებია, ხოლო თავად სოციოლოგიური გამოკვლევის სპეციფიკური მეთოდები უკვე მისი საკუთრივი მეთოდები.

ჩვენ აქ მოკლედ მოვხაზავთ იმ მეთოდებს, რომლებიც არასაკუთრივია სოციოლოგიური გამოკვლევის საქმისათვის, მაგრამ მაინც აუცილებელია მისთვის. აუცილებელია იმ აზრით, რომ სოციოლოგიური გამოკვლევა იყოს სრულიად შედეგიანი, ანუ სავსებით ეფექტური.

საქმე ისაა, რომ ამ მხრივ შეიძლება გვქონდეს ორნაირი მიდგომა სოციოლოგიური გამოკვლევის სფეროში.

ერთი მიდგომა ამ მხრივ იქნება იმგვარი, რა დროსაც ჩვენ სოციოლოგიური კვლევისას დავკმაყოფილდებით მხოლოდ და მხოლოდ ამ სფეროსათვის საჭირო სპეციფიკური მეთოდებით, ხოლო მეორე მიდგომა კი - იმგვარი, რა დროსაც ჩვენ ამით მარტო მარტო დავკმაყოფილდებით, არამედ შევავსებთ მათ ასევე სოციოლოგიური კვლევის პროცესში სხვა, არასაკუთრივი მეთოდებითაც.

ამასთან აქ იდეალური იქნებოდა ყოველგვარი მეთოდის გამოყენება, რაც კი რამ სარგებლობას მოგვიტანდა კონკრეტულ სიტუაციაში. ყველა მეთოდი კი ამ მხრივ კარგია, რომელიც კი შეიძლება გამოვიყენოთ მოცემულ სიტუაციაში.

ასე რომ, სოციოლოგიური კვლევის მეთოდთა „შეზღუდვა" მისი მხოლოდ საკუთრივი, სპეციფიკური მეთოდებით ერთგვარი შეზღუდვა იქნებოდა თავად სოციოლოგიური გამოკვლევისაც ეფექტურობის თვალსაზრისით. და თუ საჭიროა ამისთვის, რომ მივაღწიოთ სოციოლოგიური გამოკვლევის სრულ ეფექტურობას, მის მაქსიმალურ შედეგიანობას სოციოლოგიური კვლევის პროცესში, მაშინ უკეთესი არ იქნებოდა ჩაგვერთო ნებისმიერი „გარეშე" მეთოდიც ამ პროცესში?

ხოლო ის გარემოება, რომ ეს უკეთესი იქნებოდა, ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, ვინაიდან სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტი თუ საგანია აბსოლუტურად იზოლირებული, გამოცალკევებული როდია სხვა მოვლენებისაგან და მეთოდებიც, რომლებიც საჭიროა უშუალოდ მისი გამოკვლევისათვის, ასევე კავშირშია იმ მეთოდებთან, რომლებიც მას, ამ სფეროს მეთოდებს აკავშირებს სხვა სფეროს მეთოდებთან. ყოველივე ხომ კავშირშია ერთმანეთთან და მათ შორის კავშირშია ერთმანეთთან ნებისმიერი კონკრეტული სფეროს შესწავლის მეთოდებიც ნებისმიერი სხვა სფეროს შესწავლის მეთოდებთან. საყოველთაო კავშირის არსებობა ეს ხომ ყოფიერების საყოველთაო კანონია და იგი მიუდგება სოციოლოგიური კვლევის სფეროსაც. ამ კავშირის გათვალისწინება კი მეცნიერული შესწავლის უპირველესი სარგებელია. და მართლაც, როცა საკითხი ყოველმხრივადაა შესწავლილი, იგი უკეთესად არაა შესწავლილი?

სოციოლოგიური გამოკვლევის ყველა ის მეთოდი, რომლებიც გამოიყენება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში, საბოლოო ჯამში ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ.

მაშინ პირველი ჯგუფი ამ მეთოდებისა ამ მხრივ იქნება სოციოლოგიური გამოკვლევის გარეშე და მეორე ჯგუფი მეთოდებისა კი - სოციოლოგიური გამოკვლევის საკუთრივი მეთოდები.

ამასთან პირველი - გარეშე ჯგუფის მეთოდები მის მიმართ იქნება ზოგადფილოსოფიური და ზოგადსოციოლოგიური მეთოდები, ანუ ის მეთოდები, რომლებსაც ფილოსოფია საერთოდ და მათ შორის სოციოლოგიაც იყენებენ თავ-თავიანთ სფეროში, ხოლო რაკიღა სოციოლოგიური გამოკვლევის სფეროც ერთ-ერთი სფეროა საერთოდ ყუოფიერებისა და მათ შორის კი - სოციოლოგიური ყოფიერებისაც, გამომდინარე აქედან, მასშიაც მოქმედებს ზოგადფილოსოფიური და ზოგადსოციოლოგიური კანონზომიერებანი. ეს უკანასკნელი კი ქმნის სწორედ შესაძლებლობას და არა მარტო შესაძლებლობას, არამედ, უფრო მეტიც, აუცილებლობასაც კი ზოგადფილოსოფიური და მათ შორის ზოგადსოციოლოგიური მეთოდების სოციოლოგიური გამოკვლევის სფეროზედაც მიყენებისას.

და, მართლაც, სოციოლოგიური გამოკვლევის სფერო იზოლირებული, მოწყვეტილი როდია კვლევის დანარჩენ სფეროებს. და ის კანონზომიერებანი, რაც ვრცელდება სხვა სფეროებზე, ლოგიკურად უნდა ვრცელდებოდეს სოციოლოგიური გამოკვლევის სფეროზედაც.

ასე რომ, სოციოლოგიურ გამოკვლევას თავისი წარმატებისათვის სჭირდება არა მხოლოდ საკუთრივი, არამედ გარეშე - ამ შემთხვევაში - ზოგადფილოსოფიური და ზოგადსოციოლოგიური მეთოდებიც, ამასთან აუცილებლადაც.

სოციოლოგიური გამოკვლევის ფილოსოფიური მეთოდები ორი ჯგუფისაა, ერთია ზოგადი და მეორე - კერძო მეთოდები.

ფილოსოფიის ზოგადი, ანუ საყოველთაო, ანუ უნივერსალური მეთოდები ის მეთოდებია, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სინამდვილის ნებისმიერი მოვლენის მიმართ მაქსიმალურად ზოგადი კუთხით, ხოლო ფილოსოფიის კერძო მეთოდები კი ის მეთოდებია, რომლებიც ასევე შეიძლება გამოვიყენოთ სინამდვილის ნებისმიერი მოვლენის მიმართ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული, კერძო კუთხით. ფილოსოფიის ზოგადი მეთოდები ამ მხრივ ყოველმხრივი მეთოდებია, ხოლო ფილოსოფიის კერძო მეთოდები არაყოველმხრივი, ცალმხრივი.

ფილოსოფიის ზოგადი მეთოდები, უფრო ზუსტად, მთლიანი მეთოდებია მასში. როდესაც მისი კერძო მეთოდები - ნაწილობრივნი.

ფილოსოფიის უზოგადესი, საყოველთაო, უნივერსალური თავიანთი ყოველმხრიობითა და მთლიანობით მეთოდებია კერძოდ ე.წ. „დიალექტიკური“ და „მეტაფიზიკური“ მეთოდები, ხოლო ფილოსოფიის კერძო, განსაკუთრებული მეთოდები თავიანთი ცალმხრიობითა და ნაწილობრიობით ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, ანალოგიისა (მსგავსებისა) და განსხვავების, ისტორიულისა და ლოგიკურის, მოდელირების, სტრუქტურირებისა და მისთანა მეთოდები.

იგივე რაც ითქვა ზოგადფილოსოფიურ მეთოდებზე სოციოლოგიური გამოკვლევის სფეროს მიმართ, ითქმის ასევე ზოგადსოციოლოგიურ მეთოდებზედაც იმავე სოციოლოგიური

გამოკვლევის სფეროს მიმართ ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ფილოსოფიური მეთოდები უნივერსალური მეთოდებია, ხოლო სოციოლოგიური მეთოდები კი - არა.

საქმე ისაა, რომ ფილოსოფიური მეთოდები მთელი ყოფიერების, მთელი არსის, მთელი სინამდვილის შესწავლისათვის საჭირო მეთოდებია, ხოლო სოციოლოგიური მეთოდები კი მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების, სოციუმის შესწავლისათვის საჭირო მეთოდები.

ზოგადსოციოლოგიური მეთოდები, ისევე როგორც საერთოდ ზოგადფილოსოფიური მეთოდები აუცილებელია და სასარგებლო სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესისათვის. ასე რომ, ყველა ის მეთოდი, რომელიც საერთოდ შეიძლება იყოს ზოგადსოციოლოგიური მეთოდი, ანუ საზოგადოების, ანუ სოციუმის გამოკვლევის მეთოდი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იქნება საზოგადოების, სოციუმის კონკრეტული პრობლემების გამოკვლევის სფეროშიაც. კონკრეტული ხომ აბსტრაქტულის გარეშე, კერძო ზოგადის გარეშე ხომ არც არსებობს.

სოციოლოგიური გამოკვლევის გარეშე ფილოსოფიური და სოციოლოგიური მეთოდები სოციოლოგიური გამოკვლევის მიმართ იქნება მისი ზოგადი და განსაკუთრებული მეთოდები. პირველ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ფილოსოფიური მეთოდები, მეორე შემთხვევაში კი - სოციოლოგიური მეთოდები.

ხოლო რაც შეეხება საკუთრივ-სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს, სოციოლოგიური გამოკვლევის მიმართ ისინი უკვე იქნება მისი კერძო მეთოდები

ასეთია „ურთიერთგანლაგება“ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებისა სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები ერთმანეთთან კავშირშია. ისინი ამ მხრივ გარკვეულ წესრიგს ქმნიან. სოციოლოგიური კვლევის ყველა მეთოდს თავისი ადგილი უჭირავს სოციოლოგიური კვლევის მეთოდთა ერთობლიობაში. ეს ადგილი კი განისაზღვრება კერძოდ მათიო ადგილით სწორედ სოციოლოგიური კვლევის მეთოდთა სისტემაში.

„სისტემა“ ბერძნული სიტყვაა და იგი ჩვენს შემთხვევაში „წესრიგს“ ნიშნავს. უფრო სწორედ, „სისტემა“ „რაიმე ელემენტთა (ნაწილთა) მოწესრიგებულ მთლიანობას“ ნიშნავს.

სისტემის ცნება, აქედან გამომდინარე, არა ნებისმიერ მთლიანობას, არამედ სწორედ მოწესრიგებულ (ორგანიზებულ) ერთიანობას ანუ მთლიანობას გულისხმობს, ხოლო რაც შეეხება, სახელდობრ, სოციოლოგიური კვლევის სისტემას, იგი სწორედ სოციოლოგიური კვლევის მეთოდთა მოწესრიგებულ (ორგანიზებულ) ერთიანობას ანუ მთლიანობას გულისხმობს.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები მრავალსახოვანია. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციოლოგიური კვლევის უამრავი სხვადასხვა სახე არსებობს. თუმცა ეს მეთოდები უწესრიგოდ როდი არიან „ჩაყრილნი“ ამ მეთოდთა მრავალსახეობაში, არამედ სწორედ რომ თავ-თავისი მკაცრად განსაზღვრული ადგილი უჭირავთ მათს ერთობლიობაში. კერძოდ აქ იგულისხმება ამ მეთოდთა მკაცრად განსაზღვრული დანიშნულებანი (ფუნქციანი) მათს ურთიერთმიმართებაში.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულებაში ქმნიან იმგვარ მიმართებას, რომელსაც მათი სუბორდინაცია-კოორდინაცია შეიძლება ეწოდოს. და, მართლაც, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები ერთმანეთთან სუბორდინაციაშიც იმყოფებიან და კოორდინაციაშიც, რა თქმა უნდა, ნორმალურ სიტუაციაში. და თუ მათი სუბორდინაციულობა-კოორდინაციულობა ამ მხრივ ჯეროვნად უზრუნველყოფილი არ იქნება, მაშინ ისინი ვერ შეასრულებენ თავ-თავიანთ დანიშნულებას (ფუნქციას), ყოველ შეთხვევაში საუკეთესოდ მაინც.

ამიტომ, აქედან გამომდინარე, სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სისტემურობა ანუ მათი შინაგანი მოწესრიგებულობა ერთ მთლიანობად სოციოლოგიური კვლევის ეფექტიანი (შედეგიანი) წარმართვის საწინდარია.

აქედან გამომდინარე კი, სოციოლოგიური კვლევის პროცესში გამოყენებული სისტემურობის უზრუნველყოფა სოციოლოგიური კვლევისადმი წაყენებული უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, ვინაიდან სოციოლოგიურად საკვლევი საკითხის, თემის, პრობლემის

ყოველმხრივი, კომპლექსური შესწავლა, მისი სრული „გამოძიება“ მისადმი მეთოდების მხრივაც ყოველმხრივი, კომპლექსური, სრული და, მაშასადამე, სისტემური დამოკიდებულების, მიდგომის გარეშე დამაკმაყოფილებელი არ იქნებოდა. საგნის სისტემურ გამოკვლევას ხომ მხოლოდდამხოლოდ მისადმი მეთოდოლოგიურადაც „სისტემური“ მიდგომა განაპირობებს და უზრუნველყოფს.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდების კოორდინაცია გულისხმობს მათ შეთანხმებას „ჰორიზონტალურ“ განზომილებაში ანუ თანაბარ დონეზე, როდესაც კვლევის დროს ერთი მეთოდი მეორე მეთოდის თანაბრად გამოიყენება, ხოლო სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სუბორდინაცია - მათ შეთანხმებას უკვე „ვერტიკალურ“ განზომილებაში ანუ ურთიერთდაქვემდებარებულ პლანში, როდესაც კვლევის დროს ერთი მეთოდი იქვემდებარებს მეორეს ანდა, პირიქით, ექვემდებარება მას.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სისტემა ორივე ასპექტს გულისხმობს თანაბარი ღირსებით, ასე რომ, სუბორდინაციაცა და კოორდინაციაც სოციოლოგიური კვლევის მეთოდთა სისტემის აუცილებელი პირობაა.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდები ქმნიან ერთ დიდ მთლიანობას, ისინი „ურთიერთგადაჯაჭვნულნი არიან ერთმანეთთან და ეს ურთიერთკავშირი მათ შორის განაპირობებს თითოეული მათგანის მაქსიმალურ ეფექტიანობას (შედეგიანობას). მითუმეტეს, როდესაც ეს მთლიანობა მოწესრიგებულია, ორგანიზებულია ანუ ჰარმონიზებულია. და სწორედ ჰარმონიზებულ მთლიანობას სოციოლოგიური კვლევის მეთოდებისას გულისხმობს სახელდობრ სოციოლოგიური კვლევის მეთოდების „სისტემაც“.

როგორც ვხედავთ, „სისტემურობა“ ახასიათებს არა მხოლოდ სოციოლოგიური კვლევის თეორიას, არამედ სოციოლოგიური კვლევის მეთოდსაც, არა მხოლოდ მის თეორიულ ნაწილს, არამედ მეთოდურ ნაწილსაც, ე.ი. სოციოლოგიური კვლევის მეთოდებოიც ქმნიან „სისტემას“, სადაც ყველა მეთოდს თავის „ღირსებისამებრ“ თავისი შესაფერისი ადგილი უჭირავს. ასეა ეს „ნორმალურ“ სოტუაციაში და თუ ეს ასე არაა, მით უარესი ფაქტისათვის. ასე რომ, ამ მხრივ საჭიროა

მუდმივი ზრუნვა სოციოლოგიური კვლევის მეთოდების სწორედ სისტემურობისათვის.

ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციოლოგიური კვლევის პროცესში მეთოდთა სისტემურობის საკითხს, ეს ნათლად შეიძლება გამოჩნდეს განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში სპეციალურ ლიტერატურაში წინ წამოწეული ე.წ. სინერგიის მეთოდის სახით. ხოლო სინერგეტიკული მეთოდი კი სწორედ ის მეთოდია, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად და მკაფიოდ უჩვენებს სოციოლოგიური კვლევისა და საერთოდაც მეცნიერული კვლევის პროცესში მეთოდთა სისტემურობის ფაქტორის მნიშვნელობას.

საქმე ისაა, რომ სისტემური კვლევა ნებისმიერ შემთხვევაში უფრო ეფექტურია, ვიდრე უსისტემო კვლევა. და, მართლაც, სისტემური კვლევა საგნის უფრო ღრმა შესწავლის საშუალებას იძლევა, ვიდრე მისი არასისტემური კვლევა, ვინაიდან პირველ შემთხვევაში საგანს მთლიანობამდე ვსწვდებით, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში კი ეს არ ხერხდება. ასე რომ, საგნის სრული წვდობა მხოლოდ მისი სისტემური და არა მისი არასისტემური კვლევის პირობითაა შესაძლებელი.

მაგრამ რაშია „საიდუმლო" სისტემური კვლევის უსისტემო კვლევაზე უპირატესობისა?

საქმე ისაა, რომ სისტემური ანუ მთლიანობით კვლევისას საგანი განიხილება მისი ყველა მხარის კავშირურთიერთობაში, სწორედ რაც მას ხდის აღმატებულად სხვაგვარ, ამჯერად კი არასისტემურ კვლევაზე, როდესაც საგანი ამგვარ კავშირურთიერთობებში არ განიხილება. „სინერგეტიკული მეთოდი" კი იმგვარ მიდგომას გულისხმობს საგნის კვლევისას, როდესაც მის მიმართ აღნიშნული „მთლიანობითი" მიდგომა ხორციელდება, ხოლო სოციოლოგიური კვლევის ისევე როგორც ნებისმიერი სხვაგვარი მეცნიერული კვლევის შეთხვევაში კი ამგვარ მიდგომას უდიდესი ეფექტი ახლავს თან.

მაინც რატომ იძლევა ამგვარი მეთოდი კვლევის უფრო მეტ შედეგს საწინააღმდეგო შემთხვევასთან შედარებით?

აქ ჩვენ უნდა გავიხსენოთ მთელისა და ნაწილის ფილოსოფიური კატეგორიის სპეციფიკური, თავისებური ნიშან-თვისებანი.

საქმე ისაა, რომ „მთელი“ ეს, მართლაც, განსაკუთრებული ფილოსოფიური კატეგორიაა ყველა სხვა ფილოსოფიურ კატეგორიას შორის იმით, რომ არ დაიყვანება მისი ნაწილების ჯამზე. მოკლედ, მთელი ნაწილების უბრალო არითმეტიკული ჯამი როდია, არამედ, უფრო მეტიც, აღემატება მას.

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მთელი საერთოდ არაა „არითმეტიკული სუმმა“ ნაწილებისა, არამედ სრულიად სხვა რამ თვისობრიობა. ოღონდ ერთი დაზუსტებით: თუ ეს მთელი, მითუმეტეს, „ორგანული მთელია“ და არა „მექანიკური მთელი, ხოლო „ორგანული“ იგი მაშინ იქნება, თუ მისი ნაწილები სხვადასხვაგვაროვანია, განსხვავებით „მექანიკურისაგან“, როდესაც მისი ნაწილები ერთგვაროვანია, თუმცა „მექანიკური მთელიც“ კი მიუხედავად მისი ნაწილების ერთგვაროვნებისა, როდი დაიყვანება მისი ნაწილების ჯამზე.

ასე რომ, ორივე შემთხვევაში - „მექანიკურის“ შემთხვევაშიაც და, მითუმეტეს, „ორგანულის“ შემთხვევაშიაც - მთელი რაოდენობრივადაც და რაგვარობრივადაც აღემატება მისი ნაწილების ჯამს, ოღონდ „რაოდენობრივად“ მექანიკური მთელის შემთხვევაში და “თვისობრივად“ კი - ორგანული მთელის შემთხვევაში.

საქმე აქ ისაა, რომ არსებობს ე.წ. „ადიციური“ და ე.წ. „სუბადიციური“ მთელები, რომელთაგან პირველი „კრებითი“ ხასიათისაა, მეორე კი - არა.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში მთელი მაინც აღემატება ნაწილების ჯამს. სწორედ აქედან გამომდინარე კი, „სინერგიის“ შემთხვევაშიაც, ჩვენ გვაქვს ანალოგიური მდგომარეობა: სხვადასხვა ფაქტორის ერთობლივი თანაქმედებისას ეს ფაქტორები მეტ „ძალას იძენენ“ და სხვა „შედეგებს იძლევიან“. ამაშია სწორედ სინერგიული ფაქტორის მთელი საიდუმლო, მთელი მისი მისტიკა, რასაც განსაკუთრებით ხაზგასმით აღმნიშნავენ ხოლმე „ჰოლისტები“, მთელის შესახებ განსაკუთრებული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები.

ყოველივე ნათქვამს თუ ჩვენს შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდთა სფეროზე განვავრცობთ, მაშინ ნათელი გახდება ის დიდი მნიშვნელობაც, რაც ამ მხრივ სოციოლოგიური

გამოკვლევის მეთოდოლოგიაში ენიჭება მეთოდთა სინერგიის ფაქტორს. ხოლო ამ ფაქტორს ჩვენ აქ შეგვიძლია სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიური სინერგიის ფაქტორი ანუ მეთოდთა სინერგიის ფაქტორი ვუწოდოთ.

ხოლო ამასთან დაკავშირებით კი ნათელი უნდა იყოს ისიც, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა სოციოლოგიური გამოკვლევის სფეროში გააჩნია სწორედ შესაბამის მეთოდთა კოორდინაცია-სუბორდინაციის, ანუ საერთოდ სისტემურ-კომპლექსური მეთოდის ფაქტორს მისი ეფექტურობის მაქსიმალური ამაღლებისათვის. განსხვავებულ მეთოდთა სისტემური, კომპლექსური თუ სინერგიული გამოყენება მათი „ურთიერთქმედების", „თანამშრომლობის" სახით, მაშასადამე, სოციოლოგიური გამოკვლევის ეფექტურობის ამაღლების, მისი მაქსიმალური წარმატების აუცილებელი საწინდარია.

თავი 3.

სოციოლოგიური გამოკვლევის არსი

„სოციოლოგიურმა გამოკვლევის არსის“ საკითხი სოციოლოგიური მეცნიერების შიდა საკითხია, ვინაიდან იგი, ეს საკითხი თავად სოციოლოგიურ მეცნიერებას ეხება და არა იმას, რაც მის ფარგლებს მიღმაა, როგორც, მაგალითად, „სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის“ საკითხის შემთხვევაში, როდესაც ეს „საგანი“ უკვე სოციოლოგიური მეცნიერების გარეთ დევს.

პირველი, თუ ასე შეიძლება ითქვას, ერთგვარად „რეფლექსიური“ ანუ საკუთარ თავზე მიმართული საკითხია, მეორე კი „არარეფლექსიური“ ანუ უცხო საგანზე მიმართული საკითხი.

სოციოლოგიური გამოკვლევის არსის საკითხი, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს სოციოლოგიური გამოკვლევის რაობის საკითხს, ანუ საკითხს იმის თაობაზე, თუ რას გულისხმობს თავად სოციოლოგიური გამოკვლევის ცნება, როგორია მისი სპეციფიკა, მისი თავისებურება სოციოლოგიური მოვლენების წრეში.

აქ კი, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ სოციოლოგიური გამოკვლევა როგორც სოციოლოგიური მოვლენა, სოციოლოგიური ფენომენი ანუ სოციოლოგიასთან როგორც მეცნიერებასთან დაკავშირებული მოვლენათა ფენომენი ერთ-ერთია სხვა სოციოლოგიური მოვლენათა თუ ფენომენთა წრეში და მას თავისი საკუთარი სპეციფიკა, თავისებურება გააჩნია.

ასე რომ, სოციოლოგიურ გამოკვლევაში „სოციოლოგიური“ ანალოგიურია, მსგავსია, საერთოა, ხოლო „გამოკვლევა“ სპეციფიკური, თავისებური, საკუთრივი, განსხვავებული, განსაკუთრებული მასში.

სოციოლოგიური გამოკვლევა „სოციოლოგიურის“ ნაწილში გულისხმობს ამა თუ იმ სოციალური საკითხის გამოკვლევას სოციოლოგიური მეცნიერების კუთხით, სოციოლოგიური მეცნიერების შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა მისი საშუალებით.

სოციოლოგიური გამოკვლევის სპეციფიკა მისი „სოციოლოგიურის“ ნაწილში გულისხმობს ამა თუ იმ სოციალური საკითხის გამოკვლევას ზოგადსოციალური კუთხით, ვინაიდან სოციოლოგია განსხვავებით ყველა სხვა სოციალურის შემსწავლელ მეცნიერებათაგან სწორედ ზოგადსოციალური თეორიაა. სოციოლოგია საზოგადოებას, სოციუმს ხომ სწორედ ზოგადად შეისწავლის.

ასე რომ, სოციოლოგიას თავის გამოკვლევებში მუდამ სოციალური საკითხის ზოგადი მხარე აინტერესებს.

რაც შეეხება სოციოლოგიურ გამოკვლევას, მისი „გამოკვლევის“ ნაწილში, იგი ამ კუთხით საკვლევი სოციალური საკითხის „გამოძიებას“, მის „გამორკვევას“, მის „შესწავლას“ გულისხმობს. ესაა ამ ნაწილში სოციოლოგიური გამოკვლევის სწორედ სპეციფიკა, მისი თავისებურება. სოციოლოგიური გამოკვლევა ამ მხრივ რაღაც საგანგებო, სპეციფიკურ ძალისხმევას, საგანგებო, სპეციალურ ღონისძიებას გულისხმობს, სწორედ ამ მიმართულებით რაიმე სოციალური საკითხის შემეცნებას.

სოციოლოგიური გამოკვლევა, მაშასადამე, სოციოლოგიური შემეცნებაა ანუ არეკვლაა ცნობიერებაში იმ სოციალური საკითხებისა, რომლებიც მას, ამ მეცნიერებას აინტერესებს.

ისევე როგორც შემეცნებას საერთოდ, სოციოლოგიურ გამოკვლევასაც როგორც შემეცნების ერთ-ერთ სახეს, თავისი აუცილებელი პირობები გააჩნია. ესენი ის პირობებია, ურომლისოდაც სოციოლოგიური გამოკვლევა, ანუ სოციოლოგიური შემეცნება არც არსებობს.

ასეთი პირობა სულ სამია: 1) სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტი ანუ საგანი, ე.ი. ის, რაზედაც მიმართულია სოციოლოგიური გამოკვლევა, 2) სოციოლოგიური გამოკვლევის სუბიექტი ანუ პირი, ე.ი. ის, ვინც წარმართავს სოციოლოგიურ გამოკვლევას, ამ შემთხვევაში „მკვლევარი-სოციოლოგი“, 3) თავად სოციოლოგიური გამოკვლევა, ანუ თავად სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესი, ე.ი. მსვლელობა, მისი მიმდინარეობა.

სამივე ეს პირობა სოციოლოგიური გამოკვლევის საკმარისი პირობებია, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციოლოგიური გამოკვლევის რეალიზაციას, ანუ მის განხორციელებას.

მთავარი სოციოლოგიური გამოკვლევის ამ სამ პირობას შორის, რა თქმა უნდა, სოციოლოგი-მკლევარი, ანუ სოციოლოგიური გამოკვლევის სუბიექტია, პირია, ვინაიდან, მართლაც, იგია წარმმართველი მთელი ამ შემეცნებითი პროცესისა.

ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა შორის მთავარი, რა თქმა უნდა, სუბიექტური ფაქტორია, ვინაიდან სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტი თვითონ ხომ არ შეისწავლის თავის თავს, მას ხომ შესწავლა შემსწავლელის, მკვლევარის მეშვეობით უხდება.

სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტური და სუბიექტური მხარე მის მხოლოდ „ობიექტსა“ და „სუბიექტს“ როდი გულისხმობს, არამედ ისინი სხვა რამესაც გულისხმობენ. და, მართლაც, ერთია სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტისა და სუბიექტის როგორც მისი ობიექტური და სუბიექტური მხარე და მეორე - თავად საკუთრივ სოციოლოგიური გამოკვლევის კიდევ ობიექტური და სუბიექტური მხარეები.

ამ მხრივ კი უნდა აღინიშნოს ის, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტური მხარეა მისი ის მხარე, რომელიც მკლევარი-სოციოლოგის ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული, ხოლო სოციოლოგიური გამოკვლევის სუბიექტური მხარეა მისი ის მხარე, რომელიც უკვე სოციოლოგი მკვლევარის ნება-სურვილზე, მის ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

ხოლო ამ თვალსაზრისით ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკვლევა ორმხრივი პროცესია, როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მხარეების მომცველი. მართლაც, ყოველგვარ სოციოლოგიურ გამოკვლევას თან ახლავს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათის მოვლენათა რიგი. თითოეული აუცილებელია, ორივე ერთად კი საკმარისი იმისათვის, რათა განხორციელდეს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესი, ე.ი. სოციოლოგიური გამოკვლევის შესაძლებლობა იქცეს ნამდვილ რეალობად.

ყოველგვარი სოციოლოგიური გამოკვლევის საბოლოო მიზანია მოგვცეს სოციოლოგიური ცოდნა, ხოლო სოციოლოგიური ცოდნა გულისხმობს კვლევის პროცესში რაიმე სოციალური ფაქტისა და მისთვის დამახასიათებელი სოციალური კანონზომიერების დადგენას, ე.ი. აქ საყურადღებოა ორი რამ: ჯერ ერთი, სოციალური ფაქტისა თუ ფაქტებისა და მეორეც, მისთვის თუ მათთვის დამახასიათებელი სოციალური კანონზომიერებისა თუ კანონზომიერებების დადგენა.

სოციოლოგიურ გამოკვლევას ორი ძირითადი დონე გააჩნია, მსგავსად საერთოდ შემეცნების პროცესისა, ესენია ემპირიული და თეორიული დონე.

სოციოლოგიური გამოკვლევის ემპირიული, ანუ გრძნობადი დონე, თავად სახელწოდებიდან გამომდინარე გულისხმობს სოციოლოგიურ გამოკვლევას სწორედ ემპირიული, ე.ი. გრძნობადი, ანუ ცდისეული შემეცნების ფარგლებში. შესაბამისადვე ემპირიული, ანუ გრძნობადი, ცდისეული მეთოდებით.

რაც შეეხება სოციოლოგიური გამოკვლევის თეორიულ ანუ გონით დონეს, აქაც, თავად სახელწოდებიდან გამომდინარე, იგი გულისხმობს სოციოლოგიურ გამოკვლევას უკვე თეორიულ ანუ გონით ფარგლებში შესაბამისადვე თეორიული ანუ გონითი მეთოდებით.

სოციოლოგიური გამოკვლევის ორ ძირითად ემპირიულ და თეორიულ - დონეს შორის პირველი უფრო დაბალი, ხოლო მეორე კი - უფრო მაღალი დონეა, ანუ საფეხურია მისი, გამომდინარე გნოსეოლოგიის იმ ზოგადფილოსოფიური ჭეშმარიტებიდან, რომ თეორიული შემეცნება საერთოდ შემეცნების უფრო მაღალი საფეხურია და, მაშასადამე, დონეც, ვიდრე ემპირიული შემეცნება, ვინაიდან ემპირიული შემეცნების შემთხვევაში საქმე გვაქვს შეგრძნებებთან, აღქმებთან, წარმოდგენებთან, ხოლო თეორიული შემეცნების შემთხვევაში კი - უკვე ცნებებთან, მსჯელობებთან, დასკვნებთან.

უკანასკნელი სამი რამ კი შემეცნების ზოგად თეორიაში ანუ ფილოსოფიურ გნოსეოლოგიაში პირველ სამთან შედარებით ხომ შემეცნების უფრო მაღალ ფორმებად განიხილება, რადგანაც მათი მეშვეობით საერთოდ შემეცნებაშიაც და კერძოდ სოციოლოგიურ გამოკვლევაშიაც ჩვენ შეგვიძლია ვწვდეთ არა ერთეულს, შემთხვევითს,

არაარსებითს (პირველ შემთხვევაში), არამედ მათზე უფრო მეტსაც, უფრო მაღალსაც ზოგადს, აუცილებელს, არსებითს (მეორე შემთხვევაში).

როცა სოციოლოგიურ გამოკვლევაზეა საუბარი, უფრო ხშირად მის პირველ, ემპირიულ დონეს გულისხმობენ ხოლმე. ამიტომ „სოციოლოგიური გამოკვლევა" უფრო ხშირად გაგებულია როგორც სწორედ „ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევა". ამისი მიზეზი კი ისაა, რომ სოციოლოგიურ გამოკვლევას პრაქტიკაში უფრო სწორედ ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევის სახე ეძლევა.

მაგრამ ეს ლოგიკურად ესე როდი უნდა იყოს. უბრალოდ თანამედროვე სოციოლოგია ყოველდღიური პრაქტიკული საჭიროებისა გამო ორიენტირებულია უფრო ხშირად საზოგადოებრივი ცხოვრების, მართლაც, ყოველდღიურ კონკრეტულ პრობლემებზე.

სხვათა შორის, ამიტომაც სოციოლოგიური გამოკვლევები ასოცირებულია ასევე ე.წ. კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევებთან, ვინაიდან ამ შემთხვევაშიაც საზოგადოება უფრო დაკავებუ;ლია კონკრეტული და არა აბსტრაქტული სოციალური პრობლემებით.

ამგვარად, „სოციოლოგიური გამოკვლევები", ატარებენ რა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო ხშირად „ემპირიულ" და „კონკრეტულ" ხასიათს, ჩვენს ყოველდღიურ წარმოდგენაში გაიგივებულია სწორედ „ემპირიულ-და კონკრეტულ" სოციოლოგიურ გამოკვლევებთან.

ანალოგიურად იმისა, რომ ემპირიულ-სოციოლოგიურ გამოკვლევას აქვს თავისი საპირისპირო თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევის სახით, ე.წ. კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევასაც ლოგიკურად უნდა ქონდეს უკვე თავისი საპირისპირო რაღაც აბსტრაქტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის სახით.

თუმცა კი ეს უკანასკნელი ტერმინი ყოველ შემთხვევაში არ მოიხმარება, ამ სახელით სოციოლოგიური გამოკვლევის შესაბამისი სახის არსებობა გამორიცხული როდია. უბრალოდ, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ უფრო დაინტერესებულნი ვართ კონკრეტულით, ვიდრე აბსტრაქტულით, მსგავსად ემპირიულისა

თეორიულთან მიმართებით, ვინაიდან „ემპირიული“ და „კონკრეტული“ სოციალური პრობლემები უფრო „თვალშისაცემია“ და მასობრივად მისაწვდომი.

სოციოლოგიური გამოკვლევის სახეები ანუ ფორმები უამრავია.

სოციოლოგიური გამოკვლევის მრავალსახეობა გამოწვეულია თავად იმ მიდგომის მრავალსახეობით, რა მიდგომითაც ჩვენ გვაინტერესებს სოციოლოგიური კვლევაც სოციოლოგიური კვლევის საგნის მიმართ; ყველაფერი ეგ დამოკიდებულია იმაზე თუ რა კუთხით, რა რაკურსით ხდება შესწავლა სოციოლოგიური გამოკვლევის საგნისა.

აქ კი გამოიყოფა უამრავი ასპექტი და ქვეასპექტი, გააჩნია, თუ რას დავუდებთ საფუძვლად სოციოლოგიური გამოკვლევის დაყოფას სახეებად. დაყოფის სხვადასხვა საფუძვლისა თუ პრინციპის შესაბამისად, ბუნებრივია, გვექნება სოციოლოგიური გამოკვლევის სხვადასხვა სახე სხვადასხვა ასპექტით, სხვადასხვა განასერით.

სოციოლოგიური გამოკვლევის სახეთაგან ანუ ფორმათაგან ჩვენ აქ, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება დავასახელოთ მისი ისეთი სახეები, როგორებიცაა: ემპირიული და თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევა სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის წვდომის სიღრმის, მისი შემეცნების სიღრმის ასპექტით.

ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევა საგნის წვდომის სიღრმით მისი პირველი დაბალი საფეხურია, ვინაიდან ამ შემთხვევაში საგანი გამოიკვლევა მხოლოდ გრძნობადობის დონეზე, მაშინ როდესაც თეორიული სოციოლოგიური გამოკვლევა კი უკვე მეორე, უფრო მაღალი საფეხურია ამ გამოკვლევისა, ვინაიდან ამ შემთხვევაში საგანი გამოკვლევისა შეიმეცნება უკვე გონებითობის დონეზე, საგნის წვდომის სიღრმეც აქ უფრო მეტია.

სოციოლოგიური გამოკვლევის სხვა სახეებად შეიძლება დავასახელოთ კონკრეტული და აბსტრაქტული სოციოლოგიური გამოკვლევა. აქ კი უკვე დაყოფის პრინციპად გამოდის საგნის განსაზღვრულობის ასპექტი. კონკრეტული ეს ხომ მრავალ განსაზღვრულობათა ერთობლიობაა და მაშინ აბსტრაქტული ამის საპირისპირო იქნება, ანუ განყენებული, ცალკეულობათაგან განცალკევებული რამ მოვლენა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევა გულისხმობს სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის შესწავლას კერძო მიმართებებით, მაშინ როდესაც აბსტრაქტული სოციოლოგიური გამოკვლევა მის შესწავლას ამ კერძო მიმართებებისაგან განყენებით - ზოგადი კუთხით.

სოციოლოგიური გამოკვლევის სხვა სახეებია მისი ფუნდამენტური და გამოყენებითი სახეები. ამ შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევის ეს მხარეები გამოყოფილია სოციოლოგიური გამოკვლევის მიზნის სიშორე-სიახლოვის ასპექტით. კერძოდ კი, ფუნდამენტური სოციოლოგიური გამოკვლევა გათვლილია შორეულ სოციალურ მიზნებზე, მაშინ როდესაც გამოყენებითი სოციოლოგიური გამოკვლევა, პირიქით, ახლო სოციალურ მიზნებზე; პირველი ძირეულ სოციალურ პრობლემებზეა გათვლილი, ხოლო მეორე არაძირეულ, ყოველდღიურ სოციალურ პრობლემებზე.

სოციოლოგიური გამოკვლევის შიგნით შეიძლება გამოვყოთ მისი ისეთი სახეები, როგორებიცაა ხანმოკლე და ხანგრძლივი სოციოლოგიური გამოკვლევები. დაყოფის პრინციპი ამ შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევის სწორედ ხანმოკლეობა-ხანგრძლივობა ანუ დრო იქნება. ამ მხრივ კი კერძოდ გამოყოფენ: ხანგრძლივ (სამი წლიდან უფრო მეტამდე), საშუალოდ ხანგრძლივ (6 თვიდან 3 წლამდე), მესამე ხანმოკლე (2-დან 6 თვემდე) და მეოთხე ექსპრეს-გამოკვლევებს (1-2 კვირიდან 1-2 თვემდე).

სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარების სიხშირის მიხედვით გამოყოფენ სოციოლოგიური გამოკვლევის ისეთ სახეებს, როგორებიცაა ერთჯერადი და მრავალჯერადი სოციოლოგიური გამოკვლევები.

სოციოლოგიური გამოკვლევები შეიძლება დავყოთ მის იმგვარ სახეებადაც, როგორებიცაა გლობალური, რეგიონალური, ლოკალური სოციოლოგიური გამოკვლევები, იმ ტერიტორიული მასშტაბების მიხედვით, რომლებითაც მოცული იქნება სოციოლოგიური გამოკვლევა ამა თუ იმ შემთხვევაში. პირველი ამ შემთხვევაში მოიცავს საყოველთაო, მსოფლიო, გლობალურ პრობლემებს, მეორე - მსოფლიოს ამა თუ იმ დიდი მხარეების - რეგიონების სოციალურ პრობლემებს,

ხოლო ლოკალური მცირე ტერიტორიულ, ანუ ადგილობრივ სოციალურ პრობლემებს.

სოციოლოგიური გამოკვლევების შიგნით შეიძლება გამოვყოთ აგრეთვე მისი იმგვარი სახეები, როგორებიცაა მაკრო და მიკროსოციოლოგიური გამოკვლევები, თავად სოციოლოგიური მეცნიერების ორ სხვადასხვა სფეროდ, მის ორ სახედ: მაკროსოციოლოგიად და მიკროსოციოლოგიად დაყოფის საფუძველზე. მაშინ მაკროსოციოლოგიური გამოკვლევა, ბუნებრივია, იგულისხმებს სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის შესწავლას, სახელდობრ მაკროსოციოლოგიის კუთხით, მაკროსოციოლოგიის დონეზე, ხოლო მიკროსოციოლოგიური გამოკვლევა კი მის შესწავლას უკვე, შესაბამისად, მიკროსოციოლოგიის კუთხით, მიკროსოციოლოგიის დონეზე.

დაყოფის პრინციპი ამ შემთხვევაში კი თავად მაკრო და მიკრო-სოციოლოგიათა შორის განსხვავებაა. ხოლო მაკროსოციოლოგიასა და მიკროსოციოლოგიას შორის ის განსხვავებაა, რომ მაკროსოციოლოგია ეხება „მსხვილ" სოციალურ პრობლემებს თავისი მასშტაბით, ხოლო მიკროსოციოლოგია, შესაბამისად, - „წვრილ" სოციალურ პრობლემებს თავისი მასშტაბით.

ხოლო რაც კი შეეხება უკვე სოციალურ პრობლემათა „სიმსხო-სივიწროვის" კრიტერიუმს, მათ საზომს, იგი, ეს კრიტერიუმი, ეს საზომი მთლად ერთმნიშვნელოვანი, მყარი როდია, არამედ იგი მოძრავია. ეს ორი რამ ურთიერთშეფარდებითი, ურთიერთრელატიური მოვლენებია, ამიტომ სხვადასხვა სიტუაციაში მათი საზღვრების თანაფარდობა სხვადასხვაა.

სოციოლოგიური გამოკვლევის სახეებს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში სოციოლოგიური ანალიზის სიღრმის მიხედვით ყოფენ ძიებით, ანუ დაზვერვით, აღწერით, ანუ დესკრიფციულ და ანალიტიკურ სოციოლოგიურ გამოკვლევებად. აქ თავად ტერმინები „ძიებითი" = „დაზვერვითი", „აღწერითი" = „დესკრიფციული" თუ „ანალიტიკური" უკვე ბევრს რამეს გვეუბნება სოციოლოგიური გამოკვლევის ამ სახეთა არსის, მათი რაობის შესახებ.

და, მართლაც, „ძიებითი“, ანუ „დაზვერვითი“ სოციოლოგიური გამოკვლევის მიზანი სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის სწორედ წინასწარი, დაზვერვითი, მოძიებითი შესწავლაა. გამოიყენება ნაკლებად შედსწავლილი ანდა მთლად შეუსწავლელი სოციალური მოვლენების გამოსაკვლევად.

მსგავსად პირველისა, აღწერითი სოციოლოგიური გამოკვლევის მიზანიც სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის სწორედ „აღწერაა“, ანუ შესწავლა მთლიანობაში, ოღონდ მათი განმსაზღვრელი ფაქტორების გარეშე.

ხოლო რაც შეეხება ანალიტიკურ-სოციოლოგიურ გამოკვლევას, იგი უკვე გულისხმობს სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის შესწავლას ბოლომდე მთელი მისი გამომწვევი მიზეზებითა თუ განმსაზღვრელი ფაქტორებით. იგი მართლაც რომ „ანალიტიკურია“ ამ შემთხვევაში, ვინაიდან საკვლევი საგნის „ანალიზი“ გულისხმობს სწორედ მის სიღრმისეულ წვდომას. „ანალიზი“ აქ მოვლენაში რაღაც „ღრმა ჩაძიებას“ გულისხმობს, რა თქმა უნდა, მისი ელემენტებად დაშლისა და მათი შესწავლის გზით.

სოციოლოგიური გამოკვლევის შიგნით გამოყოფენ მის ისეთ სახეებსაც, როგორებიცაა საველე და ლაბორატორიული სოციოლოგიური გამოკვლევები. დაყოფის პრინციპი აქ სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარების ადგილია - ლაბორატორიის გარეთ თუ ლაბორატორიის შიგნით.

სოციოლოგიური ლაბორატორია ამ შემთხვევაში გულისხმობს სოციოლოგიური გამოკვლევისათვის სპეციალურად, საგანგებოდ შექმნილ ადგილს, მისთვის სპეციალურად, საგანგებოდ შექმნილ ხელოვნურ გარემოს, ხოლო სოციოლოგიური ველი კი, მის გარეთ არსებულ სოციოლოგიური შესწავლისათვის საინტერესო ნებისმიერ ბუნებრივ გარემოს. „ხელოვნურ“ გარემოში აქ იგულისხმება იმგვარი გარემო, რომელიც მოწყობილია თავად მკლევარ-სოციოლოგთა ნება-სურვილით, ხოლო „ბუნებრივ“ გარემოში - იმგვარი გარემო, რომელიც მათი ნება-სურვილის გარეშე, მათგან დამოუკიდებლად, თავისთავადაა შექმნილი.

სოციოლოგიური გამოკვლევის განსხვავებული სახეებია აგრეთვე მთლიანი და შერჩევითი სოციოლოგიური გამოკვლევები. დაყოფის პრინციპად აქ აღებულია ის, თუ რამდენადაა გამოკვლევის საგანი მოცული მთლიანად, სრულად, უკლებლივ, თუ ნაწილობრივ, ნაკლულად, შერჩევით.

სოციოლოგიური გამოკვლევის კიდევ სხვა განსხვავებული სახეებია: გამოკითხვა, დაკვირვება, დოკუმენტების ანალიზი, ექსპერიმენტი, იმისდა მიხედვით, თუ როგორია სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა შეგროვების მეთოდი.

აქ, ამ შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევის განსხვავებული სახეები გამოდის თავად სოციოლოგიური მონაცემების შეგროვების აღნიშნული მეთოდები. ასე რომ, ეს მეთოდები სოციოლოგიური გამოკვლევის, ერთის მხრივ, არა მხოლოდ მეთოდებია, არამედ, მეორეს მხრივ, უკვე თავად სოციოლოგიური გამოკვლევის სახეებიც. გამოკითხვაც, დაკვირვებაც, დოკუმენტების ანალიზიც, ექსპერიმენტიც უბრალოდ მხოლოდ მეთოდები როდია სოციოლოგიური გამოკვლევისა, არამედ უკვე სოციოლოგიური გამოკვლევებიცაა თავ-თავისი სახით.

სოციოლოგიური გამოკვლევის სახეებთან დაკავშირებით კიდევ ის შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებელია უამრავი ასევე სხვა სახეების გამოყოფა, რა თქმა უნდა, უამრავი კიდევ სხვა პრინციპით, მაგრამ რაც დავასახელეთ, ყველაზე ძირითადია მათ შორის.

„სოციოლოგიურ გამოკვლევასა“ და „სოციალურ გამოკვლევას“ შორის არის რაღაც ახლო კავშირი, თუმცა მათ შორის, მსგავსებასთან ერთად, განსხვავებაცაა.

საქმე ისაა, რომ ყოველგვარი სოციოლოგიური გამოკვლევა სოციალური გამოკვლევაცა, ვინაიდან იგი აუცილებლად მაინც სოციალურ სფეროს ეხება, მაგრამ ყოველგვარი სოციალური გამოკვლევა უკვე როდია მაინცდამაინც სოციოლოგიური გამოკვლევა, ვინაიდან სოციალურ სფეროს არა მხოლოდ სოციოლოგია შეისწავლის, არამედ უამრავი კიდევ სხვა მეცნიერებაც, ხოლო განსხვავება კი ამ მხრივ სოციოლოგიურსა და არასოციოლოგიურ სოციალურ გამოკვლევათა შორის ისაა, რომ სოციოლოგიურ-სოციალური

გამოკვლევა ზოგადსოციალური გამოკვლევაა, მაშინ როდესაც არასოციოლოგიურ-სოციალური გამოკვლევა კი კერძო სოციოლოგიური გამოკვლევა.

სოციოლოგიური გამოკვლევა როგორც ასეთი, როგორც სოციოლოგიური მოვლენა, ფენომენი ე.წ. გამოყენებითი სოციოლოგიის, თუ ასე შეიძლება ითქვას, ცენტრალური ცნებაა.

სოციოლოგიური გამოკვლევის ცნება, ჯერ ერთი, გამოყენებითი სოციოლოგიის ცნებაა იმიტომ, რომ ეს ფენომენი გადის თეორიული სოციოლოგიის საკუთრივი სფეროს მიღმა და მისი უკვე პრაქტიკული - მოხმარებითი არეალის ფარგლებში გადადის. გამოყენებითი სოციოლოგია სოციოლოგიის ხომ ის განხრაა, რაც მის მოხმარებით ნაწილს ეხება. ერთია თეორიული სოციოლოგია, სოციოლოგია „თავისთვის" და მეორეა სოციოლოგია „რაღაცისთვის", სოციოლოგიური გამოკვლევის შემთხვევაში, უკვე გამოყენებითი სოციოლოგია სოციოლოგიური გამოკვლევის ამა თუ იმ კონკრეტული საგნის შესწავლის, მისი გამორკვევის მიზნით.

ხოლო, მეორეც, რაც შეეხება იმას, რომ სოციოლოგიური გამოკვლევა ეს უკვე ცენტრალური ცნებაა გამოყენებითი სოციოლოგიისა, ეს იმას გულისხმობს, რომ სწორედ ამ ცნებაზეა „აგებული" მთელი „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების" სამეცნიერო დისციპლინა.

„ცენტრალურია" „სოციოლოგიური გამოკვლევის" ცნება გამოყენებითი სოციოლოგიის კუთხით სოციოლოგიის მეცნიერებაში იმიტომ, მაშასადამე, რომ სწორედ ამ ცნების გარშემო „ტრიალებს", მართლაც, მთელი სოციოლოგიური გამოკვლევის სისტემა.

სოციოლოგიური გამოკვლევის სისტემა გულისხმობს სოციოლოგიური გამოკვლევის ელემენტთა მთელს ერთობლიობას. ხოლო ეს ერთობლიობა კი შეიძლება დავყოთ სხვადასხვა ასპექტად. და იგი, ეს ასპექტი შეიძლება მრავალი იყოს. მაგრამ ჩვენ მას ამ შემთხვევაში შემდეგნაირად დავყოფთ: სოციოლოგიური გამოკვლევის 1) საკუთრივ-გამოკვლევით და 2) მასთან დაკავშირებულ მთელ რიგ სხვა ელემენტებად. ყველა სხვა ელემენტი ამ სისტემაში უკვე განსაზღვრული იქნება პირველი ელემენტით. ამის გამოა მთელი

სისტემაც „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებისა თუ მეთოდოლოგიისა“, სახელდობრ, „სოციოლოგიური გამოკვლევით“ სახელდებული.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესი მთელ რიგ მეთოდოლოგიურ პრინციპებზეა აგებული.

სოციოლოგიური გამოკვლევის „მეთოდოლოგიური პრინციპები ამ მხრივ გულისხმობს იმ ძირეულ, ფუნდამენტურ, განმსაზღვრელ, საწყის მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, რაც კი რამ წაეყენება სოციოლოგიურ გამოკვლევას საერთოდ.

სოციოლოგიური გამოკვლევის ეს მეთოდოლოგიური პრინციპები კერძოდ შემდეგია: 1)შესასწავლი მოვლენისადმი კონკრეტული მიდგომა, 2) შექმნილი სიტუაციის ყოველმხრივი ანალიზი, 3) თეორიისა და პრაქტიკის კავშირი.

საქმე ის არის, რომ სოციოლოგიური გამოკვლევა შეიძლება საპირისპირო „ამპლუაშიაც“ წარმოვადგინოთ, როცა ეს მეთოდოლოგიური პრინციპები ანუ მეთოდური ხასიათის ძირეული მეთოდები მასში, მართლაც, არც არის გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევა, ჯერ ერთი, წარმოდგენილი იქნებოდა „აბსტრაქტულად“, განყენებულად“, მეორეც, „ცალმხრივად“, და, მესამეც, - პრაქტიკისაგან თეორიის მოწყვეტით.

სამივე ამ შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევა ნაკლოვანი გამოვიდოდა.

და, მართლაც, სოციოლოგიური საგნის გამოკვლევა იმ შემთხვევაშია უფრო სრული, როცა მას განვიხილავთ მთელს მის კონკრეტულობაში, ანუ მთელს მის განსაზღვრულობათა სიმრავლეში, თუ ამ მრავალგანსაზღვრულობათა გარეშე? განა საგანი მთელი თავისი სისავსით უფრო თავის კონკრეტულობაში არ წარმოჩნდებოდა, ვიდრე მის აბსტრაქტულობაში, ანუ მის უფრო განყენებულობაში?

იგივე ითქმის მეორე შემთხვევაზედაც. განა საგანი სრულიად მაშინ არ წარმოჩნდება ჩვენს წინაშე, როცა იგი ყოველმხრივ იქნება შესწავლილი, თუ მაშინ, როცა იგი ცალმხრივად შეისწავლება? ამიტომაც, სოციოლოგიურ გამოკვლევაში საგანი ყველა მიმართებით უნდა იქნეს შესწავლილი, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად.

დაბოლოს, თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირს სოციოლოგიურ კვლევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ერთი აძლიერებს მეორეს, ავსებს მას და უფრო ეფექტურს ხდის შედეგს.

ამრიგად, „იდეალური“ სოციოლოგიური გამოკვლევა იქნება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში გათვალისწინებული იქნება სამივე 1) „კონკრეტულობის“, 2) „ყოველმხრიობის“ (უნივერსალურობის), 3) „პრაქტიკულობის“ მეთოდოლოგიური პრინციპები, ანუ მიდგომის ძირეული მოთხოვნები.

სოციოლოგიურ გამოკვლევას აუცილებლად სჭირდება თავისი ე.წ. ინსტრუმენტარიუმი.

სოციოლოგიური გამოკვლევის ინსტრუმენტარიუმი გულისხმობს ყველა იმ საშუალებას, რომელთა მეშვეობითაც ხდება სოციოლოგიური გამოკვლევის წარმოება.

ეს საშუალებანი ანუ ინსტრუმენტები შეიძლება იყოს თეორიულიცა და პრაქტიკულიც, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში აქ უფრო იგულისხმება სწორედ ის პრაქტიკული საშუალებანი, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესი.

სოციოლოგიური გამოკვლევის ინსტრუმენტები ეს ერთგვარი შრომის საშუალებანია სოციოლოგიური შრომის, ამ შემთხვევაში კი, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში. ასე რომ, ეს ინსტრუმენტები ერთ-ერთი აუცილებელი რგოლია სოციოლოგიური გამოკვლევის ელემენტთა, მხარეთა ერთობლიობაში.

აქ უმჯობესი იქნებოდა აღგვენიშნა საერთოდ სოციოლოგიური გამოკვლევისაათვის აუცილებელი ელემენტების მთელი ერთობლიობაც.

სოციოლოგიური გამოკვლევის აუცილებელი ელემენტებია: 1) სოციოლოგიური გამოკვლევის სუბიექტი ანუ პირი, 2) სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტი ანუ საგანი, 3) სოციოლოგიური გამოკვლევის ინსტრუმენტები და 4) თავად სოციოლოგიური კვლევა.

როგორც ვხედავთ, სოციოლოგიური გამოკვლევის ინსტრუმენტებს თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთოდ სოციოლოგიური გამოკვლევის ელემენტთა ერთობლიობაში.

სოციოლოგიური გამოკვლევის ინსტრუმენტარიუმი ნაკრებია ყველა იმ ინსტრუმენტისა, რომლებიც კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში.

რაც შეეხება თავად სიტყვა-ტერმინ „ინსტრუმენტს", იგი ლათინური წარმომავლობისაა და ქართულად „იარაღს" ნიშნავს. ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევის ინსტრუმენტიც სწორედ იმ იარაღს, იმ საშუალებას გულისხმობს, რაც საჭიროა სოციოლოგიური გამოკვლევის ამოცანების გადასაჭრელად.

სოციოლოგიური გამოკვლევის ინსტრუმენტთა შორის უნდა გავარჩიოთ ინსტრუმენტთა ორი რიგი. ერთია სოციოლოგიური გამოკვლევის საკუთრივი, სპეციალური ინსტრუმენტები და მეორე - სოციოლოგიური გამოკვლევის არასაკუთრივი, არასპეციალური ინსტრუმენტები. პირველს განეკუთვნება ის ინსტრუმენტები, რომლებიც სპეციალურად, საგანგებოდაა შექმნილი სოციოლოგიური გამოკვლევისათვის, მეორე კი - ის ინსტრუმენტები, რომლებიც სხვათა შორის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოციოლოგიურ გამოკვლევაშიაც.

ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევის ინსტრუმენტად საბოლოო ჯამში შეიძლება გამოდგეს ყველაფერი, რაც კი რამ ჩართული იქნება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში; სოციოლოგიური გამოკვლევის ინსტრუმენტებია კონკრეტულად ყველაფერი, რაც კი რამ შეიძლება გამოვიყენოთ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში სულ მცირე ავტოკალმით დაწყებული და სულ დიდი ინტერნეტით დამთავრებული.

სოციოლოგიური გამოკვლევა, ბუნებრივია, თავისთავად ვერ ჩატარდება. სოციოლოგიური გამოკვლევის ორგანიზებისათვის, მისი ჩატარებისათვის საჭიროა საგანგებო ძალისხმევა, რა თქმა უნდა, ამისათვის საგანგებოდ შერჩეული პირების მხრიდან. და, მართლაც, სოციოლოგიური გამოკვლევისათვის სპეციალურ ადამიანთა ჯგუფებია საჭირო მკვლევარი სოციოლოგებისა.

სოციოლოგიური გამოკვლევის ეფექტურობის მისაღწევად შესაბამისად იქმნება სპეციალური სოციოლოგიური გამოკვლევის მთელი რიგი სტრუქტურული ერთეულები სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა მასშტაბით. ესენია: სოციოლოგიური ლაბორატორიები, სოციოლოგიური განყოფილებანი, სოციოლოგიური ცენტრები თუ სხვანი და სხვანი სოციოლოგიური სამსახურების სხვადასხვა დონეზე.

სოციოლოგიური გამოკვლევები დღეს იმდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია, რომ საჭიროებისამებრ საზოგადოების ესა თუ ის სტრუქტურული ერთეული - საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია თუ სხვანი და სხვანი მათი საქმიანობის უფრო ეფექტური საქმიანობის მიზნით ხშირად მიმართავენ მათი პრობლემების შესწავლისათვის სოციოლოგიური გამოკვლევის სამსახურებს, ე. წ. „შეკვეთილი სოციოლოგიური გამოკვლევის" სახითაც. ამ შემთხვევაში დაინტერესებული მხარე „იწვევს" მკვლევარ-სოციოლოგთა გარკვეულ ჯგუფს და აძლევს მას დავალებას მისთვის საინტერესო მიმართულებით.

სოციოლოგიურ გამოკვლევებს დღეს იმხელა პრაქტიკული დანიშნულება აქვს საზოგადოებაში, რომ თავისი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით წინასწარ ხდება სოციალური პრობლემების ჯერ სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევა, ხოლო შემდეგ კი ამ პრობლემების გადასაჭრელად მუშაობა.

იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციოლოგიურ გამოკვლევას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეს ნათლად და ცხადად ჩანს თავად სოციოლოგიის მნიშვნელობაში, ვინაიდან სოციოლოგიური ცოდნა სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად ყალიბდება. სხვა გზა სოციოლოგიური ცოდნის მოპოვებისა, თუ არა სოციოლოგიური გამოკვლევის გზისა, მართლაც, არ არსებობს.

ხოლო სოციოლოგიური ცოდნა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზეგავლენას, როგორც ამას კარგად აღნიშნავს ამერიკელი სოციოლოგი ნეილ სმელზერი, ახდენს შემდეგნაირად: „ა) სოციოლოგიური მომზადების მქონე ადამიანები სამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო ორგანიზაციებში მუშაობენ; ბ) სოციოლოგთა მიერ შემუშავებული მეთოდები გამოიყენება კვლევითი საქმიანობის სხვა

დარგებში; გ) სოციოლოგთა ნაშრომებს შეუძლია შეცვალოს ადამიანთა ურთიერთობა საზოგადოებრივ მოვლენებთან, ასევე წარმოადგენს ინფორმაციას სოციალური პოლიტიკის საკითხებზე გადაწყვეტილებათა მისაღებად; დ) სოციოლოგიური გამოკვლევა გვეხმარება შევაფასოთ არსებული სოციალური პოლიტიკის ქმედითობა (ზემოქმედება)" (32, გვ.38).

თავი 4.

სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი

„სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის“ საკითხი, „სოციოლოგიური გამოკვლევის არსის“ საკითხისაგან განსხვავებით, სოციოლოგიური მეცნიერების „არარეფლექსიური“ ანუ „არაუკანმიბრუნებული“ საკითხია. კერძოდ, თუ „სოციოლოგიური გამოკვლევის არსის“ საკითხი ისევ სოციოლოგიის სფეროს ეხება, „სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის“ საკითხი უკვე გადის სოციოლოგიის „საკუთრივი“ სფეროდან და იგი უკვე ეხება ამ სფეროს გარეთ არსებულ რეალობას, სინამდვილეს.

სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი ანუ ობიექტი სოციოლოგიური გამოკვლევის სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია სოციოლოგიური გამოკვლევის პირის ანუ სუბიექტის ანუ მკვლევარ-სუბიექტისა და თავად სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესის ანუ მსვლელობის გვერდით, ურომლისოდაც აღნიშნულ ორ მხარესთან ერთად სოციოლოგიური გამოკვლევა როგორც ასეთი, არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი ანუ მისი ობიექტი სოციოლოგიური გამოკვლევის არა უბრალო მხარეა, არამედ, უფრო მეტიც, - მისი აუცილებელი პირობაც.

სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი ანუ სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტი სოციალური რეალობის ანუ საზოგადოებრივი სინამდვილის სფეროა, არეალია.

უფრო მოკლედ, სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი თუ ობიექტია სოციალური სინამდვილე, ანუ რეალობა.

ასეთია სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის ცნების განსაზღვრება, მისი დეფინიცია.

მაგრამ ეს სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის ანუ ობიექტის ცნების მაინც აბსტრაქტული, განყენებული განსაზღვრება ანუ დეფინიციაა.

ამიტომ საჭიროა ზუსტი კონკრეტული განსაზღვრება ანუ დეფინიცია.

სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი ანუ ობიექტი კონკრეტულად სოციალური რეალობის სოციოლოგიური გამოკვლევისათვის სპეციალურად, საგანგებოდ შერჩეული საკითხია.

სოციოლოგიური გამოკვლევის კერძო, კონკრეტული საგნის პრინციპში შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისად ნებისმიერი კერძო, კონკრეტული საკითხი, მაგრამ ჩვეულებრივ შემთხვევებში სოციოლოგიური გამოკვლევის საგნად მაინც უფრო გამოდის რთული სოციალური მოვლენები, ე.წ. „სოციალური მოვლენები“.

იმის გამო, რომ სწორედ სოციალური პრობლემაა კონკრეტულად სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტი ანუ საგანი, ძირითადი და მთავარი ობიექტი ანუ საგანი, შესაბამისად, სოციოლოგიური გამოკვლევაც არსებითად სხვა არაფერია, თუ არა ამა თუ იმ სოციალური პრობლემის საგანგებო, სპეციალური შესწავლა კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდების მეშვეობით.

სოციოლოგიური გამოკვლევის შესასწავლი სოციალური პრობლემები საზოგადოებაში მთელს იერარქიას ქმნიან.

სოციალურ პრობლემათა იერარქია გულისხმობს სოციალურ პრობლემათა მნიშვნელობის მეტ-ნაკლებობას მათი სოციალური ღირებულებისდა მიხედვით. ამ მიმართებით ყველა სოციალური პრობლემა ერთი მნიშვნელობის როდია, არამედ ზოგი უფრო მნიშვნელოვანია და ზოგიც - უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი, ზოგი პრობლემა უფრო მწვავეა, ზოგიც - ნაკლებად მწვავე, ზოგი პრობლემა პირველი რიგის პრობლემაა და ზოგიც - მეორე რიგისა და ა. შ. და მისთ.

მაგრამ რა სოციალური პრობლემაც არ უნდა ავიღოთ ჩვენ უამრავ სოციალურ პრობლემათა შორის, ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: ადამიანია თავად ყველაზე მთავარი სოციალური პრობლემა. ყველა სხვა პრობლემა უკვე მასთან დაკავშირებული პრობლემაა. პრობლემას ხომ ისევ ადამიანები ქმნიან ბოლოს და ბოლოს. და, მართლაც, ყველა სოციალური პრობლემა ადამიანთა

შორის ურთიერთობაზე გადის და აქ პრობლემა თავად ამ ურთიერთობათა ხაზზე წარმოშობილი პრობლემაა და იგი ამ ურთიერთობებში არსებული კრიზისის ანარეკლს წარმოადგენს.

აქ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ, - ის, რომ ერთია სოციალური პრობლემა გნოსეოლოგიური თვალთახედვით და, მეორე - სოციალური პრობლემა ონტოლოგიური თვალთახედვით.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი განყოფილებაა სოციალური პრობლემის საკითხისა. და იგი, ეს განსხვავება აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სოციალურ პრობლემაზე მსჯელობისას.

სოციალური პრობლემა გნოსეოლოგიური თვალსაზრისით გულისხმობს სოციალურ პრობლემას შემეცნებისთეორიული კუთხით, ანუ შემეცნებითი სიძნელის, შემეცნებითი სირთულის კუთხით, ხოლო სოციალური პრობლემა ონტოლოგიური კუთხით კი - სოციალურ პრობლემას ყოფიერებისთეორიული ანუ არსებობითი სიძნელის, არსებობითი სირთულის თვალსაზრისით.

და, მართლაც, ერთია პრობლემა თავად ცხოვრებაში და მეორე კი - უკვე მის შემეცნებაში. პირველი პრაქტიკული სფეროა პრობლემისა და მეორე კი - თეორიული.

პირველადი პრობლემის პრაქტიკულ და თეორიულ განასერთა შორის, რა თქმა უნდა, „ონტიური" სოციალური პრობლემაა, ხოლო მეორადი - „გნოსიური" სოციალური პრობლემა: როგორიცაა თავად რეალური პრობლემის სირთულის ხარისხი, ისეთივე იქნება იდეალური პრობლემის სირთულის ხარისხიც. ნორმალურ სიტუაციაში ეს, რა თქმა უნდა, ასე იქნება.

პრობლემის შემეცნებით სირთულეს, თუ სიძნელეს, ბუნებრივია, მისი თავისთავადი, ობიექტური სირთულე თუ სიძნელე განაპირობებს. თუმცა პრობლემას გნოსეოლოგიური ასპექტითაც გააჩნია რაღაც „შეფარდებითი დამოუკიდებლობაც" მისი ონტოლოგიური ასპექტის მიმართ და იგი, ეს პრობლემა ხელოვნურად კიდევ უფრო შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით გართულდეს და გაძნელდეს.

აქ უმჯობესი იქნება აღვნიშნოთ ის, რომ სოციალური პრობლემა შეიძლება დავყოთ „ბუნებრივად" და „ხელოვნურად".

ბუნებრივი სოციალური პრობლემა ისეთი სოციალური პრობლემაა, რომელიც თავისით, ობიექტურად, ავტომატურად, თავისი შინაგანი კანონებით ყალიბდება, ხელოვნური კი იმგვარი სოციალური პრობლემა, რომელიც სხვისით, სუბიექტურად, გარეგანი ძალების მოქმედებით ყალიბდება.

აქედან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს ის გარემოება, როცა ესა თუ ის ბუნებრივი სოციალური პრობლემა ხელოვნურად შეიძლება კიდევ უფრო „დამძიმდეს", „გაპრობლემდეს" ანუ გართულდეს და გაძნელდეს. ამიტომ მუდამ საჭიროა ვიცოდეთ ეს, ვიცოდეთ განსხვავება ბუნებრივ და ხელოვნურ პრობლემებს შორის, რათა ვეცადოთ, უპირველეს ყოვლისა, ჯერ აღმოვფხრათ ხელოვნური, სუბიექტური სოციალური პრობლემები და მერე კი ვიმუშაოთ უკვე ობიექტური, ბუნებრივი პრობლემების დაძლევაზე. ე.ი. საჭიროა გავაცნობიეროთ, რათა ხელოვნურად კიდევ უფრო არ გავაპრობლემუროთ ისედაც ბუნებრივად ჩვენს წინაშე წამოჭრილი პრობლემები, რადგან ჩვენ, ადამიანები ხშირად თვითონ ვირთულებთ ცხოვრებას, ისედაც რთულს თავისთავად.

ყოველივე ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს სოციოლოგიური გამოკვლევის ჟამს, რათა ეს გამოკვლევაც უფრო ნაყოფიერი, უფრო ეფექტური გახდეს. ჩვენი მიზანიც ხომ ამ მხრივ სხვა არაფერია.

სოციალური პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, არის სოციოგენური პრობლემა, ანუ პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება თავად სოციალური, საზოგადოებრივი მიზეზებით.

მაგრამ საზოგადოებაში არა მხოლოდ სოციოგენური, ანუ საკუთრივ სოციალური წარმოშობის პრობლემები არსებობს, არამედ ნატუროგენური ანუ ბუნებრივი მიზეზებით წარმოშობილი პრობლემებიც შეიძლება არსებობდეს. ხანდახან ხომ ბუნებაც უქმნის პრობლემებს ადამიანებს და ამ მხრივ ეს პრობლემებიც სოციალურ პრობლემებში გადის, მიუხედავად მათი არასაკუთრივ სოციოგენური ბუნებისა საკუთრივ სოციოგენური პრობლემების გვერდით.

ყოველივე ასეთივე პრობლემა, ბუნებრივია, შეიძლება იქცეს სოციოლოგიური გამოკვლევის საგნად, თუ ამას მოითხოვს საჭიროება.

სოციალური პრობლემა, თავისი სახელწოდების მხრივ, როგორც პოზიტიური, დადებითი, ისე ნეგატიური, უარყოფითი ასპექტითაც შეიძლება წარმოვადგინოთ. ეს პრინციპში ეხება ყოველგვარ პრობლემას, რაც კი რამ არსებობს ქვეყანაზე.

ასე, მაგალითად, ომისა თუ მშვიდობის პრობლემა, ჯანმრთელობისა თუ ავადმყოფობის პრობლემა, დასაქმებისა თუ უმუშევრობის პრობლემა, ბინისა თუ უბინაობის პრობლემა და ა.შ და ა.შ.

მოკლედ, ყველა ამ და მსგავს შემთხვევაში ესა თუ ის სოციალური პრობლემა მხოლოდ წარმოდგენილია საპირისპირო რაკურსით, თორემ ეს პრობლემები ორი სხვადასხვა რიგის პრობლემები კი არაა, არამედ არსებითად ერთი მთლიანი რიგის პრობლემები.

დავუშვათ, ომისა და მშვიდობის პრობლემა: ომის პრობლემა იგივე მშვიდობის პრობლემაა, და, პირიქით, მშვიდობის პრობლემა - ომის პრობლემა, აქ ერთი და იგი პრობლემა მხოლოდ ორი საპირისპირო კუთხითაა წარმოდგენილი. ესაა პრობლემა იმისა, თუ როგორ არ იყოს ომი, ე.ი. იყოს მშვიდობა, და, პირიქით, - თუ როგორ იყოს მშვიდობა, ე.ი. არ იყოს ომი, ვინაიდან ომსა და მშვიდობას შორის მშვიდობაა სასურველი, ხოლო ომი - არასასურველი.

იგივე ითქმის ნებისმიერ სხვა პრობლემაზედაც, მათი საპირისპირო რაკურსებით წარმოდგენის შემთხვევაში.

როდესაც ჩვენ რაიმე სოციალურ პრობლემაზე ვმსჯელობთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ყოველგვარი პრობლემა ესაა რაღაც ერთგვარი „დაპირისპირებულთა ერთიანობა“ იმას შორის, რაც არის და იმას შორის, რაც არ არის, უფრო სწორედ, იმას შორის, რაც არის და იმას შორის, რაც უნდა იყოს. ესაა სხვაობა რეალურსა და იდეალურს შორის, ფაქტობრივსა და ნორმატიულს შორის, არსობრივსა და ჯერარსობრივს შორის.

ასე, მაგალითად, ავიღოთ დასაქმებისა თუ დაუსაქმებლობის პრობლემა.

პრობლემა აქ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი უნდა იყოს დასაქმებული, რომ მას უნდა ქონდეს სამუშაო, მაგრამ გარკვეული მიზეზებისა გამო მას არა აქვს იგი და ხელი ეშლება მასში.

ანდა ავიღოთ ჯანმრთელობისა თუ ავადმყოფობის პრობლემა: აქაც ხომ ჯანმრთელობაა იდეალი, მაგრამ პრობლემა მაშინ გვექნება, თუ ეს ასე ვერაა.

იგივე ითქმის ნებისმიერ კონკრეტულ სიტუაციაში, ოღონდ თითოეულ შემთხვევაში თავთავისი კონკრეტული სახით.

გამოდის, რომ ყოველგვარი სოციალური პრობლემა იქმნება სწორედ ცხოვრების ამა თუ იმ იდეალის ჯეროვნად ვერგანხორციელების გზაზე.

ეს პრობლემა კი მით უფრო „დიდი" იქნება, რაც უფრო „დიდი" იქნება შეუსაბამობა სწორედ იდეალებსა და რეალობებს შორის.

კრიტერიუმი ანუ საზომი ამა თუ იმ პრობლემის პრობლემურობისა იქნება სწორედ ის იდეალები, რომელთა განხორციელების გზაზეც იქმნება გარკვეული სიძნელეები, მაშასადამე, ის სიძნელებები, ის სირთულეები, რომლებიც იქმნება ამა თუ იმ სოციალური იდეალის რეალიზების გზაზე, ქმნიან სწორედ პრობლემას ანუ გასაჭირს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ პრობლემა ესაა სწორედ გარკვეული სირთულე, გარკვეული სიძნელე ჩვენი ცხოვრების გზაზე, რომელიც გასაჭირს გვიქმნის, დისკომფორტს გვიქმნის ცხოვრებაში.

და, მართლაც, პრობლემა ესაა რაღაც გასაჭირი, სიძნელე, სირთულე ჩვენი ცხოვრების გზაზე. ხოლო ეს გასაჭირი, სიძნელე, სირთულე ჩვენი ცხოვრების გზაზე რომ უფრო გასაგები იყოს, უმჯობესია სოციალური პრობლემა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ჭრილში განვიხილოთ. საქმე ისაა, რომ სოციალური პრობლემა თავისი „ყველაზე ზოგადი განსაზღვრებით" სხვა არაფერია, თუ არა სწორედ „რამდენადმე დაუკმაყოფილებელი საზოგადოებრივი მოთხოვნილება" (2, გვ.42).

ხოლო იმისათვის, რომ ესეც თავის მხრივ უფრო გასაგები გახდეს, უმჯობესი იქნება თავად საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსაც შევეხოთ. სწორედ იმიტომ, რომ ესა თუ ის სოციალური პრობლემა შესაბამისად სწორედ ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ვერდაკმაყოფილების შემთხვევაში ყალიბდება. მაშასადამე, სოციალური პრობლემის კონკრეტულ სახეს სოციალურ

მოთხოვნილებათა შესაბამისად კონკრეტული სახე განაპირობებს. ე.ი. რა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებზეა საუბარი, შესაბამისად, იმავე სოციალური პრობლემებზე გვექნება საუბარი, რა თქმა უნდა, ამ მოთხოვნილებათა (რამდენამდე დაუკმაყოფილებლობის) შემთხვევაში.

საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია სხვადასხვანაირად შეიძლება მოვახდინოთ იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით მოვახდენთ ამ კლასიფიკაციას.

მაგრამ ჩვენ აქ მხოლოდ ერთ-ერთს შევეხებით. კერძოდ, ანდრია ზდრავომისლისეულ კლასიფიკაციას სოციალური მოთხოვნილებებისას.

საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს ანდრია ზდრავომისლოვი სამ ძირითად ტიპად ჰყოფს. ესენია: „1) ელემენტარული მოთხოვნილებები, 2) სოციალიზაციის მოთხოვნილებები და 3) შემოქმედებითი მოთხოვნილებები“ (2, გვ.42).

„ელემენტარულ მოთხოვნილებებში“ ზდრავიმისლოვს გაყავს 1) საკვების, 2) საცხოვრებლის, 3) ტანსაცმლის მოთხოვნილებანი (2, გვ.42).

და, მართლაც, ეს მოთხოვნილებანი ის მოთხოვნილებანია, რომლებიც თავიანთი დონით ნამდვილად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ამიტომაც მათ სხვანაირად ე.წ. „ვიტალურ“ ანუ „სასიცოცხლო“ მოთხოვნილებებსაც უწოდებენ ხოლმე. ყოველივე დანარჩენს ადამიანური მოთხოვნილებათაგან ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ „ზევიტალური“ მოთხოვნილებანი, ანუ ის მოთხოვნილებანი, რაც „ვიტალურის“ მიღმაა, უფრო სწორედ კი, ვიტალურზე მაღლაა, ვინაიდან ვიტალური მოთხოვნილებანი, მართლაც, მოთხოვნილებათაგან ყველაზე დაბალი რიგის მოთხოვნილებანია თავიანთი მნიშვნელობით.

„სოციალიზაციის მოთხოვნილებებში“ ზდრავიმისლოვს გაყავს ის მოთხოვნილებანი, რომლებიც დაკავშირებულია „საზოგადოებისაგან მომდინარე“ პროცესებთან, ე.ი. იმ პროცესებთან, რა პროცესებშიაც ადამიანი ყალიბდება, როგორც სოციალური არსება, რა პროცესებშიაც იგი „ითვისებს“ ამა თუ იმ სოციალურ როლს. ეს მოთხოვნილებანია:

„განათლების მიღების, ტრანსპორტის, კომუნიკაციის საშუალებებისა და ა. შ. მოთხოვნილებანი“ (ზდრავიმისლოვი, გვ.43).

რაც შეეხება „შემოქმედებითი მოღვაწეობის მოთხოვნილებებს“, ზდრავიმისლოვს მასში გაყავს უკვე ყველა ის სახე მოთხოვნილებებისა, რომლებიც წინა ორ ტიპთან შედარებით შედარებით „უფრო რთული ხასიათისაა“ (2, გვ.43) და გულისხმობს ადამიანის შემოქმედებითი ცხოვრების დონეზე მოთხოვნილებებს.

ამ მესამე ტიპის მოთხოვნილებებთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ თუ არსებობს ადამიანთა „შემოქმედებითი ხასიათის“ მოთხოვნილებანი, მაშინ იგულისხმება, რომ არსებობს უკვე ასევე „არაშემოქმედებითი ხასიათის“ მოთხოვნილებანიც.

და, მართლაც, ადამიანის ცხოვრებაში არის როგორც არაშემოქმედებითი, ისე შემოქმედებითი მხარეები. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველ შემთხვევაში ახლის შექმნასთან არ გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში კი, პირიქით, სწორედ ახლის შექმნასთან გვაქვს საქმე.

იქედან გამომდინარე, რომ ადამიანის შემოქმედებითი მხარე უფრო მაღალი დონეა მისი ცხოვრებისა, ვიდრე მისი არაშემოქმედებითი მხარე, ბუნებრივია, პირველი რიგის მოთხოვნილებანიც, შესაბამისად, უფრო მაღალი დონისა იქნება, ვიდრე მეორე. სად, მართლაც, ადამიანის შემოქმედებითი მოთხოვნილებანი, რომლებიც მისი ცხოვრების უმაღლეს მისწრაფებებთანაა დაკავშირებული და სად კიდევ მისი არაშემოქმედებითი, რაღაც „რუტინული“ მოთხოვნილებანი.

ამიტომაც დიდი განსხვავება იქნება იმ სოციალურ პრობლემათა შორისაც, რომლებიც წარმოიშობა შესაბამისად არაშემოქმედებითი და შემოქმედებითი მოთხოვნილებების ხარჯზე.

სოციალური პრობლემები უფრო მაღალ მოთხოვნილებებთან, უფრო სწორედ კი, ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებით ხომ, ბუნებრივია, უფრო მაღალი დონის სოციალური პრობლემებია, ვიდრე საწინააღმდეგო შემთხვევაში.

ხოლო ის, თუ რა არის ამისი განმსაზღვრელი, ანუ განმსაზღვრელი იმისა, თუ რომელი სოციალური პრობლემები ჩაითვალოს „უპირატეს“,

„უმაღლეს“ სოციალურ პრობლემებად და რომელი არა, ამის განმსაზღვრელი ისაა, თუ რა ადგილი უჭირავს ამა თუ იმ სოციალურ პრობლემას სოციალურ ღირებულებათა იერარქიის კუთხით. და თუ ჩვენ ამ კუთხით შევხედავთ სოციალურ მოთხოვნილებებს, მაშინ მით უფრო მაღალი იქნება სოციალური მოთხოვნილებანი, რაც უფრო „სულიერი“ იქნება ისინი, ხოლო მით უფრო დაბალი იქნება ისინი, რაც უფრო „ხორციელნი“.

სწორედ ამის მიხედვით მივხვდებით იმასაც, თუ რამდენად უფრო დარღვეულია ამა თუ იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც ქმნის სწორედ პრობლემებს, ვინაიდან სწორედ სოციალურ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა ქმნის სოციალურ პრობლემებს. და რაც უფრო „სულიერი“ იქნება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებანი, მით უფრო „მაღალი“ იქნება შესაბამისი სოციალური პრობლემებიც, ხოლო რაც უფრო „ხორციელი“ იქნება ისინი, შესაბამისად, მით უფრო „დაბალი“ სოციალური პრობლემები იქნება ისინი. ამასთან კიდევ, რაც უფრო დაუკმაყოფილებელი იქნება ესა თუ ის მოთხოვნილებანი, მით უფრო „ღრმა“ იქნება სოციალური პრობლემებიც.

სოციალური პრობლემა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, თავისთავად რაღაც არანორმალური მოვლენაა, რომელიც აღმოფხვრას, თუ დაძლევას მოითხოვს. მაგრამ მაინც სოციალური პრობლემაცაა და სოციალური პრობლემაც.

საქმე ისაა, რომ სოციალური პრობლემა, ეს როგორც რაღაცა „უარყოფითი“ რამ მოვლენა, მართლაც, მთლად უარყოფითი რამ მოვლენა როდია.

და, მართლაც, არის სოციალურ პრობლემათა შორის ისეთი პრობლემები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია, და, პირიქით, პრობლემებიც, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად დადებითია.

ასე, მაგალითად, შიდსის პრობლემა თავიდან ბოლომდე უარყოფითი პრობლემაა, რომლის აბსოლუტურ აღმოფხვრასაც უნდა ვცდილობდეთ, მაგრამ სხეულის გაკაჟების პრობლემა, პირიქით, ასევე დადებითი პრობლემა, რის დაძლევასაც ასევე უნდა ვცდილობდეთ.

ერთ შემთხვევაში არ გვინდა შიდსი შეგვეყაროს და მეორე შემთხვევაში გვინდა, რომ სხეული გავიკაჟოთ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არსებობს როგორც „დაცემის“, ისე „წინსვლის“ პრობლემები.

ასე რომ, უპრობლემო ცხოვრება საერთოდ მიუღებელიც კია. მიუღებელიც კი არა, უფრო მეტიც, შეუძლებელიც კია. ცოცხალი, სისხლსავსე ცხოვრება მუდამ პრობლემებითაა აღსავსე და ეს ცუდი კი არადა, პირიქით, კარგიცაა. იქ, სადაც ამ მხრივ პრობლემები არაა, იქ, მართლაც, პრობლემებია. პირველ შემთხვევაში „კარგი“ პრობლემებია და მეორე შემთხვევაში კი - „ცუდი“. მთავარი ცხოვრებაში კი ისაა, იყოს პრობლემები უფრო წინსვლისა, რათა მათი მუდმივი გადალახვით მოხდეს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლაც.

და მაინც, რა ცუდიც ან რა კარგიც არ უნდა იყოს სოციალური პრობლემა პრობლემის შიგნით, იგი გარედან საერთო ჯამში მაინც „ცუდი რამაა“ საერთოდ. იგი „ჭირია“ რაღაცნაირად, „უბედურებაა“ ჩვენს თავზე, რომლის მოცილებასაც ჩვენ უნდა ვცდილობდეთ. მითუმეტეს, თუ იგი, მართლაც, „ცუდი“ პრობლემაცაა საერთოდ პრობლემის შიგნიოთ.

მაგრამ რა ჭირიც და უბედურებაც არ უნდა იყოს ესა თუ ის სოციალური პრობლემა, იგი სადღაც მაინც სასარგებლოც კი შეიძლება იყოს რაღაცა მხრივ. „კარგი“ პრობლემის შემთხვევაში ეს ხომ ისედაც ნათელი უნდა იყოს, „ცუდი“ პრობლემის შემთხვევაში კი რაღაც გამაფრთხილებელი რამ უნდა იყოს მისი თავიდან აცილების მიზნით. ამიტომაც იტყვიან ხოლმე: „ზოგი ჭირიც მარგებელიაო“. შოთა რუსთაველიც ამბობს: „მაშა ლხინსა ვინ მოიმკის, პირველ ჭირთა უმუშაკო“ (15, გვ.119).

ჩვენი ცხოვრება პრობლემებითაა სავსე. პრობლემებს, როგორც იტყვიან, მართლაც, რა გამოლევს, მით უმეტეს თანამედროვე ეპოქაში, როდესაც სულ უფრო და უფრო ჩქარდება სოციალური პროცესი. და სულ უფრო და უფრო მატულობს სოციალური „ჭირნი“ და „უბედურებანი“, კერძოდ კი, სოციალურ პრობლემათა ის სახეობანი, რომელთაც ჩვენ ვუწოდეთ სწორედ „ცუდი“ პრობლემები.

ეს რომ უფრო გასაგები იყოს, საჭიროა აღვნიშნოთ ის, რომ სოციალური პრობლემა შეიძლება გავიგოთ ვიწრო და ფართო გაგებითაც.

სოციალური პრობლემა ფართო გაგებით ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა გავიგოთ როგორც ისეთი რამ, რაც მოიცავს როგორც „ცუდ", ისე „კარგ" პრობლემასაც, ხოლო სოციალური პრობლემა კი ვიწრო, იქნებ საკუთრივი აზრითაც. როგორც მხოლოდ „ცუდი" პრობლემა. ეს უკანასკნელი ამ შემთხვევაში გამოდის, თუ ასე შეიძლება ითქვას, „ცუდისცუდი" პრობლემა, განსხვავებით „კარგი" პრობლემისაგან, რომელიც საერთო ჯამში მაინც გამოდის „ცუდი რამ", რაკიღა იგიც არის პრობლემა (პრობლემა საერთო ჯამში ხომ მაინც „ცუდი რამაა").

ჩვეულებრივ ცხოვრებაში „ჭირსა" და „უბედურებას" ეძახიან სწორედ იმას, რაც დაკავშირებულია ვიწრო, საკუთრივი აზრით პრობლემასთან, და, პირიქით, „პრობლემას" ამბობენ მაშინ, როცა „ჭირია" და „უბედურება" ჩვენს თავზე. მაგრამ ფართო აზრით, განა ყოველგვარი სოციალური პრობლემაც „ჭირი" არაა და „უბედურება"?

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენი ცხოვრება აღსავსეა მთელი რიგი პრობლემებით (პრობლემები, როგორც იტყვიან, მართლაც, კისრამდეა!), უფრო სწორედ, „ათასგვარი პრობლემებით" მთელი მათი ნიუანსებით, აუცილებელია ყოველივე ეს გაითვალისწინოს მკვლევარ-სოციოლოგმა მთელი რიგი სოციოლოგიური გამოკვლევებისას, რაკიღა სოციოლოგიური გამოკვლევის საგანია ამჟამად სწორედ სოციალური პრობლემებით აღსავსე სოციალური ცხოვრება.

და, მართლაც, როგორ იქნება ეფექტური სოციოლოგიური გამოკვლევა, თუ ჯეროვნად არ იქნება შესწავლილი ესა თუ ის სოციალური პრობლემაც? თუ სოციოლოგიური კვლევის საგანი ყოველმხრივად და კონკრეტულად არ იქნა შესწავლილი, მაშინ რაღა ფასი ექნება სოციოლოგიურ გამოკვლევასაც (იგი ამ შემთხვევაში ნაკლული არ გამოვა?). „ყოველმხრიობა" და „კონკრეტულობა" კი თავად სოციოლოგიური გამოკვლევისადმი წაყენებული აუცილებელი მოთხოვნები არაა?

სოციალური პრობლემა სოციოლოგიური გამოკვლევის რაღაც განსაკუთრებული, მართლაც, „საკვლევი" საგანია, თემაა. ეს ისეთი

რამაა, რაც რომ სწორედ უნდა იქნეს გამორჩეული შესასწავლად, ვინაიდან შესწავლა მოითხოვს სწორედ ის სოციალური მოვლენები, რომელთა „მოგვარებაცაა“ საჭირო და არა ის მოვლენები, რომლებიც უკვე „მოგვარებულია“. ამიტომაც, დიდია სოციოლოგიური გამოკვლევების როლი საზოგადოების პროგრესის საქმეში, რაკიღა ამ გამოკვლევებით ხდება სწორედ სოციალური პრობლემების სპეციალური შესწავლა, რათა ამის საფუძველზე უკვე მოხდეს მათი მოგვარებაც.

სოციალური პრობლემები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ათასგვარია. მათი დაყოფა სხვადასხვა ასპექტით და სხვადასხვა სახით, სხვადასხვანაირად შეიძლება.

მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია გამოვყოთ მისი ისეთი სახეები, როგორებიცაა: მატერიალური და არამატერიალური (ანუ ხორციელი და სულიერი) სოციალური პრობლემები, საზოგადოებრივი ცხოვრების ორი ყველაზე ძირითადი სფეროს ასპექტით, ანდა: ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი (იურიდიული), ზნეობრივი (ეთიკური, მორალური) და სხვა მათი რიგის სოციალური პრობლემები, საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი დარგების ასპექტით.

სოციოლოგიური გამოკვლევის ჟამს უნდა გათვალისწინებულ იქნეს სოციალური პრობლემათა ეს მრავალგვარობა-მრავალსახეობაც, ვინაიდან ყოველი სოციალური პრობლემა სხვადასხვა საზოგადოებრივ განზომილებაში, რა თქმა უნდა, „ინდივიდუალურია“, და იგი, რა თქმა უნდა, შესაბამისად ამ მხრივად განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს. პრობლემა, მართლაც, რომ აღმოფხვრათ, ჯერ იგი კარგად ხომ უნდა შევისწავლოთ. და, აი, აქაა სწორედ მნიშვნელოვანი, სოციოლოგიური კვლევის რა მეთოდებს გამოვიყენებთ.

სოციალური პრობლემის სოციოლოგიური შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ სოციალურ პრობლემასთან დაკავშირებული მთელი რიგი კიდევ სხვა მხარეებიც.

ასე, მაგალითად, სოციალურ პრობლემათა სოციოლოგიური შესწავლისას ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ ძირითადი და არაძირითადი, მთავარი და არამთავარი, რაოდენობრივი და რაგვარობრივი ანუ თვისობრივი მხარეები მათში. ამას დიდი

მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ერთმანეთისაგან განგვარჩევინებს სიმართლეს ჩვენს სოციალურ ცხოვრებაში ტყუილისაგან.

ასე, მაგალითად, ავიღოთ ესა თუ ის პრობლემა ადამიანის მატერიალური თუ იდეალური განზომილების ჭრილში. ამ შემთხვევაში კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ამ საკითხისადმი დამოკიდებულების მეთოდოლოგიას, კერძოდ, იმას თუ რომელ მხარეს მივანიჭებთ ჩვენც უპირატეს მნიშვნელობას და შესაბამისად რომელს უფრო მივაქცევთ ყურადღებას.

და, აი, აქ შეიძლება გვქონდეს ორი სრულიად სხვადასხვა მიდგომა: როდესაც, მაგალითად, მთავარ რამედ მივიჩნევთ მატერიალურ პრობლემას თუ იდეალურ პრობლემას, „ხორცის" პრობლემას თუ „სულის" პრობლემას, „კუჭის" პრობლემას თუ კიდევ „თავის" პრობლემას.

აქ, როგორც ვხედავთ, საჭიროა სწორი ღირებულებითი ორიენტაცია, ხოლო ჯეროვანი არჩევანი კი ამ საკითხზე შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: რომ მთავარია პრობლემის იდეალური, სულიერი მხარე და არა მატერიალური, ხორციელი მხარე, რომ მთავარია პრობლემის თვისობრივი მხარე და არა რაოდენობრივი მხარე, რომ მთავარია პრობლემის ძირეული მხარე და არა არაძირეული მხარე.

ამ მხრივ კი, მართალია, „კუჭის" პრობლემაც პრობლემაა, მაგრამ უფრო დიდი პრობლემა მაინც „თავის" პრობლემაა; მატერიალური პრობლემაც, რა თქმა უნდა, პრობლემაა, მაგრამ უფრო დიდი პრობლემა მაინც იდეალური, „სულის" პრობლემაა. „ხორცის" პრობლემა ნაკლებად მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ცხოვრებაში შეიძლება ყველაფერი საწინააღმდეგოდ იყოს.

იგივე შეიძლება ითქვას სოციოლოგიური პრობლემის თვისობრივი და რაოდენობრივი მხარეების შესწავლისას. ამ დროსაც შეიძლება მოხდეს რაღაც ერთგვარი ღირებულებითი დეზორიენტაცია და უფრო მნიშვნელოვნად მიჩნეულ იქნას პრობლემის რაოდენობრივი და არა რაგვარობრივი მხარე, რაც ასევე სწორი არ იქნებოდა, ვინაიდან ფილოსოფიურად მთავარი ამ ორ განზომილებას შორის მუდამ თვისობრივია და არა რაოდენობრივი.

და, მართლაც, უმჯობესია ცოტა და კარგი. ასე რომ, უფრო დასათმენია პრობლემათა „სიუხვე“, ვიდრე მისი „სიმძიმე“. პრობლემის „სიმძიმეს“ კი, რა თქმა უნდა, მისი თვისობრიობა უფრო განაპირობებს, ვიდრე მისი რაოდენობრიობა. პრობლემის პრობლემურობასაც იმდენად უფრო მისი რიცხობრივი, რაოდენობრივი მხარე კი არ განაპირობებს, რამდენადაც უფრო, რა თქმა უნდა, მისი თვისობრივი, ხარისხობრივი მხარე. ე.ი. მთავარია პრობლემაში თვისობრიობა და არა რაოდენობრიობა, თუმცა კი რაოდენობრიობაც ხომ რაღაც პრობლემას ქმნის, მითუმეტეს, თუ იგი დიდ ზომებს აღწევს. ასეთ დროს იგი შეიძლება თვისობრივად უფრო მაღალ პრობლემაშიაც კი გადაიზარდოს. ასეთია, რაოდენობრივისა და თვისობრივის ურთიერთდამოკიდებულების ცნობილი ფილოსოფიური კანონი ამ შემთხვევაშიაც.

მთავარისა და არამთავარის გარჩევას სოციოლოგიური გამოკვლევისას სოციალურ პრობლემებში ის მნიშვნელობა აქვს, რომ მისი საშუალებით ხდება ნამდვილი სოციალური პრობლემის არანამდვილისაგან, პირველადის მეორისაგან, პირველხარისხოვანის მეორეხარისხოვანისაგან და ა.შ. გარჩევა, რათა ამ უკანასკნელის საშუალებით კი უკვე მოხდეს სოციალურ პრობლემათა ღირებულებითი დახარისხება და მათზე ეფექტური მუშაობა.

სოციალური პრობლემის სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გავარჩიოთ მისი ობიექტური და სუბიექტური, ასევე ბუნებრივი და ხელოვნური სახეები თუ მხარეები.

და, მართლაც, ე.წ. პრობლემური სიტუაციის სწორი დადგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს სწორედ ამ პარამეტრებსაც სოციალური პრობლემისას, ხოლო ამის სწორ დადგენას კი, თავის მხრივ, უკვე სწორი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია.

სოციალური პრობლემის განხილვისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სოციალურ პრობლემათა „გამომჟღავნება-გამოვლინების სხვადასხვა დონის გამოყოფა-გამონაწევრება“ (2,გვ.45), ვინაიდან მისმა გაუთვალისწინებლობამ შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული განსხვავებული დონეების აღრევა სოციოლოგიურ თეორიაში.

მხედველობაში აქ, ზდრავომისლოვის მიხედვით, კონკრეტულად სოციალურ პრობლემათა „გამომჟღავნების სამი დონეა“ მიღებული: 1) „სოციალურ-ფსიქოლოგიური, როდესაც სოციალური პრობლემა ვლინდება ცალკეული ჯგუფებისა და ინდივიდების ფსიქოლოგიაში, ცნობიერებაში“ (2, გვ.44); 2) „ინსტიტუციური“, როდესაც „პრობლემა ეხება არა მარტო ცალკეული ადამიანებისა და მოსახლეობის მეტად თუ ნაკლებად დიდი მასის ინტერესებს, არამედ ინსტიტუტთა გარკვეულ სისტემებსაც და მათ შორის ურთიერდამოკიდებულებებსაც“(2,გვ.44); 3)„სოციეტარული“, „ე.ი. ისეთი დონე, რომელიც ეხება მთელ მოცემულ საზოგადოებას და არა ადამიანთა რომელიმე ჯგუფს ან საზოგადოების ინსტიტუტთა ერთობლიობას“ (2, გვ.44-45).

საქმე ისაა, რომ ზოგჯერ პრობლემა უფრო სუბიექტური მიზეზით წარმოიშობა, ვიდრე მისი ობიექტური, ბუნებრივი მიზეზით. ყოველ შემთხვევაში კი, თუ იგი, მართლაც, ობიექტურია და ბუნებრივი თავის საწყისში, შემდგომ უკვე სუბიექტური და ხელოვნური მიზეზით უფრო გართულებულია თავად ჩვენს მიერ. თუ არადა პრობლემებს ამ ქვეყანაზე, მითუმეტეს ჩვენს ეპოქაში, ისედაც რა გამოლევს (პრობლემები თავზე საყრელია, როგორც იტყვიან ხოლმე!), ჩვენ რომ კიდევ სუბიექტურად და ხელოვნურად არ გავიმრავლოთ ისინი.

ის კი არადა ზოგჯერ ასეთ შემთხვევაში ათასგვარი ბოროტი მანქანებით იქმნება ილუზიებიც კი, თითქოსდა ესა თუ ის სოციალური პრობლემა, ნაცვლად იმისა, რომ იგი შესაძლოა უფრო სუბიექტური და ხელოვნურიც კი იყოს, ობიექტურად და ბუნებრივად მივიჩნიოთ, რათა ამით თითქოსდა თავი „გავიმართლოთ“ და ჩვენი ცხოვრება, მართლაც, კიდევ უფრო გავართულოთ და დავძაბოთ.

სწორედ ამიტომაა საჭირო სწორი, გნოსეოლოგიური ანალიზი სოციალური პრობლემებისა აღნიშნული რაკურსითაც. და თუ სოციოლოგიურმა გამოკვლევამ უჩვენა ეს ნიუანსები სოციალურ პრობლემათა გამოკვლევისას, ამით იგი დიდ სამსახურს გაუწევს საზოგადოებას რეალური ცხოვრებისეული პრობლემების დაძლევის საქმეში. თუ, რა თქმა უნდა, ამ მხრივაც იქნება სურვილი მათი პრაქტიკული დაძლევისა. სოციოლოგიური გამოკვლევის როლი აქ, ამ

შემთხვევაში ხომ მხოლოდ ის იქნება, რათა მოგვცეს სწორი სურათი პრობლემებისა.

სოციალური პრობლემა თავისი მასშტაბით შეიძლება იყოს გლობალური, რეგიონალური, ლოკალური. თითოეულ მათგანს, რა თქმა უნდა, თავ-თავისი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ სოციოლოგიური გამოკვლევისას მათ განსხვავებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ.

იგივე ითქმის სოციალური პრობლემაზე თავისი ხარისხითაც, „ღრმაა" იგი თავისი ხასიათით, თუ „ზედაპირული", რამდენად უფრო „ღრმაა" იგი ამ მხრივ და რამდენად უფრო „ზედაპირული". ყოველივე ამ ნიუანსს, რა თქმა უნდა, სოციოლოგიური გამოკვლევის სურათის შექმნაში გათვალისწინება სჭირდება, ვინაიდან პრობლემური მოვლენის ყოველმხრივი შესწავლა მისი უფრო ეფექტური აღმოფხვრის სულიერი საწინდარია.

იგივე ითქმის სოციალური პრობლემის ნებისმიერი ასპექტისა თუ მისი ნებისმიერი მხარის მიმართ.

სოციალური პრობლემები სოციოლოგიური გამოკვლევის საგანია, მაგრამ ისინი სოციოლოგიური გამოკვლევის მაინც ერთადერთი საგანი როდია, არამედ მისი განსაკუთრებული საგანი.

საქმე ისაა, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის სფერო უფრო ფართოა და იგი მოიცავს სოციალური სინამდვილის მოვლენათა უფრო ფართო სპექტრს. ამ მხრივ კი უნდა აღინიშნოს „სოციალური ფაქტები". „სოციოლოგს საქმე აქვს სოციალურ ფაქტებთან" (7, გვ.21). და, მართლაც, სოციოლოგიური გამოკვლევების საგანი, ყველაზე ფართო აზრით, სწორედ ე.წ. „სოციალური ფაქტებია". სოციალური პრობლემებიც ამ მიმართებით სოციალური ფაქტების ერთი წყებაა.

ტერმინი „ფაქტი" წარმოშობით ლათინური „ფაქტუმიდან" მომდინარეობს და ქართულად „მომხდარს" ნიშნავს. თავისი ცნებით იგი „უკვე მომხდარ მოვლენას", „ნამდვილ შემთხვევას" მოიაზრებს. იგი, სხვანაირად, „უკვე განხორციელებულ", „უკვე რეალიზებულ", „უკვე სახეზე არსებულ" ცალკეულ მოვლენას გულისხმობს.

მაგრამ ეს, თუ ასე შეიძლება ითქვას, ონტოლოგიურ პლანში.

საქმე ისაა, რომ „ფაქტი" შეიძლება მოვიაზროთ გნოსეოლოგიურ პლანშიაც.

ამასთან დაკავშირებით კი კარგად აღნიშნავს ერთი ავტორი: „საერთოდ, ფაქტი განიმარტება, ერთის მხრივ, როგორც ნამდვილი, არაგამოგონილი შემთხვევა, მოვლენა, მეორეს მხრივ, ფაქტში გულისხმობენ მყარად დადგენილ დებულებას, რომელიც დამყარებულია გამოცდილებაზე, ცდაზე, ექსპერიმენტზე და ემსახურება საბოლოო დასკვნას, წარმოადგენს რა რომელიმე ვარაუდის, განზრახვის შემოწმების საშუალებას“ (7, გვ.21).

და, მართლაც, ერთ შემთხვევაში ფაქტი განხილულია როგორც „ყოფიერი რამ მოვლენა“, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, - როგორც „ცნობიერი რამ მოვლენა“, უკვე დებულების სახით.

სოციალური ფაქტები სოციუმის ანუ საზოგადოების შიგნით არსებული ფაქტებია. სოციოლოგიისათვის ისინი, თუ ასე შეიძლება ითქვას, „ამოსავალი მონაცემებია“. და, მართლაც, განა ფაქტებზე არ აიგება თავად სოციოლოგიური დებულებანი? სოციალური ფაქტები ეს ხომ რაღაც პირველადი მონაცემებია, რომელთა საფუძველზედაც ფუნქციონირებს სწორედ სოციოლოგიური მეცნიერება; ეს ხომ ის „საყრდენებია“, რომელთა დამოწმებითაც ხდება სოციოლოგიურ ჭეშმარიტებათა დამტკიცება.

ამასთან დაკავშირებით კი, კარგად აღნიშნავს იგივე ავტორი: „სოციალური ფაქტები დიდ როლს ასრულებენ თეორიების შემოწმების, დადასტურებისა და უარყოფის მიზნით“ (7, გვ.22). ე.ი. აქ აღნიშნულია სოციალური ფაქტების დიდი მნიშვნელობა სოციოლოგიური თეორიების, ჯერ ერთი, „შემოწმების“, მეორეც, „დადასტურებისა“ და, მესამეც, „უარყოფის“ საქმეში. „შემოწმება“ აქ, რა თქმა უნდა, გულისხმობს შემოწმებას სოციოლოგიური თეორიების სისწორისას თუ არასისწორისას, „დადასტურება“ დადასტურებას მათი სისწორისას, ხოლო „უარყოფა“ - უარყოფას მათი არასისწორისას.

აქედან გამომდინარე, ნათელი უნდა იყოს სოციალური ფაქტების, მართლაც, „დიდი“, ე.ი, არსებითი მნიშვნელობა სოციოლოგიური მეცნიერების ფუნქციონირებაში.

სოციოლოგიური გამოკვლევის საგანზე როცა ვმსჯელობთ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოგვრჩეს ყველაზე მთავარი, თავი და თავი, უფრო სწორედ კი, თავიც, შუაც და ბოლოც ყოველგვარი

სოციოლოგიური გამოკვლევისა - თავად ადამიანი, ვინაიდან სწორედ ადამიანი და არა სხვა რამეა, რაც არ უნდა იყოს იგი, სოციოლოგიური გამოკვლევის უმთავრესი, უმნიშვნელოვანესი საგანი. ადამიანია თავად ყველაზე მთავარი პრობლემა სოციოლოგიური გამოკვლევისა. და ეს იმიტომ, რომ სწორედ ადამიანია ყველაზე გამორჩეული, ყველაზე აღმატებული არსება საერთოდ ამ ქვეყანაზე, კერძოდ კი ჩვენს საზოგადოებაშიაც.

საზოგადოება ურთიერთობაში მყოფი ადამიანების ერთობაა და ამიტომაც ყოველივე მასში ადამიანურის ნიშნითაა აღბეჭდილი. ყოველივეს მიღმა, რაც კი რამ სოციალურია, ადამიანი დგას.

ასე რომ, ყოველგვარი სოციალურის მიზეზები ადამიანები არიან.

მაგრამ უფრო მეტიც, ადამინები არა მხოლოდ მიზეზები არიან სოციალური მოვლენებისა, არამედ ყოველგვარი სოციალური მოძრაობის მიზნებიც. და თუ ეს ასე არაა, ეს მაინც არაფერს ლაპარაკობს აღნიშნული დებულების წინააღმდეგ, ვინაიდან საწინააღმდეგო სიტუაციაში, როგორც იტყვიან ხოლმე, მით უარესი ფაქტებისათვის. ყოველ შემთხვევაში ეს ასე არ უნდა იყოს, ვინაიდან სწორედ ადამიანი უნდა იყოს ერთადერთი მიზანი, ანუ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თვითმიზანი ამ ქვეყანაზე.

ამრიგად, ადამიანია თავიცა და ბოლოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა, უფრო მეტიც, ადამიანია შუაც მთელი ისტორიული პროცესისა, ვინაიდან სწორედ მასზე გადის მთელი ისტორია, მისით იწყება ისტორია, მისითვე არსებობს და მისითვე სრულდება იგი.

და ყოველივე ამის შემდეგ კიდევ როგორ შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, თუ რა განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფაქტორის გათვალისწინებას სოციოლოგიური გამოკვლევებში. უფრო მეტიც, თვითონ ეს სოციოლოგიური გამოკვლევებიც ადამიანთა მიერ არ ტარდება?

ასე რომ, ადამიანია როგორც საგანი, ისე პირიც, როგორც ობიექტი, ისე სუბიექტიც სოციოლოგიური გამოკვლევებისაც. ყოველივე ეს კი უნდა გათვალისწინებულ იქნეს სოციოლოგიური გამოკვლევების ჟამს, რაკიღა ნებისმიერ სოციალურ მოვლენას ადამიანის „ხელი ატყვია“, ადამიანის „ბეჭედი აზის“ და ა.შ. და მისთ., ვინაიდან მისი

გაუთვალისწინებლობა ძალიან ბევრს დააკლებდა სოციოლოგიური გამოკვლევის სრულ სურათს, სოციოლოგიური გამოკვლევის სწორ სურათს, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში კი, პირიქით, ძალიან ბევრს შესძენდა მას სოციოლოგიური გამოკვლევის სრული, სოციოლოგიური გამოკვლევის სწორი სურათის შესაქმნელად.

ნაწილი 3

სოციოლოგიური გამოკვლევის საკუთრივმეთოდოლოგიური ნაწილი

თავი 1

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა

ყოველ საქმეს თავისი წესი და რიგი აქვს. მითუმეტეს ისეთ რთულსა და მნიშვნელოვან საქმეს, როგორიცაა ე.წ. „კონკრეტულ-სოციოლოგიური" გამოკვლევა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი, მართლაც, რაიმე სოციოლოგიური პრობლემაა (რთული რამ საგანია, რომელიც ახსნას საჭიროებს), მეორეც, იმიტომ, რომ იგი სწორედ სოციალურ პრობლემას წარმოადგენს (სოციალური პრობლემა უფრო რთულია, ვიდრე არასოციალური პრობლემა), და, ბოლოს, მესამეც, იმიტომ, რომ იგი სწორედ კონკრეტული სოციალური პრობლემაა (კონკრეტულ-სოციალური პრობლემის კვლევა უფრო რთულია, ვიდრე აბსტრაქტულ-სოციალური პრობლემისა).

აქედან გამომდინარე, რთული საგანი შესაბამისად მოითხოვს შესწავლის რთულსავე პროცედურას, ანუ მთელს თანმიმდევრობას კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის რიგი ღონისძიებებისას. ეს ღონისძიებანი კი კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის საფეხურების სახით უნდა ქმნიდეს მთელს სისტემას, ანუ მოწესრიგებულ ერთიანობას ყველა იმ ღონისძიებისას, რაც კი რამ აუცილებელია და საკმარისი კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის ჩასატარებლად. ხოლო არც ერთი საფეხური კი მასში არც მეტი და არც ნაკლები არ უნდა იყოს.

ტერმინი „პროცედურა" მომდინარეობს ლათინურიდან და ქართულად ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო კუთხით „წინსვლას" ნიშნავს (უსლ).

რაც შეეხება „პროცედურის" ცნებას, ისიც ჩვენთვის საინტერესო კუთხით „გარკვეულ მოვლენათა თანმიმდევრობას" გულისხმობს.

და თუ ამას ჩვენს შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევის ცნებას მივუყენებთ, მაშინ „სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა" ტერმინობრივად „სოციოლოგიური გამოკვლევის წინ

წაწევას“ მიანიშნებს. ხოლო ცნებობრივად იგი „სოციოლოგიური გამოკვლევის მოქმედებათა თანმიმდევრობას“ იგულისხმებს.

აქ ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ ე.წ. „საფეხურების“, ანუ „ეტაპების“ ცნება.

საქმე ისაა, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა უკვე აუცილებლობით გულისხმობს თავისთავში იმ „საფეხურებს“ თუ „ეტაპებს“, რომელთა „პროცედურაზეც“ ანუ „წინწაწევაზეცაა“ საუბარი (ტერმინობრივად), რომელთა „თანმიმდევრობასაც“ გულისხმობს იგი (ცნებობრივად).

ამრიგად, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა ესაა სოციოლოგიური გამოკვლევის საფეხურებისა თუ ეტაპების თანმიმდევრობა.

ასეთია სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ცნების განსაზღვრება, მისი დეფინიცია.

სოციოლოგიური გამოკვლევის ეს „დასაფეხურეობრივება“, ეს „დაეტაპობრივება“ სოციოლოგიური შრომის ერთგვარი დანაწილებაა და იგი, როგორც საერთოდ ყოველგვარი შრომის დანაწილება, აუცილებელი და სასარგებლოა საქმისათვის, ვინაიდან შრომის პროცესის დაყოფა საქმის გასაიოლებლად, „საქმის მოსარევად“, „ნაბიჯ-ნაბიჯ“ მისი წარმართვა, მართლაც, უაღრესად აუცილებელი და საასარგებლოა საქმისათვის. და, მართლაც, ერთბაშად არაფერი არ შეიძლება, თანდათანობით კი - ყველაფერი.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა ანუ შრომის ამ თავისებური სახეობის დანაწილება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში მისი საგნის შესწავლის მეტად ეფექტური, შედეგიანი საშუალებაა.

ხოლო იგი, სოციოლოგიური გამოკვლევის მთელი პროცედურა გარკვეული საფეხურებისა თუ ეტაპების სახით, იმდენად სასარგებლო და მნიშვნელოვანია სოციოლოგიური გამოკვლევის საქმეში, რომ ამასთან დაკავშირებით საგანგებოდ სწორად აღნიშნავს კიდეც რუსი სოციოლოგი ანდრია ზდრავომისლოვი: „სოციოლოგიური კვლევის უკეთესი ორგანიზაცია გვექნება არა კვლევათა მიმართულების

მიხედვით სპეციალიზაციისას, არამედ კვლევის ეტაპებად დაყოფის მიხედვით სპეციალიზაციისას" (2, გვ. 55).

ყოველივე ეს, მართლაც, სხვა არაფერია, თუ არა ე.წ. „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მის „შესასრულებლად განსახორციელებელ მოქმედებათა თუ ღონისძიებათა თანმიმდევრობა" (12, ტ. „პროცედურა") საფეხურებად თუ ეტაპებად დაყოფის მხრივ სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვაგვარია და ეს უმართებულოც როდია. ის კი არადა, პირიქით, გამართლებულიც კია, ოღონდ იმ პირობით, თუ ერთი ვარიანტით დაყოფა ეტაპებად თუ საფეხურებად პრინციპში არ ეწინააღმდეგება სხვაგვარ მის დაყოფას ამ მხრივ.

ჩვენ აქ გადმოვცემთ ზოგიერთს ხსენებულ ვარიანტთაგან.

ანდრია ზდრავომისლოვის მიხედვით (1969), სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: 1) „კვლევის პროგრამის ან პროექტის შედგენას"; 2) „კვლევის ობიექტებისა და ერთეულების განსაზღვრას, ანუ გამორჩევას"; 3) „კვლევის მეთოდიკის - მასალის შეკრების ხერხების შემუშავებას"; 4) „მასალის შეგროვებას"; 5) „მასალის ანალიზსა და მის განზოგადებას" (2, გვ.47).

ჩავა ფრანკფორტ-ნაჩმიასისა და დევიდ ნაჩმიასის მიხედვით (1976), სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა „შვიდი ურთიერთდაკავშირებული საფეხურისაგან" შედგება და ესენია: 1) „კვლევის საკითხის განსაზღვრა"; 2) „ჰიპოთეზის ჩამოყალიბება"; 3) „კვლევის დიზაინის შემუშავება"; 4) „გაზომვა"; 5) „მონაცემთა შეგროვება"; 6) „მონაცემთა ანალიზი"; 7) „განზოგადება"(13, გვ.17).

ერთ-ერთი კოლექტიური ნაშრომის ავტორთა მიხედვით (1998), სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა მოიცავს შემდეგ „ავტონომიურ, თუმცა ერთმანეთთან დაკავშირებულ" ეტაპებს: 1) „სოციოლოგიური კვლევის პროგრამის დამუშავებას"; 2) „კვლევის მეთოდიკის შექმნას"; 3) „პილოტაჟური გამოკვლევის ჩატარებას"; 4) „შერჩევის მოდელის შემუშავებას"; 5) „საველე სამუშაოების ჩატარებას ანუ პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვებას"; 6) „მიღებული მონაცემების მომზადებას დამუშავებისათვის" (ლოგიკურ

კონტროლსა და კოდირებას) და მათ მანქანურ (კომპიუტერულ) დამუშავებას"; 7) „დამუშავებული მასალის ანალიზსა და დასკვნითი ანგარიშის შედგენას" (11, გვ.24).

ვ.ასათიანის მიხედვით (2006), სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა იყოფა ხუთ ეტაპად. ესენია: 1) „გამოკვლევის პროგრამის შედგენა"; 2) „გამოკვლვეის ობიექტისა და ერთეულების განსაზღვრა; 3) „გამოკვლევის მეთოდიკის შერჩევა"; 4) „ინფორმაციის მოპოვება და შეკრება"; 5) „ინფორმაციის ანალიზი და განზოგადება" (1, გვ.27).

რ. ღიბრაძის მიხედვით, ერთი ვარიანტით (2008), კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის „ძირითადი ეტაპებია": 1) „მოსამზადებელი ეტაპი (კვლევის წინასწარი სამუშაოების ჩატარება, პროგრამის და გეგმის შედგენა)"; 2) „ძირითადი ეტაპი (ინფორმაციის მოპოვება და გამოკითხვები)"; 3) „დამაბოლოვებელი ეტაპი (მოკვლეული მასალის დამუშავება, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება)" (14, გვ.165).

რ. ღიბრაძისავე მიხედვით, მეორე ვარიანტით (2008), სოციოლოგიური კვლევის კონკრეტული საფეხურები შემდეგია: 1) „კვლევის მიზნის გაცნობიერება"; 2) „წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება"; 3) „კვლევის პროგრამისა და სამუშაო გეგმის შედგენა"; 4) „ჩატარების ვადების განსაზღვრა", 5) „ინფორმაციის შეგროვება-დამუშავების შესაძლებლობების მობილიზაცია"; 6) „პირველადი ინფორმაციის შეგროვება"; 7) „არსებული მასალების მომზადება ელექტროგამომთვლელ მანქანებზე დასამუშავებლად და მისთვის სპეციალური პროგრამის შედგენა"; 8) „ინფორმაციის ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება" (14, გვ.165).

ქრეგ კალჰუნის, დონალდ ლაითისა და სუზენ კელერის მიხედვით (2008), სოციოლოგიური კვლევის პროცესი, ემილ დიურკჰაიმზე დაყრდნობით, შვიდ „სანიმუშო" ნაბიჯს გულისხმობს. ესენია: 1) „პრობლემის განსაზღვრა (საკვლევი თემის შერჩევა და მთავარი კონცეფციების განსაზღვრა"); 2) „ლიტერატურის მიმოხილვა" (არსებულ თეორიათა გაცნობა და თემის კვლევა)"; 3) „ჰიპოთეზის ჩამოყალიბება (კავშირის დადგენა ზომვად ცვლადებს შორის ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გაზომვა და ჰიპოთეზის შემოწმება)"; 4)

„კვლევის გეგმის შერჩევა (შესასწავლი მეთოდის შერჩევა: ექსპერიმენტი, მიმოხილვა, საველე დაკვირვება ან ისტორიული მეთოდი)"; 5) „მონაცემთა შეგროვება (ჰიპოთეზის შესამოწმებელ მონაცემთა შეგროვება)"; 6) „მონაცემთა გაანალიზება (მონაცემებზე მუშაობა და მათი შემოწმება ჰიპოთეზის ასახსნელად)"; 7) „დასკვნების გაკეთება (კვლევის შედეგების შეჯამება მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, აღმოჩენების დაკავშირება არსებულ თეორიასთან და კვლევასთან და მომავალი კვლევისათვის პრობლემების დადგენა)" (4, გვ.64).

როგორც ვხედავთ, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის აღწერილ კლასიფიკაციათა შორის გარკვეული სხვაობა კია, მაგრამ ეს განსხვავებანი არსებითი როდია, მთავარია, თოთოეული მათგანი თავ-თავის მხრივ სწორი იყოს.

ხოლო სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის კლასიფიკაცია დამაკმაყოფილებელი რომ იყოს, აუცილებელია ყველა იმ ლოგიკური მოთხოვნის შესრულება, რაც დაკავშირებულია ნებისმიერ კლასიფიკაციასთან საერთოდ.

კლასიფიკაციის ზოგად-ლოგიკური წესებიდან გამომდინარე. სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის იდეალური, ანუ საუკეთესო კლასიფიკიცია შემდეგ სამ აუცილებელ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს: ჯერ ერთი, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ელემენტებად, ამ შემთხვევაში, ეტაპებად თუ საფეხურებად დაყოფა ერთიანი პრინციპით უნდა მოხდეს, მეორეც, ეს ელემენტები ერთმანეთს არ უნდა გადაკვეთავდნენ, და მესამეც, ისინი ყველანი ერთად უნდა ამოწურავდნენ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ცნების მოცულობას.

სწორედ ამგვარი კლასიფიკაცია იქნებოდა საუკეთესო შემთხვევაში იდეალური, თუმცა რეალურად ეს ასე, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებისა გამო, მუდამ ასე როდია. ყოველ შემთხვევაში კი სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურული კლასიფიკაციის დროს ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ მაქსიმუმს ამ მხრივ.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურაზე მსჯელობისას, სოციოლოგიური გამოკვლევის თეორიაში გამოყოფენ სოციოლოგიური გამოკვლევის ე.წ. „ტიპებს“ ანუ თვისობრივად განსხვავებულ სახეებს.

ამასთან დაკავშირებით შედარებით უკეთ მსჯელობს ანდრია ზდრავამისლოვი, კერძოდ, იგი საუბრობს სოციოლოგიური კვლევის ტიპებზე ანუ სოციოლოგიური კვლევის „შესაძლებელ ვარიაციებზე“, როგორც „დამუშავების ხარისხის“, ისე „თეორიული მიმართულების“ მიხედვით (2, გვ.51).

ამ მხრივ კი, პირველ შემთხვევაში გვექნება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ორი ტიპი: „თეორიულად მთლიანად გააზრებული“ და „თეორიულად არამთლიანად გააზრებული“ პროცედურები, ხოლო მეორე შემთხვევაში გვექნება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ხუთი ტიპი (ამ ტიპებს გამოყოფს ამერიკელი სოციოლოგი ჯონ მაკინი წიგნში „თანამედროვე სოციოლოგიური თეორია“ (19, გვ.244); სოციოლოგიური კვლევის ამ ეტაპების დაწვრილებითი ანალიზი იხილეთ იქვე, 446-470. ამ ეტაპების მოკლე ანალიზი იხ. აგრეთვე ა.ზდრავომისლოვთან (2,გვ.52-53), ასევე ვ. ასათიანთანაც (1,გვ.38)): 1) სტატისტიკური, 2) ექსპერიმენტული, 3) ტიპოლოგიური, 4) ისტორიული, 5) შერჩევითი შემთხვევების შესწავლის პროცედურები (2, გვ.52).

თავად სახელწოდებანი სოციოლოგიური გამოკვლევის ამ ტიპებისა უკვე მეტყველებს იმაზე, თუ, მართლაც, რა „თეორიული ორიენტაციისაა“ ესა თუ ის აღნიშნული პროცედურა, სტატისტიკური, ექსპერიმენტული, ტიპოლოგიური, ისტორიული თუ შერჩევითი შემთხვევების შესწავლისა? აქ „დაწოლა“ კეთდება კვლევის შესაბამისად აღნიშნულ მხარეებზე.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ესა თუ ის „თეორიული ორიენტაცია“ ანუ მისი ტიპოლოგიური სახეცვლილება როდი ცვლის სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ძირითადი ეტაპების სახესხვაობას (2, გვ.51). ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში იგი ინარჩუნებს თავის სახეს. ე.ი. სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ეტაპები ამ შემთხვევაში უცვლელია. უბრალოდ სხვა

საკითხია ის, თუ რამდენად სწორადაა თავად ჩვენს მიერ დადგენილი და გამოყოფილი საერთოდ სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპები.

ამ მხრივ კი აქ შეიძლება გვქონდეს აზრთა სხვადასხვაობა. ამ აზრთა სხვადასხვაობის გამოხატულებაა ის გარემოება, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ეტაპებს სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად გამოყოფს ხოლმე.

აქ ჩვენ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის კლასიფიკაციის ორგვარი - ობიექტური და სუბიექტური - მიზეზი შეიძლება გვქონდეს.

ობიექტურის შემთხვევაში ამ სხვადასხვაობის მიზეზი, რა თქმა უნდა, სხვადასხვა პრინციპი შეიძლება იყოს, სუბიექტურის შემთხვევაში კი - ავტორთა სუბიექტური მოსაზრებანი.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ეტაპების „ობიექტური" მრავალსახეობა აქ ჩვენ გვესმის მათი როგორც „სწორი" მრავალსახეობა, რა შემთხვევაშიაც თითოეული ეს კლასიფიკაციათაგანი ყველა ცალ-ცალკე სწორია, ვინაიდან ამა თუ იმ ასპექტით სწორადაა ჩატარებული.

მაგრამ სხვა არის სუბიექტური კლასიფიკაციის შემთხვევაში, როდესაც სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ესა თუ ის კლასიფიკაცია უკვე სუბიექტურია, ანუ არასწორი.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის კლასიფიკაცია მისი ობიექტურობის შემთხვევაში ერთი და იმავე ასპექტით აუცილებლად ერთადერთი უნდა იყოს. და თუ იგი ასეთი არაა, მაშინ ამგვარი კლასიფიკაცია სწორი არც იქნება, ვინაიდან ეწინააღმდეგება ლოგიკის პრინციპებს. კლასიფიკაციის ლოგიკური პრინციპები კი ამ კლასიფიკაციის სისწორის უტყუარობის გარანტიაა, საწინდარია.

სწორედ აქედან გამომდინარე, ანუ კლასიფიკაციის ლოგიკური პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენც შევეცდებით სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურული ეტაპების ჩვენეულ კლასიფიკაციას.

ხოლო ამასთან დაკავშირებით კი იმთავითვე უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ სწორ კლასიფიკაციას საერთოდ და სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის სწორ კლასიფიკაციასაც კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაშია

შესაძლებელი სოციოლოგიური გამოკვლევის მაქსიმალური ეფექტურობა, მისი საუკეთესო შედეგიანობა. სწორედ ხომ ამგვარი კლასიფიკაციის შემთხვევაში, მისი გათვალისწინებით, მასზე დაყრდნობით იქნებოდა უზრუნველყოფილი სოციოლოგიური გამოკვლევის როგორც შრომის გარკვეული სახის ნამდვილად „მეცნიერული ორგანიზაცია". სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპების „უნაკლო" კლასიფიკაცია ამ შემთხვევაში არის ამ გამოკვლევის „უნაკლო" ორგანიზაციის პირობა, ხოლო ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, - უკვე აუცილებელი პირობა სოციოლოგიურ კვლევითი შრომის მაქსიმალური ეფექტურობისა.

ამრიგად, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის უმჯობესი კლასიფიკაცია სოციოლოგიური გამოკვლევის უმჯობესი ორგანიზაციის, მისი უკეთესი მოწყობის აუცილებელი პირობაა, ვინაიდან სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესის უფრო სწორი დანაწილება ეტაპებად სოციოლოგიური გამოკვლევების ეფექტურობის მაქსიმალური ამაღლების პირობაა და ამაშია სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ეტაპებად სწორი დაყოფის ანუ სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპების სწორი კლასიფიკაციის მნიშვნელობაც.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურაში ყველაზე მთავარია მისი ეტაპების თანმიმდევრობა, ანუ ის, თუ რა ეტაპს რა ადგილი უნდა ეჭიროს ამ ეტაპების თანმიმდევრობაში, რომელი მათგანი წინ უნდა უსწრებდეს რომელს და რომელი უკან უნდა მოსდევდეს რომელს. ამასთან აქ საუბარია სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპების „უშუალო" თანმიმდევრობაზე, იმაზე, თუ „უშუალოდ", სახელდობრ, რომელი ეტაპი უნდა უსწრებდეს რომელს და „უშუალოდ" რომელი უნდა მოსდევდეს რომელს, ე.ი. ჯერ რა ეტაპი უნდა განხორციელდეს უშუალოდ და მერე რა ეტაპი უნდა გახორციელდეს ასევე უშუალოდ.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურაში აღსანიშნავია ისიც, თუ რატომ, რის საფუძველზე უნდა გამოიყოს ცალ-ცალკე დამოუკიდებელი საფეხურის სახით, მაინცდამაინც ესა თუ ის ეტაპი და, აი, აქ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ამას განსაზღვრავს ამა თუ იმ საფეხურის „მნიშვნელობა", მისი

„ღირებულება“, ანუ ის, „იმსახურებს“ თუ არა ესა თუ ის „ნაბიჯი“ სოციოლოგიურ გამოკვლევაში დამოუკიდებელ შესწავლას, რომლის გარეშეც სოციოლოგიური გამოკვლევა დაზიანდებოდა, დაბრკოლდებოდა.

გამომდინარე იქიდან, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ეტაპებს სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად გამოყოფს, ჩვენც შეიძლება ეს ეტაპები განსხვავებულად გამოვყოთ.

მაგრამ აქ შეიძლება ჩვენ შევჩერდეთ ე.წ. „მინიმუმზე“ და „მაქსიმუმზე“.

სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპები სოციოლოგიურ ლიტერატურაში წარმოდგენილია მინიმუმ ხუთი ეტაპით მაინც (2,გვ.47). ჩვეულებრივ კი თანამედროვე სოციოლოგიური გამოკვლევის თეორიაში გამოყოფენ შვიდ საფეხურს სოციოლოგიური გამოკვლევისას (ასე, მაგალითად, 4,გვ.64; ასევე:13, გვ.17) (თუმცა რაოდენობით ტოლ, მაგრამ თვისპობრივად განსხვავებულ საფეხურებს).

ჩვენ აქ წარმოვადგენთ ჩვენეულ „მაქსიმალურ“ ვარიანტს სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპების რაოდენობისას.

ხოლო „რაოდენობა“ აქ მთავარი როდია თავისთავად, არამედ იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენადაა იგი დაკავშირებული „თვისობრიობასთან“, ე.ი. თუ რამდენადაა სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდები რაოდენობრივად და რაგვარობრივად ერთმანეთთან მორგებული, ანუ თუ რამდენადაა სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპები თავისი თვისობრიობის ამბავში რაოდენობრივად წარმოდგენილი.

„მაქსიმალური“ რაოდენობით სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპები, ჩვენის აზრით, ყველა სხვა ავტორის გათვალისწინებით, შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: 1) საკითხის განსაზღვრა, 2) კვლევის პროგრამის შემუშავება, 3) ლიტერატურის მიმოხილვა, 4) ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, 5) მეთოდიკის შემუშავება, 6) პილოტაჟის ჩატარება, 7) შერჩევის მოდელის შემუშავება, 8) გაზომვა, 9) მასალის შეგროვება, 10) მასალების მომზადება დამუშავებისათვის, 11) მონაცემების დამუშავება, 12) მასალის ანალიზი, 130 მასალის განზოგადება, 14)

მასალის ინტერპრეტაცია, 15) დასკვნების გაკეთება, 16) რეკომენდაციების მომზადება, 17) ანგარიშის წარდგენა

სოციოლოგიური გამოკვლევის „პროცედურის“ ეტაპები თავისთავში მოიცავს სოციოლოგიური გამოკვლევის „პროგრამის“ ეტაპებს, რამაც შეიძლება აღნიშნულ ნაწილში „პროცედურისა“ და „პროგრამის“ ერთმანეთში აღრევა.

მაგრამ აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური გარემოება, რომ სხვადასხვა მთლიანობაში ერთი და იგივე ელემენტები სხვადასხვაა და ამიტომაც „შინაგნად“ ეს ეტაპები განსხვავებულ სისტემაში, მიუხედავად მათი გარკვეული მსგავსებისა, მაინც სხვადასხვაა. ასევეა, რა თქმა უნდა, სოციოლოგიური გამოკვლევის „პროცედურისა“ და სოციოლოგიური გამოკვლევის „პროგრამის“ შემთხვევაშიაც.

საქმე ისა, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ელემენტები მაინც სოციოლოგიური გამოკვლევის „პროგრამის“ ელემენტებია, ხოლო იგივე ელემენტები იმავე სახელწოდებითვეც კი - უკვე სოციოლოგიური გამოკვლევის „პროცედურის“ ელემენტები. ერთი და იგივე მოვლენები შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა რაკურსით, სხვადასხვა კუთხით, ხოლო როცა სოციოლოგიური გამოკვლევის „პროცედურაზე“ ვმსჯელობთ, ამ შემთხვევაში აღნიშნულ ეტაპებს განვიხილავთ როგორც სოციოლოგიური გამოკვლევის სწორედ თანმიმდევრულ საფეხურებს, მაშინ როდესაც სოციოლოგიური გამოკვლევის „პროგრამის“ შემთხვევაში აქცენტი მათს თანმიმდევრობაზე კი არაა დასმული, არამედ შესასწავლი საგნის აუცილებელ ელემენტთა წინასწარ გაწერაზე. თუმცა სოციოლოგიური გამოკვლევის „პროგრამაშიაც“ უნდა იქნას გათვალისწინებული შესასწავლის საგნის წინასწარ დაწერილი ელემენტების თანმიმდევრობაც.

თავი 2

სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა

სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა სოციოლოგიური გამოკვლევის აუცილებელი ნაწილია, ურომლისოდაც იგი შეუძლებელიც კია არსებობდეს. ამიტომაც სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის შედგენა, მისი შემუშავება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ერთ-ერთი აუცილებელი ეტაპია,

ხოლო სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის შედგენას ანუ შემუშავებას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის სისტემაში, რომ ჩვენ სავსებით შეგვიძლია აღვნიშნოთ: სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის შედგენა-შემუშავებას განმსაზღვრელი, მთავარი ადგილი უჭირავს სოციოლოგიური გამოკვლევის მთელს პროცედურაში, ვინაიდან სწორედ იმაზე, თუ როგორ იქნება შედგენილი თუ შემუშავებული სოციოლოგიური გამოკვლევის სახელდობრ პროგრამა, სწორედ ამაზე იქნება განმსაზღვრელწილად დამოკიდებული მთელი სოციოლოგიური გამოკვლევის წარმატებაც.

ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევის ჯეროვანი პროგრამაც ჯეროვანი, წარმატებული სოციოლოგიური გამოკვლევის მთავარი საწინდარია.

„პროგრამა“ ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა და ქართულად სიტყვა-სიტყვით „წინასწარწერას“ ნიშნავს. ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო მნიშვნელობით პროგრამა რაიმე მოქმედების გეგმას გულისხმობს.

აქედან გამომდინარე კი, სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამაც სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმას გულისხმობს, ანუ იმ წინასწარ გაწერილ მოქმედებებს, რომლებიც შესასრულებლადაა დასახული, გამიზნული სოციოლოგიური გამოკვლევის საქმეში.

ის, რომ სოციოლოგიური კვლევის პროგრამის დამუშავება უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მთავარი, განმსაზღვრელი ეტაპია სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის სისტემაში, ეს იქიდანაც

ჩანს, თუ რა ადგილს აკუთვნებენ სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის დამუშავებას სოციოლოგიური კვლევის პროცედურის ეტაპთა შორის.

ხოლო ამასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს ის, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის შედგენას სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურაში ძალიან ხშირად სწორედ პირველ ადგილს ანიჭებენ, ვინაიდან, მართლაც, პროგრამით იწყება ყველა საქმე, თუ ჩვენ გვინდა ის წარმატებული იყოს. ლოგიკურადაც, აბა, სხვანაირად როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო?

მართალია, სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა სხვადასხვა სოციოლოგთან სხვადასხვა ეტაპად კია დაყოფილი, მაგრამ მათ შორის პრინციპული სხვაობა მაინც არ არის. მთავარი ესაა და არა ის ნიუანსური სხვაობანი, რაც მათ შორისაა, ვინაიდან, პრინციპული ერთიანობის პირობით, აღნიშნული ნიუანსური სხვაობანი, პირიქით, კიდევ უფრო ხელს უწყობენ სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ეტაპების უფრო სრული სურათის შექმნას.

ჩვენ აქ მიმოვიხილავთ სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ეტაპების რამოდენიმე სოციოლოგის მიერ წარმოდგენილ ჩამონათვალს.

რუსი სოციოლოგის ანდრია ზდრავომისლოვის მიხედვით, სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა მოიცავს ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა 1) „კვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა"; 2) „პრობლემის ფორმულირება"; 3) „ცნებების განსაზღვრა"; 4) „პრობლემის ლოგიკური ანალიზი და კვლევის კერძო ამოცანათა დაყენება"; 5) „ჰიპოთეზების ფორმულირება" (2, გვ.55, 58, 60, 65, 76).

როგორც ვხედავთ, აქ სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ეტაპები „ჰიპოთეზების ფორმულირებაზე" სრულდება, მაშინ როდესაც სხვებთან ეს ეტაპები კიდევ უფრო მეტ საფეხურებს მოიცავს. მაგრამ აქ ჩვენ უნდა შევნიშნოთ ის ვითარება, რომ ზდრავომისლოვთან სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპები გამოყოფილია სოციოლოგიური გამოკვლევის მხოლოდ ე.წ. „მეთოდოლოგიური" ნაწილის ფარგლებში და იგი არ ეხება მის ე.წ. „პროცედურულ" ნაწილს.

საქმე ისაა, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა მოიცავს, მართლაც, ორ ნაწილს: როგორც მეთოდოლოგიურს, ისე პროცედურულს (11,გვ.24) და ზდრავომისლოვთანაც ჩვენ გვაქვს აღნუსხული სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის მხოლოდ ეს, სახელდობრ, საკუთრივი ნაწილი.

ზდრავომისლოვის მსგავსად, სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის საფეხურები მის მხოლოდ მეთოდოლოგიურ ფარგლებში მოცემული აქვს ვ. ასათიანსაც (1, გვ..29)

მაგრამ სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ეტაპების სწორედ იმგვარი ნუსხა, რომელიც მოიცავს სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის როგორც მეთოდოლოგიურ, ისე პროცედურულ ნაწილსაც, წარმოდგენილი აქვს ქართველ სოციოლოგს იაგო კაჭკაჭიშვილს შემდეგნაირად: I. მეთოდოლოგიურ ნაწილში: 1) „პრობლემის ფორმულირება, კვლევის ობიექტისა და საგნის განსაზღვრა", 2) „კვლევის მიზნისა და ამოცანების ჩამოყალიბება", 3) „ძირითადი ცნებების ინტერპრეტაცია", 4) „კვლევის საგნის ლოგიკურ-სისტემატური ანალიზი", 5) „ჰიპოთეზების ფორმულირება"; II. პროცედურულ ნაწილში: 1) „სოციოლოგიური კვლევის სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება; შერჩევის ტიპის განსაზღვრა", 2) „პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვების, აგრეთვე მიღებული ინფორმაციის ანალიზის ძირითადი მეთოდების წინასწარი დახასიათება" (11, გვ.24-25).

რ. ღიბრაძის მიხედვით, სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა შედგება „მეთოდოლოგიური და მეთოდური ნაწილისაგან" (14, გვ.169). ამასთან პროგრამის „ძირითად ნაწილად" გამოცხადებულია „მეთოდოლოგიური" ნაწილი, რომელიც, მისი აზრით, მოიცავს ისეთ საფეხურებს, როგორებიცაა: 1) „პრობლემური სიტუაციის ფორმულირება და მისი აქტუალობის დასაბუთება"; 2) „გამოკვლევის ამოცანის განსაზღვრა"; 3) „ჰიპოთეზის ფორმულირება" (14, გვ.169).

ხოლო რაც შეეხება „მეთოდურ" ნაწილს, ავტორის აზრით, იგი გულისხმობს ისეთ ეტაპებს, როგორებიცაა: 1) „პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვების მეთოდების განსაზღვრა";

2) „მათი თანმიმდევრული გამოყენება"; 3) „ინფორმაციის მანქანური დამუშავებისათვის ლოგიკური პროგრამის შექმნა" (14, გვ. 169).

ჯ. ნონიაშვილის მიხედვით, „გამოკვლევის პროგრამის შედგენის ძირითადი ეტაპების საბოლოო სქემა ასე გამოიყურება: პრობლემის ფორმულირება; გამოკვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა; ძირითადი ცნებების ლოგიკური ანალიზი; გამოკვლევის საგნის თეორიული მოდელის აგება; ჰიპოთეზების წამოყენება და ცნებების ოპერაციონალიზაცია; გამოკვლევის ობიექტის ემპირიული სქემის დამუშავება; შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრა; მეთოდების შერჩევა და ინსტრუმენტების შერჩევა; საველე გამოკვლევა; მიღებული მონაცემების დამუშავება და ინტერპრეტაცია; დასკვნები და მეცნიერული ანგარიშის მომზადება" (7, გვ.35-36).

თუ გულდასმით დავაკვირდებით ყველა აღნიშნულ სქემას სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამისას, შევამჩნევთ იმ კანონზომიერებას, რომ, ჯერ ერთი, ზოგ მათგანში პროგრამის ელემენტები წარმოდგენილია სხვადასხვა რაოდენობით, და, მეორეც, სხვადასხვა რაგვარობითაც; ზოგი მეტს ასახელებს და ზოგიც ნაკლებს; ზოგი მათგანი სხვანაირად ასახელებს ელემენტებს, ზოგიც კიდევ - სხვანაირად.

თუმცა ეს არსებითი როდია, მთავარია ის, თუ რამდენად სწორადაა გადმოცემული ეს საფეხურები თითოეულ მათგანში. ამ მხრივ კი ყველა მათგანში მეტ-ნაკლებად არის ერთგვარი „რაციონალური მარცვალი", ერთგვარი ღირსებანი.

ხოლო რაც შეეხება მათ ნაკლოვანებებს, ეს ნაკლოვანებანი ამ შემთხვევაში შეიძლება გულისხმობდეს იმას, თუ რამდენად სრულად, რამდენად ამომწურავდაა სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ძირითადი ეტაპები რაოდენობრივად წარმოდგენილი მათში და რამდენად სწორადაა რაგვარობრივად დასახელებული პროგრამის ეს საფეხურები მათში, ე.ი. აკმაყოფილებს თუ არა სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ეტაპების ესა თუ ის კლასიფიკაცია ლოგიკის ზოგად კლასიფიკაციურ მოთხოვნებს.

ხოლო იმისათვის, რომ მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ აღნიშნული საშიშროებანი, უმჯობესი იქნება, სოციოლოგიური

გამოკვლევის პროგრამის ეტაპების არსებულ კლასიფიკაციათა ურთიერთშეჯერებით, ყველა მათგანის ღირსება-ნაკლოვანებათა შეპირისპირებით, მათი „აწონ-დაწონვით", შევეცადოთ, რათა სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ეტაპების კლასიფიკაციის უმჯობესი ვარიანტი შევიმუშავოთ. ამას სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის უმჯობესი ეტაპობრივი კლასიფიკაციის ძიებას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან „მისი [გამოკვლევის პროგრამის] საფუძვლიანი დამუშავება ხელს უწყობს ხარისხიანი გამოკვლევის ჩატარებას და სანდო შედეგების მიღებას" (7, გვ.194).

ყოველივე იმ ლოგიკური მოთხოვნების საფუძველზე, რაც წაეყენება ნებისმიერ კლასიფიკაციას და სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ეტაპების ყველა აღნიშნული კლასიფიკაციის ღირსება-ნაკლოვანებათა გათვალისწინებით, ჩვენც წარმოვადგენთ სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ეტაპთა ჩვენეული კლასიფიკაციის ცდას.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ძირითადი ეტაპები, ჩვენის აზრით, შემდეგია: 1) პრობლემის ფორმულირება; 2) ობიექტისა და საგნის განსაზღვრა; 3) გამოკვლევის მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა/ჩამოყალიბება; 4) ძირითადი ცნებების ინტერპრეტაცია; 5) ძირითადი ცნებების ლოგიკური ანალიზი; 6) გამოკვლევის საგნის თეორიული მოდელის აგება; 7) გამოკვლევის ობიექტის ემპირიული სქემის დამუშავება; 8) ჰიპოთეზის წამოყენება/ფორმულირება; 9) სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმის ჩამოყალიბება; 10) შერჩევის ტიპის განსაზღვრა; 11) მეთოდების შერჩევა და ინსტრუმენტების შედგენა; 12) საველე გამოკვლევა/პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვება; 13) მიღებული ინფორმაციის მონაცემების დამუშავება; 14) მათი ანალიზის ძირითადი მეთოდების წინასწარი დახასიათება; 15) მათი ინტერპრეტაცია; 16) დასკვნების გაკეთება; 17) ანგარიშის მომზადება.

ახლა კი ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამისა, და თანაც მისი მხოლოდ მეთოდოლოგიური

ნაწილის, ძირითადი ეტაპების საკითხთან დაკავშირებულ ზოგიერთ იმ მომენტს, რომელიც აუცილებელია საკითხის სიცხადისათვის.

ჩვენ აქ სიცხადისათვის კომენტარებსაც დავყოფთ სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის პუნქტებისდა მიხედვით.

1) პრობლემის ფორმულირება

პრობლემის ფორმულირება სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის უპირველესი ელემენტია, თუნდაც იმიტომ, რომ სწორედ სოციალური პრობლემაა სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი, ვინაიდან „თუ არ არსებობს პრობლემური სიტუაცია, მაშინ სოციოლოგიური კვლევაც აზრს კარგავს" (სკმ, გვ.26). და, მართლაც, კვლევას, ლოგიკურია, ხომ სწორედ პრობლემა მოითხოვს, რათა იგი ჯერ გაცნობიერდეს და მერე კი ამ კვლევის საფუძველზე აღმოიფხვრას კიდეც.

აქ ხაზი ამასთან დაკავშირებით უნდა გაესვას ე.წ. პრობლემური სიტუაციის ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მომენტს: ონტოლოგიურსა და გნოსეოლოგიურს. პირველი გულისხმობს სოციალურ პრობლემას „თავისთავად", ობიექტურად, ხოლო მეორე კი - ამ პრობლემას უკვე „ჩვენთვის", სუბიექტურად, მისი გაცნობიერების კუთხით.

მოკლედ, ობიექტური სოციალური პრობლემა უნდა იქნეს შესწავლილი ჩვენს მიერ და სწორედ ამას გულისხმობს პრობლემის ე.წ. ფორმულირებაც. (იხ. ამაზე აგრეთვე სგმ, გვ.26).

2) ობიექტისა და საგნის განსაზღვრა

სოციოლოგიურ გამოკვლევას პრობლემური სიტუაციის პრობლემური „ობიექტი" და კონკრეტული „საგანი" გააჩნია. პირველში აქ იგულისხმება შესასწავლი პრობლემის კონკრეტული სფერო, ხოლო მეორეში კი ამ პრობლემის უშუალოდ შესასწავლი ესა თუ ის კონკრეტული მხარე, ასპექტი, თუ ნიშან-თვისება (11, გვ.27).

3) მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა

სოციოლოგიური გამოკვლევის მიზანი გულისხმობს მის გარკვეულ ორიენტაციას, განსაზღვრულ მიმართულებას, რა თქმა უნდა, ჩვენთვის სასურველი კუთხით, ხოლო ამოცანები კი - ამ მიზნის განხორციელების საშუალებებს. მიზანი აქ განსაზღვრავს ამოცანებს,

ამოცანა კი ემსახურება მიზანს, განსაზღვრულია რა მისით. როგორიცაა სოციოლოგიური კვლევის მიზანი, ლოგიკურად ისეთივე იქნება მისი ამოცანაც.

სოციოლოგიური გამოკვლევის მიზანიცა და ამოცანებიც იყოფა ორ ძირითად მხარედ - თეორიულ და პრაქტიკულ ამოცანებად (ამასთან დაკავშირებით იხ. 11, გვ.28-30). „ამოცანათა განსაზღვრის მიხედვით [კი], კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევა არის ან თეორიული, ან გამოყენებითი, ან ორივე ერთად" (1,გვ.29). ამასთან, „თეორიული ორიენტაციის" სოციოლოგიური კვლევისას მიზანია სოციალური პრობლემის „გამოვლენა", ხოლო „პრაქტიკული ორიენტაციის" სოციოლოგიური კვლევისას კი - სოციალური პრობლემის „გადაჭრა" (იხ. ამასთან დაკავშირებით ასევე 11, გვ.29).

4) ძირითადი ცნებების ინტერპრეტაცია

ძირითადი ცნებების ემპირიული ინტერპრეტაცია სოციოლოგიური კვლევის პროცესში გულისხმობს შესასწავლი პრობლემის ამოსავალ ცნებათა „ემპირიული (ცდისეული) მნიშვნელობების მოძიება-დადგენას"(11,გვ.30), ანუ მათი ემპირიული მნიშვნელობების ახსნა-განმარტებას. ეს კი საჭიროა იმისათვის, რათა ამ ცნებებმა სოციოლოგიური კვლევისათვის „მნიშვნელობა შეიძინონ", ანუ „ემპირიულად გამოყენებადი გახდნენ" (11,გვ.30). საქმე ისაა, რომ სოციოლოგიური კვლევა ჩვენს შემთხვევაში სწორედ ემპირიულ (ცდისეულ) დონეზე მიმდინარეობს. ეს კვლევა ხომ, მართლაც, ემპირიული ხასიათისაა, რის გამოც იგულისხმება, რომ იგი, ეს კვლევა - სწორედ ემპირიული სოციოლოგიური კვლევაა.

სოციოლოგიური გამოკვლევის ცნებათა ინტერპრეტაცია მათს ე.წ. „ოპერაციონალურ განსაზღვრებას" გულისხმობს (განსხვავებით მათი ე.წ. „კონცეპტუალური განსაზღვრებისაგან"). ასე რომ, ცნებათა „ოპერაციონალური ინტერპრეტაცია" ამ შემთხვევაში ცნებათა სწორედ „ოპერაციონალური განსაზღვრების" საშუალებაა, ხერხია, მეთოდია (განსხვავებით „კონცეპტუალური განსაზღვრებისაგან", რომლის საშუალებაც, ხერხიც, მეთოდიც, შესაბამისად, უკვე, თუ ასე შეიძლება ითქვას, „კონცეპტუალური ინტერპრეტაცია" იქნებოდა).

ცნებათა ემპირიული ინტერპრეტაცია ორი სახისაა, იმისდა მიხედვით, ძირითადი ამოსავალი, საკვანძო ცნება „კონკრეტულია“ თუ „აბსტრაქტული“. ესაა ცნებათა პირდაპირი და ირიბი ემპირიული ინტერპრეტაცია (ამასთან დაკავშირებით იხ. 11,გვ.30-31). ხოლო იმისათვის, რომ ემპირიულმა ინტერპრეტაციამ თავის საბოლოო მიზანს მიაღწიოს, ამისათვის ორივე შემთხვევაში საჭიროა „კონკრეტულ-ემპირიულ ინდიკატორებზე“ გასვლა. ამის გარეშე ეს იტერპრეტაცია, მართლაც, ვერ მოხერხდება. ხოლო რაც შეეხება ე.წ. „ემპირიულ ინდიკატორს“, ესაა ცნების „რაიმე ნიშნის გარეგნულად კარგად გამოხატული მაჩვენებელი, რომლის დაფიქსირება ცდაში შესაძლებელია“ (11, გვ.31). მოკლედ და ნათლად რომ ვთქვათ, „ემპირიული ინდიკატორი“ აქ ცდისეულ მახასიათებელს გუყლისხმობს, ანუ იმგვარ მახასიათებელს, ცდაში რომა აქვს ადგილი.

5) ძირითადი ცნებების ლოგიკური ანალიზი

ძირითადი ცნებების ლოგიკური ანალიზი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გულისხმობს ამ ცნებათა იგივე თეორიულ ინტერპრეტაციას განსხვავებით მათი ემპირიული ინტერპრეტაციისაგან.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ არსებობს ცნებათა როგორც თეორიული, ისე ემპირიული ინტერპრეტაციაც. თეორიული ინტერპრეტაცია აქ გულისხმობს ამოსავალი ცნებების თეორიულ მნიშვნელობათა დადგენას, განსხვავებით მათი ემპირიული ინტერპრეტაციისაგან, რაც მათი უკვე შესაბამისად ემპირიული მნიშვნელობების დადგენას გულისხმობს.

ცნებათა ლოგიკური ანალიზი, როგორც ამას თვით სახელწოდებაც მიუთითებს, გულისხმობს მათს ელემენტებად დაშლის წესით განხილვას, მაშინ, როდესაც, საწინააღმდეგოდ ამისა, ცნებათა ინტერპრეტაცია ამ ცნებათა ელემენტების ერთმანეთთან დაკავშირების წესით განხილავს (იხ.აგრეთვე, 11 გვ.33).

ცნებათა ლოგიკური ანალიზის ორი ძირითადი ასპექტია ცნობილი. ერთია მათი სისტემური და მეორე ფუნქციონალური ანალიზი. ეს ორი რამ შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე როგორც საკვლევი პრობლემის ლოგიკური ანალიზის ორი სხვადასხვა სახე, ფორმა, ანდა ორი სხვადასხვა საშუალება, თუ ორი სხვადასხვა ხერხი,

მეთოდი. ყოველი ამ რაკურსით პრობლემის ლოგიკური ანალიზის წარმოდგენა, რა თქმა უნდა, გამართლებულია.

კვლევის ობიექტის სისტემური ანალიზი გულისხმობს მის შესწავლას ობიექტის შემადგენელი ელემენტების ურთიერთკავშირში, მაშინ როდესაც მისი ფუნქციონალური ანალიზი გულისხმობს მის შესწავლას უკვე ობიექტის ელემენტთა ფუნქციური რაკურსით ამ ურთიერთკავშირში. ორივე შემთხვევაში ლოგიკური ანალიზი გულისხმობს საკვლევი ობიექტის განხილვას „ერთიან სისტემად", კერძოდ კი, ამ „სისტემის შემადგენელი ელემენტების და მათი ფუნქციონირების მექანიზმის გამოაშკარავებას" (11, გვ. 33).

სხვანაირად, საკვლევი პრობლემის ლოგიკური ანალიზი გულისხმობს შესასწავლი ობიექტის გამოკვლევას, მის შესწავლას ლოგიკური ანუ კონცეპტუალური ანუ ცნებითი კუთხით. როგორც „სისტემური", ისე „ფუნქციონალური" ასპექტით, მისი შემადგენელი ელემენტების ამგვარ ანალიზს მათს ცალკეულობაშიაც და ურთიერთკავშირშიაც, ცალკეულობაში ე.წ. „ფუნქციონალური" მიდგომის შემთხვევაში, ხოლო ურთიერთკავშირში - ე.წ. „სისტემური" მიდგომის შემთხვევაში.

6) თეორიული მოდელის აგება

კვლევის ობიექტის ლოგიკური ანალიზი სოციოლოგიური გამოკვლევის ის აუცილებელი საშუალებაა, რის საფუძველზედაც ხდება კვლევის საგნის სპეციფიკის განსაზღვრა, (ამ „ანალიზის პროცესში ობიექტი საგნად იქცევა" (11, გვ.34)). ამაშია მისი მნიშვნელობა ამ პროცესში. მისი საშუალებით კი ვიღებთ „ერთგვარ კონცეპტუალურ მოდელს" (11,გვ.35), რომელიც უკვე, მართლაც, „საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ საკვლევი საგნის სპეციფიკა" (11,გვ.35). სწორედ ამაშია კვლევის საგნის თეორიული მნიშვნელობაც სოციოლოგიური კვლევის პროცესში. ამ მხრივ კი მას განმსაზღვრელი მნიშვნელობაც კი შეიძლება მიენიჭოს ამ პროცესში, ვინაიდან „გამოკვლევის საგნის თეორიული მოდელის შექმნა" უკვე „წინასწარ განსაზღვრავს საგნის წარმატებით დასრულებას" (7, გვ.44; 10, გვ. 121).

სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის თეორიული მოდელი „წარმოადგენს ლოგიკურად დაკავშირებული აბსტრაქტული ცნებების

ერთობლიობას, რომლებიც აღწერენ გამოკვლევის საგნობრივ მხარეს" (7, გვ.45). ესაა ერთგვარი ნიმუში სისტემაში ანუ მოწესრიგებულ მთლიანობაში მოყვანილი იმ ცნებებისა და ტერმინებისა, რომლებისგანაც იგი აიგება. ეს მოდელი ანუ ერთგვარი ანალოგი გამოკვლევის საგნისა ესაა ოპერაციონალიზაციისა და კონცეფტუალიზაციის პროცესში, მათი მეშვეობით მიღებული თეორიული ნიმუში გამოსაკვლევი საგნისა (იხ. ასევე 7, გვ.45).

სოციოლოგიური გამოკვლევის თეორიული მოდელის მნიშვნელობა კონკრეტულად იმით გამოიხატება, რომ იგი „საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ საკვლევი საგნის სპეციფიკა, ვიქონიოთ მეტ-ნაკლებად სისტემატური წარმოდგენა მის შესახებ" (11, გვ.35). ხოლო „ამგვარი წარმოდგენა" კი, თავის მხრივ, უკვე „გვეხმარება სამუშაო ჰიპოთეზების ჩამოყალიბებაში" საკვლევი საგნის გარშემო (11, გვ.35).

ამრიგად, სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის თეორიული მოდელი, ჯერ ერთი, შედეგია სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის წინა საფეხურებისა, კერძოდ კი, ოპერაციონალიზაცია-კონცეფტუალიზაციისა, მაგრამ, მეორეს მხრივ, უკვე თავადაა საფუძველი სოციოლოგიური გამოკვლევის შემდგომი საფეხურისა, კერძოდ კი, - კვლევის პროცესში სამუშაო ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისა. სწორედ ამაშია მისი მნიშვნელობაც კვლევის პროცესში.

7) გამოკვლევის ობიექტის ემპირიული სქემის შემუშავება

მაგრამ იმისათვის, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის თეორიული მოდელის შექმნამ მაქსიმალურად შეასრულოს კვლევის პროცესში თავისი დანიშნულება, უმჯობესი იქნებოდა მისი ერთგვარი სქემატიზაცია, ე.ი. საჭიროა სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის ემპირიული სქემის შემუშავება.

სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის ემპირიული სქემა აქ ერთგვარი გრაფიკული მოდელია შესასწავლი მოვლენისა. მისი მნიშვნელობა აქ იმაშია, რომ იგი საშუალებას იძლევა გამოკვლევის საგნის თვალსაჩინოდ გამოკვეთისას და ამით, ბუნებრივია, ხელს უწყობს მის უფრო ნათლად შესწავლას.

8) ჰიპოთეზის წამოყენება/ფორმულირება

„ჰიპოთეზა სოციოლოგიურ კვლევაში ეს არის მეცნიერული ვარაუდი სოციალურ მოვლენათა შორის კავშირის ხასიათის შესახებ“ (11,გვ.37). მისი როლი სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში აუცილებელი და მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი შეუძლებელია უამისოდ, და, მეორეც, ბევრს სძენს კვლევის პროცესს.

მართლაც, სოციოლოგიური გამოკვლევა ტარდება სწორედ იმიტომ, რომ დადგინდეს გარკვეული ცოდნა სოციალურ მოვლენათა შესახებ. ხოლო ეს ცოდნა კი ერთბაშად, მზამზარეულად კი არაა მოცემული, არამედ მოითხოვს სწორედ გამოკვლევას, გამოძიებას. ამიტომაც ლოგიკურია თავის საწყის სტადიაზე იგი - ეს ცოდნა - ჯერ გარკვეული ჰიპოთეზებით იყოს დაწყებული. ხოლო მხოლოდ კვლევის შედეგად, თუკი გამართლდა ეს ჰიპოთეზები, მხოლოდ მაშინ შიძლება იგი გადაიქცეს თეორიად.

მართალია, ჰიპოთეზა სოციოლოგიურ კვლევაში აუცილებელია იმ მხრივ, რომ იგი - ეს სოციოლოგიური კვლევა - თავის საწყის სტადიაზე ჯერ კიდევ როდია დასრულებული, მაგრამ ამ სტადიაზევე არც მთლად „ცარიელ ნიადაგზეა“ იგი წამოყენებული. ამ მხრივ კი სოციოლოგიური გამოკვლევა შესაძლებელს ხდის ჰიპოთეზის გამოყენებას მასში, ხოლო ჰიპოთეზის მნიშვნელობა ამ პროცესში კი გამოიხატება იმით, რომ ისინი, ეს „ჰიპოთეზები აძლევენ ერთგვარ მიმართულებას სოციოლოგიურ ძიებას, უქმნიან მას კონცეპტუალურ საფუძველს“ (11, გვ.36).

ჰიპოთეზამ სოციოლოგიურ გამოკვლევაში შეიძლება გაამართლოს ან ვერც გაამართლოს, იმიტომაცაა იგი ჰიპოთეზა სწორედ. გამართლდება იგი მხოლოდ მაშინ, თუ შემდგომი კვლევით, მართლაც, დადგინდება მისი უტყუარობა. ამას კი უჩვენებს სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკული შედეგები. თეორია ხომ ჭეშმარიტად პრაქტიკაში მოწმდება.

ჰიპოთეზა სოციოლოგიურ გამოკვლევაში ყოველგვარი პირობით როდი ამართლებს თავის დანიშნულებას. იმისათვის, რომ მან თავისი დანიშნულება გაამართლოს, საჭიროა გარკვეული პირობები.

ჰიპოთეზას ურტყუარობისათვის სოციოლოგიურ გამოკვლევაში წაეყენება შემდეგი მოთხოვნები: ჯერ ერთი, იგი უნდა იყოს

კონკრეტული თავისი შინაარსით; მეორეც, იგი თანხმობაში უნდა იყოს თეორიასთან, მესამეც, თანხმობაში უნდა იყოს ფაქტებთან, და მეოთხეც, იგი „ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ შესაძლებელი გახდეს მისი დადასტურება ან უარყოფა“ (11, გვ.37) (ოთხივე მოთხოვნის შესახებ იხ. 11, გვ.36-37).

ჰიპოთეზები სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით დავყოფთ მათ. კონკრეტულად კი შეიძლება გამოვყოთ: საფუძველმდებარე და გამომდინარეობითი (ზოგადობის ხარისხის მიხედვით), ძირითადი და არაძირათადი (კვლევის ამოცანების მიხედვით), პირველადი და მეორადი (საფუძვლიანობის ხარისხის მიხედვით), აღწერითი და ახსნითი ჰიპოთეზები (შინაარსობრივი თვალსაზრისით) (იხ.11, გვ.37-39).

საფუძველმდებარე ჰიპოთეზა ესაა იმგვარი ჰიპოთეზა, რომელსაც გააჩნია მაღალი ზოგადობის ხარისხი და რომლის ემპირიული მახასიათებლებიც ჯერ კიდევ დადგენილი არ არის, ხოლო გამომდინარეობითი ჰიპოთეზა კი ჰიპოთეზა, რომელსაც უფრო დაბალი ზოგადობის ხარისხი გააჩნია და რომლის ემპირიული მახასიათებლებიც უკვე დადგენილია (11,გვ.37-38). აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სწორედ საფუძველმდებარე ჰიპოთეზის საფუძველზე მოწმდება გამომდინარეობითი ჰიპოთეზა, ხოლო გამომდინარეობითი ჰიპოთეზით კი თავად საფუძველმდებარე ჰიპოთეზაც. ამას ხომ თავად სახელწოდებაც მეტყველებს - ერთისაც და მეორისაც.

ძირითადი ჰიპოთეზა ესაა ჰიპოთეზა, რომელიც „შეესაბამება კვლევის მთავარ ამოცანებს“, ხოლო არაძირითადი ჰიპოთეზა კი ჰიპოთეზა, რომელიც „შეესაბამება [კვლევის] მეორეხარისხოვან ამოცანებს“ (11, გვ.38).

პირველადი ჰიპოთეზა ეს „პრიორიტეტული“, ხოლო არაძირითადი ჰიპოთეზა კი - მისი „ალტერნატიული“ ჰიპოთეზაა (11. გვ.38).

აღწერითი ჰიპოთეზა ისეთი ჰიპოთეზაა სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში, რომელიც უბრალოდ ამყარებს კავშირს სოციალურ მოვლენათა შორის, ხოლო ახსნითი ჰიპოთეზა კი - ისეთი

ჰიპოთეზა, რომელიც უკვე არკვევს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს (იხ. ამასთან დაკავშირებით ასევე 11, გვ.39).

სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამას სპეციალურ ლიტერატურაში ყოფენ ხოლმე რამოდენიმე ნაწილად: ხან ორად, ხან სამად, ხან ოთხადაც, მაგრამ ძირითადად - ორად ან სამად, უფრო კი მაინც ორად. ამასთან ამ პროგრამის ორ ნაწილად დაყოფის შემთხვევაშიაც მათ სხვადასხვა სახელწოდებითაც მოიხსენიებენ ხოლმე.

ასე, მაგალითად, ქართველი სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი გამოყოფს სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ორ: „მეთოდოლოგიურ" და „პროცედურულ" ნაწილებს (11,გვ.24) (ასევე „მეთოდოლოგიურ" და „პროცედურულ" ნაწილებს ასახელებს, მაგ., ს.დავიდოვიც (23)).

სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ასევე ორ ნაწილს ასახელებენ სხვა ავტორებიც, ოღონდ „მეთოდოლოგიური" და „მეთოდური" ნაწილების სახელწოდებით (იხ.მაგ., 14,გვ.169, ანდა 7,გვ.35), ანდა „თეორიულ-მეთოდოლოგიური" და „პროცედურულ-მეთოდიკური" ნაწილების სახელწოდებით (22) .

მაგრამ სოციოლოგიური გამოკვლევის ყოველგვარი დაყოფისას მის პირველ ნაწილად ყოველ შემთხვევაში მაინც გამოყოფენ ხოლმე პროგრამის „მეთოდოლოგიურ" ნაწილს, რომელიც მოიცავს სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპებს პრობლემის ფორმულირებიდან ჰიპოთეზის ჩამოყალიბებამდე.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის საკითხი გარკვეულ, უფრო სწორედ კი, განსაკუთრებულ მიმართებაშია სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურისა და სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმის საკითხებთან. ეს გამოწვეულია იმით, რომ მათ შორის არის რაღაც, მართლაც, განსაკუთრებული სიახლოვე, რაც, თავის მხრივ, უკვე გამოწვეულია მათი, ე.ი. სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურასა, პროგრამასა და გეგმას შორის, გარკვეული მსგავსებით. თუმცა კი მათ შორის განსხვავებაცაა.

და, მართლაც, მსგავსება ამ სამ რამეს შორის ისაა, რომ სამივე მათგანი ერთნაირად ეხება სოციოლოგიური გამოკვლევის მაინც

მომავალს. ამით კი იქმნება შთაბეჭდილება, თითქოსდა მათ შორის განსხვავება არც კი იყოს, რაც, რა თქმა, უნდა, სინამდვილეში სწორი არაა.

ხოლო განსხვავება მათ შორის, მიუხედავად მათ შორის დიდი მსგავსებისა, მაინც არსებითია. და ეს განსხვავება მათ შორის ნათელი და გასაგები რომ იყოს, აქ საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა ეხება საკითხს მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა და რა პროცედურა უნდა ჩატარდეს და რა თანმიმდევრობით უნდა ჩატარდეს იგი სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში, სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა საკითხს იმის შესახებ, თუ რა და რა უნდა გაკეთდეს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში, და, ბოლოს, სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმა საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესი მთლიანად.

კიდევ უფრო სხვანაირადაც შეიძლება ითქვას შემდეგი.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცრედურის საკითხი გულისხმობს საკითხს იმისას, თუ რა და რა თანმიმდევრობით წარიმართოს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურები, სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის საკითხი - საკითხს იმისას, თუ რა და რა უნდა გაკეთდეს ამ პროცედურების შიგნით სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში, ხოლო სოციოლოგიური გამოკვლევის [სტრატეგიული] გეგმის საკითხი - საკითხს იმისას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს პროგრამის პუნქტები სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში მთლიანად [ამიტომაცაა ეს გეგმა „სტრატეგიული“].

როგორც ვხედავთ, პირველი ორი მოვლენა ეხება სოციოლოგიური გამოკვლევის „შინაარსეულ“ მხარეს, ხოლო მესამე „ფორმალურს“.

ყოველივე ზემოთქმულიდან, შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე გამომდინარე, ნათელი უნდა გახდეს სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის სპეციფიკაც, მისი თავისებურებაც, განსხვავებით სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურისაგან და გეგმისაგან: სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა არის სოციოლოგიური გამოკვლევის „ზოგადი კონცეფცია“ იმის შესახებ, თუ

რა და რა უნდა გაკეთდეს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში მისი რეალიზაციისათვის.

თავი 3

სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმა

სოციოლოგიურ გამოკვლევას, თავისი წარმატების უზრუნველსაყოფად, გარკვეული პროცედურა, პროგრამა და გეგმა გააჩნია.

სამივე მათგანი აუცილებელი ელემენტია სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესისა; მათ გარეშე სოციოლოგიური გამოკვლევა, არათუ წარმატებით, საერთოდაც ვერ ჩატარდებოდა.

იმის გამო, რომ სოციოლოგიურ ლიტერატურაში სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის, პროგრამისა და გეგმის ცნებათა შორის განსხვავება მკვეთრად და მკაფიოდ არ არის გატარებული, ჩვენ შევეცდებით მათ შორის განსხვავება შემდეგნაირად წარმოვაჩინოთ (ხოლო ამის გაკეთებაც უმჯობესი იქნებოდა სოციოლოგიური გამოკვლევის ამ სამივე მხარის, რა თქმა უნდა, მსგავსების ფონზე).

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურასა, პროგრამასა და გეგმას შორის უპირველესი და უზოგადესი მსგავსება ისაა, რომ სამივე მათგანი სოციოლოგიური გამოკვლევის, თუ ასე შეიძლება ითქვას, „წინასწარი განრიგია“, სოციოლოგიური გამოკვლევის მომავალ ღონისძიებათა „წინასწარი მონახაზია“, სოციოლოგიური გამოკვლევის შესასრულებელი საფეხურების „წინასწარი გაწერაა“; სამივე მათგანი „წინასწარ შედგენილი ესკიზია“ სოციოლოგიური გამოკვლევის ფარგლებში აღსასრულებელი საქმეებისა.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურას, პროგრამასა და გეგმას შორის მსგავსება, როგორც ვხედავთ, მათს 1) საფეხურეობრიობასა და 2) თანმიმდევრულობაშია. ე.ი. სამივე მათგანი მოიცავს 1) გარკვეულ ეტაპებს, ხოლო 2)ეს ეტაპები კი უკვე გარკვეული თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი.

მაგრამ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურასა, პროგრამასა და გეგმას შორის არა მარტო მსგავსებაა, არამედ განსხვავებაც. და ეს განსხვავება, სინამდვილეში, არანაკლებია მსგავსებაზე მათ შორის, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

საქმე ის არის, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურას, პროგრამასა და გეგმას შორის, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის გარკვეული მსგავსებაა 1)წინასწარგაწერილობით, 2) ეტაპურობითა და 3) თანმიმდევრულობით, თავად თითოეული მათგანის ამ სამ ნიშან-თვისებას შორის მიმართებით, უკვე თვისობრივი სხვაობაა, ვინაიდან სამივე შემთხვევაში სამივე ეს ნიშანი სხვადასხვა მთლიანობაშია აღებული, კერძოდ, სამივე შემთხვევაში გაწერილია სხვადასხვა რამ, გამოყოფილია სხვადასხვა საფეხური და გატარებულია მათი სხვადასხვა თანმიმდევრობა.

მართალია, აქ ზოგიერთი მათგანის „ეტაპებს", „საფეხურებს" შორის ნაწილობრივი დამთხვევაცაა, მაგრამ ეს არ ცვლის საერთო, მთლიან სურათს, რომ სამივე შემთხვევაში მაინც სამ სხვადასხვა მთლიანობასთან გვქონდეს საქმე. ეს განსაზღვრულია იმ გარემოებით, რასაც სწორედ „მთლიანობა" ქვია. სხვადასხვა მთლიანობაში კი ერთი და იგივე ელემენტებიც, სხვა რომ არა ვთქვათ, მაინც სხვადასხვაა. ასეთია მთლიანობის ფილოსოფიური კანონი. მთლიანობას ხომ ელემენტთა სხვადასხვა კავშირი ქმნის და ამ კავშირთა სხვადასხვაობაშიაც ეს ელემენტები სხვადასხვა მიმართულებას პოვებენ.

მაგრამ კონკრეტულად მაინც რაში მდგომარეობს ეს თვისობრივი განსხვავება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურასა, პროგრამასა და გეგმას შორის?

ჩვენის აზრით, ეს განსხვავება შემდეგია.

სოციოლოგიური გამოკვლევის „პროცედურის" შემთხვევაში ხაზი ესმება „პროცედურის" ელემენტთა თანმიმდევრობას, თუ რომელი ეტაპი რომლის შემდეგ უნდა იყოს სოციოლოგიურ გამოკვლევაში, „პროგრამის" შემთხვევაში - „პროგრამის" ელემენტთა შემადგენლობას, თუ რა და რა ელემენტებს უნდა მოიცავდეს სოციოლოგიური გამოკვლევა, ხოლო „გეგმის" შემთხვევაში თუ როგორია სოციოლოგიური გამოკვლევის „გეგმის" ელემენტები ამ გამოკვლევაში. ამასთან „პროგრამისა" და „გეგმის" მიმართ პირველ შემთხვევაში უფრო მიზნებზეა ორიენტირი აღებული, ხოლო მეორე შემთხვევაში

ამოცანებზე. ორივე შემთხვევაში იგულისხმება, რა თქმა უნდა სოციოლოგიური გამოკვლევის მიზნები და ამოცანები.

სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმას, ისევე როგორც სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურასა და პროგრამას, თავისი ადგილი უჭირავს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესის სისტემაში.

ამ მხრივ, სოციოლოგიური გამოკვლევის „პროცედურა" მთლიანად, სრულიად მოიცავს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესის ყველა ეტაპს, თავიდან ბოლომდე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

რაც შეეხება „პროგრამას", მას სათავო ადგილი უჭირავს სოციოლოგიური გამოკვლევის მთელი ამ „პროცედურის" პირველ - „მეთოდოლოგიურ" ნაწილში, ხოლო „გეგმას" - ამ პროცედურის მეორე თუ მესამე ადგილი ე.წ. „მეთოდიკურ" თუ „საკუთრივ პროცედურულ" ნაწილში. „მეთოდიკურის" თავში, თუ ეს მეთოდიკური ნაწილი აღიარებულია სოციოლოგიური გამოკვლევის საერთო პროცედურის მეორე ძირითად ნაწილად, ხოლო „საკუთრივ პროცედურულის" თავში, თუ ეს „მეთოდიკური" ნაწილი აღიარებული არაა სოციოლოგიური გამოკვლევის საერთო პროცედურაში. ყოველ შემთხვევაში პროგრამასა და გეგმას სათაო მნიშვნელობის ადგილი უჭირავთ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის შემადგენელი სხვადასხვა ძირითადი ნაწილების ეტაპთა შორის.

სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმა, განსხვავებით სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამისაგან, „უშუალოდ" ეხება სოციალურ გამოკვლევას; იგი არის სოციოლოგიური გამოკვლევის უშუალო წარმართვის წინასწარ მოფიქრებული წესი. მას აუცილებელი ადგილი უჭირავს სოციოლოგიური გამოკვლევის საერთო პროცედურულ პროცესში სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამისა თუ პროექტის შედგენის შემდეგ და მეთოდიკის შემუშავების წინ.

სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმის ამოცანებია: 1) განსაზღვროს პროცედურათა თანმიმდევრობა დროში, 2) გაიანგარიშოს გამომკვლევი კოლექტივის ძალები, 3) გაიანგარიშოს ასევე საკვლევი ტექნიკა, 4) დაასახელოს დაფინანსების წყაროები და ოდენობა და ა.შ. (2, გვ.82-83; 1, გვ.33).

„კვლევითი მუშაობის თანმიმდევრობა [გეგმაში] განისაზღვრება ობიექტის შესახებ ინფორმაციის შესახებ არსებობითა და მდგომარეობით“ (1,გვ.33), „იმის მიხედვით, თუ რამდენად სრულყოფილია ცოდნა, რომელსაც სოციოლოგი მოცემულ მომენტში ფლობს კვლევის პრობლემისა და ობიექტის შესახებ“ (10, გვ.39). აქ კი მთავარია ჰიპოთეზის ანუ ვარაუდის ხარისხის ფაქტორი.

სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმა შეიძლება იყოს სამგვარი: 1) დაზვერვითი ანუ ძიებითი, 2) აღწერითი ანუ დესკრიფციული, 3) ცდისეული ანუ ექსპერიმენტული. ყოველ მათგანს განსაზღვრავს ანუ ყოველი მათგანის მოთხოვნილებას განაპირობებს სწორედ ჰიპოთეზის ტიპი (ასათ. გვ.33). კერძოდ, პირველ ეტაპზე საქმე გვაქვს პირველად (საწყის) ჰიპოთეზასთან, მეორეში - აღწერით ჰიპოთეზასთან, მესამეში - ამხსნელ ჰიპოთეზასთან.

აქ საჭიროა ცოტაოდენი განმარტება საკითხთან დაკავშირებით.

პირველადი, საწყისი ჰბპოთეზა ყალიბდება დაზვერვითი (ძიებითი) გამოკვლევის მხოლოდ ბოლო სტადიაზე. ასე რომ, ჰიპოთეზა დაზვერვითი (ძიებითი) გამოკვლევის ეტაპზე არსებითად არცა გვაქვს. რაც შეეხება აღწერითსა და ამხსნელ ჰიპოთეზებს, ისინი ყალიბდება და მოწმდება შესაბამისად აღწერითი (დესკრიფციული) და ცდისეული (ექსპერიმენტული) გამოკვლევების ასევე შესაბამისად საწყის და საბოლოო სტადიებზე. ასე რომ, აქ ამ ორ ეტაპზე ჰიპოთეზები სრულებით გვაქვს, თავიდან ბოლომდე.

დაზვერვითი (ძიებითი) გამოკვლევის საერთო, ზოგადი მიზანია გამოსაკვლევი სოციალური მოვლენის სწორედ დაზვერვა, მისი მოძიება. ამაზე შორს იგი არ მიდის და არცაა საჭირო, ვინაიდან სწორედ ესაა მისი მიზანიც. სწორედ ამიტომაც ჰქვია მას „დაზვერვითი (ძიებითი)“.

აღწერითი (დესკრიფციული) გამოკვლევის შემთხვევაშიაც საერთო, ზოგადი მიზანი გამოკვლევისა არის უკვე აღწერა (დესკრიფცია) გამოსაკვლევი სოციალური მოვლენისა. სწორედ ამიტომაც ეწოდება ამ გამოკვლევას სახელდობრ „აღწერითი“ (დესკრიფციული)“. სხვა რამ ამ გამოკვლევას არც მოეთხოვება.

ასევეა, როგორც წინა შემთხვევებში, ცდისეული (ექსპერიმენტული) გამოკვლევის შემთხვევაშიაც. ამ შემთხვევაშიაც ცდისეული (ექსპერიმენტული) გამოკვლევის საერთო, ზოგადი მიზანია გამოსაკვლევი სოციალური მოვლენის სახელდობრ გამოცდა, ექპერიმენტირება, რის გამოც მას სწორედ ეგ სახელი - „ცდისეული (ექსპერიმენტული)" ქვია.

მაგრამ სოციოლოგიური გამოკვლევის ამ სამი სახის ზოგადი მიზნები კიდევ უფრო კონკრეტულ, ცალკეულ მიზნებად იყოფა.

დაზვერვითი (ძიებითი) გამოკვლევის კონკრეტული მიზნებია: პრობლემის ფორმულირება, ობიექტის გამოყოფა, პირველადი (საწყისი) ჰიპოთეზის ფორმულირება (11, გვ.40), ხოლო მისი განხორციელების კონკრეტული გზებია (საშუალებებია): ლიტერატურის შესწავლა, ექსპერტთა გამოკითხვა (გამოკვლევა), დაზვერვითი დაკვირვების ჩატარება (11,გვ.40).

„დაზვერვითი" გამოკვლევა უნდა განვასხვავოთ „პილოტაჟური" გამოკვლევისაგან. „პილოტაჟი" არის საცდელი გამოკვლევა, რომლის მიზანიცაა შეამოწმოს კვლევის ინსტრუმენტის (მეთოდიკის) ვარგისიანობა სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვებისათვის" (11,გვ.41), ხოლო დაზვერვა არის ძიებითი გამოკვლევა, რომლის მიზანიცაა გარკვეული „პოზიტიური" ცოდნის მოპოვება პრობლემისა და ობიექტის შესახებ" (11,გვ.41).

აღწერითი (დესკრიფციული) გამოკვლევის კონკრეტული მიზნებია: ობიექტის სტრუქტურის აღწერა (მისი რაოდენობრივი და რაგვარობრივი მახასიათებლების განსაზღვრა), აღწერითი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და შემოწმება (11,გვ.41). მისი განხორციელების კონკრეტული გზებია (საშუალებებია): მონოგრაფიული გამოკვლევა, რაოდენობრივი, შერჩევითი გამოკითხვა (გამოკვლევა), პირველადი ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი და სხვა (11,გვ.42). ამასთან აღწერითი ჰიპოთეზის შემოწმებისათვის საჭიროა მისი ემპირიული ინტერპრეტაცია (11,გვ.42).

ცდისეული (ექსპერიმენტული) გამოკვლევის კონკრეტული მიზნებია: ობიექტში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, ახსნითი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და შემოწმება, რისი

განხორციელების გზას (საშუალებას)აც ექსპერიმენტი წარმოადგენს (11,გვ.42).

დაზვერვა (ძიება), აღწერა (დესკრიფცია), ცდა (ექსპერიმენტი) - სამი სხვადასხვა საფეხურია სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმისა და თითოეულ მათგანს, რა თქმა უნდა, „დამოუკიდებელი ღირებულება" გააჩნია, თუმცა მათ შორის „ლოგიკური კავშირიც" არსებობს (11,გვ.43). ეს „ლოგიკური კავშირი" მათ შორის გამოიხატება იმით, რომ ისინი თითქოსდა „მოითხოვენ" ერთმანეთს.

გამოსაკვლევი სოციალური მოვლენის სრული შესწავლა, მისი მთლიანი მოცვა, რა თქმა უნდა, გულისხმობს სამივე მათგანის ერთიან ჩართვას კვლევის პროცესში. ამ შემთხვევაში „კვლევა იწყება პრობლემის და ობიექტის ფორმულირებით, შემდეეგ დგინდება ობიექტის რაოდენობრივ-თვისებრივი მახასიათებლები, მათ შორის კავშირი, და ბოლოს, ირკვევა, ატარებს თუ არა აღმოჩენილი კავშირი მიზეზობრივ (კაუზალურ) ხასიათს" (11,გვ.43).

ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმის ამ ეტაპების, თუ ასე შეიძლება ითქვას, „სამერთიანობა" სოციოლოგიური გამოკვლევის იდეალური, „სრული სურათის" შექმნის საწინდარია, მისი გარანტიაა. გეგმის ყოველი ტიპი თუ ეტაპი აქ ცალ-ცალკე აუცილებელი, ხოლო ყველა ერთად კი საკმარისი პირობაა სოციოლოგიური გამოკვლევის სრული სურათის შესაქმნელად.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სამივე ტიპი გამოკვლევისა ყოველი კვლევისას ერთად როდი გამოიყენება. ამ შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმის ესა თუ ის ტიპი თვითონ გამოკვლევის კონკრეტული მდგომარეობითა და მისი მოთხოვნილებით განისაზღვრება. ამაში კი მთავარია ჰიპოთეზის ფაქტორი.

კერძოდ, დაზვერვითი გამოკვლევა საჭიროა მაშინ, როდესაც თავიდან ჰიპოთეზა ჯერ არა გვაქვს და იგი გამოიკვეთება სწორედ ამ გამოკვლევის ბოლოში; აღწერითი გამოკვლევა საჭიროა, როცა აღწერითი ჰიპოთეზა უკვე ჩამოყალიბებულია ამ გამოკვლევის თავში და გამოკვლევა მიმართულია მისი შემოწმებისაკენ. და ბოლოს, ცდისეული გამოკვლევა საჭიროა მაშინ, როდესაც თავში

ჩამოყალიბებულია ამხსნელი ჰიპოთეზა და ამგვარი კვლევა მიმართულია მისი შემოწმებისაკენ. (იხ.ამაზე ასევე 1,გვ.34-35).

და მაინც, მიუხედავად იმისა, „ერთ კვლევაში“ „გაერთიანებულია თუ არა სამივე ტიპი“ (11,გვ.43), ეს ტიპები სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმისა მაინც უდავო „ლოგიკურ კავშირში“ იმყოფებიან ერთმანეთთან, ვინაიდან ყოველი მომდევნო ტიპი სოციოლოგიური გამოკვლევისა გულისხმობს წინას, ეყრდნობა რა მას და ითვალისწინებს რა მას (11.გვ.43) და, პირიქით, ყოველი წინა ტიპი სოციოლოგიური გამოკვლევისა უკვე „მოითხოვს“ მომდევნო ტიპებს. ამაშია სწორედ მათი „ლოგიკური კავშირი“.

სოციალური პრობლემის და ობიექტის ჯერ დაზვერვა, მერე აღწერა და, ბოლოს კი, შემოწმება - აი, სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმის „ლოგიკა“, მისი განვითარების, თუ ასე შეიძლება ითქვას, „დიალექტიკა“.

ექსპერიმენტი აქ „დამაგვირგვინებელ ეტაპს“ ქმნის. და, მართლაც, არსად ისე უფრო სწორი არ იქნება ფილოსოფიის ის უაღრესად მნიშვნელოვანი დებულება, „ცდა ჭეშმარიტების საზომიაო“ (უინსტენლი), როგორც რომ სწორედ კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში, ვინაიდან სწორედ რომ „ცდისეულია“ თავად „ემპირიული“ სოციოლოგიური გამოკვლევა.

და, მართლაც, განა „ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევა“ სოციალური მოვლენის სწორედ ცდაში გამოკვლევა არ არის? ცდისეული მოვლენის გამოკვლევას, მისი ჭეშმარიტების დადგენას კი ხომ ყველაზე უფრო სწორედ ცდისეული კრიტერიუმი გამოადგება.

მაგრამ ექსპერიმენტულ გეგმაში ექსპერიმენტი იგულისხმება „არა მხოლოდ ჩვეულებრივი, ყოველდღიური გაგებით, არამედ ლოგიკური პროცედურის აზრითაც, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ ვარაუდის თუ ამოსავალი ჰიპოთეზის შემოწმებისკენაა მიმართული“(2,გვ. 85).

ექსპერიმენტული გეგმა, ანდრია ზდრავომისლოვის თანახმად, „დაკვირვებათა ორ სერიას“ – „ექსპერიმენტულსა“ და „საკონტროლოს“ გულისხმობს (2,გვ.85). ამასთან დაკავშირებით, „ორივე სერია ისეთნაიარად ეწყობა, რომ მოვლენათა გამოსაკვლევ

რიგებში გამოვლინებულ იქნეს მსგავსებისა და განსხვავების ელემენტები. რიგები სწორდება იმ ნიშნებით, რომლებიც მოცემულ მომენტში არ ექვემდებარებიან შესწავლას, საკვლევი ფაქტორი კი გამოიყოფა რაც შეიძლება სუფთა ფორმით" (2,გვ. 85).

სოციოლოგიური გამოკვლევაში, ისევე როგორც საბუნებისმეტყველო გამოკვლევაშიაც, ექსპერიმენტის მსგავსი ლოგიკური პროცედურა გამოიყენება, მიუხედავად მათი არსებითი განსხვავებისა (2, გვ.86). „ძირითადი განსხვავება [აქ] მოქმედი ფაქტორების სიწმინდის უზრუნველყოფის სიძნელე და დასაკვირვებელი პროცესის ხელოვნური იზოლაციის შეუძლებლობაა" (2,გვ. 86). „ამ სიძნელეთა გადალახვა" კი ხდება სამგვარი საშუალებით: ჯერ ერთი, „ლოგიკური ექსპერიმენტის" მეშვეობით, რა დროსაც არ ხდება „დასაკვირვებელი ნიშნების" პირობების ხელოვნური იზოლაცია, მეორეც, „ხელოვნური ექსპერიმენტის" მეშვეობით, რა დროსაც ხდება დასაკვირვებელი კოლექტივის იზოლაცია ხელოვნურ პირობებში, და, მესამეც, „ბუნებრივი ცვლილებების ხელოვნურ ცვლილებებად განხილვის" მეშვეობით (2,გვ.86). სამივე მათგანი ექსპერიმენტული გეგმის განხორციელების, მისი რეალიზაციის საშუალებანია, რომლებითაც როდი ამოიწურება იგი (2,გვ.86).

„კვლევის ექსპერიმენტული გეგმის ცენტრალური ამოცანაა გასაანალიზებელი ნიშნების თანმიმდევრული ელიმინირება (გამოსწორება, ზეგავლენის მოცილება)" (2,გვ. 87).

თავი 4

შერჩევა სოციოლოგიურ გამოკვლევაში. შერჩევის მეთოდები

შერჩევა სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია.

სოციოლოგიური გამოკვლევის ერთობლიობის შერჩევა საერთოდ სოციოლოგიური გამოკვლევის იმ პროცედურათა ჯგუფსა თუ რიგს მიეკუთვნება, რომელსაც სოციოლოგიური გამოკვლევის ე.წ. „მეთოდური" ან სხვა შემთხვევაში „პროცედურული" ნაწილი ქვია.

„მეთოდურ" ნაწილში გავა იგი იმ შემთხვევაში, თუ ეს ნაწილი ამ სახელწოდებით იქნება გამოყოფილი ამა თუ იმ ავტორთა მიერ, ხოლო „პროცედურულში" გავა იგი იმ შემთხვევაში, თუ სხვა ამა თუ იმ ავტორთან ეს „მეთოდური" ნაწილი ამ სახელწოდებით არ იქნება გამოყოფილი.

შერჩევა სოციოლოგიურ გამოკვლევაში ორი რაკურსით შეიძლება წარმოვადგინოთ.

კერძოდ, შერჩევა სოციოლოგიურ გამოკვლევაში შეიძლება წარმოვადგინოთ, ჯერ ერთი, სოციოლოგიური გამოკვლევის ტიპად თუ სახედ, და, მეორეც, - სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდად. და იგი, მართლაც, ორივე როლში გამოდის. ხოლო შერჩევა, განა, მართლაც, სოციოლოგიური გამოკვლევის სახეც ანუ ტიპიც და მეთოდიც არ არის?

ერთ შემთხვევაში შერჩევა სოციოლოგიურ გამოკვლევაში, მართლაც, გამოდის სოციოლოგიური გამოკვლევის ერთი-ერთი ტიპი ანუ ერთ-ერთი სახე, განსხვავებით არაშერჩევისაგან, მეორე შემთხვევაში კი - სოციოლოგიური გამოკვლევის ერთ-ერთი მეთოდი, განსხვავებით მისგანვე.

აქ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ არსებობს სოციოლოგიური გამოკვლევის როიგორც შერჩევითი, ისე არაშერჩევითი სახე, მოკლედ კი, შერჩევისა და არაშერჩევის სახეები.

სხვა ტერმინებით რომ ვთქვათ, სოციოლოგიურ გამოკვლევას გააჩნია სრული და არასრული დაფარვის სახეები.

შერჩევითი სოციოლოგიური გამოკვლევა გულისხმობს იმავე არასრული სოციოლოგიური დაფარვის გამოკვლევას, ხოლო არაშერჩევითი სოციოლოგიური გამოკვლევა სრული დაფარვის სოციოლოგიურ გამოკვლევას.

სრული დაფარვის სოციოლოგიური გამოკვლევა ესაა სოციოლოგიური გამოკვლევის ისეთი ტიპი, თუ სახე, რომელიც მოიცავს მთელს ე.წ. გენერალურ ერთობლიობას შესასწავლი მოვლენისას, ხოლო არასრული დაფარვისა - ისეთ სოციოლოგიურ გამოკლვევას, რომელიც მოიცავს შესასწავლი მოვლენის მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ ერთობლიობას, ანუ გენერალური ერთობლიობის ნაწილს.

სრული დაფარვისა და არასრული დაფარვის გამოკვლევა უდრის არაშერჩევითსა და შერჩევით გამოკვლევას, ოღონდ აქ სახელები ამ შემთხვევაში სხვადასხვა კუთხითაა მოწოდებული. ერთ შემთხვევაში, კერძოდ, იგი დასათაურებულია „მთლიანობა-არამთლიანობის", მეორე შემთხვევაში კი „ნაწილობრიობა-არანაწილობრიობის" კუთხით. ერთი მეორეს არ გამორიცხავს, არამედ, უფრო მეტიც, ავსებს ერთი მეორეს და უფრო გვაგებინებს შერჩევის ნაირსახეობას, მის ძირითად ჭრილში.

მაგრამ სრული და არასრული ანუ არაშერჩევითი და შერჩევითი გამოკვლევის ტიპები თუ სახეები სხვა მიმართებით შეიძლება განვიხილოთ როგორც მეთოდებიც ანუ ხერხებიც, ანუ მიდგომებიც. ეს კი მითუმეტეს საჭიროა მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს სწორედ „სოციოლოგიური კვლევის" მეთოდებთან. ამ მიმართებით კი გვექნება სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის ორი სხვადასხვა - სრული და არასრული დაფარვის ანუ არაშერჩევითი და შერჩევითი ანდა, პირიქით, რაც იგივეა, შერჩევითი და არაშერჩევითი, ანუ არასრული და სრული დაფარვის სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდები.

სოციოლოგიური გამოკვლევის უმნიშვნელოვანესი ტიპი და მეთოდი, მართლაც, ე.წ. შერჩევითი სოციოლოგიური გამოკვლევაა.

შერჩევა ზოგადად შესარჩევი მთელი ერთობლიობიდან უპირატესობის პრინციპით რაღაც ნაწილის გამოყოფას, მის გამოკრებას გულისხმობს. ხოლო ეს პრინციპი კი რაგინდარა შეიძლება იყოს, რა თქმა უნდა, ჩვენი ინტერესისდა შესაბამისად. და იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკრეტულად რა პრინციპით მოვახდენთ შერჩევას.

შერჩევა, მართლაც, ყოველთვის გულისხმობს გარკვეული მთელი ერთობლიობას რაღაც ნაწილისათვის უპირატესობის მინიჭებას სხვა ნაწილთან შედარებით, რა თქმა უნდა, ჩვენი ინტერესებისდა შესაბამისად. სხვანაირად შერჩევა აზრსაც კი დაკარგავდა.

მაგრამ რატომ ჩვენ უპირატესობას მაინც ვანიჭებთ შესარჩევი, ჩვენს შემთხვევაში კი, სოციოლოგიურად შესასწავლი მთელი ერთობლიობის სწორედ ამა თუ იმ ნაწილს და არა სხვას? რა თქმა უნდა, ნებისმიერი პრინციპის შემთხვევაში.

ამაზე პასუხი ყველაზე სწორი ის უნდა იყოს, რომ ამა და ამ შერჩევით იგი ყველაზე უფრო „წარმომადგენლობითი" ანუ „რეპრეზენტატული" უნდა იყოს შესარჩევის მთელი ერთობლიობისა.

ეს წარმომადგენლობითობა ანუ რეპრეზენტატულობა, რა თქმა უნდა, სოციოლოგიური გამოკვლევის დროს საუკეთესო შედეგების მისაღებად, შესაბამისადვე, მის ანუ წარმომადგელობითობის ანუ რეპრეზენტატულობის ასევე საუკეთესო ვარიანტს გულისხმობს, ანუ შერჩევის იმგვარად მოწყობას. რომ მან საუკეთესოდ „ნაკრები" მონაცემები მოგვცეს მათი შესწავლის დროს. მოკლედ, რეპრეზენტატულობასაც მაქსიმალური უზრუნველყოფა სჭირდება და იგი თავისთავად არ მოდის. ამისათვის ძალისხმევაა საჭირო.

ამგვარად. შერჩევას თავისი საუკეთესო შედეგებისათვის, სპეციალური ძალისხმევა სჭირდება. გამოდის, რომ საუკეთესო წარმომადგენლობითობა ანუ რეპრეზეტანტულობა საუკეთესო შერჩევის გარანტიაა, საწინდარია. ხოლო ეს უკანასკნელი კი გარანტიაა, საწინდარია ჩვენი, ამ შემთხვევაში, საბოლოო მიზნისა სოციოლოგიური გამოკვლევის მაქსიმალური შედეგიანობისა, ანუ ეფექტიანობისა. „სწორი შერჩევის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ მთელი გენერალური ერთობლიობისათვის უტყუარი მონაცემები" (32,გვ.30). მაგრამ ეს შესაძლებელია შერჩევითი ერთობლიობის

გენერალური ერთობლიობის მიმართ იდეალური რეპრეზენტატულობის ანუ წარმომადგელობითობის შემთხვევაში.

რეპრეზენტატულობა ანუ წარმომადგენლობითობა შერჩევითი ერთობლიობისა გენერალური ერთობლიობის მიმართ გულისხმობს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველის „მიკრომოდელურობას", მის „მცირენიმუშიანობას" მეორის მიმართ. მოკლედ, რეპრეზენტატულობის, ანუ წარმომადგენლობითობის მოთხოვნა გულისხმობს იმას, რომ შერჩევითი ერთობლიობა იყოს გენერალური ერთობლიობის „მიკრომოდელი" ანუ „მცირე ნიმუში".

აქ ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ისეთი საწყისი ცნებები, როგორებიცაა: „გენერალური ერთობლიობა", „შერჩევითი ერთობლიობა", „რეპრეზენტატულობა".

გენერალური ერთობლიობა შესასწავლი ადამიანების მთელი ერთობლიობაა. ზოგჯერ მას „პოპულაციასაც" უწოდებენ (32,გვ.657; 12,გვ.260).

შერჩევითი ერთობლიობა გენერალური ერთობლიობის ის ნაწილია, რომელიც საგანგებოდ გამოკრებილია გენერალური ერთობლიობიდან უშუალო შესწავლის მიზნით.

რეპრეზენტატულობა ანუ იგივე წარმომადგენლობითობა გულისხმობს შერჩევითი ერთობლიობის თვისებას, მცირე მასშტაბით, მაგრამ არსებითად მაინც იმეორებდეს გენერალური ერთობლიობის სტრუქტურას.

რეპრეზენტატულობა, თუ იგი, მართლაც, აკმაყოფილებს თავის მოთხოვნას, საშუალებას გვაძლევს ზედმეტი შრომისაგან გაგვათავისუფლოს პოპულაციის კვლევისას. და, მართლაც, რაღა საჭიროა ყველა ერთეულის შესწავლა ცალ-ცალკე, თუ ჩვენ შეგვიძლია იმავე შედეგის მიღება, რა თქმა უნდა, არსებითად, შერჩევის შემთხვევაშიაც? ოღონდ მოხდეს უზრუნველყოფა რეპრეზენტატულობისა.

შერჩევითი ერთობლიობის რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია, რათა შერჩევითი ერთობლიობის სტრუქტურა, თუ ასე შეიძლება ითქვას, „იმეორებდეს" გენერალური ერთობლიობის სტრუქტურას, ანუ, სხვა სიტყვებით,

„შეესაბამებოდეს“ მას (6,გვ.44). კერძოდ, შერჩევითი ერთობლიობა „პროპორციულად“ უნდა ასახავდეს გენერალური ერთობლიობის ძირითად მაჩვენებლებს (3,გვ.102).

სხვანაირად რომ ვთქვათ, ორი რამ არის საჭირო შერჩევის რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად: შეპირისპირება 1) შერჩევითი და გენერალური ერთობლიობების საშუალო მაჩვენებლებისა და 2) ამ მაჩვენებელთა განაწილების ფორმებისა (2,გვ. 95).

როცა ჩვენ შერჩევის რეპრეზენტატულობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად ვაწყდებით შერჩევის „მოცულობისა თუ ზომის“ საკითხს (5,მე-3 ლექცია). ამასთან დაკავშირებით კი ისმის საკითხი ასევე შერჩევის „ცთომილობა-უცთომელობისა“ (5, მე-3 ლექცია).

საერთოდ, აბსოლუტურად უცთომელი შერჩევა არ არსებობს (5,მე-3 ლექცია), მაგრამ საჭიროა უცთომელობის მაქსიმალური უზრუნველყოფა. ამ მხრივ კი საუკეთესო, იდეალური მოდელი სოციოლოგიურ გამოკვლევებში ე.წ. „სამპროცენტიანი ცთომილებაა“ (5, მე-3 ლექცია).

შერჩევისას მინიმალური ცთომილების მისაღწევად საჭიროა განისაზღვროს შერჩევითი ერთობლიობის ზომა ანუ მოცულობა. შერჩევითი ერთობლიობის ზომა კი დამოკიდებულია ორ რამეზე: 1) გენერალური ერთობლიობის მოცულობაზე და 2) გენერალური ერთობლიობის ჰომოგენურობა-ჰეტეროგენურობაზე ანუ ერთგვაროვნება-მრავალგვაროვნებაზე, ე.ი. იმაზე, თუ რამდენად ერთგვაროვანია ან მრავალგვაროვანი გენერალური ერთობლიობა (5,მე-3 ლექცია).

შერჩევის რეპრეზენტატულობასთან დაკავშირებით აქ აუცილებლად აუცილებელია შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, კერძოდ, საკითხს რეპრეზენტატულობისას ე.წ. რაოდენობრივი და რაგვარობრივი ანუ თვისობრივი სოციოლოგიური კვლევის მიმართ.

ხოლო ამასთან დაკავშირებით კი, სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებზე მეცნიერებაში, გაბატონებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც რეპრეზენტატულობა მხოლოდ და მხოლოდ

რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევის თავისებურებაა, მისი სპეციფიკაა (5, მე-3 ლექცია; 16,გვ.41).

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ რეპრეზენტატულობა ეს საერთოდ შერჩევის ზოგადი მოთხოვნაა, კერძოდ, როგორც რაოდენობრივი, ისე რაგვარობრივი კვლევის შემთხვევაშიაც. ოღონდ ერთი დაზუსტებით: ეს რეპრეზენტატულობა რაოდენობრივ კვლევას გაცილებით უფრო ეხება, ვიდრე რაგვარობრივ კვლევას, გამომდინარე იქედან, რომ თავად შერჩევაც გაცილებით უფრო რაოდენობრივ კვლევას ეხება, ვიდრე თვისობრივ კვლევას (5, მე-3 ლექცია).

შერჩევის ზოგად მხარესთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე ე.წ. შერჩევის ჩარჩოს საკითხიც.

შერჩევის ჩარჩო ესაა „გენერალურ ერთობლიობაში შემავალი ადამიანების სია" (5,მე-3 ლექცია;16,გვ.41), ანუ, მოკლედ, ესაა „აღრიცხული გენერალური ერთობლიობა" (5, მე-3 ლექცია).

შერჩევის ჩარჩოს მნიშვნელობა შერჩევის პროცესში ისაა, რომ იგი „გენერალურ ერთობლიობას აღწერს და არის საფუძველი შერჩევითი ერთობლიობისათვის" (5,მე-3 ლექცია), ანუ, სხვანაირად, ეს ჩარჩო უშუალოდ „შერჩევითი ერთობლიობის განსაზღვრისათვის გამოიყენება" (16,გვ.41).

შერჩევაში გამოყოფენ მის ორ სახეს: „საზღვრულსა" და „განუსაზღვრელს" (13,გვ.262). ეს იმისდა მიხედვით, თუ როგორია თავად პოპულაცია ანუ გენერალური ერთობლიობა. „პოპულაცია [კი] შეიძლება იყოს საზღვრული ან განუსაზღვრელი, იმისდა მიხედვით, არის თუ არა შერჩევის ერთეული საზღვრული ან განუსაზღვრელი" (13,გვ.262). ამასთან, „საზღვრული პოპულაცია მოიცავს შერჩევის ერთეულების თვლად რაოდენობას", ხოლო „განუსაზღვრელი პოპულაცია [კი] შედგება შერჩევის ერთეულების უსასრულო რაოდენობისაგან" (13,გვ.262).

„შერჩევის ერთეული" კი ესაა „პოპულაციის შერჩევის" ერთი წევრი (13,გვ.261), ხოლო ეს ერთეული შეიძლება იყოს, როგორც ინდივიდი, ისე არაინდივიდიც (13,გვ.261).

შერჩევის ერთეულის მიმართ ხანდახან მოიხმარენ სხვა ტერმინსაც, როგორიცაა „დაკვირვების ერთეული" (2,გვ.91),

მაგრამ ტერმინი „შერჩევის ერთეული“ შერჩევის შემთხვევაში ზედმიწევნით სწორია, მაშინ როდესაც „დაკვირვების ერთეული“ ტერმინობრივად შეიძლება გულისხმობდეს როგორც შერჩევის, ისე არაშერჩევის ერთეულსაც, ასე, მაგალითად, სრული დაფარვის სოციოლოგიური გამოკვლევის დროს.

გარდა ამისა, „დაკვირვების ერთეული“ შეიძლება საკუთრივი, ვიწრო მნიშვნელობითაც მოვიხმაროთ, კერძოდ კი, - დაკვირვებასთან დაკავშირებით, რა სახეზედაც სოციოლოგიური გამოკვლევა, რა თქმა უნდა, არც დაიყვანება. თუმცა ზოგადად „დაკვირვების ერთეული“ მაინც შეგვიძლია მოვიხმაროთ მისი ფართო, არასაკუთრივი მნიშვნელობითაც, რა შემთხვევაშიაც იგი ეს „დაკვირვების ერთეული“ საერთოდ სოციოლოგიური შესწავლის უშუალო ერთეულს იგულისხმებს. ხოლო ამ შემთხვევაში კი „დაკვირვება“ „შესწავლის“ ფარდი ტერმინი იქნებოდა.

შერჩევა მნიშვნელოვანი საფეხურია საერთოდ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის საერთო სისტემაში იმდენად, რამდენადაც სწორედ მასზე დაყრდნობით, სწორედ მის საფუძველზე, სწორედ მისი მეშვეობით ხდება სოციოლოგიური გამოკვლევის სასურველი შედეგის მიღწევა და ამაშია კონკრეტულად მისი მნიშვნელობაც. უფრო ზუსტად, სწორედ შერჩევა, რა თქმა უნდა, თუ იგიც სწორად იქნება შესრულებული, უზრუნველყოფს შესასწავლი პოპულაციის რეპრეზენტატულ და, მაშასადამე, წარმატებულ გამოკვლევას.

ხოლო იმ მომენტთან დაკავშირებით კი, თუ რატომ ვიყენებთ ჩვენ სახელდობრ შერჩევის მეთოდს შესასწავლი საგნის გამოსაკვლევად, ანუ, რა აუცილებლობას წარმოადგენს იგი ამ პროცესში, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: შერჩევის აუცილებლობას სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში განაპირობებს, ჯერ ერთი ის, რომ არ არის სავალდებულო მთელი პოპულაციის შესწავლა სათითაოდ, რადგანაც, რეპრეზენტატული შერჩევა უკვე იძლევა საკმარის შედეგებს, მეორეც, მთელი პოპულაციის მოცვაც შეუძლებელია ყოველთვის და, მესამეც, ეს საჭირო არცაა, რაკიღა შედეგი ძირითადად, არსებითად მაინც მიღწეულია.

ასე რომ, შერჩევითი სოციოლოგიური გამოკვლევა, სადაც იგი, რა თქმა უნდა, ამართლებს, დიდ „ეკონომიასაც“ გვიწევს სოციოლოგიურ მუშაობაში. ხოლო ზედმეტი, მართლაც, რაღა საჭიროა? რა საჭიროა მთელი პოპულაციის შესწავლა სათითაოდ, მაშინ როდესაც მისი აუცილებლობა არაა, როდესაც იგი - შერჩევითი გამოკვლევა - უკვე საკმარისია მთელი პოპულაციის შესასწავლად? რა თქმა უნდა, არსებითად და არა აბსოლუტურად, მაგრამ მაინც გადამწყვეტად. მთავარი ხომ არსებითია და არა არაარსებითი.

შერჩევის სოციოლოგიურ გამოკვლევაში აუცილებლობასთან დაკავშირებით, ანდრია ზდრავომისლოვი აღნიშნავს შემდეგს: „ერთი შეხედვით, ყოველგვარ კვლევაში იდეალური ვარიანტი იქნებოდა, რომ გამოკვლეულიყო საკითხთან დაკავშირებული ყველა ობიექტი, მაგრამ ეს იდეალური ვარიანტი არასოდეს ან თითქმის არასოდეს არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს, ვინაიდან, ჯერ ერთი, ამას განაპირობებს „მთელი რიგი ორგანიზაციული სიძნელეები“ (2,გვ.90) და, მეორეც, „ბევრ შემთხვევაში შერჩევითი გამოკვლევის საკმარისობა“ (2,გვ.91).

„შერჩევა ანუ შერჩევითი ერთობლიობა“, მართალია, „ესაა გენერალური ერთობლიობდან განსაზღვრული პროცედურის მეშვეობით გამოკრებილი შედეგების ... მინიმუმი“ (20), მაგრამ მაინც ის მინიმუმი, რომელიც სწორი შერჩევის შემთხვევაში უზრუნველყოფს, მართლაც, შედეგების წარმატებულობას.

არსებობს შერჩევის ორგვარი მახასიათებელი სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში: ერთია შერჩევის თვისობრივი და მეორე - მისი რაოდენობრივი მახასიათებელი.

თვისობრივი დახასიათება შერჩევისა გულისხმობს იმას, თუ „სახელდობრ რას ვირჩევთ და შერჩევის თუ როგორ ხერხებს ვიყენებთ ჩვენ შერჩევისათვის“ (20), ხოლო რაოდენობრივი დახასიათება კი, იმას, თუ რამდენ შემთხვევას ვირჩევთ, ე. ი. შერჩევის მოცულობას“ (20).

შერჩევა სოციოლოგიურ გამოკვლევაში თავის დანიშნულებას ანუ ამოცანას ასრულებს. ხოლო ეს ამოცანა „კვლევის ობიექტის განსაზღვრა და მეცნიერული ინფორმაციის შეფასებისათვის საჭირო დაკვირვების ერთეულების გამოყოფაა“ (2,გვ.90).

„დაკვირვების ერთეული სოციოლოგიური გამოკვლევაში ინფორმაციის უშუალო წყაროა. იგი შეიძლება იყოს ცალკეული ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი, ორგანიზაცია ან დაწესებულება იმისდა მიხედვით, თუ როგორია გამოკვლევის კონკრეტული მიზნები და ამოცანები“ (2,გვ.91).

სოციოლოგიურ გამოკვლევაში ცნობილია შერჩევის რამოდენიმე ძირითადი სახე, რამოდენიმე მოდელი თუ ტიპი.

ხოლო ამასთან დაკავშირებით ზოგჯერ ორს (მაგ., 5, მე-3 ლექცია, ანდა 12,გვ.262) გამოყოფენ და ზოგჯერ სამს (მაგ., 2,გვ.97).

მაგრამ „შერჩევის თანამედროვე თეორიაში ძირითადად [მაინც] განასხვავებენ ალბათურ და არაალბათურ შერჩევას“ (13,გვ.262). ალბათურს, სხვანაირად, შემთხვევითს უწოდებენ, არაალბათურს კი - არაშემთხვევითს (5,მე-3 ლექცია).

განსხვავება შერჩევის ალბათურსა (შემთხვევითსა) და არაალბათურ (არაშემთხვევით) მოდელებსა თუ ტიპებს შორის ისაა, რომ ალბათური (შემთხვევითი) შერჩევის შემთხვევაში, „გენერალური ერთობლიობის თითოეულ ელემენტს შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი შანსი აქვს, რომელიც შემთხვევითია და არც ერთი ელემენტისათვის არ არის ნულოვანი“ (16, გვ.42), ხოლო არაალბათური (არაშემთხვევითი) შერჩევის შემთხვევაში კი, „გენერალური“ ერთობლიობის თითოეულ ელემენტს შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის არათანაბარი, ზოგ შემთხვევაში კი, ნულოვანი შანსი აქვს“ (16,გვ.42).

ამ მხრივ კი, ალბათური (შემთხვევითი) შერჩევა სოციოლოგიურ გამოკვლევაში თავისი, თუ ასე შიეძლება ითქვას, „დემოკრატიულობის“ პრინციპით ხასიათდება, ხოლო არაალბათური (არაშემთხვევითი) შერჩევა კი, პირიქითი, - „არადემოკრატიულობის“ პრინციპით (5,მე-3 ლექცია).

მოკლედ რომ ვთქვათ, სოციოლოგიური გამოკვლევის ალბათური (შემთხვევითი) შერჩევისათვის დამახასიათებელია შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის 1) თანაბარი და 2) არანულოვანი შანსი, ხოლო არაალბათური (არაშემთხვევითი) შერჩევისათვის კი მასში მოხვედრის 1) არათანაბარი და 2) ნულოვანი შანსი.

„შერჩევის ამა თუ იმ ტიპის გამოყენება გამოკვლევის მიზნებზეა დამოკიდებული“ (16,გვ.42). ზოგჯერ, ამასთან დაკავშირებით, ალბათურ შერჩევას, ზოგჯერ - არაალბათურ შერჩევას, ცალცალკე, ხოლო ზოგჯერ კი ორივეს ერთდროულად იყენებენ (16,გვ.42). ამასთან ალბათური შერჩევა უფრო ეფექტურია რაოდენობრივ-სოციოლოგიურ კვლევაში, ხოლო არაალბათური თვისობრივ სოციოლოგიურ კვლევაში (16,გვ.43).

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ალბათურსა და არაალბათურ შერჩევათა დროს უპირატესობას უფრო ალბათურს ანიჭებენ, რის გამოც იგი უფრო პოპულარულია (5,მე-3 ლექცია).

ეს უპირატესობა კი გამოწვეულია იმით, რომ ალბათური შერჩევა არაალბათურ შერჩევასთან შედარებით სწორედ უფრო „დემოკრატიულია“ თავისი ბუნებით, ვინაიდან სწორედ ალბათური შერჩევის შემთხვევაში აქვს გენერალური ერთობლიობის ყველა წევს რესპონდენტად გახდომის ანუ შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის შესაძლებლობა (5,მე-3 ლექცია).

ალბათურ (შემთხვევით) და არაალბათურ (არაშემთხვევით) შერჩევას შორის განსხვავებასთან დაკავშირებით, აქ ჩვენ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი უნდა აღვნიშნოთ, კერძოდ კი, ის მდგომარეობა, რომ ალბათური, ანუ შემთხვევათი შერჩევა სოციოლოგიურ გამოკვლევაში ერთგვარად „შეუზღუდველია“, ხოლო არაალბათური (არაშემთხვევითი) შერჩევა ერთგვარად „შეზღუდული“.

ხოლო „შეუზღუდველია“ პირველი იმდენად, რამდენადაც იგი არაფრით არ „ზღუდავს“ გენერალური ერთობლიობის არც ერთ წევრს გახდეს შერჩევითი ერთობლიობის წევრი, არაალბათური (არაშემთხვევითი) შერჩევა კი, რაღაცნაირად „შეზღუდულია“ იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში გენერალური ერთობლიობის სწორედ ყველა წევრს როდი აქვს შესაძლებლობა გახდეს შერჩევითი ერთობლიობის წევრი.

მოკლედ რომ ვთქვათ, სოციოლოგიურ გამოკვლევაში ალბათური შერჩევის ერთგვარი „შეუზღუდველობა“, ხოლო არაალბათური შერჩევის ერთგვარი „შეზღუდულობა“ არის სწორედ მათ შორის

ზღვარგამყოფი, ოღონდ, რა თქმა უნდა, სწორედ აღნიშნული „შეუზღუდველობა- შეზღუდულობის“ - კუთხით.

ხოლო უპირატესობა ანუ პრიორიტეტი, რომელიც ალბათურ შერჩევას სოციოლოგიურ გამოკვლევაში ენიჭება არაალბათურ შერჩევასთან შედარებით ამ კუთხითაც, გამოწვეულია სწორედ მისი ამ „შეუზღუდველობით“ მეორის „შეზღუდულობასთან“ შედარებით.

აღნიშნული გარემოების გამო კი, ალბათური შერჩევა სოციოლოგიურ გამოკვლევაში, რა თქმა უნდა, უფრო სრულყოფილი გამოდის, ვიდრე არაალბათური შერჩევა.

უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთადერთი სრულყოფილი მხოლოდ ალბათური შერჩევა გამოდის, ხოლო არაალბათური შერჩევა კი ალბათურთან შედარებით - არასრულყოფილი. თუმცა კი ორივე თავ-თავისი შესაძლებლობის ფარგლებში საერთო ჯამში, რა თქმა უნდა, სასარგებლოა სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესისათვის. ოღონდ მთავარია ის, თუ რამდენად სწორად გამოვიყენებთ ორივე მათგანის შესაძლებლობებს სოციოლოგიური გამოკვლევის საქმეში მაქსიმალური წარმატებისათვის.

მაგრამ, მიუხედავად შერჩევის შეზღუდულობა-შეუზღუდველობისა და, მაშასადამე, არასრულყოფილება-სრულყოფილებისა, როგორც არაალბათური, ისე ალბათური შერჩევაც უზრუნველყოფს, ყოველ შემთხვევაში კი, უნდა უზრუნველყოფდეს მაინც შერჩევის რეპრეზენტატულობას. სხვანაირად შერჩევაც აზრს დაკარგავდა.

ასე რომ, აქ ჩვენ შერჩევის სრულყოფილება-არასრულყოფილება მისი რეპრეზენტატულობის, შესაბამისად, მხოლოდ ორ სრულყოფილ თუ არასრულყოფილ მაგრამ მაინც რეპრეზენტატულობას გვაძლევს.

სხვაგვარად, თუ ასე შეიძლება ითქვას, შერჩევაც, რაკიღა იგი რეპრეზენტატულობას არსებითად ვერ უზრუნველყოფდა, ვეღარც შედგებოდა. ხოლო შერჩევის მიზანიც ხომ სხვა არაფერია, თუ არა უზრუნველყოს სწორედ გენერალური ერთობლიობის მიმართ შერჩევითი ერთობლიობის რეპრეზენტატულობა.

ასე რომ, საბოლოო ჯამში, შერჩევის შეუზღუდველობა-შეზღუდულობა, მისი, მაშასადამე, სრულყოფილება-არასრულყოფილება სახელდობრ სწორედ გენერალური ერთობლიობის მიმართ მისი რეპრეზენტატულობის მიღწევაში შეუზღუდველობა-შეზღუდულობასა და, მაშასადამე, სრულყოფილება-არასრულყოფილებაში გამოიხატება.

მაშასადამე, სრულყოფილია, იდეალურია ისეთი ტიპის შერჩევა, რომელიც მაქსიმალურ რეპრეზენტატულობას უზრუნველყოფს, ხოლო არასრულყოფილი, არაიდეალური კი - ისეთი, რომელიც მაქსიმალურ რეპრეზენტატულობას ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ მინიმალურ რეპრეზენტატულობას მაინც უზრუნველყოფს.

სწორედ იმის გამო, რომ ალბათური (შემთხვევითი) შერჩევა სოციოლოგიური გამოკვლევაში, არაალბათურ (არაშემთხვევითი) შერჩევასთან შედარებით, შერჩევის უფრო მეტ რეპრეზენტატულობას უზრუნველყოფს, სწორედ ამის გამო საბოლოო ჯამში უპირატესობა შერჩევის ორ მოდელს შორის სწორედ ალბათურს უნდა მიენიჭოს და ენიჭება კიდეც.

ალბათური (შემთხვევითი) შერჩევისა თუ არაალბათური (არაშემთხვევითი) შერჩევის ყველა ტიპი და სახე (რომლებსაც ჩვენ შემდგომში განვიხილავთ), ამავე დროს სოციოლოგიური გამოკვლევის იგივე მეთოდებია. და, საერთოდაც, შერჩევა, როგორც ასეთი, უკვე მეთოდია სოციოლოგიური გამოკვლევისა, რა თქმა უნდა, განსხვავებით არაშერჩევისაგან სოციოლოგიურ გამოკვლევაში.

საქმე ისაა, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის შერჩევითი მეთოდის გარდა არსებობს სოციოლოგიური გამოკვლევის არაშერჩევითი ანუ სრული დაფარვის მეთოდიც საერთოდ (რა თქმა უნდა, თავისი შესაძლო ტიპებითა და სახეებით), განსხვავებით სოციოლოგიური გამოკვლევის შერჩევითი მეთოდისაგან, რომელიც შესაბამისად უკვე იქნება სოციოლოგიური გამოკვლევის არასრული დაფარვის მეთოდი საერთოდ.

ხოლო ეს რომ ასეა, გამომდინარეობს იქიდან, რომ თავად სოციოლოგიური გამოკვლევა შეიძლება და არის კიდეც ორი სახის - ერთია „სრული დაფარვის" ანუ, ჩვენთვის ამჯერად საინტერესო

ტერმინით, „არაშერჩევითი“ გამოკვლევა და „არასრული დაფარვის“ ანუ, ასევე ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ტერმინით, „შერჩევითი“ გამოკვლევა.

და თუ, მართლაც, არსებობს ორი ძირითადი ჯგუფი, რიგი, ტიპი თუ სახე სოციოლოგიური გამოკვლევისა, „სრული“ და „არასრული“ დაფარვის გამოკვლევის სახით, მაშინ ხომ ლოგიკურად, შესაბამისად, უკვე არსებულა სოციოლოგიური გამოკვლევის სრული და არასრული დაფარვის მეთოდებიც. სხვა სიტყვებით კი ეს სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის არაშერჩევითი და შერჩევითი მეთოდებია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სოციოლოგიური გამოკვლევის ალბათური და არაალბათური მოდელები სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის შერჩევითი და არა მისი არაშერჩევითი მეთოდებია.

ალბათური (შემთხვევითი) შერჩევის მეთოდებია: 1) მარტივი შემთხვევითი, 2) სტრატიფიცირებული, 3) კლასტერული შერჩევის მეთოდები, ხოლო არაალბათური (არაშემთხვევითი) შერჩევის მეთოდები კი - 1) მიზნობრივ-შეფასებითი, 2) სტიქიური ანუ ქაოტური, 3) თოვლის გუნდას, 4) კვოტური შერჩევის მეთოდები (16,გვ.45-50, 42-45).

ალბათური შერჩევის მეთოდის მარტივი შემთხვევითი ტიპი, თავის მხრივ, იყოფა სამ სახედ. ესენია: 1) ლატარიის მეთოდი, 2) შემთხვევითი რიცხვების მეთოდი და 3) სისტემური შერჩევის მეთოდი (16,გვ.45-46).

ჯერ დავიწყოთ სოციოლოგიური გამოკვლევის არაალბათური შერჩევის მეთოდების დახასიათებით, ვინაიდან ისინი უფრო „სცოდავენ“ რეპრეზენტატულობის თვალსაზრისით, ვიდრე სოციოლოგიური გამოკვლევის ალბათური შერჩევის მეთოდები, როს გამოც სოციოლოგიურ გამოკვლევაში უპირატესობას ანიჭებენ სწორედ ალბათური შერჩევის მეთოდებს.

არაალბათური შერჩევის მეთოდები მაქსიმალური რეპრეზენტატულობის მიღწევის თვალსაზრისით, მაშასადამე, უფრო „ნაკლები ღირსების“ მქონე მეთოდებად მიიჩნევა ალბათური შერჩევის

მეთოდებთან, როგორც უფრო „მაღალი ღირსების“ მქონე მეთოდებთან შედარებით.

სოციოლოგიურ გამოკვლევაში არაალბათური შერჩევის ერთ-ერთი მეთოდია ე.წ. „მიზნობრივ-შეფასებითი“ მეთოდი.

არაალბათური შერჩევის ამ მეთოდის შემთხვევაში, თავად სახელწოდებიდან გამომდინარე, შერჩევა „ან გარკვეული მიზნით ხდება, ანდა ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე“ (16,გვ.42).

არაალბათური შერჩევის მეორე სახეა ე.წ. „თოვლის გუნდას“ მეთოდი.

არაალბათური შერჩევის ამ მეთოდის შემთხვევაში შერჩევას ვახდენთ, თუ ასე შეიძლება ითქვას, „ნაცნობ-ნაცნობობის“ პრინციპით, კერძოდ, „ვუკავშირდებით ჩვენთვის საინტერესო გენერალური ერთობლიობის წევრს და ვეკითხებით, ხომ არ იცნობს ჩვენთვის საინტერესო მახასიათებლების მქონე პიროვნებას (...). ასეთ ადამიანს ინტერვიუს ჩატარების შემდეგ იმავე შეკითხვას ვუსვამთ და ასე ვაგრძელებთ კვლევას მანამ, სანამ მოცემული ერთობლიობის ჩვენთვის ხელმისაწვდომი წევრები ამოიწურება“ (16,გვ.43).

არაალბათური შერჩევის მესამე სახეა ე.წ. „სტიქიური“ ანუ „ქაოტური“ შერჩევა.

არაალბათური კვლევის ამ მეთოდის შემთხვევაში შერჩევა ხდება ქუჩაში სწორედ სტიქიური, ქაოტური პრინციპით ადამიანთა გამოკითხვისას (16,გვ. 43).

არაალბათური შერჩევის მეოთხე სახეა ე.წ. „კვოტური“ შერჩევა.

არაალბათური შერჩევის ამ მეთოდის შემთხვევაში შერჩევა ხდება, სახელწოდებიდანვე გამომდინარე, კვოტური ანუ პროპორციული პრინციპით. ამ შემთხვევაში „მკვლევარი იღებს გადაწყვეტილებას მოსახლეობის რომელი ჯგუფები უნდა იკვლიოს და რა პრინციპით უნდა მოხვდნენ ისინი შერჩევით ერთობლიობაში“ (16,გვ.44).

ალბათური შერჩევის ერთ-ერთი მეთოდია ე.წ. „მარტივი შემთხვევითი“ მეთოდი.

ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში „მკვლევარი ადგენს შერჩევის რაც შეიძლება სრულყოფილ ჩარჩოს და შემთხვევითი ტიპის

მათემატიკური პროცედურის საფუძველზე მოცემული შერჩევის ჩარჩოდან შერჩევით ერთობლიობას ადგენს" (16,გვ.45).

მარტივი შემთხვევითი შერჩევის სამი სახე არსებობს: 1) ლატარიის, 2) შემთხვევითი რიცხვების, 3) სისტემური შერჩევის მეთოდები (16,გვ.45).

ლატარიის მეთოდის შემთხვევაში „ყველა შესარჩევი ელემენტის სახელწოდება მოთავსებულია ქაღალდის ფურცელზე, ჩაყრილია რაიმე ჭურჭელში და ბრმად ხდება ქაღალდების შერჩეული რაოდენობის ამოღება " (16,გვ.45).

შემთხვევითი რიცხვების მეთოდის შემთხვევაში „შერჩევის ჩარჩოში მოცემულ თითოეულ ელემენტს მიენიჭება საკუთარი ნომერი და მკვლევარი შემთხვევითი წესით ირჩევს რიცხვებს (16,გვ.45).

დაბოლოს, სისტემური შერჩევის მეთოდის შემთხვევაში „ვირჩევთ გარკვეულ ფიქსირებულ ინტერვალს" ანუ „შერჩევით ინტერვალს" და „ამ ინტერვალის დაცვით შერჩევის ჩარჩოდან ელემენტების შერჩევას ვახდენთ" (16,გვ.46). შერჩევის ინტერვალის განსაზღვრისათვის კი შერჩევის ჩარჩოს მოცულობას ვყოფთ შესარჩევი ელემენტების მოცულობაზე.

ალბათური შერჩევის მეორე მეთოდია ე.წ. „სტრატიფიცირებული" შერჩევის მეთოდი.

ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, „მკვლევარი ჯერ ქვეჯგუფებად ანუ სტრატებად ყოფს გენერალურ ერთობლიობას, შემდეგ კი თითოეული სტრატიდან შემთხვევითი წესით (...) არჩევს შერჩევით ერთობლიობას. თითოეული სტრატის ზომის დადგენის საფუძველზე მკვლევარი აკონტროლებს შერჩევითი ერთობლიობის შიგნით სხვადასხვა სტრატის პროპორციას, რითიც შერჩევის რეპრეზენტატულობას უზრუნველყოფს" (16,გვ.46).

აქვე, ამასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: „არსებობს სტრატიფიცირებული შერჩევის ოქროს წესი: რაც უფრო ჰომოგენურია სტრატის შიგნით არსებული ელემენტები და რაც უფრო ჰეტეროგენულია თითოეული სტრატა სხვა სტრატასთან მიმართებაში, მით უფრო რეპრეზენტატულია შერჩევა. ამრიგად, მკვლევარი უნდა შეეცადოს,

რომ თითოეული სტრატა მაქსიმალურად განსხვავდებოდეს დანარჩენებისაგან, სტრატის შიგნით არსებული ელემენტები კი მაქსიმალურად ერთმანეთის მსგავსი იყოს (16,გვ.47).

ალბათური შერჩევის კიდევ ერთი, მესამე მეთოდია „კლასტერული" შერჩევის მეთოდი.

ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, „შერჩეული ობიექტები წარმოადგენენ უფრო პატარა ელემენტებს, ჯგუფებს ან ბუდეებს (კლასტერებს)" (7,გვ.68). ამიტომაც ამ მეთოდს სხვანაირად შერჩევის „ბუდობრივ" მეთოდსაც უწოდებენ ხოლმე (7,გვ.68). შერჩევის კლასტერებისა თუ ბუდეების როლში კი შეიძლება გამოვიდნენ: „დასახლებული პუნქტები, რაიონები, სახლები, სადარბაზოები, საწარმოები, საამქროები, ბრიგადები" (7,გვ.68).

კლასტერული მეთოდის თავისებურება მისი მრავალსაფეხუროვნებაა. მკვლევარი ამ შემთხვევაში „შერჩევის რამდენიმე ეტაპს ახორციელებს. სამსაფეხურიანი შერჩევისას პირველი საფეხურია შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე მსხვილი კლასტერების შერჩევა; მეორე საფეხურია თითოეული მსხვილი კლასტერის შიგნით, შემთხვევათა შერჩევის საფუძველზე, მცირე კლასტერების შერჩევა; მესამე საფეხურია მცირე კლასტერებიდან ელემენტების შერჩევა" (16,გვ.48).

თავი 5

სოციოლოგიური გამოკვლევის
მონაცემთა მოპოვების მეთოდები

საკითხი სოციალურ მონაცემთა მოპოვების შესახებ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდთა შესახებ მეცნიერების სისტემაში ერთ-ერთი საკვანძო საკითხია სოციალურ მონაცემთა დამუშავების, მისი ანალიზის, განზოგადებისა და ინტერპრეტაციის მეთოდთა შესახებ საკითხებთან ერთად და მათ გვერდით, ვინაიდან ეს საკითხიც უშუალოდ ეხება იმას, რის შესახებაც არსებობს სწორედ მეცნიერება „სოციალურ გამოკვლევათა მეთოდებზე".

ამასთან აღნიშნულ თემათა რიგშიაც ამ საკითხს თავისი გამორჩეული ადგილი უჭირავს იმით, რომ იგი „ძირეულად საკვანძო" თემაა მათ შორის, რადგანაც ეხება სოციალურ მონაცემთა სწორედ მოპოვების მეთოდებს, რასაც უკვე შემდეგ მოყვება მისი დამუშავების, ანალიზის, განზოგადებისა და ინტერპრეტაციის მეთოდების საკითხებიც.

ეს საკითხი „სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდების" შესახებ შეიძლება სხვადასხვა სიტყვებით სხვადასხვანაირად იქნეს ფორმულირებული.

„სოციალურ მონაცემთა" ნაცვლად აქ შეიძლება ვიხმაროთ „სოციოლოგიური მონაცემებიც". განსხვავება აქ არსებითი ამ მხრივ მაინც არ იქნება, იმიტომ რომ საქმე მაინც ერთსა და იმავეს შეეხება, ოღონდ ერთი - საგნის რაკურსით, მეორე - მეცნიერების რაკურსით. თუმცა აბსოლუტურად ზუსტი აქ მაინც „სოციოლოგიური" იქნებოდა და არა „სოციალური", ვინაიდან ყოველგვარი „სოციოლოგიური" კია „სოციალური", მაგრამ ყოველგვარი „სოციალური" როდია „სოციოლოგიური".

ბოლოსდაბოლოს კი ყველაზე გამართლებული იქნებოდა ტერმინი „სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემები", ვინაიდან ამ შემთხვევაში ცალსახად ზუსტად განსაზღვრული იქნებოდა ის „მონაცემები",

რომლებიც სწორედ „სოციოლოგიური გამოკვლევის“პროცესში ხდება მოპოვებული.

რაც შეეხება „მონაცემებს“, „მონაცემების“ ნაცვლად აქ შეიძლება მოვიხმაროთ ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „მასალა“ ანდა „ინფორმაცია“.

ხოლო რაც შეეხება ტერმინს „მოპოვებას“, აქ მის ნაცვლად შეიძლება მოვიხმაროთ ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: „შეგროვება“, „შეკრება“, „მოძიება“.

და მიუხედავად იმისა, რომ გამართლებულია ტერმინთა ყველა სამივე აღნიშნული ჯგუფის ვარიაციათა უამრავი სხვადასხვა კონფიგურაცია, საბოლოოდ ჩვენ მაინც ვარჩევთ საკითხის ფორმულირებას შემდეგნაირად: „სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა შეგროვების მეთოდები“.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა შეგროვება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპია, თუ საფეხურია, ვინაიდან სწორედ ამ ეტაპით იწყება უშუალოდ სოციოლოგიური გამოკვლევაც, რასაც შემდგომში უკვე მოყვება ამ მონაცემთა დამუშავების, მათი ანალიზის, მათი განზოგადების, მათი ინტერპრეტირების ეტაპები ანუ საფეხურები.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა შეგროვების მეთოდებზე სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ, ჯერ საჭიროა აღვნიშნოთ ის, რომ არსებობს სოციოლოგიური გამოკვლევის ორი ძირითადი სახე

რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევანი და ამის მიხედვით სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა შეგროვების მეთოდებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავებული სახის სოციოლოგიურ კვლევას ხომ განსხვავებული მეთოდები სჭირდება და ეს ლოგიკურიცაა.

იგივე ძალაშია სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა შეგროვების ეტაპზეც.

თვისებრივი კვლევის შედეგად დგინდება ის, თუ „რა და რა თვისებისაა“ ესა თუ ის შესასწავლი მოვლენა, ხოლო რაოდენობრივი კვლევის შედეგად, - თუ „რამდენი ასეთი თვისებისაგან შედგება“ ეს მოვლენა (5, მე-2 ლექცია).

რაოდენობრივი კვლევა ხორციელდება აღწერის დონეზე, თვისობრივი კვლევა კი - სიღრმის დონეზე (5,მე-2 ლექცია).

რაოდენობრივი კვლევის მეთოდებია: 1) გამოკითხვა და 2) კონტენტანალიზი, მაგრამ ძირითადად მაინც გამოკითხვა. ხოლო გამოკითხვა კი გულისხმობს სოციალური ინფორმაციის მოპოვებას ზეპირი ან წერითი კითხვა-პასუხებით (14,გვ.179).

გამოკითხვა შეიძლება იყოს: 1) სტანდარტიზებული - კითხვარით, 2) არასტანდარტიზებული კითხვარის გარეშე, 3) შუალედური როდესაც „ინტერვიუს აღებასთან ერთად მკვლევარი ავსებს გამოსაკითხ ფურცელს“ (14,გვ.180). ხოლო რაც შეეხება კითხვარს, რომელიც ინსტრუმენტად გამოიყენება საერთოდ სოციოლოგიური გამოკვლევის უმეტეს შემთხვევებში, კერძოდ კი ანკეტირებისას, იგი ფორმით ანუ სახით შეიძლება იყოს: I. ღია, დახურული, ნახევრადდახურული; II. პირდაპირი, ირიბი; III. პირადული, საერთო (14,გვ.180).

ღია კითხვარისას ანკეტაში პასუხები მოცემული არ არის, დახურულისას - მოცემულია, ნახევრად დახურულისას - მეტწილად მოცემული და ნაკლებწილად - არა (14,გვ.181-182).

ანკეტა უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს: 1) შესაკრებად მცირე დრო უნდა სჭირდებოდეს; 2) გამოკითხვის საგნისადმი ინტერესი კითხვიდან კითხვამდე უნდა იზრდებოდეს; 3) კითხვები ნათლად და ზუსტად უნდა იყოს ფორმულირებული; 4) კითხვები თანდათანობით უნდა რთულდებოდეს (14,გვ.181).

გამოკითხვის ტიპები თუ ჯგუფებია: 1) ინტერვიუირება და 2) ანკეტირება (5,მე-5 ლექცია).

ორივე შემთხვევაში გამოკითხვის დროს ორ მხარესთან: გამოსაკითხ პირთან ანუ რესპოდენტთან და გამომკითხველ პირთან ანუ ინტერვიუერთან (ფართო გაგებით) გვაქვს საქმე (5,მე-10 ლექცია).

განსხვავება ინტერვიუირებასა და ანკეტირებას შორის ისაა, რომ ინტერვიუირების შემთხვევაში „დაწოლის ცენტრი“ მოდის ინტერვიუერზე, ხოლო ანკეტირების შემთხვევაში კი, პირიქით, რესპონდენტზე (5,მე-10 ლექცია). ე.ი. ორივე შემთხვევაში განსხვავებულია როლები ინტერვიუირებისა. პირველ შემთხვევაში

ინტერვიუერი უშუალოდაა ჩართული გამოკითხვის პროცესში, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი უშუალოდ კი არ არის ჩართული მასში, არამედ - ირიბად; პირველ შემთხვევაში იგი წარმართავს გამოკითხვას, მეორე შემთხვევაში მეთვალყურეობას უწევს მას (5,მე-5 ლექცია).

ინტერვიუს თავისი ტიპები ანუ ჯგუფები გააჩნია და ისინი ორია: 1) პირისპირი ინტერვიუ და 2) სატელეფონო ინტერვიუ (5,მე-5 ლექცია).

ანკეტირებასაც გააჩნია თავისი ტიპები ანუ ჯგუფები. ესენია: 1) თვითადმინისტრირებული გამოკითხვა, 2) საფოსტო გამოკითხვა, 3) ინტერნეტით, ანუ ელ-ფოსტით გამოკითხვა (5,მე-5 ლექცია).

ინტერვიუს ყველაზე გავრცელებული ტიპი რაოდენობრივი კვლევის დროს პირისპირ ინტერვიუა, ხოლო ანკეტირების ყველაზე გავრცელებული ტიპი რაოდენიბრივი კვლევის დროს თვითადმინისტრირებული გამოკვლევა (5,მე-5 ლექცია). ამიტომაც ჩვენ სწორედ მათ შევეხებით.

როგორც პირისპირ ინტერვიუირებას, ისე თვითადმინისტრაციულ გამოკითხვასაც, ორივეს ცალ-ცალკე, თავ-თავიანთი ღირსება-ნაკლოვანებანი, თავ-თავიანთი პლიუს-მინუსები გააჩნია (5,მე-5 ლექცია). ამიტომ სხვადასხვა სიტუაციაში, გამომდინარე სწორედ აღნიშნული გარემოებიდან, ესა თუ ის მეთოდი გამოიყენება.

პირისპირი ინტერვიუს ღირსება, ანუ მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს ხდება, ჯერ-ერთი, „მონაცემების მაქსიმალური მობილიზება“ და, მეორეც, „შეკითხვების მაქსიმალური დაზუსტება, მათი ნათელყოფა განმარტებით“ (5, მე-5 ლექცია). ორივე შემთხვევაში მათ უზრუნველყოფს ინტერვიუერი, რაკიღა იგი უშუალოდ წარმართავს გამოკითხვის პროცესს.

პირისპირი ინტერვიუს ნაკლოვანებანიც ორია. 1) „სასურველი რესპონდენტის როლის გათამაშების რისკი“ და 2) „ინტერვიუერის გავლენის რისკი“ (5,მე-5 ლექცია). ორივე შემთხვევაში გვექნება მონაცემთა არაობიექტური, ანუ სუბიექტური სურათი: პირველ შემთხვევაში - რესპონდენტისაგან გამომდინარე და მეორე შემთხვევაში - ინტერვიუერისაგან გამომდინარე.

„სასურველი რესპონდენტის როლის გათამაშება“ გულისხმობს არაგულწრფელობას რესპონდენტის მხრიდან ინტერვიუერის საამებლად, ხოლო „ინტერვიუერის გავლენა“ მისი სასურველი პოზიციის რესპონდენტზე თავს მოხვევას, რესპონდენტის განწყობას მისი მხრიდან ამ პოზიციის სასარგებლოდ (5,მე-5 ლექცია).

აი, ის ორი საფრთხე, რაც შეიძლება შეგვიქმნას პირისპირი ინტერვიუს მეთოდმა გამოკითხვის პროცესში.

ხოლო ამ საფრთხეთა თავიდან ასაცილებლად მიმართავენ ანკეტირების მეთოდს, კერძოდ კი, თვითადმინისტრირებულ გამოკითხვას.

თვითადმინისტრირებული გამოკითხვის ღირსებანი ანუ უპირატესობანი, პირისპირ ინტერვიუსთან მიმართებით, ჯერ ერთი ისაა, რომ აქ „რესპონდენტის კონფიდენციალურობა და ანონიმურობა უფროა დაცული“ და, მეორეც, რესპონდენტის მხრიდან არაგულწრფელობის ანუ სასურველი რესპონდენტის როლის გათამაშების მომენტი უფროა მოხსნილი (5, მე-5 ლექცია).

მოკლედ, თვითადმინისტრირებული გამოკითხვის უპირატესობანია: რესპონდენტთა კონფიდენციალურობა-ანონიმურობისა და გულწრფელობის უფრო მეტი უზრუნველყოფა (5,მე-5 ლექცია).

აქ საჭიროა „კონფიდენციალურობისა“ და „ანანიმურობის“ ცნებათა შორის განსხვავების ჩვენება.

„კონფიდენციალურობა“ გულისხმობს რესპონდენტზე რაიმე ინფორმაციის არგასაჯაროებას, ხოლო „ანანომირობა“ - რესპონდენტზე რაიმე ინფორმაციის არქონას (5,მე-5 ლექცია). ხოლო განსაკუთრებით კი კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის დაცვა საჭიროა ე.წ. „მგრძნობიარე ანუ სენსიტიურ“ თემებზე გამოკითხვისას (5,მე-5 ლექცია).

რაც შეეხება თვითადმინისტრირებული გამოკითხვის ნაკლოვანებებს, ისინი მდგომარეობს, ჯერ ერთი, იმაში, რომ „რესპონდენტმა შეიძლება არასწორად გაიგოს შეკითხვის აზრი“, და, მეორეც, „რესპონდენტმა შეიძლება ანკეტირება გასწიოს

არახარისხობრივად", კერძოდ, ან გამოტოვოს შეკითხვები, ანდა არასწორად გასცეს პასუხები (5,მე-5 ლექცია).

ინტერვიუირებისა და ანკეტირების ღირსება-ნაკლოვანებასთან კავშირში აუცილებელია აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ადამიანური და ფულადი ფინანსური რესურსების კუთხით ანკეტირება უფრო იაფი ჯდება, ხოლო ინტერვიუირება კი - უფრო ძვირი (5,მე-5 ლექცია). თუმცა ეს გარემოება მექანიკურად როდი ქმნის ანკეტირების უპირატესობას ინტერვიუირებაზე, ვინაიდან, თუ საჭიროება მოითხოვს და მისგან მეტი სარგებლობა იქნება, მაშინ უნდა მივმართოთ ინტერვიუირებასაც.

დაბოლოს, „გამოკითხვის დიზაინის" საკითხს შევეხოთ. ანუ იმ საკითხს, თუ „რა და რა სახის დიზაინი" არსებობს (5,მე-5 ლექცია).

ამ მხრივ კი არსებობს გამოკითხვის დიზაინის ორი ჯგუფი. ესენია ერთჯერადი და მრავალჯერადი. პირველი ტარდება ერთსა და იმავე დროსა და სივრცეში, ხოლო მეორე კი სხვადასხვა დროსა და სივრცეში (5,მე-5 ლექცია). ბუნებრივია, რომ, საჭიროებისდა მიხედვით, ამ მხრივ გამოიყენება გამოკითხვის ესა თუ ის ფორმა. ხოლო გამოკითხვის ამა თუ იმ ფორმის საჭიროებას კი, რა თქმა უნდა, განსაზღვრავს სოციოლოგიური გამოკვლევის მიზნები და ამოცანები.

ასეთია რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვების მეთოდების ანალიზი.

ახლა კი შევუდგეთ თვისობრივი (რაგვარობრივი) სოციოლოგიური კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვების მეთოდების ანალიზს.

თვისობრივი კვლევის მეთოდები სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა მოპოვების პროცესში შემდეგია: 1) ფოკუსირებული ინტერვიუ (ანუ ჯგუფური ინტერვიუ, ანუ ჯგუფური დისკუსია, ანუ ფოკუს-ჯგუფი) და 2) ჩაღრმავებული (ანუ სიღრმისეული) ინტერვიუ (5,მე-7 ლექცია).

განსხვავება თვისობრივი კვლევის ამ მეთოდთა შორის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა მოპოვების პროცესში ისაა, რომ ფოკუსირებული ინტერვიუს დროს საკვლევი პრობლემის განხილვა ხდება რესპონდენტთა გარკვეულ რაოდენობასთან, ხოლო

ჩაღრმავებული ინტერვიუს შემთხვევაში მხოლოდ ერთ რესპონდენტთან (5,მე-7 ლექცია).

ფოკუსირებულსა და ჩაღრმავებულ ინტერვიუთა შორის უფრო გავრცელებულია ფოკუსირებული ინტერვიუს მეთოდი, ამიტომ ჩვენც მას გავარჩევთ.

ფოკუსირებულ ინტერვიუსაც, ისევე როგორც სოციოლოგიურ გამოკვლევის მონაცემთა ყველა მეთოდს, თავისი ღირსება-ნაკლოვანებანი გააჩნია.

ფოკუსირებული ინტერვიუს ღირსებანი თუ უპირატესობანი შემდეგია: 1) გულახდილობის პროვოცირება, 2) ახალი იდეების გენერირება და 3) საკუთარი პოზიციის უკეთ არტიკულირება, მისი გამოკვეთა, წარმოჩენა (5,მე-7 ლექცია).

სამივე ამ ფაქტორს ხელს უწყობს სწორედ ჯგუფი, რომელიც შეკრებილია სადისკუსიოდ; დისკუსიის სწორედ ჯგუფურობა ქმნის ინტერაქციის პირობებში გულღიაობის ატმოსფეროს, რაც, თავის მხრივ კი, უკვე ხელს უწყობს ასევე ახალი იდეების გაჩენას და საკუთარი პოზიციის უკეთესი წარმოჩენისაკენ სტიმულაციას (5,მე-7 ლექცია).

ფოკუსირებული ინტერვიუ ანუ ჯგუფური დისკუსია წარიმართება ე.წ. გაიდლაინით. გაიდლაინი ჯგუფური ინტერვიუს წარმართვისათვის საჭირო სახელმძღვანელო კითხვარია, რაომელშიაც გარკვეული თანმიმდევრობით ჩამოწერილია დისკუსიაში განსახილველი საკითხები (5,მე-10 ლექცია).

დისკუსიას წარმართავს ხელმძღვანელი, რომელსაც მოდერატორი ანუ ფასილიტატორი ქვია (5,მე-7 ლექცია).

გაიდლაინს „მოქნილობა" ესაჭიროება. ეს მოთხოვნა მის „მოდიფიცირებადობას" გულისხმობს, ხოლო ეს მოდიფიცირებადობა ანუ მოდიფიცირების შესაძლებლობა კი კონკრეტულად სამ რამეს გულისხმობს: 1) გაიდლაინში რაიმე ახალი თემის შეტანას /ჩართვას, 2) გაიდლაინიდან ამა თუ იმ თემის ამოღებას /ამოგდებას, 3) გაიდლაინის თემის პროფილის შეცვლას (5,მე-7 ლექცია). ასე რომ, გაიდლაინის სახით მოდერატორს ანუ ფასილიტატორს ხელთ უნდა ქონდეს ერთგვარი შემოქმედებითი სამუშაო გეგმა.

ჯგუფურ დისკუსიას თავის მონაწილეთა რაოდენობის ნორმალური, ოპტიმალური ზომები უნდა გააჩნდეს, რათა იგი წარმატებით ჩატარდეს. კერძოდ, მინიმალური ზომა აქ შეადგენს 6-დან 8-მდე მონაწილეს, ხოლო მაქსიმალური - 9-10 მონაწილეს. არც მეტი და არც ნაკლები მისაღები არ არის, ვინაიდან მონაწილეთა მეტობის შემთხვევაში დისკუსია შეიძლება აღმოჩნდეს უმართავი, ხოლო მონაწილეთა ნაკლებობის შემთხვევაში დისკუსიამ დაკარგოს ხალისი (5,მე-7 ლექცია).

დისკუსიას სჭირდება ასევე ოპტიმალური დრო თავისი წარმატებისათვის. ასეთია 1,5-2 სთ (5,მე-7 ლექცია).

დისკუსიის დაკომპლექტებას ანუ შედგენას თავისი სტანდარტები გააჩნია. ამ მხრივ კი წინ წამოიწევს სამი მოთხოვნა. 1) ჰომოგენურობისა, 2) პოზიციის არტიკულირების უნარისა, 3) კონფიდენციალურობის გარანტიისა (5,მე-7 ლექცია). სამივე შემთხვევაში იგულისხმებიან დისკუტანტები ანუ დისკუსიის მონაწილენი. ეს მათ წაეყენებათ აღნიშნული მოთხოვნები.

მონაწილეთა ჰომოგენურობის პრინციპი დისკუსიის დაკომპლექტების საქმეში გულისხმობს ერთგვარი სოციალური სტატუსის მქონე დისკუტანტთა მოწვევას / მოპატიჟებას დისკუსიაში. ჰომოგენურობა ხომ ერთგვაროვნებას, თანაბარგვაროვნებას ნიშნავს (5,მე-7 ლექცია).

დისკუტანტები ასევე უნდა ფლობდნენ უნარებს საიმისოდ, რომ მათ დამაკმაყოფილებლად გამოხატონ თავიანთი პოზიცია, დამოკიდებულება განსახილველი პრობლემების მიმართ (5,მე-7 ლექცია).

დაბოლოს, მონაწილეთა კონფიდენციალურობა დისკუსიის პროცესში აუცილებლად უნდა იქნას უზრუნველყოფილი.

სამივე მოთხოვნის უზრუნველყოფა საჭიროა დისკუსიის მაქსიმალური ეფექტურობისათვის (5,მე-7 ლექცია).

ჯგუფური დისკუსიის ეფექტურ უზრუნველყოფაში, რა თქმა უნდა, წამყვანი, მთავარი როლი განეკუთვნება მოდერატორს ანუ ფასილიტატორს. ასე რომ, ტყუილად როდია იგი დისკუსიის, მართლაც, წინამძღოლი.

ამისათვის მან, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს დისკუსიის გულახდილი ხასიათი, მან უნდა შექმნას დისკუსიის დროს მონაწილეთა მაქსიმალური გულღიაობის ატმოსფერო.

ხოლო ამისთვის კი მან უნდა მიმართოს მთელ რიგ „ტექნოლოგიებს".

კერძოდ ამ მხრივ აღსანიშნავია ე.წ. „ზონდირების მეთოდი", რაც სწორედ რომ გულისხმობს გულწრფელობის გამომწვევ მეთოდებს, როგორებიცაა, სახელდობრ 1) სიჩუმის, 2) ჟესტების, 3) ნათქვამის აზრის დამახინჯების, 4) აზრის გადამისამართების მეთოდებს, ხერხებს, რათა მათი საშუალებით შეძლოს დისკუტანტთა მაქსიმალური ეფექტურობით ჩართვა დისკუსიაში, მოკლედ, „აალაპარაკოს" რესპონდენტები (5,მე-7 ლექცია).

აქვე, ამ მხრივ, აღსანიშნავია აგრეთვე ე.წ. პროექციულ ტექნიკათა ჩართვა ჯგუფურ დისკუსიაში. „პროექციული ტექნიკა" აქ გულისხმობს იმ მეთოდების ანუ ხერხების ერთობლიობას, რომლებიც რესპონდენტებს „უბიძგებენ" იქითკენ, რომ მათ დაბრკოლების შემთხვევაში უკეთ გამოხატონ თავიანთი აზრები, ანუ მოდერატორი მიეხმაროს ამ მხრივ მათ (5, მე-7 ლექცია).

მოდერატორის როლი იმდენად დიდია დისკუსიის პროცესში, რომ, შესაბამისად, მას წაეყენება მთელი რიგი მოთხოვნები. ამ მოთხოვნათა დაცვა კი, ბუნებრივია, უზრუნველყოფს დისკუსიის ჯეროვან დონეს.

ეს მოთხოვნები შემდეგია: 1) მოდერატორი ნეიტრალური უნდა იყოს განსახილველი პრობლემის მიმართ, სხვანაირად დისკუსია ობიექტურ სახეს ვერ მიიღებს: 2) მოდერატორმა უნდა შეძლოს დისკუსიის პროცესში როლების თანაბარი განაწილება, ვინაიდან უამისოდ დისკუსიის მაქსიმალური უკუგება არ გვექნება; 3) მოდერატორმა თავიდან უნდა აიცილოს შესაძლო კონფლიქტები დისკუსიაში, თორემ კონფლიქტური სიტუაცია ხელს შეუშლის დისკუსიის ნორმალურ მსვლელობას; 4) მოდერატორი უნდა შეეცადოს გეგმით, გაიდლაინით განსაზღვრული ყველა თემა გაიაროს, ვინაიდან სწორედ ეს უზრუნველყოფს დისკუსიის მიზნების სრულ მიღწევას (5,მე-7 ლექცია).

ასეთია, სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდების ანალიზი მისი რაოდენობრივ-რაგვარობრივი ასპექტით.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასპექტი როდი ამოწურავს სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდების მთელს „არსენალს", მითუმეტეს, მაშინ, როდესაც თვით ამ ასპექტითაც ჩვენ მხოლოდ ყველაზე გავრცელებულ სახეებს შევეხეთ მეთოდებისას.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ სოციალურ მონაცემთა მოპოვების სხვა უამრავი მეთოდიც არსებობს, ოღონდ სხვა ასპექტებითაც. გააჩნია ამ ასპექტთა პრინციპს ანუ საფუძველს, რის მიხედვითაც დავალაგებდით სოციალურ მონაცემთა მეთოდებს ამა თუ იმ ასპექტისას.

სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა კლასიფიკაცია მათი რაოდენობრივ-რაგვარობრივი კუთხეების ასპექტით ყველაზე მოდურია თანამედროვე სოციოლოგიაში.

მაგრამ ამასთან ერთად სოციოლოგიაში გამოიყენება ამ მეთოდთა გამოყოფის ერთგვარად „ნარევი" პრინციპიც, რა დროსაც კონკრეტულად გამოყოფენ ხოლმე თანამედროვე სოციოლოგიური გამოკვლევების პრაქტიკაში მიღებულ ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს მათი სულ სხვადასხვა ასპექტიდან.

ამასთან ამ შემთხვევაშიაც სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად გამოყოფს სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდებს. თუმცა ძირითადად ეს მეთოდები ერთია მათი საერთოდ სოციალურ კვლევებში „ყველაზე გავრცელებულობის" პრინციპითაც.

ჩვენც აქ სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა უფრო სრული წარმოდგენის მიზნით გადმოვცემთ ზოგიერთი სოციოლოგის მიერ წარმოდგენილ ვარიანტებს ამ მეთოდებისას.

ამერიკელი სოციოლოგები ქრეგ კალჰუნი, დონალდ ლაითი და სუზენ კელერი, კერძოდ, გამოყოფენ სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა იმგვარ ჯგუფებს, როგორებიცაა: გამოკითხვები (4,გვ.79), ექსპერიმენტები (4,გვ.83), შედარებით და ისტორიული კვლევა (4,გვ.88) თავ-თავიანთი სახეებით.

ამერიკელი მეცნიერი ნეილ სმელზერი გამოყოფს და არჩევს „სოციოლოგიური გამოკვლევის" ისეთ „ძირითად მეთოდებს",

როგორებიცაა შერჩვითი, საველე, ისტორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევების მეთოდები (32, გვ.38).

ამერიკელი სოციოლოგი ენტონი გიდენსი გამოყოფს სოციალურ მონაცემთა მოპოვების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: საველე გამოკვლევა, გამოკითხვები, დოკუმენტური კვლევა, ექსპერიმენტები (10,გვ.636).

ქართველი სოციოლოგი ბ.ლუტიძე გამოყოფს სოციალურ მონაცემთა მოპოვების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: შერჩევითი გამოკვლევა (6,გვ.42), საველე კვლევის მეთოდი (6,გვ.45), გამოკითხვის მეთოდი (6,გვ.46), დოკუმენტების ანალიზი (6,გვ.47), სოციომეტრული მეთოდი (6,გვ.48).

რუსი სოციოლოგი ანდრია ზდრავომისლოვი გამოყოფს სოციალურ მონაცემთა მოპოვების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: გამოკითხვა თავისი სახეებით - ანკეტირებითა და ინტერვიუთი (2, გვ.104), დოკუმენტების ანალიზი (2, გვ.137), დაკვირვება (2, გვ.147,ანდა გვ.101, სადაც ჩამოთვლილია სამივე მათგანი ერთად).

ამერიკელი სოციოლოგები ჩავა ფრანკფორ-ნაჩმიასი და დევიდ ნაჩმიასი, თავიანთ ფუნდამენტურ წიგნში „კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში", გამოყოფენ და არჩევენ სოციალურ მონაცემთა მოპოვების ისეთ მეთოდთა ჯგუფებს, როგორებიცაა: დაკვირვება (13, გვ.293) და გამოკითხვა (13, გვ.319), მთელი თავ-თავიანთი სახეებით.

ქართველი სოციოლოგი რ. ღიბრაძე გამოყოფს სოციალურ მონაცემთა მოპოვების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: შერჩევითი კვლევის (14, გვ.176), საველე კვლევის (14, გვ.179), გამოკითხვის (14, გვ.179), სოციომეტრიულ (14, გვ.186) მეთოდებს.

ქართველი სოციოლოგი კ. ნონიაშვილი გამოყოფს სოციალურ მონაცემთა მოპოვების ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა მეცნიერული გამოკითხვის (7, გვ.112), მასობრივი გამოკითხვის (7, გვ.117), შედარებითი და ისტორიული კვლევის (7, გვ.130), დოკუმენტების ანალიზის (7, გვ.134), გაფართოებული ინტერვიუს (7, გვ. 147), ფოკუს-ჯგუფის (7, გვ.153), დაკვირვების (7, გვ.158), ექსპერიმენტის (7, გვ.171) მეთოდებს.

როგორც ვხედავთ, სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა ყველა ამ კლასიფიკაციას აქვს ერთგვარად „შერეული“ საფუძველი და მათში მკაფიოდ არაა გამოკვეთილი სოციალურ მონაცემთა მეთოდების ერთი რომელიმე საფუძველი.

თუმცა სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა ამგვარი „შერეული“ კლასიფიკაციაც მისაღებია და სასარგებლო, თუ ამ მეთოდთა შემადგენლობაში გვექნება თანამედროვე სოციოლოგიური კვლევისათვის მნიშვნელოვანი ესა თუ ის მეთოდი. ყველა მეთოდი კარგია, რა რიგისაც და რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, ოღონდ, მართლაც, მნიშვნელოვანი იყოს იგი ჩვენთვის. მთავარია ეს მეთოდები მაქსიმალურად ხელს უწყობდნენ სოციოლოგიურ კვლევას. და, მართლაც, თავად სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკა არ გვკარნახობს, ყოველ შემთხვევაში არ უნდა გვკარნახობდეს მაინც, „დიზაინს“, „ნარჩევს“, „ნუსხას“, „ნაკრებს“ სწორედ იმ მეთოდებისას, რაც უფრო მეტ სარგებლობას მოგვიტანს სოციოლოგიური კვლევის პროცესში?

ამრიგად, სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა ნებისმიერი კლასიფიკაცია, რა პრინციპითაც არ უნდა იყოს იგი წარმოდგენილი, ერთი რომელიმე ასპექტით „წმინდა“, თუ მრავალი სხვადასხვა ასპექტით - „ნარევი“ პრინციპით, ორივე მისაღებია და სასარგებლო, ოღონდ მთავარია ორივემ „იმუშაოს“. ხოლო ამ მხრივ კი არა მხოლოდ პირველი, არამედ მეორე ვარიანტიც მუშაობს.

ეს მეორე ვარიანტი, თუ ასე შეიძლება ითქვას, არის სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა „ბუკეტი“, სხვადასხვაგვარი, ე.ი. სხვადასხვა ასპექტის მეთოდთა ერთობლიობა, რომელიც მაინც ერთ რაღაც მთლიანობას ქმნის. მართალია, აქ ერთი რიგის, დავუშვათ, რაოდენობრივ-რაგვარობრივი რიგის, განსხვავებულ მეთოდთა ერთიანობა კი არა გვაქვს, არამედ სხვადასხვა რიგის განსხვავებულ მეთოდთა ერთიანობა, თუმცა მაინც გვაქვს ერთიანობა. ხოლო ამ ერთიანობას აქ განსაზღვრავს ის, რომ ესეც, როგორც პირველ შემთხვევაში, მაინც სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდებია.

ჩვენ აქ დამატებით სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა ჩვენეულ კლასიფიკაციასაც წარმოვადგენთ.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა მოპოვების მეთოდები შეიძლება დავაჯგუფოთ სულ ოთხ ტიპად. ესენია: 1) დაფარვის, 2) გამოკითხვის, 3) დაკვირვების, 4) ანალიზის მეთოდები.

დაფარვის მეთოდი შეიძლება დავყოთ: 1) სრული დაფარვის და 2) ნაწილობრივი, ანუ შერჩევითი დაფარვის მეთოდებად.

გამოკითხვის მეთოდებში გადის: 1) ანკეტირებისა და 2) ინტერვიუს მეთოდები.

დაკვირვების მეთოდებში გავა: 1) საველე და 2) ექსპერიმენტული (ლაბორატორიული) საკუთრივ კვლევის მეთოდები.

დაბოლოს, ანალიზის მეთოდებში გავა: 1) დოკუმენტების ანალიზი, 2) ისტორიული და 3) შედარებითი კვლევის მეთოდები.

ყველა მეთოდი, რომელიც კი გამოდის როგორც სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა მოპოვების კერძო მეთოდი, რა თქმა უნდა, შევა მეთოდთა ამ ქვეჯგუფებსა თუ ქვეტიპებში, როგორც მათი სახეები.

ასე რომ, სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდები დაიყოფა სამ იერარქიულ ნაწილად: 1) სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა ჯგუფები თუ ტიპები, 2) მათი ქვეჯგუფები თუ ქვეტიპები, 3) მათივე სახეები.

ზოგადის, განსაკუთრებულისა და ერთეულის ფილოსოფიური კატეგორიების ურთიერთდამოკიდებულების კუთხით აქ ჩვენ გვექნება სოციალურ მონაცემთა მოპოვების, შესაბამისად, ზოგადი, განსაკუთრებული, ერთეული (კერძო) მეთოდები.

ასე რომ, ყოველი მეთოდი, რომელიც კი გამოდის სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდის როლში, იქნება ან ერთი, ან მეორე, ან მესამე.

ჩვენ აქ შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ ეს მეთოდები.

მაგრამ ჯერ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის, რომ სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა ის პლასტი, რომელიც ჩვენ მივაკუთვნეთ სოციალურ მონაცემთა მოპოვების ზოგად ნაწილს, ანუ საქმე ეხება სოციალურ მონაცემთა მოპოვების ე.წ. ჯგუფებსა თუ ტიპებს, არ გადაკვეთავენ ერთმანეთს და ამრიგად, სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდების მკაფიოდ გამოცალკევებულ,

მკაფიოდ გამოყოფილ კატეგორიებს ქმნის. ამ მხრივ კი, ეს კლასიფიკაცია ჩვენ მართებულად მიგვაჩნია.

გარდა ამისა, ეს კლასიფიკაცია ლოგიკურადვე ამოწურავს სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა მთელს ერთობლიობას, რა თქმა უნდა, იმ პრინციპით, თუ იმ კუთხით, რა პრინციპითაც და რა კუთხითაც იგი ჩვენ წარმოვადგინეთ, რაც ასევე მართებულად მიგვაჩნია.

მაშასადამე, ლოგიკური თვალსაზრისით ეს კლასიფიკაცია აკმაყოფილებს კლასიფიკაციის იმ ორ ძირითად ლოგიკურ მოთხოვნას, როგორებიცაა კლასიფიკაციის ელემენტთა ცალ-ცალკე 1) გადაუკვეთაობა და ერთად კი 2) ამომწურაობა.

გარდა ამისა, ამგვარი კლასიფიკაცია ჩვენ, სხვა მხრივაც, მართებულად მიგვაჩნია ლოგიკური მოთხოვნების თვალსაზრისით.

კერძოდ, ეს კლასიფიკაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნულ ორ მოთხოვნას სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა არა მარტო პირველ ჰორიზონტალურ პლასტზე, არამედ მეორეზეც და მესამეზეც, ე.ი. არა მარტო ზოგად, განსაკუთრებულ და ერთეულ პლასტებზე „ჰორიზონტალში", არამედ „ვერტიკალშიაც", არა მხოლოდ „კოორდინაციაში" ამ მეთოდებისა ნებისმიერ პლასტში, არამედ მათს „სუბორდინაციაშიაც" მათში.

ახლა კი შევუდგეთ სოციოლოგიური კვლევის მონაცემთა მოპოვების მეთოდების ჩვენეული კლასიფიკაციის კონკრეტულ ანალიზს.

აქ კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაკეთოთ ერთი შენიშვნა ჩვენეული კლასიფიკაციით სოციალური კვლევის მონაცემთა მოპოვების მეთოდთა ოთხი ჯგუფიდან თუ ტიპიდან პირველთან დაკავშირებით. ესაა ე.წ. „დაფარვის" მეთოდი, რომელიც გულისხმობს, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, სრული დაფარვისა და არასრული დაფარვის, ანუ, სხვანაირად, მთლიანი დაფარვისა და არამთლიანი ანუ ნაწილობრივი დაფარვის, ანდა კიდევ, არაშერჩევითი დაფარვისა და შერჩევითი დაფარვის მეთოდებს.

მოკლედ, აქ საქმე ეხება ე.წ. „შერჩევისა“ თუ „არშერჩევის“ მეთოდებს სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში, განსაკუთრებით კი ეს ეხება ე.წ. შერჩევის მეთოდს სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში.

ეს მეთოდი შერჩევისა ძალიან პოპულარულია სოციოლოგიური გამოკვლევების პრაქტიკაში.

ხოლო სწორედ ამ შერჩევის პროცედურასთან დაკავშირებით კი ჩვენი შენიშვნა, კერძოდ, მდგომარეობს იმაში, რომ ე.წ. შერჩევის (აქედან გამომდინარე კი არშერჩევისაც) მეთოდი საკუთრივ არც კია მეთოდი სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში სხვა ისეთი პროცედურების რიგში, როგორებიცაა: გამოკითხვის, დაკვირვების, ანალიზის პროცედურები მასში. შერჩევა თუ არშერჩევა უბრალოდ ის ბაზაა, ის საფუძველია, რომლის ბაზაზედაც და რის საფუძველზედაც უკვე ხდება გამოკითხვის, დაკვირვების, ანალიზის მეთოდების ჩართვა, როგორც საკუთრივ მეთოდებისა. ასე რომ, შერჩევა თუ არშერჩევა მხოლოდ პირობით თუ შეიძლება ჩავთვალოთ მეთოდად გამოკითხვის, დაკვირვების, ანალიზის მეთოდებისდა რიგში სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში.

თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ფართო აზრით, გარკვეული პირობით, შერჩევისა და არშერჩევის პროცედურებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც მეთოდებიც სოციალურ მონაცემთა მოპოვების სხვა მეთოდების რიგში. მითუმეტეს, რომ სოციოლოგები შერჩევისა და არშერჩევის პროცედურებს ჩვეულებრივ უპრობლემოდ განიხილავენ სოციალურ მონაცემთა მოპოვების სხვა მეთოდების რიგში.

ამრიგად, თუ ჩვენ საკუთრივი, ვიწრო აზრით გავიაზრებთ სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდებს, მაშინ ამ მეთოდების რიგში შერჩევისა თუ არშერჩევის მეთოდი ვერ გავა, მაგრამ თუ ჩვენ არასაკუთრივი, ფართო აზრით გავიაზრებთ სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდებს, მაშინ კი შერჩევისა თუ არშერჩევის მეთოდი სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდების რიგში უკვე გავა.

ასე რომ, აქ ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს შეთანხმებაზე, თუ რომელ ვარიანტს ავირჩევთ. ხოლო ორივე ვარიანტი საერთო ჯამში

აღნიშნული პირობით (სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდთა სისტემის ფართო, არასაკუთრივი გაგებით) მისაღები და გამართლებულია. თუმცა კი, ისევ და ისევ, საკუთრივი გაგებით, სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდები, ჩვენის აზრით, მხოლოდ სამგვარი: გამოკითხვის, დაკვირვების, ანალიზის მეთოდებია.

ამჯერად ჩვენ სოციალურ მონაცემთა მოპოვების მხოლოდ ამ, ჩვენის გაგებით, საკუთრივ მეთოდებს - გამოკითხვას, დაკვირვებასა და ანალიზს - გავარჩევთ.

როცა ჩვენ სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში გამოკითხვის, დაკვირვების, ანალიზის მეთოდებზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ იმას, რომ ამ მონაცემების მოპოვება გამოკითხვის, დაკვირვების, ანალიზის მეშვეობით ხდება, მოკლედ, გამოკითხვა, დაკვირვება, ანალიზი ამ შემთხვევაში სოციალურ მონაცემთა მოპოვების საშუალებანია, ის საშუალებანი, რომელთა გამოყენებითაც ხდება სოციალურ მონაცემთა მოპოვება.

იმის გამო, რომ გამოკითხვაც, დაკვირვებაც, ანალიზიც არა მარტო სოციოლოგიურ მეცნიერებაში გამოიყენება და, მითუმეტეს, არა მარტო სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში, ყოველივე ეს ნაგულისხმევი და გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, და, აქედან გამომდინარე, უნდა გვახსოვდეს, რომ აქ საუბარია გამოკითხვაზეც, დაკვირვებაზეც, ანალიზზეც სახელდობრ, სოციოლოგიურ მეცნიერებაში და კიდევ უფრო სახელდობრ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა შეგროვების პროცესში. და სწორედ ამიტომაც ვუწოდებთ მათ სახელდობრ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა მოპოვების მეთოდებს.

გამოკითხვა სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში ესაა ამ მონაცემთა მოპოვება კითხვებზე პასუხის მეშვეობით; დაკვირვება ამ პროცესში ესაა მათი მოპოვება საგანგებო აღქმის მეშვეობით; ხოლო ანალიზი მასში ესაა მონაცემთა მოპოვება მათი აზრობლივი გარჩევის მეშვეობით.

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს გრძნობად, ანუ ემპირიულ შემეცნებასთან. მეორე შემთხვევაშიაც - ასევე გრძნობად ანუ ემპირიულ

შემეცნებასთან, ხოლო მესამე შემთხვევაში კი - უკვე არაგრძნობად ანუ არაემპირიულ შემეცნებასთან.

და, მართლაც, კითხვებზე პასუხები, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ისინი - ზეპირი თუ წერითი ფორმით - ემპირიული ფაქტებია და მათი შემეცნებაც, შესაბამისად, ემპირიული (გრძნობადი) შემეცნებაა.

ასევე დაკვირვებაც (ობსერვაციაც) აფიქსირებს ემპირიულ ფაქტებს, ობსერვაცია (დაკვირვება) ხომ ეს, მართლაც, თვალყურის დევნებაა რაღაც საგანგებო მიზნით, ხოლო იქ, სადაც თვალითა და ყურით ხდება შემეცნება, ე.ი. გრძნობის ორგანოებით, ბუნებრივია, გვაქვს სწორედ გრძნობადი შემეცნება.

იგივე მდგომარეობა გვაქვს წინა შემთხვევაშიაც, იქაც ხომ კითხვებზე პასუხები დაფიქსირებულია სმენით (ზეპირის პასუხისას) და ხედვით (წერითი პასუხისას). იქაც ხომ გრძნობის ორგანოებით ხდება შემეცნება, რის გამოც საქმე გვაქვს სწორედ ემპირიულ შემეცნებასთან.

დაბოლოს, რაც შეეხება ანალიზს, ანალიზის დროს უკვე ჩართულია გონება. ანალიზი ხომ რაიმე მოვლენის აზრობლივი დანაწევრებაა მისი შესწავლის მიზნით. ეს კი უკვე გონებრივი შემეცნების ფაქტია, განსხვავებით წინა ორისაგან.

აქ „ანალიზის" მეთოდთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ ერთი გარემოება, კერძოდ კი, ის გარემოება, რომ ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს „სოციალურ მონაცემთა მოპოვების ანალიზისა" და „სოციალურ მონაცემთა ანალიზის" მეთოდები.

საქმე ისაა, რომ ერთია ანალიზი სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში, და, მეორეც, უკვე მოპოვებული და დამუშავებული მონაცემების გამოკვლევის პროცესში. ამასთან პირველ შემთხვევაში ანალიზი აღებულია როგორც მეთოდი, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპი. და კიდევ, პირველ შემთხვევაში ანალიზზე საუბარია როგორც ერთ-ერთ მეთოდზე სხვა მეთოდების რიგში, მეორე შემთხვევაში კი როგორც ერთადერთ ეტაპზე სოციოლოგიური გამოკვლევის გარკვეულ დონეზე.

სოციალურ მონაცემთა მოპოვების სამ ძირითად მეთოდს გამოკითხვას, დაკვირვებასა და ანალიზს შორის განსხვავება

სოციალურ მონაცემთა მოპოვების რაოდენობრივ-თვისობრივი ასპექტით ისაა, რომ გამოკითხვა სოციალურ მონაცემთა მოპოვების რაოდენობრივი მეთოდია, ხოლო დაკვირვება და ანალიზი კი რაგვარობრივი (თვისობრივი) მეთოდი. პირველ შემთხვევაში სოციალურ მონაცემთა რაოდენობრივი თვისებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება, ხოლო მეორე შემთხვევაში კი - მათი რაგვარობრივი თვისებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

გამოკითხვის დროს სოციალურ მონაცემთა ფიქსაციას თავად გამოსაკითხი პირი ახდენს, ხოლო დაკვირვებისა და ანალიზის დროს - შესაბამისად დამკვირვებელი და ანალიტიკოსი. ამ მხრივ პირველ შემთხვევაში „დაწოლის" ცენტრი თავად რესპონდენტზე მოდის, ხოლო მეორე და მესამე შემთხვევაში კი - უკვე მკვლევარზე.

ამ სამი ტიპის მეთოდთაგან სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში ყველაზე ხშირად გამოიყენება გამოკითხვა, შემდეგ დაკვირვება, დაბოლოს - ანალიზი.

იმის გამო, რომ ჩვენ სოციალურ მონაცემთა მოპოვების ყველაზე გავრცელებული კონკრეტული სახე უკვე გავარჩიეთ, აქ უკვე გავარჩევთ სხვა იმ სახეებსაც, რომლებიც სოციოლოგიურ კვლევაში ნაკლებად, მაგრამ არაიშვიათად მაინც გამოიყენება.

ეს მეთოდებია, დავუშვათ, ე.წ. „სოციომეტრიული მეთოდი", ანდა ე.წ. „საველე კვლევის მეთოდი", ანდა კიდევ ე.წ. „ექსპერიმენტული მეთოდი", ასევე ე.წ. „კონტენტანალიზის მეთოდი", დაბოლოს კიდევ, ე.წ. „ისტორიული მეთოდი".

სოციომეტრიული მეთოდი გამოკითხვის ერთ-ერთი მეთოდია, რის გამოც მას ზოგჯერ „სოციომეტრიული გამოკითხვის მეთოდადაც" მოიხსენიებენ ხოლმე.

სოციომეტრიული მეთოდის ფუძემდებელია ამერიკელი სოციოლოგი ჯეკობ მორენო.

სოციომეტრიული მეთოდი გულისხმობს სოციალურ მონაცემთა მოპოვებას მცირე სოციალურ ჯგუფებში პიროვნებათა შორის ურთიერთობათა გზით. ამ მეთოდით, კერძოდ, ხდება კოლექტივში საქმიანი და მეგობრული ურთიერთობის გარკვევა. ამ მიზნით კი თანამშრომელთა ანკეტირების საფუძველზე სდგება ადამიანთა შორის

სამჯობინარი კონტაქტების მატრიცა (ცხრილი), რისი გათვალისწინებითაც უკვე შესაძლებელია ჯგუფებში პიროვნებათაშორისი ურთიერთობების „დალაგება“, მისი სრულყოფა.

სოციომეტრიული მეთოდი გვეხმარება მცირე სოციალური ჯგუფების სტრუქტურული ანალიზის საქმეში. სწორედ ამის გამო სოციომეტრიულ მეთოდს „მცირე სოციალური ჯგუფების სტრუქტურული ანალიზის“ მეთოდიც ეწოდება (6,გვ.48-49).

კერძოდ, აქ მხედველობაშია სოციალურ ჯგუფთა არა ე.წ. ფორმალური ანუ ოფიციალური, არამედ არაფორმალური, არაოფიციალური სტრუქტურა (6,გვ.49). სწორედ არაფორმალური ხასიათის პიროვნულ ურთიერთობათა „გაზომვას“ ისახავს მიზნად სოციომეტრიული მეთოდიც. თავად ტერმინი „სოციომეტრიაც“ („სოციო“ – „საზოგადოება“ (ლათ.)+„მეტრია“- „მზომლობა“ (ბერძ.)(12)) სოციალური ანუ, ამ შემთხვევაში, საზოგადოებაში არსებული გარკვეული ურთიერთობების გაზომვას აღნიშნავს.

„სოციომეტრიული გაზომვების მეთოდს ძალუძს მოვიპოვოთ ინფორმაცია: ჯგუფში სოციალურ-ფსიქოლოგიურ ურთიერთობებზე, ჯგუფში ადამიანთა სტატუსზე, ჯგუფში ფსიქოლოგიურ თავსებადობასა და შეკავშირებულობაზე“ (28).

სოციომეტრიული მეთოდით გამოკვლევას მთელი რიგი პროცედურული ეტაპები გააჩნია: 1) „მიზნების, ამოცანების, ჰიპოთეზების განსაზღვრა“ და „ობიექტების შერჩევა“; 2) „სოციომეტრიული კრიტერიუმების შემუშავება“; 3) „სოციომეტრიული გამოკვლევის პროცედურის ტიპის შერჩევა“; 4) „სოციომეტრიული ბარათისა თუ სოციომეტრიული ანკეტის შემუშავება“; 5) „სოციომეტრიის უშუალო ჩატარება“; 6) „შედეგების უშუალო დამუშავება და ინტერპრეტაცია“ (28).

ამასთან შედეგების დამუშავება ხორციელდება სამგვარი: ცხრილური (სოციომეტრიული მატრიცის), გრაფიკული (სოციოგრამის) და ინდექსოლოგიური (სოციომეტრიული ინდექსების) წესით (28) (დაწვრილებით ყველა ამ პროცედურის თაობაზე იხ.28).

სოციომეტრიული მეთოდის პრაქტიკული მნიშვნელობა კერძოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა საშუალებას „შევარბილოთ

კონფლიქტები, ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, ხელი შევუწყოთ ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებას, ავამაღლოთ საქმიანობის ეფექტურობა“ ჯგუფში (33). დაბოლოს, სოციომეტრიული მეთოდის ღირსებათაგან აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისი მეშვეობით ხდება მცირე სოციალურ ჯგუფებში არაფორმალური ლიდერის გამოკვეთაც.

საველე კვლევის მეთოდი სოციალურ მონაცემთა მოპოვების დაკვირვების ჯგუფის, ტიპის მეთოდთა ერთ-ერთი სახეა.

დაკვირვება ანუ ობსერვაცია ესაა მონაცემთა მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი.

დაკვირვების ჯგუფის თუ ტიპის შიგნით გვაქვს მისი სხვადასხვა ფორმა.

კერძოდ, „გარემომცველი ვითარების მიხედვით“, გამოყოფენ: 1) საველე, 2) ლაბორატორიული, 3) საველე-ლაბორატორიული კვლევის მეთოდებს (30). პირველი ტარდება „ბუნებრივ“, მეორე - „ხელოვნურ“ პირობებში (30).

„მკვლევარის საკვლევ პროცესში ადგილის“ მიხედვით გამოყოფენ: 1) „მკვლევარის უშუალო მონაწილეობითა“ და 2) „დამკვირვებლის გარედან“ მონაწილეობით დაკვირვების მეთოდებს.

„დაკვირვების ობიექტის აღქმის წესის“ მიხედვით გამოყოფენ: 1) პერსონალური და 2) არაპერსონალური (მოწყობილობათა მეშვეობით) დაკვირვების მეთოდებს.

„დაკვირვების სტანდარტიზაციის ხარისხის“ მიხედვით გამოყოფენ: 1) სტრუქტურირებული (წინასწარი სქემით) და 2) არასტრუქტურირებული (წინასწარი სქემის გარეშე) ანუ თავისუფალი დაკვირვების მეთოდებს.

„დაკვირვების პროცესის ღიაობის [გახსნილობის] ხარისხის“ მიხედვით გამოყოფენ: 1) ღია და 2) ფარულ დაკვირვების მეთოდებს.

„დასაკვირვებელ მოვლენათა ხასიათის“ მიხედვით გამოყოფენ: 1) პირდაპირი და 2) არაპირდაპირი (ირიბი) დაკვირვების მეთოდებს.

„დაკვირვების ჩატარების რეგულარულობის“ მიხედვით გამოყოფენ: 1) სისტემატური, 2) ეპიზოდური, 3) ერთჯერადი და 4) შემთხვევითი დაკვირვების მეთოდებს (ყველა ეს სახე იხ. 30).

დაკვირვების მეთოდის საერთო უპირატესობაა დამკვირვებლის უშუალო დამოკიდებულება აქტორებთან („აქტორებს" დაკვირვების პირებს უწოდებენ ხოლმე) (3,გვ.100)), ხოლო შეზღუდულობა აქტორთა რეაქტიულობის საფრთხე („რეაქტიულობა" ესაა აქტორთა „რეაქცია იმ გარემოებაზე, რომ მკვლევარი შეისწავლის მათ" (3,გვ.102)).

„საველე" გამოკვლევა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით გულისხმობს გამოკვლევას „საველე", ე.ი. „ბუნებრივ" პირობებში, განსხვავებით „ლაბორატორიული" გამოკვლევისაგან, რომელიც ტარდება „ხელოვნურ" პირობებში (7,გვ.101). ხოლო გამოკვლევის „ველი ამ შემთხვევაში არ არის აუცილებლად ბუნებრივი [ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით] საცხოვრებელი გარემო" (7,გვ.101), არამედ შეიძლება იყოს სოციალური, საზოგადოებრივი გარემოც და უფრო მეტად სწორედ უკანასკნელი. მოკლედ, „ბუნებრივი" გარემო აქ გულისხმობს გამოკვლევის გარემოს თავისთავად, გარედან ჩარევის გარეშე, მაშინ როდესაც ლაბორატორიული გამოკვლევის გარემო პირობები საგანგებოდ შექმნილია ამისათვის.

„საველე" გამოკვლევის საკითხთან დაკავშირებით აქ ჩვენ ერთი რამ გარემოება უნდა აღვნიშნოთ, კერძოდ კი, ის გარემოება, რომ „სახელწოდება „საველე გამოკვლევები" არ არის დამოკიდებული შესწავლის მეთოდზე, ამიტომ საუბარი შეიძლება შეეხებოდეს ტრადიციულ ანკეტირებას, არაფორმალურ ინტერვიუს ან ჩართულ დაკვირვებას" (7,გვ.101). მაგრამ ამ ბოლო ხანებში „„საველე გამოკვლევები" სულ უფრო და უფრო მეტად აღნიშნავს სოციოლოგიური გამოკვლევების მხოლოდ ერთ სახეობას, უფრო ზუსტად კი - თვისებრივს" (7,გვ.101).

ასე რომ, საველე გამოკვლევები საბოლოოდ მაინც სოციალურ მონაცემთა მოპოვების დაკვირვებითი (ობსერვაციული) მეთოდების ჯგუფში თუ ტიპში გაგვყავს.

საველე კვლევის მეთოდი ამ თვალსაზრისით გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას გამოსაკვლევ ობიექტზე „უშუალო დაკვირვებით, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში მიმდინარეობს" (6,გვ.45). „საველე გამოკვლევის ანუ ჩართული დაკვირვების დროს (ხშირად ეს სიტყვები ურთიერთშენაცვლებით გამოიყენება),

მკვლევარი ჯგუფთან ან ერთობასთან ერთად ცხოვრობს და, ალბათ, მის საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობს“ (10,გვ. 627).

საველე კვლევა შეიძლება იყოს აშკარა და ფარული (6, გვ.45) ანუ მანიფესტური და ლატენტური (4, გვ.88), იმისდა მიხედვით, „სოციოლოგის კვლევითი მიზნები ცნობილია თუ არა ადამიანებისათვის“ (6, გვ.45).

საველე კვლევის მეთოდს, როგორც ყველა სხვა მეთოდს, რა თქმა უნდა, თავისი ღირსება-ნაკლოვანებანი გააჩნია.

ხოლო მისი ღირსება, მისი უპირატესობა იმაშია, რომ იგი „მეტ დამაჯერებლობას მატებს გამოკვლევას, რაკიღა მკვლევარი სწორედ უშუალოდ არის ჩართული“ კვლევის პროცესში (6, გვ.45).

სხვა ღირსებათაგან აღსანიშნავია საველე კვლევის ისეთი „ძლიერი მხარეებიც“, როგორებიცაა, კერძოდ ის, რომ “ჩვეულებრივ სხვა მეთოდებთან შედარებით, უფრო მდიდარ და სიღრმისეულ ინფორმაციას აგროვებს“ და „მკვლევარს საშუალებას აძლევს, შეცვალოს სტრატეგიები და გულმოდგინედ მისდიოს ახალ ორიენტირებს“ (10, გვ.636).

მაგრამ საველე კვლევის ნაკლოვანებანი, მისი „შეზღუდულობანი“ ისაა, რომ: „მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ პატარა ჯგუფების ან ერთობების გამოკვლევის დროს“; „მონაცემების შედეგების გამოყენება შეიძლება მხოლოდ გამოკვლეულ ჯგუფებში ან ერთობებში“; „ადვილი არ არის შედეგების განზოგადება მხოლოდ ერთი საველე გამოკვლევის საფუძველზე“ (10, გვ.636).

სოციალურ მონაცემთა მოპოვების დაკვირვებითი (ობსერვაციული) ჯგუფის თუ ტიპის მეთოდთა ერთ-ერთი სახეა ექსპერიმენტის მეთოდი.

ექსპერიმენტი საერთოდ ხელოვნურად დაყენებული ცდაა რაღაცის შესამოწმებლად.

„ექსპერიმენტი“ ლათინური სიტყვაა და ქართულად სწორედ „შემოწმებას“, „პრაქტიკას“ ნიშნავს (12).

განასხვავებენ ორი ტიპის ექსპერიმენტს: ნატურალურსა და სოციალურს, ანუ ექსპერიმენტს ბუნების მოვლენებზე და ექსპერიმენტს საზოგადოების მოვლენებზე. შესაბამისად,

ექსპერიმენტი გამოიყენება როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებათმეტყველურ მეცნიერებებში.

სოციოლოგიური ექსპერიმენტი ეს საზოგადოებათმეტყველური მეთოდების სახეა. კერძოდ, ესაა ექსპერიმენტული მეთოდი, რომელიც გამოიყენება სოციოლოგიურ მეცნიერებებში სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში.

ექსპერიმენტი სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში, მაშასადამე, გულისხმობს ხელოვნურ ცდას სწორედ სოციალურ მონაცემთა მოპოვების მიზნით.

ეს კი თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ ექსპერიმენტი ამ შემთხვევაში გეგმაზომიერი პროცესია, რომელსაც ქმნის და აკონტროლებს მკვლევარი (გიდ.632).

ექსპერიმენტის ობიექტები მისი ცდისპირები ანუ ექსპერიმენტირებულები არიან, ხოლო ექსპერიმენტის მომწყობი ექსპერიმენტატორი.

„...ექსპერიმენტული მეთოდის დამახასიათებელი თავისებურება - კონტროლირებადი სიტუაცია - ძალიან გვეხმარება ადამიანთა მცირე ჯგუფების შესწავლაში“ (32, გვ.333), ვინაიდან „ლაბორატორიაში ჩვენ ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფების მოთავსება შეგვიძლია (10, გვ.632).

„ექსპერიმენტი მეცნიერს სთავაზობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის ეფექტურ მეთოდებს. ექსპერიმენტებში სოციალურ მეცნიერებათა მკვლევარებს შესაძლებლობა აქვთ გამოსცადონ ჰიპოთეზა, რომ ერთი ცვლადი სიდიდე გავლენას ახდენს მეორე ცვლად სიდიდეზე, თუ ეს მიზეზობრივად იქნა გამოწვეული საგნების შემოტანით სპეციალურად შექმნილ სიტუაციაში, რომელიც მათ საშუალებას აძლევს აკონტროლონ ცვლად სიდიდეებზე რაიმე გავლენის მომხდენი არაარსებითი ფაქტორები“ (4, გვ. 83).

ექსპერიმენტის მეთოდს ისევე როგორც ყველა სხვა მეთოდს, თავისი ღირსება-ნაკლოვანებანი გააჩნია.

პირველი - „ძლიერი მხარეები“, ჯერ ერთი, ისაა, რომ „მკვლევარს შეუძლია გააკონტროლოს განსაზღვრული ცვლადების გავლენა“ და,

მეორეც, „ჩვეულებრივ, სხვა მკვლევარებისათვის ადვილია მათი გამეორება“ (10, გვ.636).

მეორე „შეზღუდვები“ გამოიხატება, ჯერ ერთი, იმით, რომ „სოციალური ცხოვრების ბევრი ასპექტის ლაბორატორიაში გადატანა შეუძლებელია“ და, მეორეც, „შესასწავლი პირების პასუხებზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ექსპერიმენტულმა სიტუაციამ“ (10, გვ.636).

ანალიზი სოციალურ მონაცემთა მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია.

ტერმინი „ანალიზი“ წარმომავლობით ბერძნულია და ქართულად დაშლას, დანაწევრებას ნიშნავს(12).

ანალიზი ესაა მეცნიერული კვლევის მეთოდი შესასწავლი ობიექტის ცალკეული ნაწილების განხილვის გზით. იგი გულისხმობს შესასწავლი მოვლენის, თუ ასე შეიძლება ითქვას, ნაწილ-ნაწილ შესწავლას, გასაანალიზებელი მოვლენის დანაწევრებას, მის ნაწილებად დაშლას შესწავლის მიზნით.

ანალიზი როგორც სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდი გონებრივი პროცესია, მაშინ როდესაც გამოკითხვა და დაკვირვება გრძნობადი პროცესებია. პირველი გონებრივი შემეცნების დარგია, მეორე და მესამე - გრძნობადი შემეცნებისა.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევებში როგორც ანალიზის, ისე გამოკითხვისა და დაკვირვების მეთოდები, ყველანი ერთნაირად ემპირიულ გრძნობად საგანს ეხებიან. ამიტომაც იგი, ეს გამოკვლევა სწორედ „ემპირიული“ სოციოლოგიური გამოკვლევაა.

საერთოდ, ანალიზის უამრავზე უამრავი სახე არსებობს, სხვადასხვა ასპექტით სულ სხვადასხვა.

„სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებში“ ანალიზის ცნებას მოვიხმართ სამ სხვადასხვა სიტუაციაში, კერძოდ: 1) როცა სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმასთან დაკავშირებით საუბარია მის „დაზვერვით“ და „აღწერით“ გამოკვლევებთან ერთად მესამე ყველაზე მაღალ და რთულ სახეობაზე „ანალიტიკურ“ გამოკვლევაზე, რომელიც მიზნად ისახავს სოციოლოგიური პრობლემის არა მარტო აღწერას, ანუ მასში კავშირების დადგენას, არამედ აგრეთვე მისი

მიზეზების გამოვლენას (3, გვ.100); 2) როცა საუბარია სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა მოპოვების პროცესში გამოკითხვისა და დაკვირვების გვერდით გამოყენებული ანალიზის მეთოდზე; 3) როცა საუბარია უკვე მოპოვებული სოციალური მონაცემების ანალიზზე და მის მეთოდებზე.

დოკუმენტების ანალიზი ანუ დოკუმენტური ანალიზი სოციალურ მონაცემთა მოპოვების ანალიტიკური ჯგუფის თუ ტიპის მეთოდის კონკრეტული სახეა.

დოკუმენტი მატერიალური ობიექტია, რომელიც რაიმე ინფორმაციას შეიცავს და ჩვენთვის რაიმე მამტკიცებელ მასალას წარმოადგენს. ამიტომ შემთხვევითი როდია ამ მხრივ თავად ტერმინ „დოკუმენტის" მნიშვნელობაც. კერძოდ, „დოკუმენტი" ლათ. სიტყვაა და ქართულად დამამტკიცებელ საბუთს - „მტკიცებას" ნიშნავს (7, გვ.134).

ამრიგად, დოკუმენტები გარკვეულ მამტკიცებელ მასალას წარმოადგენენ სოციოლოგიური გამოკვლევის საქმეში, კერძოდ კი, სოციალურ მონაცემთა მოპოვების საქმეში.

დოკუმენტები საერთოდ ათასგვარი ხასიათისა არსებობს. მათი კლასიფიკაცია სხვადასხვა ასპექტით, რა თქმა უნდა, სხვადასხვაა. და მათ შორის უამრავია საჭირო ე.წ. ისტორიული ანალიზისათვის.

ისტორიული ანალიზი დოკუმენტური კვლევის გამორჩეული სახეა, რომელიც ხშირად გამოიყენება სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში (20, გვ.634).

ამასთან ისტორიულმა კვლევამ ზოგჯერ შეიძლება მიიღოს ე.წ. შედარებით-ისტორიული კვლევის სახე (10, გვ.635). მაშინ სახეზე გვექნება სოციალურ მონაცემთა მოპოვების ე.წ. შედარებით-ისტორიული მეთოდიც, რომელიც ასევე ძვირფას საშუალებას გვიქმნის სოციალურ მონაცემთა მოპოვების საქმეში.

დოკუმენტების ანალიზი დოკუმენტების მეშვეობით ანალიზს გულისხმობს, ხოლო როცა კვლევა დოკუმენტების მეშვეობით ხდება, მაშინ იგი ამ პროცესში დოკუმენტური მეთოდის სახეს იღებს.

დოკუმენტური მეთოდით კვლევა კი დოკუმენტური ანალიზის სახეა და, შესაბამისად, უკვე დოკუმენტური ანალიზის მეთოდის სახეს იძენს.

დოკუმენტური მეთოდის ღირსებანი ანუ მათი „ძლიერი მხარეები", ჯერ ერთი, იმაში გამოიხატება, რომ მისი მეშვეობით „შესაძლებელია როგორც სიღრმისეული მასალების შემცველი წყაროების გამოყენება, ასევე ადამიანთა დიდი რაოდენობის შესახებ მონაცემების მიღება, შესასწავლი დოკუმენტების ტიპის მიხედვით" (10, გვ.636), და, მეორეც, „ხშირად ის ძირითადი მეთოდია, როდესაც გამოკვლევა ან მთლიანად ისტორიულია, ან აქვს გამოკვეთილი ისტორიული მნიშვნელობა" (10, გვ.636).

ხოლო დოკუმენტური კვლევის ნაკლოვანებანი თუ „შეზღუდვები", ჯერ ერთი, იმაში გამოიხატება, რომ „მკვლევარი დამოკიდებულია არსებულ წყაროებზე, რომლებიც შესაძლოა სრული არ იყოს" და, მეორეც, „შესაძლოა, ძნელი იყოს დოკუმენტური წყაროების ინტერპრეტაცია, იმ თვალსაზრისით, რომ რთულია იმის დადგენა, თუ როგორ ასახავენ ისინი ნამდვილ ტენდენციებს, როგორც ეს ზოგიერთი ოფიციალური სტატისტიკური მასალის შემთხვევაშია" (100, გვ.636).

დაბოლოს, სოციალურ მონაცემთა მოპოვების მეთოდების დოკუმენტურ ჯგუფთან თუ ტიპთან დაკავშირებით, ერთ გარემოებასაც უნდა შევეხოთ.

საქმე ეხება ე.წ. შედარებით მეთოდს სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში. კერძოდ, საქმე ეხება იმას, არის თუ არა შედარებითი ანალიზის მეთოდი დამოუკიდებელი სახე ამ ტიპის მეთოდებისა დოკუმენტური მეთოდის რიგში თუ იგი მხოლოდ დოკუმენტური ანალიზის მეთოდის ნაირსახეობაა მხოლოდ.

აქ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნაწილობრივ ეს სწორიცაა და ნაწილობრივ - არასწორიც.

საქმე ისაა, რომ შედარებითი მეთოდი, თუ ის დოკუმენტების ანალიზს ეყდნობა, მაშინ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში იგი დოკუმენტური ანალიზის მეთოდის ნაწილი იქნება, მაგრამ თუ ეს ასე

არაა, ხოლო ყველა შემთხვევაში ეს, მართლაც, ასე როდია, იგი ამ შემთხვევაში ანალიზის დამოუკიდებელი სახე იქნება.

ყოველ შემთხვევაში უნდა აღვნიშნოთ ის, რომ შედარებითი ანალიზის მეთოდი ძვირფას მასალას იძლევა სოციალურ მონაცემთა მოპოვების პროცესში.

შედარებითი კვლევა გულისხმობს დროსა და სივრცეში განსხვავებული სოციალური ჯგუფების ურთიერთშეპირისპირებით მიღებული ინფორმაციის განზოგადებას. „შედარებითი ანალიზის უპირველესი ამოცანა" ამიტომაც „ერთი სოციალური ჯგუფის ან ადამიანთა სოციალური კატეგორიის, ერთი საზოგადოების ან დროის მონაკვეთის გადაჭარბებული განზოგადების თავიდან აცილებაა" (4, გვ.88). და სწორედ ესაა მისი ღირსება თუ უპირატესობაც.

შედარებითი ანალიზის მეთოდის განსაკუთრებული სახეა მისი ე.წ. „კროს-კულტურული" კვლევის ფორმა (4, გვ. 88), რომელიც „რადიკალური ფორმაა" მისი, თუ ასე შეიძლება ითქვას, ვინაიდან იგი „ძალზე განსხვავებული სოციალური პირობების მონაცემებს ადარებს" (4, გვ.88). ეს რადიკალიზმი კროს-კულტურული კვლევისა იქამდეც კი შეიძლება მივიდეს, რომ მან ამის გამო „საერთაშორისო კროს-კულტურული კვლევის" სახეც კი შეიძინოს (4, გვ.89). ეს კი ძალიან დიდ შესაძლებლობას გვიქმნის სოციალურ მონაცემთა მოპოვების საქმეში, იმ მხრივ, რომ უაღრესად მდიდარ მასალას „გვაბყრობინებს" ხელთ ანალიზისათვის. ხოლო მსოფლიო მასშტაბით გაწეული კულტურათა შედარებითი ანალიზი, მითუმეტეს, დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, უძვირფასეს განძს გვძენს სოციალურ მონაცემთა მოპოვების კუთხით.

თავი 6

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის მეთოდები

სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზი სოციოლოგიური გამოკვლევის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ეტაპია.

აუცილებელია იგი იმდენად, რამდენადაც მის გარეშე სოციოლოგიური გამოკვლევა ვერც შედგება, ვინაიდან სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემები გამოსაკვლევი საკითხის შესასწავლად მხოლოდ ე.წ. „ნედლ მასალას" თუ წარმოადგენს, რომელიც სწორედ შესწავლას მოითხოვს.

ხოლო სოციოლოგიური გამოკვლევის ე.წ. ანალიზიც ამ მხრივ არსებითად სხვა არაფერია, თუ არა სწორედ მისი შესწავლა.

ასე რომ, „შესწავლა" და „ანალიზი" აქ არსებითად ერთი და იგივეა. „შესწავლა" აქ მნიშვნელობით „ჩაწვდომას", მის „არსში ჩაწვდომას" გულისხმობს. ამაში კი არის სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზის სწორედ მნიშვნელობაც, მისი ღირებულებაც.

სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზს წინ უძღვის მისი ისეთი „ლოგიკური" წინა ეტაპები, როგორებიცაა: სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემების/ინფორმაციის/ მასალის შეგროვება/შეკრება და მათი დამუშავება.

ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზი მათი ჯერ შეგროვებისა და შემდეგ კი დამუშავების ლოგიკური გაგრძელებაა. პირველი ორი ეტაპი სოციოლოგიური გამოკვლევისა „ემსახურება" მესამეს, მასალის შეგროვება-დამუშავება ხდება სწორედ მისი ანალიზისათვის.

სოციოლოგიური გამოკვლევის „ანალიზი" შესასწავლი საგნის აზრობლივად „ნაწილებად დაშლას" და მის ამგვარად „ნაწილ-ნაწილ შესწავლას" გულისხმობს. ტერმინობრივადაც ანუ სახელწოდებითაც „ანალიზი" (ბერძნ. „ანალიზის") „დაშლას" ნიშნავს (12). ანალიზი საერთოდ ეს, მართლაც, „რისამე შესწავლაა მისი ნაწილებად დაშლის გზით" (12).

ანალიზური მეთოდის საჭიროება საერთოდ იმითაა განპირობებული, რომ შეუძლებელია საგნის შესწავლა ერთბაშად, თუ არ დავანაწილეთ იგი შესასწავლ მხარეებად, მითუმეტეს, თუ შესასწავლი საკითხი რთულია. ანალიზი აქ შრომის, ჩვენს შემთხვევაში კი, მეცნიერული, კერძოდ კი, სოციოლოგიური შრომის ერთგვარი დანაწილებაა. შრომის დანაწილების ეფექტურობა კი საყოველთაოდ ცნობილია. რისი გაკეთებაც ერთბაშად შეუძლებელი ან ძნელია, იმისი გაკეთება ნაწილ-ნაწილ შესაძლებელი და ადვილია. და ამაშია სწორედ ანალიზური მეთოდის ღირსებაც. სწორედ ამ არსებითი ღირსების საფუძველზეა „ანალიზიც" თავისი მნიშვნელობით „შესწავლის" ტოლფასი.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზზე როცა ვსაუბრობთ, იგულისხმება როგორც რაოდენობრივი, ისე რაგვარობრივი (თვისობრივი) სოციოლოგიური კვლევის ანალიზი, ე.ი. ანალიზს მოითხოვს ერთიცა და მეორეც, ოღონდ თავ-თავიანთი განსხვავებული მეთოდით (5, მე-9 ლექცია).

იმის გამო, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა საკუთრივ ანალიზს წინ ამ მონაცემების დამუშავება უძღვის, საჭიროა მასზედაც შევჩერდეთ.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა დამუშავება სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზისათვის აუცილებელი წინა მოსამზადებელი ეტაპია.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა წინასაანალიზო ეტაპი, ანუ ამ მონაცემთა დამუშავების ეტაპი მთელი რიგი პროცედურებისაგან შედგება (5, მე-9 ლექცია).

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზისათვის დამუშავების წინა მოსამზადებელი ეტაპის პროცედურებია სახელდობრ: 1) მონაცემთა რედაქტირება და ლოგიკური კონტროლი; 2) ცვლადთა კოდირება; 3) მონაცემთა ბაზის შექმნა; 4) მონაცემთა გაწმენდა; 5) ცვლადთა მნიშვნელობების გარდაქმნა (5, მე-9 ლექცია).

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა რედაქტირება გულისხმობს „ველიდან დაბრუნებული კითხვარების შემოწმებას" ანუ იმ შეცდომების გასწორებას, რაც შეიძლება კითხვარში იყოს. აქ

შეცდომებში იგულისხმება როგორც დაშვებული, ისე გამოტოვებული შეცდომები, როგორც კითხვებში, ისე პასუხებში. ოღონდ ეს უნდა მოხდეს უხეში ჩარევის გარეშე. ეს ყველაფერი უნდა დაექვემდებაროს ლოგიკურ ჩარჩოს, ე.ი. ლოგიკურ კონტროლს (5, მე-9 ლექცია).

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა კოდირება ეს არის „ცვლადის მნიშვნელობისათვის რიცხვის ან სხვა აღმნიშვნელის მინიჭება" (5, მე-9 ლექცია). ამით ხდება კითხვარის „ფორმალიზაცია" ანუ ხდება „კითხვარში ყველა კითხვისა და ყველა პასუხის აღწერა". ე.ი. კოდები უნდა მიენიჭოს, როგორც კითხვებს, ისე პასუხებსაც (5, მე-9 ლექცია).

მონაცემთა ბაზის შექმნა გულისხმობს „კოდირებული ანუ აღნიშნული მონაცემების გარკვეული რაოდენობრივი მაჩვენებლებით ან სხვა აღმნიშვნელებით აღრიცხული მონაცემების ბაზის" შექმნას (5, მე-9 ლექცია). ეს კი უნდა მოხდეს მონაცემთა ელექტრონიზაციის საფუძველზე. ამისთვის არსებობს გარკვეული ელექტრონული პროგრამები და მათ შორის ყველაზე აპრობირებულია პროგრამა SPSS (ესპიესეს)-ის სახელწოდებით (5, მე-9 ლექცია). ამ პროგრამის ფარგლებში „ყველა კითხვისათვის შეიქმნება ამ კითხვარის ელექტრონული ვარიანტი, ანუ მონაცემთა კომპიუტერული ბადე". მონაცემების შეტანა კითხვარში ნიშნავს კოდების შეტანას მასში (5, მე-9 ლექცია).

მონაცემთა გაწმენდა გულისხმობს „კოდების ადეკვატურობის უზრუნველყოფას კითხვართან" (5, მე-9 ლექცია).

დაბოლოს, რაც შეეხება ცვლადთა მნიშვნელობების გარდაქმნას. იგი გულისხმობს რომელიმე უფრო მნიშვნელოვანი ცვლადისათვის იმ ცვლადის მნიშვნელობის შეერთებას, რომლის მნიშვნელობაც ერთობ მცირეა და ზეგავლენას ვერ მოახდენს ანალიზის შედეგებზე (5, მე-9 ლექცია).

როგორც ვხედავთ, სოციოლოგიური გამოკვლევის „ნედლი მასალის" დამუშავება მთელი თავისი ეტაპებითა თუ საფეხურებით მიზნად ისახავს მის უშუალოდ გამზადებას ანალიზისათვის, რომლის გარეშეც სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზი ვერც კი ჩატარდება.

და სწორედ ამაშია სოციოლოგიური გამოკვლევის მასალის დამუშავების მთელი პროცედურის მნიშვნელობაც.

ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა დამუშავების პროცესი სოციოლოგიური გამოკვლევის საერთო პროცედურის ერთ-ერთი აუცილებელი ეტაპია.

სოციოლოგიური გამოკვლევის მასალის დამუშავების ეტაპი, გარდა აღნიშნულისა, კიდევ სხვა პროცედურებსაც შეიცავს, ასე, მაგალითად, სკალირების გარდაქმნის, ცვლადების შეწონვისა და სხვა პროცედურებს (5,მე-9 ლექცია), მაგრამ ჩვენ მათ აქ არ ვეხებით ·მათი არაარსებითი მნიშვნელობის გამო.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა დამუშავების ყველა პროცედურის გავლის შემდეგ უკვე შეიძლება უშუალოდ შევუდგეთ სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზს, რაკიღა ყველაფერი გამზადებული იქნება ამისთვის.

სოციოლოგიური გამოკვლევის ორი თვისობრივად განსხვავებული სახის რაოდენობრივი და რაგვარობრივი (თვისებრივი) კვლევის - შესაბამისად, გვაქვს ასევე სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზის მეთოდთა ორი ძირითადი ჯგუფი. და ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან სხვადასხვა საგანი შესწავლის დროს სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს. ის, რაც ერთი სახის სოციოლოგიურ კვლევას მიუდგება, მეორეს არ მიესადაგება. განა საგანი არ განსაზღვრავს მეთოდის სპეციფიკას?

ცვლადების რაოდენობისდა მიხედვით, რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მონაცემთა ანალიზის მეთოდთა კონკრეტულად სამ ჯგუფს გამოყოფენ ხოლმე: 1) უნივარიაციული, 2) ბივარიაციული, 3) მულტივარიაციული მეთოდებისას (5,მე-9 ლ.).

აქედან მონაცემთა უნივარიაციული ანალიზი თავისი ხასიათით აღწერითი სახისაა, ვინაიდან იგი სწორედ „იზოლირებულად წარმოადგენს ცალკეულ ცვლადს“ (16), ხოლო მონაცემთა ბივარიაციული და მულტივარიაციული ანალიზები კი უკვე ანალიტიკური სახისანი (16).

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის „უნივარიაციული მეთოდები, სახელწოდებიდანვე გამომდინარე, ერთ

ცვლადთან დაკავშირებული ანალიზის მეთოდებია, „ბივარიაციული“ - ორ ცვლადთან დაკავშირებულისა, ხოლო „მულტივარიაციული“ მრავალ ცვლადთან დაკავშირებული ანალიზის მეთოდები.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა უნივარიაციული მეთოდებია: 1) მონაცემთა სიხშირული განაწილების, 2) მონაცემთა ცენტრალური ტენდენციის საზომების, 3) მონაცემთა გაფანტვის საზომების (16) მეთოდები.

ამასთან, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ცენტრალური ტენდენციის საზომების მეთოდიც სამი ქვესახის მეთოდებისაგან შედგება. ესენია: 1) მოდის, 2) მედიანის,3) საშუალოს (არითმეტიკულის) მეთოდები (5, მე-9 ლექცია).

ასევე სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა გაფანტვის საზომების მეთოდიც სამი ქვესახის მეთოდებისაგან შედგება. ესენია: 1) დიაპაზონის, 2) სტანდარტული გადახრის, 3) კვარტილის მეთოდები (16).

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის უნივარიაციული ჯგუფის მეთოდთა ყველაზე მარტივი სახეა ე.წ. მონაცემთა სიხშირული განაწილების მეთოდი.

მონაცემთა სიხშირული განაწილება კი გულისხმობს „ამა თუ იმ ცვლადის მნიშვნელობების შემთხვევათა განაწილებას მთელს შერჩევით ერთობლიობაში“. და სწორედ ამ წესით მონაცემთა ანალიზს გულისხმობს სახელდობრ სიხშირული განაწილების მეთოდიც.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის უნივარიაციულ მეთოდთა „ძალიან მნიშვნელოვან ჯგუფს“ განეკუთვნება ე.წ. ცენტრალური ტენდენციის საზომები (5, მე-9 ლექცია).

მოდა მიუთითებს იმაზე, თუ „ცვლადის მნიშვნელობებს შორის რომელი თვისებაა ყველაზე უფრო ხშირად გამოხატული“ (5,მე-9 ლექცია). ხოლო მონაცემთა ანალიზის ის წესი, რომელიც აქცენტს სწორედ ამ კუთხით აყენებს, არის სწორედ მოდის მეთოდი.

მედიანა ესაა „ამა თუ იმ ცვლადის მნიშვნელობათა შემთხვევების განაწილებათა შუაწერტილი, რომლის მარცხენა და მარჯვენა თუ ზემო და ქვემო წერტილს შორის შემთხვევათა თანაბარი რაოდენობაა

განლაგებული“ (5, მე-9 ლექცია). სწორედ ამ კუთხით მონაცემთა ანალიზის წესია მედიანას მეთოდიც.

რაც შეეხება საშუალოს (არითმეტიკულს), იგი გამოითვლება ასე: „ცვლადის მნიშვნელობები მრავლდება შემთხვევათა რაოდენობაზე, ჯამდება და იყოფა რესპონდენტთა საერთო რაოდენობაზე“ (5, მე-9 ლექცია). და, მაშასადამე, აქაც, საშუალო არითმეტიკულის წესით, მონაცემთა ანალიზის შემთხვევაშიაც, სახეზე გვაქვს, შესაბამისად, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა გამოკვლევის საშუალოს (არითმეტიკულის) მეთოდი.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის უნივარიაციულ მეთოდთა მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს ასევე მონაცემთა ე.წ. გაფანტვის საზომები (16).

მონაცემთა ანალიზის დიაპაზონის მეთოდი ყალიბდება მონაცემთა, შესაბამისად, გაფანტვის დიაპაზონის დადგენით, ხოლო მონაცემთა გაფანტვის დიაპაზონი კი დგინდება „დისტანციით [მონაცემთა] ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ მნიშვნელობებს შორის“ (16). საერთოდ კი, გაფანტვის აზრი ისაა, რომ მისი საშუალებით შევძლოთ საშუალო არითმეტიკული მონაცემის საწყისი მნიშვნელობების აღდგენა (16). დიაპაზონის მეთოდით კი ხდება, კერძოდ, მონაცემთა საწყისი მინიმალური (უმცირესი) და მაქსიმალური (უდიდესი) - მნიშვნელობების აღდგენა. ამ შემთხვევაში ხდება უმცირესსა და უდიდესს შორის მნიშვნელობათა არეალის „შემოხაზვა“.

დიაპაზონი გაფანტვის ყველაზე მარტივი საზომია.

რაც შეეხება სტანდარტული გადახრის საზომს, იგი უფრო რთულია (წულ). კერძოდ კი, მისი გაანგარიშება ხდება ფორმულით: S=VPQ/n, „სადაც S სტანდარტული გადახრაა, n - შემთხვევების საერთო რაოდენობა, PQ კი - ორგანზომილებიანი ცვლადი“ (16).

მაშასადამე, სტანდარტული გადახრის მეთოდიც სხვა არაფერია, თუ არა სწორედ სტანდარტული გადახრის გაანგარიშებით მონაცემთა ანალიზი.

დაბოლოს, გაფანტვის [სტანდარტულ გადახრასთან] შედარებით მარტივი საზომია კვარტილი. კვარტილი „შესასწავლი შემთხვევების ¼-ს გულისხმობს“ (16).

აქედან გამომდინარე კი, ოთხი კვარტილი არსებობს. „კვარტილური გადახრა წარმოადგენს შუა დისტანციას პირველი კვარტილის წვერსა და მეოთხე კვარტილის ძირს შორის“ (16). ამ საზომით მონაცემთა ანალიზი კი გულისხმობს სწორედ კვარტილის (კვარტილურ) მეთოდს ანალიზისას.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის ბივარიაციული ჯგუფის მეთოდებია: 1) წერტილთა გაბნევის დიაგრამის, 2) კროსტაბულაციის, 3) ასოციაციის საზომების, ასე, მაგალითად, კორელაციის კოეფიციენტის (16).

იმისათვის, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ბივარიაციული ჯგუფის მეთოდები უფრო გასაგები გახდეს ჩვენთვის, საჭიროა ზოგადად, სოციოლოგიური გამოკვლევის უნივარიაციული მეთოდისაგან განსხვავებით, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ბივარიაციული ანალიზის მეთოდთა საერთო დახასიათებაც.

ამისათვის კი საჭიროა თავად ცვლადთა ე.წ. ბივარიაციული კავშირის დახასიათება.

„ბივარიაციული ანალიზი ორი ცვლადის არსებობას გულისხმობს, რომელთაგან ერთი დამოუკიდებულია, მეორე კი მასზე დამოკიდებული. ჩვენ ვხსნით დამოკიდებული ცვლადის მნიშვნელობას დამოუკიდებელი ცვლადის მნიშვნელობის საფუძველზე“ (16). მისგან განსხვავებით, „უნივარიაციული ანალიზი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებისა გულისხმობს მხოლოდ ერთი ცვლადის შემთხვევათა განაწილების შესწავლას“ (16). აქედან გამომდინარე, ბივარიაციული ანალიზი [სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებისა] ლოგიკურად გულისხმობს უკვე ორი ცვლადის დამოკიდებულების შემთხვევათა განაწილებას.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის ბივარიაციული ჯგუფის წერტილთა გაბნევის დიაგრამის მეთოდი გულისხმობს სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზს იმ გრაფის მიხედვით, „სადაც ორი ცვლადის სიხშირეთა განაწილება

ერთდროულადაა წარმოდგენილი“ (16). ამასთან, „დამოუკიდებელი ცვლადის (პირობითად X) კატეგორიები ჰორიზონტალური სახით გვეძლევა, დამოკიდებული ცვლადისა (პირობითად Y) ვერტიკალური ღერძის სახით; თითოეული ცვლადის ყველაზე დაბალი მნიშვნელობა ყველაზე დაბალ მარცხენა კუთხეშია განთავსებული, ყველაზე მაღალი მნიშვნელობა კი ყველაზე მაღალ მარჯვენა კუთხეში“ (16).

ამ კატეგორიების კვეთა დიაგრამაზე, მათ შორის დამოკიდებულების „სამ ასპექტს ეხება: ფორმას, მიმართულებას და სიზუსტეს“ (16).

„ორ ცვლადს შორის დამოკიდებულების სამი ფორმა არსებობს: 1) დამოუკიდებელი, როცა მათ შორის კავშირი არ არსებობს და წერტილთა გაბნევის დიაგრამა წრფის სახით გვეძლევა, რომელიც ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ღერძის პარალელურია; 2) სწორხაზოვანი, როცა წრფე კოორდინატთა სიბრტყის შუაგულს კვეთს, ერთი ბოლოდან მეორის მიმართულებით; 3) ჰიპერბოლის ან პარაბოლის ფორმის“ (16).

„ცვლადებს შორის სწორხაზოვან კავშირს დადებითი ან უარყოფითი მიმართულება შეიძლება ქონდეს. პირველი წარმოადგენს დიაგონალურ ხაზს, ყველზე დაბალი მარცხენა კუთხიდან ყველაზე მაღალი მარჯვენა კუთხის მიმართულებით, სადაც დამოუკიდებელი ცვლადის ყველაზე მაღალ მნიშვნელობებს დამოკიდებული ცვლადის ყველაზე მაღალი მნიშვნელობები შეესაბამება, დამოუკიდებელი ცვლადის ყველაზე დაბალ მნიშვნელობებს კი დამოკიდებული ცვლადის ყველაზე დაბალი მნიშვნელობები“ (16).

„ბივარიაციული კავშირები ერთმანეთისაგან სიზუსტითაც განსხვავდება, ანუ გრაფაზე გაფანტულობის მაჩვენებლით. მაღალი სიზუსტე გვხვდება მაშინ, როცა პუნქტები ახლოს მდებარეობს ხაზთან, რომელიც ცვლადებს შორის კავშირს აჯამებს, დაბალი სიზუსტისას კი პუნქტები არათანაბრადაა გაფანტული შემაჯამებელი ხაზის გარშემო“ (16).

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ბივარიაციული ჯგუფის კროსტაბულაციის მეთოდი გულისხმობს სოციოლოგიური

გამოკვლევის მონაცემთა ანალიზს ორი ცვლადის სიხშირეთა ერთობლივი განაწილებით შეუღლებულ ნიშანთა ტაბულების (ცხრილების) მეშვეობით (16; 29).

განსხვავება წერტილთა გაბნევისა და კროსტაბულაციის მეთოდთა შორის, როგორც ვხედავთ, იმაშია, რომ პირველი წარმოდგენილია დიაგრამის, მეორე კი - ტაბულის სახით (16), ხოლო „ამგვარი ცხრილის ასაგებად საჭიროა დამოკიდებული ცვლადის თითოეული კატეგორიის განხილვა დამოუკიდებელი ცვლადის კატეგორიების საფუძველზე" (16).

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის ბოვარიაციული ჯგუფის ასოციაციის საზომის მეთოდი გულისხმობს სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზს იმ რიცხობრივი მაჩვენებლის მეშვეობით, რომელიც მიუთითებს ორ ცვლადს შორის ურთიერთკავშირის სიძლიერესა და მიმართულებას. თავისებურება ანუ სპეციფიკა ასოციაციის საზომისა აქ იმაში მდგომარეობს, რომ იგი „ფაქტიურად ბივარიაციულ კავშირს ერთი რიცხვის სახით წარმოადგენს" (16).

არსებობს ასოციაციის საზომის მრავალი სახე: ლამბდა, გამა, კენდალის ტაუ, პირსონის კორელაციის კოეფიციენტი და ხი კვადრატი, ასევე სხვა სახეებიც.

რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის მულტივარიაციული ჯგუფის მეთოდები სამი და მეტი ცვლადებით სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზს გულისხმობს.

მულტივარიაციული მეთოდები თავიანთი სირთულით, რაღა თქმა უნდა, აღემატება როგორც მულტივარიაციულ, ასევე ბივარიაციულ მეთოდებს. სირთულეს აქ, ბუნებრივია, ცვლადების სიმრავლე ქმნის. და, მართლაც, რაც უფრო მეტია მონაცემთა ანალიზისას ცვლადების რაოდენობა, მით უფრო ლოგიკურად რთული უნდა იყოს, შესაბამისად, მეთოდიც, და, პირიქით, რაც უფრო ნაკლებია ანალიზის დროს ცვლადების რაოდენობა, მით უფრო მარტივი იქნება, შესაბამისად, მეთოდიც. მარტივი მეთოდით გამოკვლევა, ამ

შემთხვევაში - ანალიზი, რა თქმა უნდა, უფრო ადვილია, რთულით კი - უფრო ძნელი.

მულტივარიაციული ანალიზის მეთოდებია: 1) რეგრესიის ანალიზის, 2) ფაქტორული ანალიზის, 3) დისპერსიული ანალიზის (ANOVA), 4) კლასტერული ანალიზისა და 5) (....) სხვა ანალიზთა საზომების მეთოდები (16).

ჩვენ აქ, სწორედ ამ სირთულის გამო, კონკრეტულად არ ვეხებით რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის მულტივარიაციულ მეთოდებს.

ასეთია საერთოდ რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზი და მისი მეთოდები.

ხოლო რაც შეეხება რაგვარობრივი ანუ თვისობრივი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზს, აქაც ჯერ თავიდან, ისევე როგორც რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის შემთხვევაშიაც, საჭიროა გარკვეული წინასწარი მოსამზადებელი ეტაპი.

თვისობრივი სოციალური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის წინა, მოსამზადებელი ეტაპი კი კონკრეტულად გულისხმობს ტრანსკრიპტის (ანუ გამოკვლევით მოპოვებული ინფორმაციის ანუ მასალის გაშიფრული ტექსტის) ფორმალიზაციას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზი „უფრო სტანდარტიზებული და ფორმალიზებულია", ვიდრე თვისობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზი (5,მე-10 ლექცია). თვისობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზი ამ მხრივ „უფრო შემოქმედებითია და მოდერნიზებული" (5,მე-10 ლექცია).

და მაინც, მიუხედავად ამისა, თვისობრივი კვლევის ანალიზიც მოითხოვს გარკვეულ ფორმალიზაციას.

თვისობრივი კვლევის მონაცემთა ანალიზის ფორმალიზაცია კონკრეტულად გულისხმობს ტრანსკრიპტის თითოეული სტრიქონის ერთიან გადანომვრას თავიდან ბოლომდე ანუ თითოეული სტრიქონისათვის ნომრის მინიჭებას. და სწორედ ამას გულისხმობს

კონკრეტულად კვლევის მონაცემთა ანალიზის წინა, მოსამზადებელი - ფორმალიზაციის ეტაპიც.

ტრანსკრიპტის ფორმალიზაციას უკვე უშუალოდ მოსდევს მონაცემთა საკუთრივ ანალიზიც.

თვისობრივი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის მეთოდები კი უკვე ერთმანეთისგან განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა თვისობრივი მეთოდებითაა მოპოვებული გამოკლევის მასალა. ხოლო ძირითადად ამ შემთხვევაში გამოიყოფა ორი ჯგუფი მონაცემთა ანალიზის მეთოდებისა, კერძოდ, ფოკუს-ჯგუფისა და სიღრმისეული ინტერვიუს (მის ბიოგრაფიულ-ნარატიულ ნაირსახეობაზე აქცენტირებით) მონაცემთა ანალიზისა.

ფოკუს-ჯგუფის ანუ ფოკუსირებული დისკუსიის ანუ კიდევ ჯგუფური დისკუსიის მონაცემთა ანალიზის კონკრეტული მეთოდებია: 1) დაჯგუფების, 2) კატეგორიზაციის, 3) ცოდნის მოპოვების, 4) თეორიის მიყენების, 5) ძირითადი მიგნებების მეთოდები (5, მე-10 ლექცია).

დაჯგუფება გულისხმობს ტრასკრიპტის თითოეული თემის მიხედვით რესპონდენთა ყველა მოსაზრების ერთად თავმოყრას. ამასთან ყველა შემთხვევაში გვერდზე მითითებული უნდა იქნეს ტრანსკრიპტში ამ მოსაზრებათა შესაბამისი ველები სტრიქონების მითითებით (5,მე-10 ლექცია).

კატეგორიზაცია, ეფუძნება რა დაჯგუფებას, უკვე გულისხმობს რესპონდენტთა თითოეული მოსაზრებისათვის ერთი ზოგადი სახელის მოძებნას და ამ სახელის ქვეშ მათ მოქცევას (5,მე-10 ლექცია).

ცოდნის მოპოვება ანუ რეპრეზენტაცია გულისხმობს იმას, რომ გაიდლაინის თითოეულ თემასთან დაკავშირებით გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, რისი ფოკუსირებაც ხდება ანუ გავარკვიოთ ის, თუ რა კატეგორიები, რა ფაქტორები, რა მიზეზები გამოიკვეთა შესასწავლი საკითხის გარშემო, რაზე ხდება აქცენტირება (5,მე-10 ლექცია).

თეორიის მიყენება გულისხმობს იმის გარკვევას თუ მოძიებას, არსებობს თუ არა რაიმე ისეთი თეორია, რომელიც იმავე პრობლემას

ეხება და მათს ჩართვას (ინკორპორირებას) ჩვენს კვლევაში (5,მე-10 ლექცია).

ძირითადი მიგნებები ანუ იდეალური ტიპების ანუ კონცეპტუალური მოდელების აგება გულისხმობს იმას, რომ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ავაგოთ მოცემული კონკრეტული სიტუაციის ლოგიკა და კანონზომიერება, თანაც ამ კანონზომიერების ვალიდურობის საჩვენებლად მოვიხმაროთ ანალოგიური სხვა კვლევები და საბოლოოდ ავაგოთ თითოეულ საკითხზე გარკვეული თეორიული მიდგომები, რომლებიც ამ სიტუაციას მიეყენება (5, მე-10 ლექცია).

აქ საჭიროა ფოკუს-ჯგუფის მეთოდთა შესახებ აღვნიშნოთ ზოგიერთი რამ, კერძოდ კი, ის, რომ დაჯგუფება ეს „პირველი ნაბიჯია" გენერალიზაციის ანუ განზოგადების გზაზე, მეორე კატეგორიზაციაა, მესამე - ცოდნის მოპოვება, მეოთხე - თეორიის მიყენება, დაბოლოს, მეხუთე - მისი იდეალური ტიპებისა თუ კონცეპტუალური მოდელების აგება (5,მე-10 ლექცია).

ასე რომ, რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის ეს მეთოდები ამავე დროს მისი განზოგადების მეთოდებიცაა. ე.ი. რაც ერთი მიმართებით სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის მეთოდებია, მეორე მიმართებით მისი განზოგადების მეთოდებიცაა. ამასთან ეს მეთოდები შეიძლება სოციოლოგიური გამოკვლევის შესაბამის „საფეხურებადაც" წარმოვადგინოთ. და, მართლაც, ეს მეთოდები, ანალიზისაც და განზოგადებისაც, ამავე დროს ქმნიან გარკვეულ აღმავალ საფეხურებს შესაბამისი კვლევის გზაზე.

სიღრმისეული ანუ ჩაღრმავებული ინტერვიუს მონაცემთა ანალიზის კონკრეტული მეთოდები (მისი ბიოგრაფიულ-ნარატიული ნაირსახეობის კუთხით) შემდეგია: 1) ფორმალური ანალიზის, 2) სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერის, 3) ანალიტიკური აბსტრაქციის, 4) ცოდნის ანალიზის, 5) კონტრასტული შეფასების (მინიმალური და მაქსიმალური კონტრასტების შედარების), 6) იდეალური ტიპების ანუ თეორიული მოდელების აგების მეთოდები (5, მე-10 ლექცია).

ფორმალური ანალიზი სოციოლოგიური გამოკვლევის ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს მონაცემთა ანალიზის დროს გულისხმობს მონაცემთა ფაქტობრივი, თხრობითი, ნარატიული ანუ აღწერითი ნაწილისათვის ყურადღების მიქცევას და შეფასებითი, ინტერპრეტაციული ნაწილის დროებით ყურადღების გარეშე დატოვებას.

საქმე ისაა, რომ ბიოგრაფიულ-ნარატიულ მეთოდს აქვს სულ მცირე ორი მხარე: ერთია ნარაცია, თხრობა, აღწერა, დესკრიფცია და მეორე ინტერპრეტაცია, შეფასება (5, ე-10 ლექცია). ფორმალური ანალიზის შემთხვევაში ყურადღება ექცევა სწორედ პირველ მხარეს. ამაშია ფორმალური ანალიზის სპეციფიკა, მისი თავისებურება.

სტრუქტურულ-შინაარსობრივი ანალიზი გულისხმობს ბიოგრაფიაში მოცემულ ფაქტებს შორის სხვადასხვა კავშირის დადგენას, იქნება ეს მიზეზ-შედეგობრივი (კაუზალური), ტელეოლოგიური (მიზან-საშუალების) თუ სხვა რამ კავშირი.

ანალიზური აბსტრაქცია გულისხმობს ბიოგრაფიაში ყველაზე უფრო გავრცელებული სქემების იდენტიფიკაციას: სხვადასხვა ბიოგრაფიულ სქემას შორის არის თუ არა რაიმე ზოგადი მომენტები (5, მე-10 ლექცია).

ცოდნის ანალიზი გულისხმობს ზოგადი ფაქტების უკვე ინტერპრეტაციას (შეფასებას). ე.ი. აქ უკვე იწყება შეფასებითი (ინტერპრეტაციული) ნაწილის ამოქმედება ანალიზის პროცესში (5, მე-10 ლექცია).

კონტრასტული შედარება გულისხმობს ინტერპრეტაციათა მინიმალური და მაქსიმალური კონტრასტის დადგენას (5,მე-10 ლექცია).

იდეალური ტიპების ანუ თეორიული მოდელების აგება გულისხმობს რაღაც მოვლენასთან მიმართებაში ბიოგრაფიების ყველაზე გავრცელებული ასპექტის სრულიად მოცვას და გათვალისწინებას, ე.ი. სრულყოფილ ანალიზს (5, მე-10 ლექცია). ამის საფუძველზე კი უნდა მოხდეს თეორიული მოდელების გამოკვეთა მოცემულ მოვლენასთან დაკავშირებით მეტ ნაკლებობით, ამ მოდელების მეტ-ნაკლები დომინანტურობით (5, მე-10 ლექცია).

მოკლედ, აქ, ანალიზის პროცესში, ხდება საკვლევი პრობლემის მიმართ იდეალური ტიპების გამოკვეთით თეორიული მოდელების აგება.

სოციოლოგიური გამოკვლევის სიღრმისეული (ანუ ჩაღრმავებული) ინტერვიუს მონაცემთა ანალიზის მეთოდების შემთხვევაშიაც (მის ბიოგრაფიულ-ნარატიულ ნაირსახეობაში), ისევე როგორც სოციოლოგიური გამოკვლევის ფოკუს-ჯგუფის მონაცემთა ანალიზის შემთხვევაში, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეს მეთოდები შეიძლება განვიხილოთ როგორც ასევე სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის შესაბამისი ჯგუფის სახეები თუ ეტაპები. და ამასთან ეს მეთოდებიც შეგვიძლია აქ განვიხილოთ სოციოლოგიური გამოკვლევის შესაბამის მონაცემთა არა როგორც მხოლოდ ანალიზის მეთოდები, არამედ მათი როგორც განზოგადების ეტაპებიც, მათი როგორც გენერალიზაციის საფეხურებიც (5, მე-10 ლექცია).

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის შედეგად უკვე სდგება გარკვეული ანალიტიკური ანგარიში, რომელიც შემდეგ უკვე ხდება საკვლევი სოციალური პრობლემის პრაქტიკული გადაჭრისათვის აუცილებელი მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზის უკეთ გასაგებად, საჭიროა ზოგი მასთან დაკავშირებული ცნების განმარტება, კერძოდ კი, ისეთებისა, როგორებიცაა: „მონაცემთა კლასიფიკაცია“, „გრაფიკი“, „კორელაციური კავშირი“, „სკალირება“ და მისი ელემენტები („კონტინუუმი“, „სკალა“, „ინდექსი“).

საქმე ისაა, რომ სოციოლოგიური გამოკვლევა და მათ შორის რაოდენობრივი სოციალური გამოკვლევა სოციოლოგიური მონაცემების სწორედ ანალიზისას მოითხოვს ყველა მათგანის მოხმარებას. ამასთან, მონაცემთა „კლასიფიკაციაც“, „გრაფიკიც“, „კორელაციაც“, „სკალირებაც“ უკვე თავისთავად გამოდის როგორც მეთოდები სოციალურ მონაცემთა ანალიზისა ანუ გარკვეული საშუალებანი სოციალურ მონაცემთა ანალიზისას.

კლასიფიკაციის მეთოდი მონაცემთა ანალიზის პროცესში გულისხმობს ამ მონაცემთა ანალიზს მონაცემთა მახასიათებელი ნიშნების დაჯგუფების, კლასებად დალაგების წესით.

ერთი და იმავე მონაცემთა კლასიფიკაცია სხვადასხვა ასპექტით, სხვადასხვა რაკურსით სულ სხვადასხვანაირად შეიძლება განხორციელდეს, იმისდა მიხედვით, თუ რა და რა ასპექტით გვაინტერესებს ჩვენ გასაანალიზებელი მოვლენის კლასიფიკაციაც.

კლასიფიკაციას „წესრიგი შეაქვს" საკვლევ ობიექტში და ამით იგი დიდად ხელს უწყობს მის ანალიზს, ვინაიდან სად მოუწესრიგებელი რამ საგანი კვლევისა და სად კიდევ მოწესრიგებული საგანი? მოწესრიგებული საგნის გამოკვლევა განა უკვე ლოგიკურადაც კი უფრო ადვილი არ უნდა იყოს?

ხოლო კლასიფიკაციაც ხომ სხვა არაფერია, თუ არა საგნის კლასებად დაყოფა და მოწესრიგება სწორედ ობიექტის ანალიზის მიზნით. კლასიფიკაცია ამ მხრივ, თავისთავად უკვე ანალიტიკური მეთოდია საკვლევი ობიექტის, ჩვენს შემთხვევაში კი, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა შესწავლის გასაადვილებლად. ანალიზი საერთოდაც ხომ მთელის შესწავლის გასაადვილებლად მოგონილი მეთოდია და, მითუმეტეს ამ მხრივ კი, კლასიფიკაციის მეთოდი როგორც ანალიტიკური მეთოდის ნაირსახეობა.

გრაფიკის მეთოდი მონაცემთა ანალიზის პროცესში გულისხმობს ამ მონაცემთა ანალიზს იმ ნახაზის მიხედვით, რომელზედაც ნაჩვენებია სხვადასხვა ცვლადს შორის რაოდენობრივი დამოკიდებულება (ტერმინი „გრაფიკი" ბერძნული წარმომავლობისაა და სწორედ „ნახაზს" ნიშნავს (8)).

გრაფიკული მეთოდი სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებშიაც და საერთოდაც უაღრესად თვალსაჩინო მეთოდია და იგი მაქსიმალურად ცხადსა და ნათელს ხდის საკვლევი მოვლენის ანალიზის საქმეს. ამაშია მისი თვალსაჩინოებითი მნიშვნელობაც.

გრაფიკის ძირითადი ელემენტებია: გამოსახულება, მინდორი, სივრცითი ორიენტირები, მასშტაბი, ექსპლიკაცია (1, გვ.47).

„აგებულების მიხედვით გრაფიკები შეიძლება იყოს: დიაგრამები, კარტოგრამები და კარტოდიაგრამები. აქედან ყველაზე გავრცელებულია დიაგრამები (1, გვ.47).

კორელაციის ანუ კორელაციური კავშირის მეთოდი მონაცემთა ანალიზის პროცესში გულისხმობს ამ მონაცემთა ანალიზს ცვლადთა შორის ფაქტორული კავშირის დადგენის წესით (ტერმინი „კორელაცია" ლათინური წარმომავლობისაა და ქართულად „თანაფარდობას" ნიშნავს) (8).

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ფაქტორული კავშირი განსხვავდება კაუზალური ანუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირისაგან. პირველი გულისხმობს იმგვარ კავშირს მოვლენათა შორის, რომელსაც არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, როცა ერთი რიგის მოვლენები კი არ განსაზღვრავენ მეორე რიგის მოვლენებს, არამედ მხოლოდ გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ მასზე, მაშინ როდესაც მეორე გულისხმობს სწორედ არსებით კავშირს მათ შორის, როდესაც ერთი საგნის მოვლენები უკვე განსაზღვრავენ მეორე რიგის მოვლენებს იმით, რომ იწვევენ მათ.

კორელაცია ესაა ცვლადთა შორის იმგვარი კავშირი, რა დროსაც „ერთი ცვლადის მნიშვნელობის სისტემატურ ზრდას თან სდევს მეორის მნიშვნელობის სისტემატური ზრდა ან კლება" (8).

ერთმანეთისგან განასხვავებენ პირდაპირსა და უკუ, წრფივსა და არაწრფივ, ერთფაქტორიან და მრავალფაქტორიან კორელაციურ კავშირებს.

„პირდაპირი კავშირის დროს ფაქტორული მოვლენის ზრდა ან კლება ანალოგიურად ცვლის საშედეგო მოვლენის მნიშვნელობას. უკუ კავშირის დროს, პირიქით, ფაქტორული მოვლენის ზრდა იწვევს საშედეგო მოვლენის შემცირებას. წრფივი კავშირის დროს ფაქტორული მოვლენის თანდათანობითი ცვლილება შესაბამისად ცვლის საშედეგო მოვლენის მნიშვნელობას. არაწრფივი კავშირის ფაქტორული მოვლენის მდორე ცვლილება მკვეთრად ცვლის საშედეგო მოვლენის მნიშვნელობას და, პირიქით" (1, გვ.48).

სკალირების მეთოდი მონაცემთა ანალიზის პროცესში გულისხმობს მონაცემთა ანალიზს სკალების მიხედვით. ხოლო სკალა ესაა „ნიშანთა სისტემა, რომლისთვისაც მოცემულია გამოსახულება, რომელსაც რეალურ ობიექტებთან შესაბამისობაში მოყავს სკალის ესა თუ ის რაოდენობრივი ელემენტი (34).

სკალა გაზომვის საშუალებაა, ინსტრუმენტია და იგი გამოიყენება უმთავრესად რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკვლევის დროს, ვინაიდან გაზომვა განმსაზღვრელწილად სწორედ რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი ან პროცედურაა და „არ არის რელევანტური ანუ მნიშვნელოვანი თვისობრივი კვლევისათვის" (5, მე-4 ლექცია).

„გაზომვა არის პროცედურა, რა დროსაც ხდება შესასწავლი ობიექტის ამა თუ იმ თვისების შედარება გაზომვის ეტალონთან და ამ შედარების საფუძველზე ამ თვისების რაოდენობრივი გამოხატვა სკალაზე" (5, მე-10 ლექცია). „რაიმე თვისების ემპირიული მნიშვნელობის რაოდენობრივ პარამეტრებს ვადგენთ გაზომვის დროს, ხოლო ამ რაოდენობრივი განზომილების დასადგენად გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა სკალა" (5, მე-10 ლექცია).

სკალირებასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ „კონტინუუმი". კონტინუუმი საკვლევი მოვლენის უწყვეტობაა. მას გააჩნია როგორც დასაწყისი, ისე დასასრული, როგორც მინიმუმი, ის მაქსიმუმი. ყოველი საკვლევი მოვლენა თავსდება ამ მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის (1, გვ.48).

ასევე სკალირებასთან დაკავშირებით უნდა ვახსენოთ „ინდექსიც". „ინდექსი რაოდენობრივი მაჩვენებელია, რომლითაც დგინდება დასაკვირვებელი მდგომარეობა სკალაზე" (1, გვ.48).

სკალების სხვადასხვა ტიპს, ანუ სახეს გამოყოფენ ხოლმე. ესენი სულ ოთხია და შემდეგია: 1) სახელდებათა ანუ ნომინალური ანუ საკლასიფიკაციო, 2) რიგითი ანუ რანგობრივი, 3) ინტერვალების ანუ განსხვავებათა, 4) შეფარდებების ანუ აბსოლუტური სკალები (34).

აქედან პირველი ორი არამეტრული, ანუ თვისობრივი სკალებია, ხოლო მეორე ორი - მეტრული ანუ რაოდენობრივი სკალები (34).

„სკალა" ლათინური ტერმინია და ქართულად „კიბეს" ნიშნავს (9). და, მართლაც, სკალა ერთგვარ კიბეს მიაგავს, ოღონდ გრაფიკულ დონეზე, რომელიც დაყოფილია გარკვეულ „აღმავალ-დაღმავალ" საფეხურებად, რომელ საფეხურებსაც გარკვეული მნიშვნელობები ენიჭება, რაოდენობრივი თუ რაგვარობრივი.

სახელდების სკალას სიმარტივისა და ტრივიალურობისა გამო ფსევდო-სკალასაც ანუ ცრუსკალასაც, კვაზისკალასაც ანუ

ვითომსკალასაც უწოდებენ ხოლმე (5, მე-4 ლექცია). „სახელდების სკალაზე არ ხდება რაოდენობრივი მიმართებების განსაზღვრება, თუ არა და სკალის ფუნქციაც სწორედ ის არის, გამოხატოს რაოდენობრივ პარამეტრებში თვისების ანუ ცვლადის ესა თუ ის მნიშვნელობა“ (5, მე-4 ლექცია). „სახელდების სკალაზე წარმოებს ცვლადის ან თვისების მნიშვნელობებს შორს მხოლოდ განსხვავების ანუ გარჩევის ოპერაცია სხვადასხვა მნიშვნელობისათვის სხვადასხვა სახელის მინიჭების გზით“ (5, მე-4 ლექცია). „სახელდების სკალაზე ხდება მხოლოდ ობიექტებისათვის სახელების დარქმევა, მათთვის მნიშვნელობების განსაზღვრა ამა თუ იმ თვისების შესაბამისად “(5, მე-4 ლექცია).

„რიგის სკალაზე ობიექტებს შორის განსხვავება კეთდება ცვლადის რაიმე მნიშვნელობის მეტობის ან ნაკლებობის მიხედვით“ (5, მე-4 ლექცია). მაშასადამე, აქ ხდება მეტ-ნაკლებობის მიმართების დადგენა (5, მე-4 ლექცია).

„ინტერვალების სკალაზე დგინდება ინტერვალური სხვაობა ობიექტებს შორის“ (5, მე-4 ლექცია). აქ დგინდება ობიექტებს შორის ფარდობა, განსხვავება „ - ითობით“ და არა „ ჯერობით“(5, მე-4 ლექცია).

დაბოლოს, „შეფარდებების სკალაზე შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენჯერ აღემატება ერთი ობიექტი მეორეს“ (5,მე-4 ლექცია).

აღნიშნული ოთხი ტიპის თუ ჯგუფის სკალათაგან ყველაზე ხშირად გამოიყენება რიგისა და სახელდების სკალები, თუმცა ყოველი მათგანი ფასეულ სამსახურს უწევს სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის საქმეს, განსაკუთრებით კი მისი თვალსაჩინოებისა გამო. ისინი ჩვენ გვეხმარება სოციალურ მონაცემთა გაზომვის პროცესში.

გაზომვა კი, თავის მხრივ, გვჭირდება იმისათვის, რომ შევისწვლოთ მოვლენის რაოდენობრივი განზომილება, რაოდენობრივი პარამეტრები და ამით კი უკეთ გავიგოთ ამ მოვლენის თვისობრივი განზომილებაც, მისი თეორიული პარამეტრები. საგნის რაოდენობრივი მხარე იზოლირებული, განცალკევებული, მოწყვეტილი ხომ არაა მისი თვისობრივი მხარისაგან, არამედ სწორედ გამოხატავს უკანასკნელის ბუნებას.

სკალათა კლასიფიკაცია სხვადასხვა ასპექტით სხვადასხვანაირად შეიძლება მოხდეს. ასე, მაგალითად, რუსი სოციოლოგი ანდრია ზდრავამისლოვი სკალათა კლასიფიკაციის სამ პრინციპს გამოყოფს: სკალირებას 1) გასაზომი ობიექტის მიხედვით, 2) შესასრულებელი ფუნქციების მიხედვით, 3) აგების წესის მიხედვით (2, გვ161).

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ეს კლასიფიკაცია, ყველა მათგანი თავ-თავის ადგილას და თავ-თავის დროზე მაინც სასარგებლოა საქმისათვის. მთავარია საჭირო შემთხვევაში ანალიზის დროს გამოყენებულ იქნეს სკალირების ის სახე-მეთოდები, რომლებიც მაქსიმალურ ეფექტს მოგვცემდა სოციალურ მონაცემთა ანალიზის საქმეში.

თავი 7

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადების მეთოდები

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადება სოციოლოგიური გამოკვლევის ერთ-ერთი ეტაპია, ერთ-ერთი მისი საფეხურია, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა მოპოვების, მათი დამუშავებისა და მათი ანალიზის გვერდით, რომლებითაც ამოიწურება სოციოლოგიური გამოკვლევის ყველაზე საკუთრივი, მისი, თუ ასე შეიძლება ითქვას, წმინდა ფაქტოლოგიური ნაწილი. ინტერპრეტირებული ნაწილი ამ ნაწილში, რა თქმა უნდა, არ შედის, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნაწილი სოციოლოგიური გამოკვლევაში მეორის გარეშეც არ არსებობს

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადებას, სხვანაირად, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა გენერალიზაცია შეიძლება ვუწოდოთ.

განზოგადება ანუ გენერალიზაცია საერთოდ ეს ისეთი აზრობლივი ოპერაციაა, როდესაც ერთეულიდან მივდივართ ზოგადისაკენ და იგი ლოგიკურად, რა თქმა უნდა, ინდუქციის კანონს არეკლავს. ინდუქცია ეს ხომ განსაკუთრებული ტიპისა თუ ჯგუფის ფილოსოფიური მეთოდია, რა შემთხვევაშიაც საერთოდ ერთეულიდან, უფრო სწორედ კი ერთეულებიდან საერთოსაკენ, ზოგადისაკენ ავდივართ.

ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადებაც სოციოლოგიური გამოკვლევის ვითარცა ერთ-ერთი მეთოდი, კერძოდ, სოციოლოგიური გამოკვლევაში მოპოვებული და გასაანალიზებელი ერთეული მონაცემის განზოგადებას ნიშნავს.

ხოლო თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება განზოგადებას ანუ გენერალიზაციას სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში, ეს ისედაც ცხადი და ნათელი უნდა იყოს მას შემდეგ, რაც გავაცნობიერებთ სოციოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებისა და მისი, კიდევ უფრო, განვითარების „ლოგიკას“, ვინაიდან განა სწორედ სოციოლოგიური

გამოკვლევების პროცესში მოპოვებული თუ დადგენილი ერთეული ფაქტების განზოგადების საფუძველზე არ ხდება სოციოლოგიურ-მეცნიერული თეორიების ჩამოყალიბება და მათი შემდგომი განვითარება? განა, მართლაც, სოციოლოგიური მეცნიერება, ისევე როგორც საერთოდ ნებისმიერი მეცნიერება, სხვაგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს და განვითარდეს, თუ არა სწორედ მისგან დადგენილი ერთეული ფაქტების განზოგადების გარეშე? განა სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა, ამ შემთხვევაში, ერთეულ მონაცემთა ანალიზი უკვე არ გულისხმობს მათს განზოგადებას, მათს გენერალიზაციას თუნდაც ამ მონაცემთა ანალიზისავე პროცესში?

საქმე ისაა, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა „ანალიზი" „ანალიზია", ერთის მხრივ, მაგრამ იგივე „გენერალიზაციაცაა", „განზოგადებაცაა" მათივე, მეორეს მხრივ.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა „ანალიზი", თავად ამ ტერმინის, ამ სახელწოდების ბუნებიდან გამომდინარე, უკვე გულისხმობს სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის ერთგვარ დაყოფას შესასწავლ სტრუქტურულ ელემენტებად და მათ „გარჩევას" ანუ სხვანაირად, მის „დაცალკევებას" შესასწავლ სტრუქტურულ ელემენტებად და ასე ამგვარად ცალ-ცალკე შესწავლას.

მაგრამ განა ეს „ანალიზი", ანუ ამ შემთხვევაში შესასწავლი საგნის ელემენტებად დაშლა და მათი ცალ-ცალკე შესწავლა ამავე დროს არ სრულდება სწორედ იმისათვის, რომ შემდგომში უნდა მოხდეს სწორედ ამ ანალიზის შედეგად მიღებული ერთეული ფაქტების განზოგადება? ხოლო ანალიზის შედეგად მიღებული ერთეული მონაცემები, თუ ისინი, მართლაც, განზოგადებას არ ეწევიან, რაღა ღირებულებისანი იქნებიან? მთელი მეცნიერება და მათ შორის სოციოლოგიური მეცნიერებაც, აბა, მეტი სხვა რაღა უნდა იყოს, თუ არა სწორედ ერთეული მეცნიერული ფაქტების განზოგადება?

ასე რომ, უაღრესად დიდია მნიშვნელობა სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადებისაც სოციოლოგიური მეცნიერების ჩამოყალობება-განვითარების საქმეში. ბოლოსდაბოლოს მეცნიერება, აბა, კიდევ სხვა მეტი რაღა უნდა იყოს, თუ არა სწორედ განზოგადებული თეორია, ერთეული ფაქტების შესწავლის

საფუძველზე. მეცნიერული საერთოდ და მათ შორის სოციოლოგიური გამოკვლევის მიზანიც ხომ სწორედ მის მიერ მოპოვებულ და გაანალიზებულ მონაცემთა განზოგადებაა. მეცნიერება ხომ ბოლოსდაბოლოს ზოგადი ცოდნაა. ბუნებრივია, ემპირიული სოციოლოგიური გამოკვლევები ემსახურება თეორიული სოციოლოგიური დასკვნების შემუშავება-განვითარებას.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადება, მაშასადამე, ერთიანობაშია მათსავე ანალიზთან, ვინაიდან სწორედ ამ ანალიზის ფარგლებშივე ხდება მათივე განზოგადება. ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. ასე რომ, ერთი მეორეს დროში როდი უსწრებს წინ, არამედ ერთდროულად სრულდება. ერთი არ არსებობს მეორის გარეშე და მეორეც - პირველის გარეშე.

ეს ორი რამ მოვლენა ერთი რაღაც უფრო მთლიანი მოვლენის მხოლოდ სხვადასხვა მხარეა და მეტი სხვა არაფერი. ოღონდ განსხვავება მათ შორის ისაა, რომ ანალიზის შემთხვევაში ხდება დედუქცია, ხოლო განზოგადების შემთხვევაში - ინდუქცია. პირველ შემთხვევაში ხდება შესასწავლი მოვლენის როგორც ზოგადის ერთეულებად დაშლა და მათი ცალ-ცალკე გარჩევა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ხდება პირუკუ პროცესი ცალკეულ ერთეულთა განზოგადებისა.

ის, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზი ამავე დროს მისი განზოგადებაცაა, და, პირიქით, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადებაც ამ მონაცემებისავე ანალიზიც, ნათლად განმოჩნდება სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზის ისეთი მეთოდების მაგალითზე, როგორებიცაა: დაჯგუფება, კატეგორიზაცია, ტიპიზაცია, კლასიფიკაცია, რომლებიც ასევე სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადების მეთოდებიცაა.

ავიღოთ, კერძოდ, სოციოლოგიური გამოკვლევის ისეთი მეთოდი, როგორიცაა დაჯგუფება, რომელიც გამოიყენება სოციალურ მონაცემთა სწორედ ანალიზის დროს. და, მართლაც, დაჯგუფება ამ შემთხვევაში შესასწავლი საგნის ცალკეულ ელემენტთა თავმოყრაა ერთი რაღაც

მსგავსი ნიშნით. ე.ი. დაჯგუფება ამ შემთხვევაში ანალიზიცაა და განზოგადებაც.

ანალიზია იგი იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში შესასწავლი საგნის ჩვენთვის მოცემულ სიტუაციაში, მიუხედავად მათი დაჯგუფების მიზნისა, რაც მათს უკვე განზოგადებას ნიშნავს, დაჯგუფებულ ნიშან-თვისებათა ერთმანეთისაგან გამოყოფა ხდება და მათზე ცალ-ცალკე ყურადღების მიპყრობა.

მაგრამ განზოგადებაა იგი იმდენად, რამდენადაც, ამავე შემთხვევაში, გამოყოფილი და, მაშასადამე, გასაანალიზებელი ჯგუფის ელემენტების უკვე ხდება ერთ საერთო ანუ ზოგად ერთობლიობაში მოქცევა და მათი ესე ანალიზი.

იგივე, რაც ითქვა ამ მხრივ დაჯგუფებაზე როგორც სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადების მეთოდზე, უნდა ითქვას აგრეთვე მისსავე ისეთ მეთოდზეც, როგორიცაა კატეგორიზაცია.

კატეგორიზაცია სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზის პროცესში გულისხმობს გამოსაკვლევი საგნის სხვადასხვა ელემენტის რაიმე მსგავსი ნიშნით საერთო სახელის დარქმევას. კატეგორიზაცია დაჯგუფების საფუძველზე ხდება (5, მე-9 ლექცია).

ეს კატეგორიზაციაც, მსგავსად დაჯგუფებისა, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში კატეგორიზებული ელემენტების, ჯერ ერთი, ცალკე გამოყოფასა და, მაშასადამე, ანალიზსაც გულისხმობს და, მეორეც, ასევე მათს განზოგადებასაც „კატეგორიის“ სახით, ისევე როგორც დაჯგუფების შემთხვევაში ეს განზოგადება გულისხმობს განსაზოგადებელი ელემენტების ანალიზსაც და განზოგადებასაც „ჯგუფის“ სახით. „დაჯგუფების“ შემთხვევაში გამოსაკვლევი საგნის ცალკეული ელემენტები ხომ მათს რაღა საერთო „ჯგუფს“ ქმნიან, ხოლო, მსგავსად ამისა, „კატეგორიზაციის“ შემთხვევაშიაც - მათს ასევე რაღაც საერთო „კატეგორიას“.

ამასთან, რაკიღა კატეგორიზაცია დაჯგუფების საფუძველზე ხდება, იგი მასთან შედარებით, როგორც „ანალიზის“, ისე „განზოგადების“ კუთხითაც, სოციოლოგიური გამოკვლევის უფრო მაღალი საფეხურია, უფრო მაღალი დონეა.

საქმე ისაა, რომ „დაჯგუფება“ სოციოლოგიური გამოკვლევის საგნის ელემენტთა ანალიზისა და განზოგადების „პირველადი“ დონეა, რადგანაც იგი დაჯგუფებაა უშუალოდ დასაჯგუფებელი ელემენტებისა, მაშინ როდესაც „კატეგორიზაცია“ კატეგორიზაციაა უკვე დაჯგუფებული ელემენტებისა, სწორედ რის გამოც იგი „მეორადი დონეა“ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზისა და განზოგადებისა.

რაც შეეხება სოციოლოგიური გამოკვლევის განზოგადების ისეთ მეთოდს, როგორიცაა ტიპიზაცია, იგი სოციალურ მონაცემთა განზოგადების ფორმაა იმდენად, რამდენადაც წარმოადგენს მათ შორის ტიპიური, ანუ გარკვეულწილად ზოგადი ნიშან-თვისებების გამოყოფას. ტიპიური ხომ უკვე ზოგადია და ტიპიზიაციაც, აბა, კიდევ სხვა რაღა უნდა იყოს, თუ არადა სწორედ ტიპიურად ზოგადის ქვეშ ერთეულ სოციალურ მონაცემთა მოქცევა.

ოღონდ აქ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ, სახელდობრ კი, ის,რომ ტიპიზაცია ეს განზოგადების სწორედ სპეციფიკური ფორმაა და იგი, კერძოდ, არსებითად ზოგადის განზოგადებას გულისხმობს. თუ არადა, ტიპიურის გარდა, განზოგადების არატიპიური ფორმაც არსებობს. უბრალოდ, ტიპიური ეს არსებითად ზოგადია, მაშინ როდესაც არატიპიური ზოგადი - არაარსებითად ზოგადი.

ამდენად, ტიპიზაცია თავისი განზოგადების ხარისხით კიდევ უფრო მაღალი ეტაპია თუ დონეა სოციოლოგიური გამოკვლევის შემთხვევაში სოციალურ მონაცემთა განზოგადებისა, ვიდრე ესაა დაჯგუფება და კატეგორიზაცია. იგი უფრო „ღრმაა“ თავისი განზოგადების ხარისხით.

გამომდინარე იქედან, რომ ტიპიზაცია სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებისა უფრო „ღრმა“ დონეა სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადებისა, იგი, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მაღალი „დონეა“, დაჯგუფებასთან და ტიპიზაციასთან შედარებით, მათი განზოგადებისა.

ხოლო რაც შეეხება კლასიფიკაციას, იგი კიდევ უფრო მაღალი „დონეა“ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადებისა, ვინაიდან კლასიფიკაცია ეს უკვე მთელი სისტემაა სოციოლოგიური

გამოკვლევის მონაცემთა განზოგადებისა, რომელიც, სხვათა შორის, თავის თავში მოიცავს ტიპიზაციასაც, ვინაიდან, კიდევ ერთხელ, ტიპიზაციაც თუ ტიპოლოგიაც მისი ერთ-ერთი სახეა, არსებითი ნიშნების მიხედვით მხოლოდ, თუმცა კლასიფიკაცია უფრო მეტია ტიპიზაციაზე თუ ტიპოლოგიაზე, რადგანაც იგიც ერთგვარად ტიპოლოგიზაციაა უკვე მრავალი განასერითა და მათი გაერთიანებით.

კლასიფიკაცია ესაა კლასებად დაყოფა მოვლენისა, ჩვენს შემთხვევაში კი, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა კლასებად დაყოფა, რომელშიაც ეს კლასები შეიძლება აღვიქვათ როგორც უკვე ტიპები ამ მონაცემებისა. კლასიფიკაცია ამ შემთხვევაში გამოდის ერთგვარი სისტემა სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა იმ ტიპებისა, რომლებიც ქმნიან სწორედ ამ მონაცემთა ერთიანობას, სისტემას.

ბოლოსდაბოლოს, კლასიფიკაცია აქ გამოდის სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა სხვადასხვა განასერით, სხვადასხვა ასპექტით ტიპიზაციების ანუ ტიპოლოგიების სისტემა. „სისტემა“ აქ გულისხმობს მათი, ე.ი. სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემების ცალკეული განასერებით ტიპიზაციებისა თუ ტიპოლოგიების მოწესრიგებულ ერთიანობას.

ხოლო სწორედ ამ „მოწესრიგებულობისა“ და „ერთიანობის“ გამოა სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა კლასიფიკაციაც უფრო მაღალი საფეხური თუ დონე მათს დაჯგუფებასთან, კატეგორიზაციასთან და ტიპიზაციასთან შედარებით. და სწორედ ამიტომაცაა იგი უფრო „ღრმა“ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადების პლანში.

როცა სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა კლასიფიკაციას ვახდენთ, აქ უნდა გავითვალისწინოთ მთელი რიგი ლოგიკური მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება მას თავისი სისწორის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან არასწორი კლასიფიკაცია სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებისა მათი განზოგადების კუთხით, რა თქმა უნდა, არასწორ შედეგს მოგვცემს, ხოლო სწორი კლასიფიკაცია კი მათი - სწორ შედეგს.

ხოლო სწორი კლასიფიკაცია სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებისა გვექნება მხოლოდ მაშინ, თუ დავიცავთ საერთოდ კლასიფიკაციის ლოგიკურ წესებს. ეს წესები შემდეგია: 1) ერთსა და იმავე კლასიფიკაციაში აუცილებელია ერთი და იმავე საფუძვლის გამოყენება, 2) კლასიფიკაციის წევრთა მოცულობა უნდა უდრიდეს საკლასიფიკაციო კლასის მოცულობას, 3) კლასიფიკაციის წევრები ერთმანეთს უნდა გამორიცხავდნენ, 4) ქვეკლასებად დაყოფა უწყვეტი უნდა იყოს (25, გვ.248).

ძალზე მოკლედ რომ ვთქვათ, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა კლასიფიკაციის შემთხვევაში ეს საკლასიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს: 1) ერთსაფუძვლოვანნი, 2) ამომწურავნი, 3) გამომრიცხავნი, 4) უწყვეტნი.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადების მეთოდები, რა თქმა უნდა, მარტო დაჯგუფების, კატეგორიზაციის, ტიპიზაციის, კლასიფიკაციის მეთოდებზე როდი დაიყვანება, მათით როდი ამოიწურება, არამედ ყველა ის მეთოდი რომელიც კი სოციოლოგიური გამოკვლევის ე.წ. ანალიზის მეთოდია, ამავე დროს მისი განზოგადების მეთოდიცაა.

მაგრამ ჩვენ აქ მაინც გამოვყავით ეს ოთხი სახე სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებისა იმიტომ, რომ ესენი სწორედ, თუ ასე შეიძლება ითქვას, მაინც ერთგვარად ძირითადი მეთოდებია განზოგადების პლანში, ვინაიდან ყველა დანარჩენი, ასე თუ ისე, ამათ ეყრდნობა.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადების მეთოდი კლასიფიკაციის სახით ეს ამ გამოკვლევის „სისტემური“ მეთოდია და ესაა მისი ყველაზე დიდი ღირსება, ხოლო „სისტემურობა“ აქ იმას გულისხმობს, რომ ესაა ამ მონაცემთა ყოველმხრივი განზოგადება, ვინაიდან იგი მაქსიმალურად აერთიანებს, ანუ, ამ შემთხვევაში, ანზოგადებს სოციალური მონაცემთა ყველა ასპექტს, ყველა მხარეს. ოღონდ, რა თქმა უნდა, რაღაც უფრო ფართო განზომილებით. მონაცემთა კლასიფიკაცია აქ გულისხმობს ყველა მასში, ამ კლასიფიკაციაში, შემავალი ელემენტების „შეკვრას“ ერთ, მოწესრიგებულ მთლიანობად მთელი თავისი ასპექტებით.

სოციოლოგიური გამოკვლევის განზოგადების ეტაპის მეთოდებს „ბოლოსწინა“ ადგილი უჭირავთ საერთოდ სოციოლოგიური გამოკვლევის ეტაპთა მეთოდებს შორის, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის ეტაპის მეთოდებზე უწინ, რომელიც, თავის მხრივ, მართლაც, ბოლო ეტაპია საერთოდ სოციოლოგიური გამოკვლევისა.

მაგრამ რაკიღა სოციოლოგიური გამოკვლევა საკუთრივ სოციალურ მონაცემთა სწორედ განზოგადებით მთავრდება, ხოლო მათი ინტერპრეტაცია კი უკვე განზოგადებულ მონაცემთა მხოლოდ „შეფასებაა“, სოციოლოგიური გამოკვლევის განზოგადების მეთოდებიც, თუ ასე შეიძლება ითქვას, „აგვირგვინებენ“ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდთა ეტაპებს სოციოლოგიური გამოკვლევის საკუთრივი მნიშვნელობით. ამაშია, სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის განზოგადების მეთოდთა მნიშვნელობაც სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში.

თავი 8

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის მეთოდები

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაცია სოციოლოგიური გამოკვლევის მთელი პროცესის მნიშვნელოვანი პროცედურაა იმ აზრით, რომ იგია ძირითადად „დამაგვირგვინებელი" ეტაპი მასში, მის გამოკვლევით ნაწილში. და, მართლაც, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციით ძირითადად უკვე მთავრდება, ძირითადად უკვე სრულდება კიდეც სოციოლოგიური გამოკვლევა. ამის შემდეგ რჩება მხოლოდ დასკვნების გაკეთება, რითიც, მართლაც, მთლად სრულდება სოციოლოგიური გამოკვლევა თავის გამოკვლევით ნაწილში.

ასეთია სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის ადგილი საერთოდ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის სისტემაში. ხოლო სწორედ ამ ადგილით განისაზღვრება სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციული ეტაპის მნიშვნელობაც სოციოლოგიური გამოკვლევის მთელი პროცედურის ეტაპთა შორის.

გამომდინარე აქედან უნდა შეფასდეს სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის მეთოდების ადგილიცა და მნიშვნელობაც საერთოდ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემების სხვა ეტაპთა მეთოდებს შორის: სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის მეთოდები ეს ის მეთოდებია, რომელთა საშუალებითაც ხდება სწორედ ამ მონაცემთა არსებითად მომზადება სოციოლოგიური გამოკვლევის დასასრულებლად. და სწორედ ამაშია ამ მეთოდების ადგილისა და, მისგან გამომდინარე, მნიშვნელობაც სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის მეთოდებისა.

აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ ცნება და ტერმინი თვით ინტერპრეტაციისა.

„ინტერპრეტაცია“ წარმომავლობით ლათინური სიტყვაა და ქართულად „ახსნა-განმარტებას“ ნიშნავს (12). თუმცა კი ამ ტერმინს არაერთი კიდევ სხვა მნიშვნელობაცა აქვს და მათ შორის „შეფასების“ მნიშვნელობაც შეიძლება მივანიჭოთ.

რა თქმა უნდა, ეს მეორე მნიშვნელობა ამ ტერმინისა მისი ამოსავალი მნიშვნელობა როდია, მაგრამ იგი მაინც გამართლებულია მისი როგორც ერთ-ერთი მნიშვნელობა, იმის მიუხედავადაც კი, რომ იგი, ეს ტერმინი, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ამ მნიშვნელობით არცთუ ხშირად მოიხმარება.

ყოველ შემთხვევაში, თავად ლოგიკა სოციოლოგიური გამოკვლევისა დასრულებას, „მომრგვალებას“ მოითხოვს და ეს პროცედურაც სხვა არაფერია, თუ არა სწორედ „შეფასება“ სოციოლოგიური გამოკვლევის გამოკვლეული მონაცემებისა. სხვანაირად სოციოლოგიური გამოკვლევა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი გამოკვლევა, აზრსაც კი დაკარგავდა. მოვიპოვეთ მონაცემები, გავაანალიზეთ ისინი, განვაზოგადეთ ისინი? მაშასადამე, უნდა შევაფასოთ ეს მონაცემები, უნდა მივანიჭოთ მათ მნიშვნელობანი, უნდა დავადგინოთ მათი ღირებულებანი. აბა, სხვანაირად რა ფასი ექნებოდა ცარიელ მონაცემებს? ასე რომ, თავად სოციოლოგიური გამოკვლევის ლოგიკა მოითხოვს მის მონაცემთა ინტერპრეტაციას.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაცია თავისი მნიშვნელობით სოციოლოგიური გამოკვლევის „ყველაზე საინტერესო და ძნელი ეტაპია“ (31,გვ.6). და ეს მართალიცაა, იმდენად მნიშვნელოვანი ეტაპია იგი სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესისა.

„საინტერესოა“ იგი ნამდვილად იმიტომ, რომ „საბოლოო სურათს“ გვაძლევს გამოკვლევისას და ამით დამასრულებელ პასუხს გვაძლევს ჩვენთვის მოცემულ სიტუაციაში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

ხოლო „ძნელია“ იგი იმდენად, რამდენადაც სწორედ იგია ყველაზე რთული ეტაპი სოციოლოგიური გამოკვლევისას. ინტერპრეტაცია ხომ სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს და აქ ხომ, მართლაც, ძნელია სწორი გამოსავლის პოვნა.

მაგრამ მიუხედავად სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის სიძნელისა თუ სირთულისა, იგი მაინც ყველაზე

საჭირო რამ ეტაპია სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში. და უფრო მეტიც, ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ თავად „მთელი სოციოლოგია [ც კი], თავისი არსებითა და გამოყენებული მეთოდებითა და პროცედურებით, არის მაინტერპრეტირებელი მეცნიერება" (31,გვ.118).

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული დებულება ფრიად ნიშანდობლივია სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში ინტერპრეტაციის ეტაპის უაღრესად დიდი მნიშნელობის ხაზგასასმელად. და, მართლაც, ბოლოსდაბოლოს, რად გვინდა სოციოლოგიური გამოკვლევის „ცარიელი მონაცემები" მათი მნიშვნელობებისა და, აქედან გამომდინარე კი, მათი შეფასების გარეშე. სოციოლოგიური გამოკვლევის საბოლოო მიზანი ხომ ცარიელი ფაქტების მოპოვება არაა, არამედ, უფრო მეტიც, მათი სწორედ ინტერპრეტაცია. სწორედ მაშინ იქნებოდა იგი წარმატებული. სოციალური ფაქტებიდან ხომ რაღაც აზრი უნდა გამოვიტანოთ, ხომ რაღაც უნდა გავიგოთ?

ასე რომ, ინტერპრეტაციული ეტაპის მნიშვნელობა არა მარტო სოციოლოგიური გამოკვლევის, არამედ, მართლაც, მთელი სოციოლოგიური და, უფრო მეტიც, ყოველგვარი სოციალური მეცნიერების უაღრესად ღიდებული ნაწილია.

სოციოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაციის პირველ მნიშვნელობასთან დაკავშირებით, აქ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ „ინტერპრეტაციის სტადიაზე სოციოლოგის წინაშე წამოიჭრება ამოცანა სოციოლოგიური მონაცემების მაჩვენებლებად გარდაქმნისა, მოპოვებულმა რიცხვთა სიდიდეებმა გარკვეული აზრობლივი შინაარსი უნდა შეიძინონ. ისინი აუცილებელია შეუთანადოთ მკვლევარის თავდაპირველ ჩანაფიქრს, გამოკვლევის მიზნებსა და ამოცანებს, ე.ი. გადავიყვანოთ ინდიკატორებში. სოციოლოგიური მონაცემები მაჩვენებლებად მაშინ იქცევიან მხოლოდ, თუ მკვლევარს „შეაქვს" მასში შინაარსობლივი აზრი, ე.ი. უთანადებს, უსაბამებს მას შესასწავლ პრობლემას, გამოკვლევის საგნის ყველაზე მნიშვნელოვან მხარეებს" (23).

მაგრამ სოციოლოგიურ მონაცემთა მაჩვენებლებში ანუ ინდიკატორებში გადაყვანას შეიძლება ახლდეს გარკვეული

სიძნელეები იმ მხრივ, რომ არ მოხდეს ამ მონაცემთა სწორი გადაყვანა მაჩვენებლებში, ე.ი. მოხდეს ამ მონაცემთა არასწორი ინტერპრეტაცია. ამ სიძნელეს კი ქმნის ის ვითარება, რომ „ნებისმიერ მოანაცემს ახასიათებს მრავალი მნიშვნელობა“ (23), რომ ისინი „შეიძლება სხვადასხვაგვარად გავიგოთ (23). სწორედ ამიტომაც „როგორც წესი, შედეგების განხილვისას სოციოლოგთა შორის წამოიჭრება გახურებული კამათი. ერთნი მიიჩნევენ, რომ მიღებული შედეგები დადებითი ხასიათისაა, მეორენი - უარყოფითისა, ხოლო მესამენი კი - საერთოდ გაურბიან ერთმნიშვნელოვან შფასებას“ (23). ეს კი იმიტომ ხდება, რომ „ინტერპრეტაციაში დიდ როლს თამაშობს მკვლევარის პოზიცია“ (23).

კიდევ უფრო მეტი შეიძლება ითქვას სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის მიმართ მისი მეორე მნიშვნელობით. აქ კიდევ უფრო იზრდება სუბიექტური მხარის როლი ინტერპრეტაციის პროცესში, რის გამოც ინტერპრეტაციის სისწორის დადგენა უფრო ძნელდება, ვინაიდან „შეფასების“ ამბავში ადამიანები ძალიან, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი მსოფლმხედველობის მკვეთრი ინდივიდუალობისა გამო. და, მართლაც, ერთია ინტერპრეტაცია როგორც „ახსნა-განმარტება“ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებისა და მეორე კი ინტერპრეტაცია როგორც უკვე „შეფასება“ ამ „ახსნილი და განმარტებული“ სოციალური მონაცემებისა.

ხოლო ამ სიძნელეებთან დაკავშირებით კი ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის ჭეშმარიტების კრიტერიუმის საკითხიც.

და, მართლაც, რა არის საზომი ამ შემთხვევაში ინტერპრეტაციის ჭეშმარიტებისა, მისი სისწორისა? ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინტერპრეტაციის ჭეშმარიტების დასაბუთებაში. ხოლო ინტერპრეტაცია თავის მხრივ ღირებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა იგი დასაბუთებული იქნება სწორედ.

სოციოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაციის ნაირგვარი მეთოდი არსებობს, იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპით დავყოფთ მათ.

მაგრამ როგორადაც არ უნდა დავყოთ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის მეთოდები, იგი ყველა შემთხვევაში მაინც სამგვარი იქნება: ერთი - მათემატიკური, მეორე - სტატისტიკური, მესამე ლოგიკური მეთოდები სოციოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაციისა (14, გვ.192). ეს კი იმისდა მიხედვით, თუ რა და რა რიგისაა ეს მეთოდები თავიანთი მეცნიერული საფუძვლებით, მათემატიკიდან იღებენ ისინი ამ მეთოდებს, სტატისტიკიდან თუ ლოგიკიდან. ყოველ შემთხვევაში სამივე ამ რიგის მეთოდები აუცილებელია და ამდენად სასარგებლო სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესისათვის.

სოციოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაციის მეთოდები შეიძლება სხვა პრინციპითაც გამოვყოთ. ხოლო ამ მხრივ კი მნიშვნელოვანია ერთი ესეთი კლასიფიკაცია სოციოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაციის მეთოდებისა, რომელიც მოცემული აქვს რუს სოციოლოგს ვალერი სემიონოვს, რომელიც ასახელებს კონკრეტულად შემდეგ „მინიმუმ სამ ძირითად მნიშვნელობას" ინტერპრეტაციისას სოციოლოგიაში საერთოდ: 1) ცნებათა ა) თეორიულ და ბ) ემპირიულ ინტერპრეტაციას; 2) მათემატიკურ ინტერპრეტაციას; 3) სემანტიკურ (შინაარსობლივ) ინტერპრეტაციას საკუთრივი აზრით (31, გვ.117).

აქვე უნდა განვიხილოთ ერთი ესეთი თვალსაზრისიც „გამოკვლევის შედეგთა ინტერპრეტაციისა", რომელიც ეკუთვნის რუს ფსიქოლოგს მარინა კონოვალოვას (26) და რომელიც გამოკვლევის შედეგთა ინტერპრეტაციას, მართალია, ფსიქოლოგიის და არა სოციოლოგიის კუთხით განიხილავს, მაგრამ იგივე, რასაც იგი თავისი სპეციალობის კუთხით განიხილავს, ჩვენის აზრით, მიუდგება აგრეთვე სოციოლოგიურ მეცნიერებასაც, კერძოდ კი, სოციოლოგიური გამოკვლევის ასპექტით.

განიხილავს რა „გამოკვლევის ინტერპრეტაციის მეთოდებს", ეს ავტორი ამ მეთოდებს „უფრო კონკრეტულად" „მიდგომებს" უწოდებს და, კერძოდ, გამოყოფს ფსიქოლოგიური გამოკვლევის ისეთ მეთოდებს, როგორებიცაა: გენეტიკური, სტრუქტურული, ფუნქციონალური, კომპლექსური, სისტემური (26). ხოლო მსგავსად

ამისა, სრულიად სწორი იქნებოდა გვემსჯელა ასევე სოციოლოგიური გამოკვლევის მსგავსსავე მეთოდებზე.

და, მართლაც, ხომ სრულიად თავისუფლად შეიძლება სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებს გავუკეთოთ ინტერპრეტაცია გენეტიკური კუთხითაც და სტრუქტურული კუთხითაც, ფუნქციონალური კუთხითაც და კომპლექსური კუთხითაც, ასევე სისტემური კუთხითაც. მთავარია მხოლოდ სწორად გავიგოთ, თუ რას უნდა გულისხმობდეს თითოეული ამ მიდგომათაგანი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტირებისას.

როგორც ვხედავთ, არსებობს სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციისა. ყველა მათგანი სასარგებლოა სოციოლოგიური გამოკვლევის დიდ საქმეში, ოღონდ იმ პირობით, თუ, რა თქმა უნდა, ეს კლასიფიკაციები თავ-თავის მხრივ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. ბოლოს და ბოლოს ყველა მეთოდი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის პროცესში კარგია, თუ იგი, რა თქმა უნდა, სწორია. ხოლო ყოველგვარი ინტერპრეტაციის მეთოდი მაშინ იქნება სწორი, თუ იგი „ობიექტური" იქნება. საქმე ისაა, რომ ეს მეთოდი შეიძლება სრულიად საპირისპიროდ „სუბიექტურიც" გამოვიდეს. მაშინ საქმე დაზარალდება.

მაგრამ რას ნიშნავს სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის „ობიექტურობა" თუ „სუბიექტურობა"? სხვას არაფერს, თუ არა სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის სწორედ „სისწორესა" თუ „არასისწორეს".

ხოლო რა შემთხვევაში შეიძლება სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაცია აღმოჩნდეს „სწორი" ან „არასწორი"?

და, აი, აქ დგება ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, საკითხი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის ჭეშმარიტების, სახელდობრ, კრიტერიუმისა. ხოლო ამ საკითხს მოცემულ სიტუაციაში „გადამწყვეტი" მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, თუ არ დადგინდა ეს კრიტერიუმი, მაშინ „ცარიელ ნიადაგზე" აღმოჩნდება სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის ღირებულ:ებაც. და განა, მართლაც, იმ საზომის

გარეშე, რასაც მხოლოდ შეიძლება „დაეფუძნოს“, „დაეყრდნოს“ ამა თუ იმ ინტერპრეტაციის ღირებულება, რაღა ფასი ექნება სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციასაც? სხვა შემთხვევაში აზრს დაკარგავდა ეს ინტერპრეტაციაც და ყველაფერი ამ მხრივ, როგორც იტყვიან ხოლმე, სულერთი იქნებოდა.

მაგრამ „ჭეშმარიტების ლოგიკა“ გვკარნახობს იმას, რომ ეს ასე არ უნდა იყოს და რომ, მართლაც, საჭიროა ინტერპრეტაციის ჭეშმარიტებაზედაც ზრუნვა. ამიტომ „ინტერპრეტაცია მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალური გამოკვლევის კრიტერიუმთა დასაბუთებულობის პრობლემასთან“ (23).

ხოლო ამასთან დაკავშირებით „სოციოლოგიურ გამოკვლევებშიაც საყოველთაო საზომად გამოდის საზოგადოებრივი პრაქტიკა“ (23). თუმცა კი აქვე იგივე ავტორი აღნიშნავს: „მაგრამ მას [საზოგადოებრივ პრაქტიკას, როგორც კრიტერიუმს] აქვს ორი არსებითი ნაკლი გაურკვევლობა და არაოპერატიულობა“, რის გამოც „თანამედროვე სოციოლოგებთან ასეთ კრიტერიუმებად გამოდის სოციალური და ეკონომიკური ინტერესები, ასევე სამართლებრივი გარანტიები მათი დაცვისა, ანუ ყოველივე ის, რაც განაპირობებს ე.წ. „სოციალურ ჯანმრთელობას““ (23).

ჩვენ აქ, ნათქვამთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ გაურკვეველია თავად „გაურკვევლობა“ და „არაოპერატიულობა“ საზოგადოებრივი პრაქტიკის როგორც კრიტერიუმისა, მაგრამ საზოგადოებრივი პრაქტიკა ამ შემთხვევაში ხომ ზოგადი კრიტერიუმია საერთოდ, და, მაშასადამე, ჩვენს შემთხვევაშიაც ჭეშმარიტებისა და ამას, რა თქმა უნდა, ამ ზოგად დონეზე არც კი მოეთხოვება კონკრეტული გარკვეულობა და კონკრეტული ოპერატიულობა. ასეთი რამ მას, რა თქმა უნდა, მოეთხოვება მხოლოდ დაკონკრეტების შემთხვევაში. და სწორედ ამას ემსახურება უკვე საზოგადოებრივი პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების ზოგადი კრიტერიუმის კერძო, კონკრეტული გამოვლინებანი. და მხოლოდ ამ პირობით ერთვება უკვე საქმის პროცესში, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სოციალური და ეკონომიკური ინტერესებისა“ თუ „სამართლებრივი გარანტიების“ კრიტერიუმებიც. ამასთან თუ

კონკრეტულ კრიტერიუმებზე მიდგა საქმე, მაშინ მხოლოდ აღნიშნული კრიტერიუმებიც როდი ამოწურავს ჩვენთვის საინტერესო კრიტერიუმის მთელს შინაარსს.

იგივე, რაც ითქვა ზოგადად ჭეშმარიტების კრიტერიუმზე და კერძოდ კი მის კონკრეტულ ქვეკრიტერიუმებზე, შეგვიძლია მივუყენოთ ჩვენს შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის ჭეშმარიტების კრიტერიუმის პრობლემას.

ასე რომ, საბოლოო ჯამში სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის კრიტერიუმი მაინც საზოგადოებრივი პრაქტიკაა და, აქედან გამომდინარე კი, ის ინტერპრეტაცია იქნება სწორი, ობიექტური, რომელიც გამართლებული იქნება საზოგადოებრივი პრაქტიკით, ხოლო ის ინტერპრეტაცია - არასწორი, სუბიექტური, რომელიც არ იქნება გამართლებული საზოგადოებროვიო პრაქტიკით.

მოკლედ რომ ვთქვათ, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციაც, ისევე როგორც ნებისმიერი რამის ინტერპრეტაცია, მაშინ იქნება სწორი და ობიექტური, როცა იგი თავად საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიებით იქნება განმტკიცებული და არა ინტერპრეტატორთა სუბიექტური და არასწორი შეფასებით. მხოლოდ ამ პირობით შეასრულებს ინტერპრეტაციაც თავის ჭეშმარიტ დანიშნულებას.

დასკვნები

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს ყოველივე ის, რაც კი ჩვენ გავიარეთ მთელი ნაშრომის მანძილზე, უმჯობესი იქნებოდა აქ დასკვნების სახითაც გადმოგვეცა ჩვენი ნაკვლევი. ეს ერთგვარი შეჯამება ანუ „სუმა“ იქნებოდა ნაშრომში განვითარებული მსჯელობებისა.

ხოლო იმისათვის კი, რომ კიდევ უფრო ნათელი გახდეს ნაშრომში განვითარებული იდეების შინაარსი, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ეს დასკვნები დავალაგოთ თვით ნაშრომის სტრუქტურულ ერთეულთა მიხედვით, პუნქტობროივად, განსაკუთრებით ნაწილებისა და თავების მიხედვით.

შესავალი.სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების, ანუ მისი მეთოდოლოგიის საკითხი თანამედროვე სოციალური ცხოვრების უაღრესად აქტუალური საკითხია, ვინაიდან სწორედ ამ მეთოდების მეშვეობით ხდება თანამედროვეობის საჭირბოროტო სოციალური პრობლემების გამოკვლევა. პრობლემები კი სულ უფრო და უფრო მატულობს. მათი გადაჭრისათვის კი საჭიროა ამ მეთოდებით მათი სულ უფრო და უფრო მეტად შესწავლა, რათა თავი გავართვათ მწვავე სოციალურ პრობლემებს.

I ნაწილი. სოციოლოგიურ გამოკვლევას როგორც სოციოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთ კერძო სფეროს თავისი განსაკუთრებყული ადგილი უჭირავს მასში. მაგრამ მასაც, ისევე როგორც სოციოლოგიური საქმიანობის ნებისმიერ სხვა მიმართულებას, რა თქმა უნდა, საერთო, ზოგადსოციოლოგიური შესავალი გააჩნია.

ხოლო სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის ეს ზოგადსოციოლოგიური ნაწილი ორად შეიძლება წარმოვადგინოთ. ერთია სოციოლოგია საერთოდ როგორც თეორიული მეცნიერება და მეორე კი- სოციოლოგია როგორც პრაქტიკული მეცნიერება.

ამასთან სოციოლოგია, როგორც თეორიული მეცნიერება, ეს არის მოძღვრება საზოგადოების, სოციუმის ზოგად, უნივერსალურ კანონებზე, იმ ფუნდამენტურ კანონებზე, რომლებსაც ემყარება მთელი ჩვენი ცხოვრება. ამიტომ სოციოლოგიური გამოკვლევაც, უპირველეს

ყოვლისა, სხვა არაფერია, თუ არა სოციალურ პრობლემათა შესწავლა სწორედ ამ -ზოგადსოციოლოგიური ცოდნის - საფუძველზე.

ყოველი კონკრეტული სოციალური პრობლემა სოციოლოგიური გამოკვლევის კუთხით საბოლოო ჯამში გულისხმობს მის შესწავლას მაინც ზოგადსოციოლოგიური ასპექტით. ყოველი კონკრეტული ხომ მაინც აბსტრაქტულის გამოხატულებაა და თითოეულ მათგანში, რა თქმა უნდა, არეკლილია მაინც საერთო სოციალური პრობლემები. ამიტომაც სოციოლოგიური გამოკვლევაც, მიუხედავად მისი კონკრეტული ბუნებისა, მაინც როდი მოკლებულია საერთო-სოციოლოგიურს.

რაც შეეხება სოციოლოგიას, როგორც პრაქტიკულ მეცნიერებას, იგი უკვე უშუალოდ უკავშირდება სოციოლოგიური გამოკვლევის სფეროს, ვინაიდან, მართლაც, აბა, მეტი კიდევ სხვა რაღა უნდა იყოს სოციოლოგიური გამოკვლევა, თუ არა სწორედ პრაქტიკული სოციოლოგიის სფერო. კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევები ხომ პრაქტიკულ გარემოში ტარდება.

ხოლო სწორედ აქ ხდება თეორიული სოციოლოგიის გადასვლა პრაქტიკულ სოციოლოგიაში. სოციოლოგიური გამოკვლევაც ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა პრაქტიკული მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს თეორიულმა სოციოლოგიამ მისი პრინციპების პრაქტიკული სოციალური კვლევების სახით.

მოკლედ, სოციოლოგია, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ განასერშიაც, კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევების ზოგადსოციოლოგიური საფუძველია.

II ნაწილი. სოციოლოგიური გამოკვლევის შესახებ მეცნიერება თანამედროვე სოციოლოგიურ ლიტერატურაში ორი სხვადასხვა რაკურსითაა წარმოდგენილი: ერთი საგნის კუთხითა და მეორე მეცნიერების კუთხით. ორივე მიდგომა, არსებითად, გამართლებულია.

მაგრამ უფრო მეტი სიზუსტისათვის კი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნებოდა სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდთა შესახებ მეცნიერებისათვის გვეწოდებინა „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია“, ვინაიდან სწორედ ეს ტერმინი ზუსტად პასუხობს ამ შემთხვევაში მოთხოვნას. მეცნიერებას ხომ სახელიც მეცნიერების უნდა

დაერქვას. ამით კი ერთმანეთისაგან გამიჯნული იქნება მეცნიერება, ერთის მხრივ, და საგანი მისი, მეორეს მხრივ.

სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია ესაა ერთ-ერთი კერძო სოციოლოგიური მეცნიერება სოციოლოგიური მეცნიერების უამრავ, კერძო დარგთა შორის.

კერძო დარგია იგი სოციოლოგიისა იმდენად, რამდენადაც კერძოდ სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებს შეისწავლის იგი. ამასთან ამ მეთოდებსაც იგი შეისწავლის სოციოლოგიური, სახელდობრ კი, სწორედ გამოკვლევის კუთხით.

იქედან გამომდინარე კი, რომ სოციოლოგიური გამოკვლევა საფუძველია საერთოდ სოციოლოგიური მეცნიერებისა, ხოლო თავად სოციოლოგიური გამოკვლევა, თავის მხრივ, არც არსებობს, არათუ მეტიც, ვითარდება მისი მეთოდების გარეშე, ნათელი უნდა გახდეს ის ურყევი მნიშვნელობა, რაც სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიას ენიჭება სოციალურ მეცნიერებათა სისტემაში.

სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია სამ ძირითად ნაწილს მოიცავს, რომლებიც ერთ მთლიან სისტემას ქმნიან: ერთია სოციოლოგიური გამოკვლევის უზოგადესი, მეორე განსაკუთრებული, მესამე - კერძო მეთოდოლოგია, რომლებიც ასევე მთელ რიგ მეთოდებს მოიცავენ და სწორედ ისინი ქმნიან კონკრეტულად სოციოლოგიური გამოკვლევის სწორედ სწორედ მეთოდოლოგიურ სისტემას.

სოციოლოგიური გამოკვლევა საერთოდ მეცნიერული გამოკვლევის ერთ-ერთი კერძო სახეა, მეცნიერული გამოკვლევა კი საერთოდ -მეცნიერული შემეცნების ერთ-ერთი კერძო სახე.

მეცნიერული გამოკვლევა გულისხმობს საგნის საგანგებო შესწავლას, საგანგებო შემეცნებას მეცნიერული საშუალებებით, სოციოლოგიური გამოკვლევა კი, აქედან გამომდინარე, საგნის საგანგებო შესწავლას სოციოლოგიური მეცნიერების კუთხით, მისი საშუალებებით.

სოციოლოგიური გამოკვლევა სოციალური გამოკვლევის ერთ-ერთი კერძო სახეა. ყოველგვარი სოციოლოგიური კვლევა სოციალური კვლევაა იმიტომ, რომ ესეც სოციუმის, სოციალურის (საზოგადოების,

საზოგადოებრივის) კვლევაა, ოღონდ თავისებური, სახელდობრ კი, სოციოლოგიურ-მეცნიერული კუთხით, მაშინ როდესაც ყოველგვარი სოციოლური კვლევა, რა თქმა უნდა, მაინცდამაინც სოციოლოგიური კვლევა როდია.

სოციოლოგიური გამოკვლევა გულისხმობს სოციოლოგიური ცოდნის შეძენას, უფრო ზუსტად, მის „მოპოვებას", რაც, რა თქმა უნდა, იოლად არ ხდება და ამიტომაც მოითხოვს გარკვეულ „ძალისხმევას", ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერული გამოკვლევის შემთხვევაში.

სოციოლოგიური გამოკვლევა თეორიულიც შეიძლება იყოს და ემპირიულიც, აბსტრაქტულიცა და კონკრეტულიც, მაგრამ სოციოლოგიური გამოკვლევა ჩვეულებრივ მაინც ემპირიული და კონკრეტული ხასიათისაა. ამიტომ სოციოლოგიური გამოკვლევაში ჩვეულებრივ სწორედ ემპირიულ ანუ ცდისეულ, კონკრეტულ ანუ განუყენებელ სოციოლოგიურ გამოკვლავას მოიაზრებენ ხოლმე.

სოციოლოგიური გამოკვლევის სხვადასხვა ასპექტით უამრავი სხვადასხვა ფორმა არსებობს. ყველა თავ-თავის დროზე და ადგილზე, რა თქმა უნდა, მისაღებია და სასარგებლო, ოღონდაც იმათ მოგვცენ საუკეთესო შედეგები.

სოციოლოგიური გამოკვლევის მნიშვნელობა სოციოლოგიური მეცნიერების მიმართ უაღრესად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევაა საფუძველი საერთოდ სოციოლოგიური ცოდნისა. სოციოლოგიური ცოდნა სწორედ ხომ სოციოლოგიური გამოკლვევის ბაზაზე ყალიბდება, სწორედ მის ბაზაზე ფორმირდება. სოციოლოგიური ცოდნა კი ამა თუ იმ სოციალურ პრობლემაზე, სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე რომ არის ჩამოყალიბებული, ჩვენ გვაძლევს ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელ გზებს.

სოციოლოგიური გამოკვლევის იმ უაღრესად დიდი აქტუალურობისა გამო, რაც დამახასიათებელია ჩვენი დროისათვის, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნებოდა ჩვენი დროისათვის სწორედ „სოციოლოგიურ გამოკვლევათა ეპოქაც" კი გვეწოდებინა, ოღონდ, რა თქმა უნდა, გარკვეული სიფრთხილით.

სოციოლოგიური გამოკვლევის საგანი მუდამ სოციალური, უფრო ზუსტად კი, კონკრეტული, ემპირიული სოციალური პრობლემებია, ვინაიდან „ტრივიალური“, უპრობლემო რამ საგანი გამოკვლევას, ანუ შესწავლისათვის ძალისხმევას არც კი მოითხოვს. გამოკვლევა, გამოძიება, გამორკვევა ხომ სწორედ მაშინაა საჭირო, როცა საქმე უფრო „რთულადაა“ და პრობლემები სიძნელეებს გვიქმნიან. ცხოვრება კი, მითუმეტეს, ჩვენს ეპოქაში, უამრავზე უამრავ პრობლემას გვთავაზობს. სწორედ ამიტომაცაა ასე საჭირო სოციოლოგიურ გამოკვლევათა ფართოდ გაშლა. თავად ცხოვრება მთელი თავისი პრობლემებით განაპირობებს სოციოლოგიური გამოკვლევის აუცილებლობას, არათუ მის არნახულ აღმავლობას.

III ნაწილი. სოციოლოგიური გამოკვლევის საკუთრივ სოციოლოგიური ნაწილი სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის ყველაზე სპეციფიკური და ყველაზე კონკრეტული, ხოლო ამით კი მისი ყველაზე მეტად ძირითადი ნაწილია. იგი - ეს ნაწილი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სოციოლოგიური გამოკვლევის .მეთოდოლოგიის სისტემაში იმიტომ, რომ სწორედ იგი, ეს ნაწილია მისი სოციოლოგიის სხვა კერძო დარგთაგან სრულიად განსხვავებული ნაწილი. და, მართლაც, სწორედ აქ, ამ ნაწილში, იკვეთება სოციოლოგიური გამოკვლევის მთელი სპეციფიკა, მთელი თავისებურება მთელი თავისი კონკრეტულობით.

სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მისი პროცედურის, მისი პროგრამისა და მისი გეგმის საკითხებს.

ეს საკითხები, მართალია, განსხვავებულია ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ შორის გარკვეული ერთიანობა თუ მსგავსება მაინც არსებობს. და ეს, მართლაც, ასე უნდა იყოს.

საქმე ისაა, რომ როგორც ერთი, ისე მეორეცა და მესამეც, ეხება ერთ მთლიან ნაწილს უკვე საკუთრივ სოციოლოგიური მეთოდოლოგიის ნაწილისას საერთოდ სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიის მეცნიერებისას. და, აი, აქ ეს ერთიანობა მათ შორის ნიშნავს, კერძოდ, იმას, რომ სამივე ეს თემა, სოციოლოგიური გამოკვლევის ამ, მესამე ძირითადი, საკუთრივი ნაწილის ფარგლებში, ერთგვარი

„დამასაფეხურეობრივებელი“ შესავალია მისი, ე.ი. სოციოლოგიური გამოკვლევისა.

საქმე ისაა, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის როგორც პროცედურა, ისე პროგრამაცა და გეგმაც ეხება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესის ეტაპებისა თუ საფეხურების თემას. და ეს არის აქ გამაერთიანებელი ძაფი ამ სამი თემისა.

ოღონდ სხვა საკითხია ისიც, რომ მათ შორის ამ მხრივაც განსხვავებაა და სწორედ ეს განსხვავებაა აქ მთავარი.

ხოლო ზოგადად ეს განსხვავება რაოდენობრივ და რაგვარობრივ ხაზზე დევს.

რაოდენობრივი კუთხით ეს განსხვავება მათ შორის მომცველობითობის ზომაშია.

კერძოდ, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის ელემენტები სრულად გადაწვდება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესს თავიდან ბოლომდე (სოციოლოგიური გამოკვლევის პრობლემის ფორმულირებიდან მასზე გამოკვლევის ანგარიშის ჩაბარებამდე) და ამ მხრივ სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა სოციოლოგიური გამოკვლევის მიმართ „ყოვლისმომცველია“.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის ელემენტებიც გადაწვდება სოციოლოგიური გამოკვლევის მთელ პროცესს „პრობლემის ფორმულირებიდან ანგარიშის ჩაბარებამდე“, მხოლოდ ერთი - თავად სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის შედგენის - პუნქტის გამოკლებით და ამიტომ იგი სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესის მიმართ „არამთლად ყოვლისმომცველია“.

ხოლო რაც შეეხება სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმას, იგი გადაწვდება სოციოლოგიური გამოკვლევის მხოლოდ პროცედურულ ნაწილს, ისიც მის გარკვეულ, საკუთრივ კვლევით ნაწილს, განსხვავებით სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამისაგან, რომელიც, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურული ნაწილის გარდა, მოიცავს ასევე მის მეთოდოლოგიურ ნაწილსაც.

მოკლედ, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურა მოიცავს სოციოლოგიური გამოკვლევის მთელი პროცესის აბსოლუტურად ყველა დონესა თუ საფეხურს, სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამა

თითქმის ყველას, ხოლო სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმა მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ამ დონეებისას თუ საფეხურებისას.

მაგრამ აქ მარტო რაოდენობრივ განსხვავება როდი გვაქვს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურასა, პროგრამასა და გეგმას შორის მათი მოცულობის თვალსაზრისით, არამედ თვისობრივიც.

კერძოდ, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის საკითხი გულისხმობს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურის საფეხურების მხოლოდ თანმიმდევრობის საკითხს, სოციოლოგიური გამოკვლევის პროგრამის საკითხი სოციოლოგიური გამოკვლევის საფეხურების შინაარსის საკითხს, ხოლო სოციოლოგიური გამოკვლევის გეგმის საკითხი კი - მისი საფეხურების ასევე შინაარსის საკითხს. ამასთან, ამ ბოლო ორი მოვლენის საფეხურები ერთმანეთისგან თვისობრივად განსხვავებულია თავისი შემადგენლობით.

ამრიგად, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურაც, მისი პროგრამაცა და მისი გეგმაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც „მოცულობით", ისე „შემადგენლობითაც".

შერჩევას სოციოლოგიური გამოკვლევაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმით, რომ იგი სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესის თითქმის, სრული დაფარვის სოციოლოგიური გამოკვლევის გამონაკლისი შემთხვევების გარდა, აუცილებელი, ამასთან სასარგებლო ნაწილია. მართალია, იგი სოციოლოგიური გამოკვლევის დროს პოპულაციის ყველა წევრს არ გადაწვდება, მაგრამ ეს უმეტესზე უმეტეს შემთხვევაში არცაა სავალდებულო, თუ რეპრეზენტატულობის პრინციპის დაცვით მონაცემთა სწორ სურათს შედეგად არსებითად მაინც უზრუნველყოფს, ვინაიდან შერჩევა ამ შერჩევითი კვლევის პროცესში ჩვენ გვაძლევს მთელ რიგ „ეკონომიას", როგორც ძალებისას, ისე სახსრებისას და დროისას. მხოლოდ მთელი ეფექტურობა ამ შემთხბვევაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მეთოდებს მოვიხმართ შერჩევისას შერჩევის პროცესში თავისი მეტ-ნაკლების ღირსებით.

სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესი საკუთრივ გულისხმობს სოციალურ მონაცემთა ჯერ 1) მოპოვებას და 2) დამუშავებას, და მერე კი -მათს 3) ანალიზს.

თითოეულ მათგანს თავ-თავისი მეთოდები გააჩნია.

ეს მეთოდები კი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა მოპოვებისა და ანალიზის ნაწილებში განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, იმისდა მიხედვით, რაოდენობრივ-სოციოლოგიურ კვლევასთან გვაქვს საქმე თუ რაგვარობრივ-სოციოლოგიურ კვლევასთან.

ამასთან ამ მეთოდებს შორის განსხვავებაც, რაკიღა ერთ შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა „მოპოვებასთან" გვაქვს საქმე, ხოლო მეორე შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა „ანალიზთან", რა თქმა უნდა, ასევე სახეზეა.

ხოლო ამ მხრივ კი უნდა აღინიშნოს ის ფრიად მდიდარი სპექტრი სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა როგორც მოპოვების, ისე ანალიზის კონკრეტული მეთოდებისა, რაც ჩვენ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის განვითარების არსებულ ეტაპზე გაგვაჩნია. ყოველივე ეს კი სოციოლოგიური გამოკვლევის ჩვენი დროისათვის აგრერიგად საჭირო სოციოლოგიური გამოკვლევების წარმატების აუცილებელი საწინდარია.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადება, სოციოლოგიური გამოკვლევის სხვა საფეხურთა შორის, მისი ერთ-ერთი საფეხურია. მხედველობაში გვაქვს სოციოლოგიური გამოკვლევა თავისი საკუთრივი მნიშვნელობით.

საქმე ისაა, რომ ერთეული ფაქტები, რაც დგინდება სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა მოპოვების შედეგად, რა თქმა უნდა, თავისთავად უკვე მოითხოვენ სწორედ განზოგადებას, გენერალიზაციას. ეს კი საჭიროა იმისათვის, რომ საკვლევ საგანზე შევიმუშავოთ სწორედ ზოგადი ცოდნა. მეცნიერული შემეცნება კი სწორედ განზოგადებულ ცოდნას გულისხმობს? ამ დროს ერთეულის, ცალკეულის ცოდნა უნდა იქცეს ზოგადის, საერთოს ცოდნად. ამას თავად მეცნიერული კვლევის „ლოგიკა" მოითხოვს. ხოლო ეს კი ეხება სოციოლოგიურ გამოკვლევას, როგორც სოციოლოგიური შემეცნების ერთ-ერთ-სახეს თავისი ემპირიულობისა თუ კონკრეტულობის დონეზეც, ვინაიდან სოციოლოგიური გამოკვლევა ამ დონეზედაც კი

ხომ მაინც მეცნიერებაა. გენერალიზაცია ანუ განზოგადება საერთოდ მეცნიერული შემეცნების აუცილებელი პირობაა, ის პირობაა, ურომლისოდაც იგი არც კი არსებობს.

განზოგადება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში მიმდინარეობს სოციალურ მონაცემთა ანალიზის ფარგლებში. ასე რომ, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადება მისი ანალიზის ერთი მხარე, მისი ერთი ნაწილია.

სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზის ძირითადი მეთოდებია დაჯგუფების, კლასიფიკაციის, ტიპიზაციისა და სისტემატიზაციის მეთოდები, რომლებიც უაღრესად დიდ როლს თამაშობენ სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზის პროცესში, იმდენად დიდია მათი მნიშვნელობა მასში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ, მართალია, სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა განზოგადება სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზის ერთ-ერთი მხარეა, მისი ერთ-ერთი ნაწილია, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც „ანალიზს" აქ ფართო მნიშვნელობით გავიგებთ, ხოლო საკუთრივი, ვიწრო გაგების შემთხვევაში „განზოგადება" „ანალიზის" ცნების გარეთ დამოუკიდებელ არსებობას პოვებს. ამიტომ როდესაც ჩვენ ამ „განზოგადებას"სოციოლოგიური გამოკვლევის ცალკე ეტაპად ვასახელებთ, „ანალიზის" გვერდით, რა თქმა უნდა, ამას ვაკეთებთ ამ შემთხვევაში „ანალიზის" სწორედ ვიწრო, საკუთრივი მნიშვნელობის პირობით.

დაბოლოს, რაც შეეხება სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემთა ინტერპრეტაციის საკითხს.

ეს საკითხი, მართლაც, „დამაგვირგვინებელი" ნაწილია, საფეხურია თუ ეტაპია საკუთრივ სოციოლოგიური გამოკვლევისა.

საქმე ისა, რომ საკუთრივ სოციოლოგიური კვლევის იმ ეტაპების შემდეგ, როგორებიც სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა 1) მოპოვების, 2) დამუშავების, 3) ანალიზისა და 4) განზოგადების ეტაპებია, ლოგიკურად საქმე, მართლაც, უნდა დასრულდეს მისი ისეთი ეტაპით, როგორიცაა სახელდობრ სოციოლოგიური გამოკვლევის მოპოვებულ, დამუშავებულ, გაანალიზებულ და

განზოგადებულ მონაცემთა სწორედ ინტერპრეტაციით ანუ შეფასებით ანუ სოციოლოგიური გამოკვლევის მეხუთე ეტაპით. აქ კი ნამდვილად რომ „შეიკვრება წრე" სოციოლოგიური გამოკვლევის მთელი პროცესისა.

სოციოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაციის საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია ტერმინ „ინტერპრეტაციის" აქ, ამ შემთხვევაში, თავად ინტერპრეტირება.

ხოლო ამასთან დაკავშირებით კი, ტერმინი „ინტერპრეტაცია" საკუთრივი მნიშვნელობით ნიშნავს მხოლოდ „ახსნა-განმარტებას", არც მეტსა და არც ნაკლებს, ხოლო არასაკუთრივი მნიშვნელობით იგი ნიშნავს „შეფასებასაც". პირველ შემთხვევაში „ინტერპრეტაცია" გულისხმობს ობიექტური ვითარების „ახსნა-განმარტებას", ხოლო მეორე შემთხვევაში კი სუბიექტურ „შეფასებას" ამ ობიექტური ვითარებისას.

აქედან გამომდინარე, „სოციოლოგიური გამოკვლევის ინტერპრეტაციაც" ორგვარად შეიძლება გავიგოთ და მასში ორივე ამ ინტერპრეტაციათაგანი ვიგულისხმოთ.

ამ დროს კი, პირველ შემთხვევაში, „ინტერპრეტაცია" იგულისხმებს სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებისათვის თავ-თავიანთი, რა თქმა უნდა, ობიექტური მნიშვნელობების მინიჭებას, ხოლო მეორე შემთხვევაში მათს უკვე სუბიექტურ შეფასებას, როგორც მკვლევარ-სოციოლოგის, ისე არამკვლევარ-სოციოლოგის მხრიდანაც. პირველი, თუ ასე შეიძლება ითქვას,- „ობიექტური ინტერპრეტაცია" სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემისა, რა თქმა უნდა, წინ უსწრებს მეორეს „სუბიექტურ ინტერპრეტაციას" ამ მონაცემებისას.

შეცდომა სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ორივე ინტერპრეტაციაში შეიძლება მოხდეს ორივე შემთხვევაში, ამიტომ საჭიროა ზრუნვა ამ მხრივ სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციის სისწორისათვის.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესისა, ვინაიდან, თუ სწორად არ განვმარტეთ და სწორად არ შევაფასეთ გამოსაკვლევი საგანი, მაშინ ხომ ვერც მივიღებთ

სოციოლოგიური გამოკვლევის საბოლოო სწორ სურათსაც. ამ შემთხვევაში კი სოციოლოგიური გამოკვლევა ხომ უშედეგო იქნება.

ასე რომ, ინტერპრეტაციულ ნაწილს სოციოლოგიური გამოკვლევაში უდიდესი, კერძოდ კი, ერთგვარად „დამაგვირგვინებელი" მნიშვნელობა აქვს სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესში.

ხოლო რაკიღა სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციული ნაწილი უკვე, მართლაც, დამაბოლოვებელი ეტაპია, დამაბოლოვებელი საფეხურია სოციოლოგიური გამოკვლევისა, ამიტომ სოციოლოგიური გამოკვლევაც საკუთრივ ამით მთავრდება.

მაგრამ სოციოლოგიური გამოკვლევა ამის შემდეგაც, მისი არასაკუთრივი აზრით, ისევ გრძელდება იმით, რომ ინტერპრეტირებული მასალიდან უკვე ხდება, ჯერ ერთი, დასკვნების გაკეთება და, მეორეც, მეტიც, რეკომენდაციების მიცემა გამოსაკვლევი პრობლემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ამით კი, მართლაც, საბოლოოდ მთავრდება სოციოლოგიური გამოკვლევის პროცესი.

დასკვნები კეთდება, რა თქმა უნდა, რეკომენდაციებისათვის. სოციოლოგიური გამოკვლევის დანიშნულებაც ხომ საბოლოო ჯამში მისი სწორედ პრაქტიკული სარგებლობაა იმ მხრივ, რომ დაგვეხმაროს ჩვენ, ადამიანებს ჩვენი რეალური ცხოვრების პრობლემების გადაჭრის საქმეში. ხოლო ჩვენი ცხოვრების პრობლემების სწორედ გადაჭრის პრაქტიკული, რეალური გზებისა და საშუალებების გამოკვლევაზე უფრო მეტი მიზანი, აბა, კიდევ სხვა რაღა უნდა ქონდეს სოციოლოგიურ გამოკვლევასაც?

ყოველივე ამაში კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიას. სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის უზენაესი პრაქტიკული დანიშნულებაც ისაა, რომ მაქსიმალურად ეფექტურად უზრუნველყოს სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები მისი წარმარტებული წარმართვისათვის.

ასეთია ის ძირითადი დასკვნები, რაც გამომდინარეობს ჩვენს ნაშრომში განვითარებული თეორიული კვლევიდან.

წინამდებარე წიგნში ჩვენ განვიხილეთ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია.

ეს საგანი ჩვენი კვლევისა დიდად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი ეხება თავად სოციოლოგიური მეცნიერების ქმნას, ვინაიდან სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიური ხომ სოციოლოგიური თეორიის აუცილებელი ფუნდამენტია, რომლის გარეშეც, იგი, ჯერ ერთი, არც არსებობს, და უფრო მეტიც, რომლის გარეშეც იგი ვერც განვითარდება.

ხოლო ჩვენ აქ კვლევის საგანთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ რამოდენიმე მომენტი.

უპირველეს ყოვლისა აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების" ნაცვლად ჩვენ აქ, იმ მეცნიერების აღსანიშნავად, რომელიც სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდებს შეისწავლის „სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიის" ტერმინს მოვიხმართ. ჩვენ კი ამ შემთხვევაში გამოვდივართ იქიდან, რომ საქმე გვაქვს სწორედ მეცნიერებასთან და არა იმ მეცნიერების საგანთან, რომელსაც ის შეისწავლის. ხოლო ეს პოზიცია ამ შემთხვევაში რომ უფრო სწორია, ვფიქრობთ, უფრო გამნართლებულია, ვინაიდან აქ სწორედ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების შესახებ მეცნიერებასთან გვაქვს საქმე.

გარდა ამისა, აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგიური საკითხები უამრავ პრობლემას ქმნიან და მათზე სხვადასხვა შეხედულება, რა თქმა უნდა, გამართლებულია, მაგრამ ჩვენ ზოგ შემთხვევაში ჩვენი ვარიანტიც გვაქვს შემოთავაზებული, რაც, რა თქმა უნდა, ასევე გამართლებულია. ოღონდ, ვფიქრობთ, რომ ეს ჩვენი თვალსაზრისი, რაც ჩვენ რამდენიმე მომენტში ჩვენს ნაშრომში გატარებული გვაქვს, ყოველ შემთხვევაში გარკვეულ დასაბუთებას ემყარება და ამის გამო მართებულად მიგვაჩნია.

ასეთ მოსაზრებათა რიგს ეკუთვნის, მაგალითად, ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ე.წ. „რეპრეზეტანტულობა"

მხოლოდ და მხოლოდ რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევებისთვის დამახასიათებელი რამ თვისება როდია, არამედ იგი ნაკლები ხარისხით, მაგრამ მაინც დამახასიათებელია თვით რაგვარობრივი სოციოლოგიური კვლევებისთვისაც. რა თქმა უნდა, ეს თვალსაზრისი ძალიან საცილობელია, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ მისაღებიც, ოღონდ, ბუნებრივია, დასაბუთების პირობით. ხოლო ჩვენც, ჩვენის აზრით, ამ მხრივ გარკვეული საბუთები გაგვაჩნია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ წიგნში ჩვენ ასევე მრავალი საკითხი გვაქვს თავისებურად წარმოდგენილი, ასე მაგალითად, სოციოლოგიური გამოკვლევის პროცედურისა და პროგრამის საფეხურებად დაყოფის ხაზით.

დაბოლოს, აღვნიშნავთ იმასაც, რომ წიგნში ზოგ მომენტში მოჰარბებულია ციტატები, მაგრამ ეს იმ შემთხვევებში, როდესაც სათქმელი, ჩვენის აზრით, ზედმიწევნით სრულად იყო მათში ნათქვამი.

ხოლო სულ ბოლოს კი იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჩვენ წიგნში გავამახვილეთ ყურადღება სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდების საკითხებზე უფრო ზოგადი ასპექტით, ვიდრე კონკრეტულით.

მაგრამ ასეა თუ ისე, ეს ნაშრომი, ალბათ, მაინც სასარგებლო იქნება როგორც სტუდენტთა, ისე საერთოდ დაინტერესებულ პირთათვის.

ავტორი
2017

მითითებული ლიტერატურა

1. ასათიანი ვ. გამოყენებითი სოციოლოგია. ქუთ., 2006.
2. ზდრავომისლოვი ა. სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია და პროცედურა, თბ., 1975.
3. ზურაბიშვილი თ. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში (www.nplg.gov.ge).
4. კალჰუნი ქ., ლაითი დ., კელერი ს. სოციოლოგია. თბ., 2008.
5. კაჭკაჭიშვილი. ლექციები სოციალური კვლევის მეთოდებში (www.yoytube.com).
6. ლუტიძე ბ. სოციოლოგია. ნაწ. I, თბ., 1976.
7. ნონიაშვილი კ. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. თბ., 2009.
8. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი(www.nplg.gov.ge).
9. სკალა (ka.wikipedia.org).
10. სოციოლოგია ენტონი გიდენსის მიხედვით. თბ.,2011.
11. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. თბ., 1998
12. უცხო სიტყვათა ლექსიკონი (www.nplg.gov.ge).
13. ფრანკფორტ-ნაჩმიასი ჩ., ნაჩმიასი დ. კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში. თბ., 2009.
14. ღიბრაძე რ. სოციოლოგია. თბ., 2008.
15. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბ., 1988.
16. წულაძე ლ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში. თბ., 2008 (css.ge).
17. Аберкромби Н., Хилл С., Тернер Б.Социологический словарь. М., 2004.
18. Бакунин М.А. Философия. Социология. Политика.М., 1980.
19. Беккер Г., Босков А. Современная социологическая теория: в ее преемственности и изменении. М., 1961.
20. Выборка ((ru.wikipedia.org).
21. Гидддингс Ф.Г.С. Основы социологии: анализ явлений ассоциаций и социальной организации. М., 1898.
22. Григорьев С.И., Растов Ю. Е. Основы современной социологии (polbu.ru).

23. Давыдов С.Социология: консп. лекций (www.e-reding.club).
24. История теоретической социологии. Т.3. М., 2002.
25. Кондаков Н.И. Логический словарь-справочник. М., 1975.
26. Коновалова М.Д. Экспериментальная психология: консп. лекций (www.uhlib.ru).
27. Круковер В. Практическая социология (www.sunhome.ru).
28. Методы социометрических измерений (psylab.info).
29. Онлайн-руководство по Create Survey (что такое кросстабуляция?) (www.createsurvey.ru).
30. Основные виды наблюдения (https:marketedst.ru).
31. Семенов В.С. Анализ и интерпретация данных в социологии: учеб. пос. Владимир, 2009.
32. Смелзер Н. Социология. М., 1994 (skepsis.net).
33. Социометрический опрос: понятие и процедура (www. motivtruda.ru).
34. Шкала (www.wikipedia.org).